ზღვა

ჯონ ბენვილი

ლიტერატურული
ნაწილი

ჯონ ბენვილი

ზღვა

დიოგენეს
ბიბლიოთეკა

ჯონ ბენვილი
ზღვა

John Banville
THE SEA

მთარგმნელები ზაზა ჭილაძე, გია ჭუმბურიძე

რედაქტორი ირმა ტაველიძე

სერიის დიზაინერი ბესიკ დანელია

დიზაინერი ნინო გურული

წიგნი გამოცემულია მთარგმნელობითი ფონდის Ireland Literature Exchange-ის ფინანსური დახმარებით. დუბლინი, ირლანდია.
www.irelandlitarature.com
info@irelandliterature.com

The Publisher acknowledges the financial assistance of Ireland Literature Exchange (translation fund), Dublin, Ireland.
www.irelandlitarature.com
info@irelandliterature.com

© John Banville 2005
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე", 2013
ყველა უფლება დაცულია.

ISSN 2298-0210
ISBN 978-9941-11-426-7

www.diogene.ge

ვუძღვნი ქოულმს, დაგლასს, ელენსა და ელისს

ადგნენ და წავიდნენ, ღმერთები, სწორედ იმ უცნაური მოქცევის დღეს. მოჟამულ ცისქვეშ მთელი დილა ყურეში წყალი მატულობდა და მატულობდა, მანამდე არნახულ ნიშნულს მიაღწია, მომცრო ტალღები კი ჯიუტად ედებოდნენ გამომშრალი ქვიშით დაფარულ სანაპიროს, რომელიც კარგა ხანია, წვიმის მეტს არაფერს დაენამა, და ლამის დიუნებამდეც უწევდნენ. ყურის შორეულ ბოლოში, ვინ იცის, მიწაში როდის ჩაფლული სატვირთო მანქანის დაჟანგებული ძარა იქნება და ფიქრობდა კიდეც, ეგაა და მეშველაო... იმ დღის მერე ცოცხალი თავით წყალში ჩამსვლელი აღარც ვიყავი.

თოლიები ჭყიოდნენ და წრეზე დაფრინავდნენ, არც რაიმე უჩვეულო აღელვება ეტყობოდათ ფოლადისფრად, ბოროტად და პირქუშად მოელვარე წყლის ამ ვეება მოთუხთუხე ქვაბის შემხედვარეთ. თავად ჩიტებსაც იმ დღეს არაბუნებრივად თეთრი ფერი დასდებოდათ; ტალღები სანაპიროს ქვიშანარევი, მოყვითალო ქაფის არშიად ეხეთქებოდნენ. თვალის გაწვდენაზე ერთი აფრაც არსად მოჩანდა. არა, ცხოვრებაში აღარასოდეს ჩავალ ზღვაში საცურაოდ-მეთქი, გავიფიქრე ისევ.

თითქოს ვილაცას ჩემს საფლავზე გადაეაროს. რა ვიცი, ვის.

ძველი, გარდასული წესისამებრ, სახლს სახელიც დაანათლეს: „კედრები". სურნელოვანი ფისით გაყავისფრებულ, საზარლად ტანდაკორძილ და დაკლაკნილ ხეთა მოზრდილი კორომი ჯერაც დგას სახლიდან მარცხნივ და აქედან, მოუვლელი მდელოს გადაღმა, ყველაზე კარგად მოჩანს სასტუმრო ოთახის მოჩუქურთმებული ფანჯარა (თუმცა მის ვავასური ამჯობინებს, საკუთარ წრეში ბუდუარად მოიხსენიოს იქაურობა). წინკარი სახლის მოპირდაპირე მხარესაა. მის წინ ზეთით დალაქავებული, მოხრეშილი მომცრო ბაქანია, მერე კი – ჯერაც მწვანე საღებავშერჩენილი ჭიშკარი, ოღონდ ეგაა, ჟანგს მისი ანჯამები მთლად გაუცრეცია და გაულევია. მიკვირს, რა ცოტა რამ შეიცვალა აქ ჩემი ბოლო სტუმრობის მერე... არადა, ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. მიკვირს და მწყინს კიდეც. მეტსაც ვიტყვი: გული მიკვდება. მაგრამ მიზეზს თავადაც ვერ ვხვდები; ვერაფრით ვიტყვი, რატომ ვისურვებდი რაიმე ცვლილებას მე, ვინც სწორედ ამ წარსულის ნანგრევებში დასაბინავებლად დავბრუნდი! ვერ გამიგია, რატომ ააშენეს ეს სახლი ასე, გვერდულად; რატომ მოაქცევინეს ქვით მოპირკეთებული, უფანჯრებო, თეთრი უკანა კედელი შარაგზისკენ; ან ვინ იცის, რკინიგზის გაყვანამდე იქნებ შარაგზაც სხვაგან გადიოდა – ალბათ სწორედაც წინკარის მხარეს... მის ვ. თარიღებს ძნელად იხსენებს, მაგრამ ვარაუდობს, ამ ადგილას კოტეჯი გასულ საუკუნეში აუშენებიათ, უფრო სწორად, იმის წინა საუკუნეში და მერე რაღაც-რაღაცები უწესრიგოდ მიუშენებიათ აქეთ-იქიდანო. ალბათ ამით თუ აიხსნება შენობის უთავბოლობა: მომცრო და დიდი ოთახების უაზრო მონაცვლეობა, უსახური კედლების მხარეს გაჭრილი ფანჯრები და ყველგან ერთნაირად დაბალი ჭერი. ფიჭვის იატაკი ხის გემბანივით ჭრიალებს, ისევე, როგორც ჩემი მაღალზურგიანი სარ-

ნეველა-სავარძელი. თითქოს ვხედავ კიდეც, როგორც იქნა, ხმელეთზე დაბრუნებული ბებერი ზღვაოსანი როგორ უზის ბუხარს, ზამთრის სუსხი კი ფანჯრის შუშებს ჭირხლით ბურავს. ნეტავი მას, ნეტავ მის ადგილას ვყოფილიყავი!

უხსოვარ დროს, ღმერთების ხანაში, როცა მეც აქ ვბინადრობდი, „კედრები" სააგარაკო სახლი იყო და ორი კვირით, ანდა სულაც მთელი თვით ქირავდებოდა ხოლმე. წლიდან წლამდე, ივნისის თვეში, აქ მავანი შეძლებული ექიმი ისვენებდა, თავისი მრავალრიცხოვანი, ხმაურიანი ოჯახით. ექიმის ცელქი და აბეზარი შვილები გულზე არავის გვეხატებოდა: დაგვცინოდნენ და შიგადაშიგ ჭიშკრის იქიდან ქვებსაც გვესროდნენ. იმათ მერე შუახნის, სიტყვაძუნწი და უცხვირპირო წყვილი ჩამოდიოდა; არავის სცემდნენ ხმას და ყოველ დილით, ერთსა და იმავე დროს, თავიანთ გამწლიკულ ძაღლსაც მდუმარედ დაასეირნებდნენ სადგურისაკენ მიმავალ გზაზე. ჩვენთვის ყველაზე მიმზიდველი დრო მაშინ დგებოდა, როცა აგვისტოს მდგმურები ეწვეოდნენ ხოლმე აქაურობას. ამ თვეში, ყოველ წელს, სახლს სულ სხვადასხვა ხალხი ქირაობდა – ინგლისელებიცა და კონტინენტიდან ჩამოსულებიც. უცნაური, ახლად ჯვარდაწერილი წყვილები – ვცდილობდით, მათთვის მუდმივად გვეთვალთვალა. ერთხელ კი სულაც თეატრის მთელი დასი გვესტუმრა – დაბის კინოთეატრში დღის წარმოდგენის გასამართავად. მერე კი, სწორედ იმ წელს, გრეისების ოჯახიც გამოჩნდა.

თავიდან იმათი შავი ფერის მანქანა დავინახე – ჭიშკრის მიღმა, მოხრეშილ ბაქანზე გაჩერებული. დაბალი, დაკაწრულ-დაფხაჭნილი და გვარიანად შელანძღული რამ გახლდათ, ტყავგადაკრული სავარძლებითა და დიდრონი, მბზინავი ხის საჭით. დალაქავებული და კუთხეებაპრეხილყდიანი წიგნები

დაუდევრად ეყარა ახდილ საბარგულში და იქვე საფრანგეთის, ეტყობა, ხშირად ნახმარი ტურისტული რუკაც მოჩანდა. სახლის კარი ყურთამდე გამოეღოთ, შიგნიდან კი ხმები გამოდიოდა – ქვედა სართულიდანაც და ზევიდანაც: ვიღაც შიშველი ფეხების ტყაპა-ტყუპით დარბოდა და გულიანი კისკისიც მოისმოდა. ჭიშკართან შევჩერდი, თამამად მივაშტერდი იქაურობას. უცებ სახლიდან ვიღაც კაცი გამოვიდა. ხელში სასმლით სავსე ჭიქა ეჭირა. ტანდაბალი იყო, მაგრამ ჩასხმული – ცარიელი მხრები და გულ-მკერდი. დიდი, მრგვალი თავი ჰქონდა; მოკლედ შეკრეჭილი, შავად მბზინავი თმა, თუმცა ნვერ-ულვაშში აქა-იქ უკვე ჭაღარაც გამორეოდა. ფეხშიშველს, ბოლომდე ჩახსნილი, განიერი მწვანე პერანგი და ხაკის შორტები ეცვა. მზეზე გვარიანად დამწვარს, სახესა და მკერდზე კანი დასწითლებოდა. შევამჩნიე, მზე ფეხისგულებზეც კი მოჰკიდებოდა. არადა, ჩემი დაკვირვებით, მამების უმეტესობა კისრის ქვემოთ მზეს არც იკარებდა ხოლმე. კამკამა ჯინით, ყინულითა და ლიმნის ნაჭრით სავსე ჭიქა მანქანის სახურავზე შემოდგა, წინა კარი გამოაღო და სანახევროდ მანქანაში შემძვრალმა, რაღაცას დაუწყო ძებნა. ჩემთვის უჩინარი ზედა სართულიდან კიდევ ერთხელ მოისმა გოგოს სიცილი, მერე – ფეთიანივით შეკივლება და ბოლოს – ისევ შიშველი ფეხების ტყაპატყუპი. აშკარად დაჭერობანას თამაშობდნენ, ის გოგო და ვიღაც მეორე, ჯიუტად რომ არ იღებდა ხმას. კაცი ნელში გასწორდა, ჭიქას დასნვდა და მანქანის კარი მიაჯახუნა. არ ვიცი, რას ეძებდა, მაგრამ ვერ კი ეპოვა. სახლში შესვლამდე ჩემი დაჟინებული მზერა შეამჩნია და უცებ თვალი ჩამიკრა. არა ისე, როგორც ჩვეულებრივ იციან ხოლმე დიდებმა – თან უფროსულად და თან ვითომ ტოლივით. არა, ეს უფრო მეგობრულ, მეტიც, შეთქმულის ნიშანს ჰგავდა, ლამის მასო-

ნურ იდუმალ ნართაულს... გამგების უსიტყვო გაგებას, იმის მიუხედავად, რას გულისხმობდა სათქმელი. სხვათა შორის, კაცს უჩვეულოდ ღია ცისფერი თვალები ჰქონდა და მერე, სანამ კარს მოიხურავდა, მისი სიტყვებიც მომესმა: *ჯანდაბას! ეტყობა...* ამ დროს კარიც მიიხურა. ცოტა ხანს კიდევ შევიცადე, ზედა სართულის ფანჯრებს მივჩერებოდი, თუმცა იქ არც არავინ გამოჩენილა.

ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა გრეისებთან: გოგოს ხმა, ფეხების ტყაპუნი და ცისფერთვალა კაცის ეს უტყვი და, ცოტა არ იყოს, ეშმაკური გამოცნაურება.

ახლა სტვენას მოვყევი – ბოლო დროს ნასწავლ ხრიკს მივმართე: კბილებშუა ვუშვებდი ჰაერს წვრილ-წვრილ ჭავლებად და ისეთ ხმას გამოვცემდი, როგორსაც კბილის ექიმის ბურღი: *ზზ-ზტ! ზზ-ზტ!* მამაჩემი უსტვენდა ხოლმე ასე და ვითომ მას ვემსგავსები? დერეფნის გადაღმა, თავის ოთახში, პოლკოვნიკი ბლანდენი რადიოს უსმენს. ყველაზე მეტად გადაცემა „შუადღის საუბრები" მოსწონს, როცა გაღიზიანებული საზოგადოება სტუდიას რეკვით იკლებს და ვინ პოლიტიკოსთა გაიძვერობას უჩივის, ვინ – სასმლის ფასსა და ვინ სხვა საჭირბოროტო საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას... „ღმერთო, ეს რა ხალხია!" – ამბობს და მერე ჩაახველებს ხოლმე. ცოტა არ იყოს, შემკრთალიც ჩანს, წითლად დაყვლეპილ თვალებს მარიდებს, თუმცა, ჩემდათავად, კრინტიც არ დამიძრავს. ნეტავ ზის თუ წამოწოლილი უსმენს? ძნელია, წარმოიდგინო, მაგრამ ალბათ თავისი სქელი, რუხი შალის წინდები აცვია, ცერებს ათამაშებს; ყელსახვევი კი მოუხსნია, საკინძე გაუღელავს და ხელები თავქვეშ – გამხდარ, ბებერ კისერზე დაუკრეფავს. ისე, ოთახიდან რომ გამოდის ხოლმე, სარგადაყლაპულივით დაიარება, ერთიანად შემართული –

მრავალჭირგამოვლილი, მძიმე წაღების ლანჩებიდან წონოლა თავის კინკრიხომდე. თმას ყოველ შაბათ დილით იკრეჭს სოფლის დალაქთან, კეფასა და საფეთქლებზეც ბლომად ააღებინებს ხოლმე, მარტო ზემოთ იტოვებს ქორივით აფოფრილ ჭაღარა ქოჩორს. დიდი, პარტყუნა ყურები ლორის შებოლილ ნაჭრებს მიუგავს, თვალის გუგებზე კი მოყვითალო ლიბრი გადაჰკვრია. მესმის მისი რადიომიმღებიდან მომავალი ხმები, ოღონდ სიტყვებს ვერ ვარჩევ. აქ მართლა შეიძლება გავგიჟდე. ზზ-ზტ! ზზ-ზტ!

მოგვიანებით, იმ დღეს, როცა გრეისები ჩამოვიდნენ, ან შესაძლოა მეორე, ან სულაც მესამე დღეს შავი მანქანა ისევ დავინახე და მაშინვე მეცნო – რკინიგზის ლიანდაგზე გადებულ პატარა კუზიან ხიდზე გადადიოდა ბრაგაბრუგით. ის ხიდი ისევ არსებობს, სადგურიდან ცოტა მოშორებით. ეგრეა, საგნები ძლებენ, ცხოვრება კი წარმავალია. მანქანა სოფლიდან გადიოდა და ბელიმორად წოდებული ქალაქისაკენ ეჭირა გეზი. იქამდე ასე, ათიოდე მილი იქნებოდა. მოკლედ, ქალაქის სახელი ბელიმორია, სოფლისა კი – ბელილესი. დიდი ვერაფერი მრავალფეროვნებაა, თუმცა მე რას დავეძებ! საჭეს სწორედ ის ტანმორჩილი კაცი უჯდა, მე რომ თვალი ჩამიკრა. უკან თავგადაგდებული, ეტყობა, რაღაცა სასაცილოს ჰყვებოდა და თვითონაც გულიანად იცინოდა. მის გვერდით მჯდომ ქალს ჩაწეული ფანჯრიდან გამოეყო ხელი, თავი იმასაც უკან გადაეგდო და ნიავი ხორბლისფერ თმას უფრიალებდა. ქალი არ იცინოდა, მხოლოდ იღიმებოდა – პირადად ამ კაცისთვის შემონახული, ოდნავ დამცინავი, ყოვლის გამგები, მსუბუქი და სასიამოვნო ღიმილით... ტანზე თეთრი პერანგი ეცვა, თეთ-

რჩარჩოიანი მზის სათვალე ეკეთა და სიგარეტს აბოლებდა. სადა ვარ, სად მიპოვია სათვალთვალოდ ასე ხელსაყრელი ადგილი? არ ვიცი, ჩემს თავს ვერ ვხედავ. ისინი კი უცებვე მიეფარნენ თვალს. მანქანამ მოსახვევში კუდი მოიქნია, ცისფერი ბოლის ქულა გამოისროლა და გაუჩინარდა. გზისპირა თხრილში ქალის თმისფერი მაღალი ბალახი ერთი კი შეთრთოლდა და ისევ უწინდელ მთვლემარებას დაუბრუნდა.

შუადღის მზით განათებულ სიცარიელეში გავუყევი სადგურის გზას. მთის ძირას სანაპირო მუქ ლურჯად ციმციმებდა. ზღვის პირას ყველაფერი ვიწრო ხაზებად ლაგდება, მთელი სამყარო რამდენიმე გრძელ, სწორ წრფემდე იკუმშება მიწასა და ცას შორის. „კედრებს" ქურდულად მივუახლოვდი. ნეტავ რატომ ედო ბავშვობაში ყველაფერ ახალს, რაც კი ცნობისწადილს მიღვივებდა, რაღაც ზებუნებრივის იერი? სანდო ხალხი ხომ ამტკიცებს, ზებუნებრივი რაიმე ახალი კი არა, უკვე ნაცნობია, ოღონდ განსხვავებული სახით გამოვლენილიო... ისე, რამდენი ამგვარი უპასუხო კითხვაა და არც ეს ჩანს მათში უმთავრესი. სახლს რომ მივუახლოვდი, გულისგამაწვრილებელი ჭრიალი მომესმა: ჩემი ხნის ვიღაც ბიჭი მწვანე ჭიშკარზე ჩამოკონწიალებულიყო, ცალ ფეხს ნაჰკრავდა ხოლმე და კარზე წინ და უკან დაქანაობდა. იმასაც იმ ქალივით ხორბლისფერი თმა და ზუსტად იმ კაცის-მაგვარი თვალები ჰქონდა. როცა გვერდით ნელა ჩავუარე – მართალი გითხრათ, საგანგებოდაც შევანელე ნაბიჯი – ფეხი მიწას დააბჯინა, ჭრიალა კარი გააჩერა და მტრული ცნობისმოყვარეობით მომაჩერდა. საერთოდ, პირველი შეხვედრისას ჩვენ, ბავშვები, სწორედ ასე ვუცქერთ ხოლმე ერთიმეორეს. მის ზურგს უკან, ბალის გადაღმა, რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ, ირიბად ჩარიგებული ხეები მოჩანდა. ახლა ეს ხეები აღარ დგას – ყველა

მოჭრეს, თოჯინების სახლების მსგავსი, ფერად-ფერადად შეღებილი ბუნგალოებისთვის რომ მოესუფთავებინათ ადგილი. უფრო იქით, სადამდეც თვალი მისწვდებოდა, ვრცელი მინდვრები გადაშლილიყო. მინდორში ძროხები ძოვდნენ, ხოლო ალაგ-ალაგ ყვითელ ნაკუწებად გაბნეულიყო იელის ბუჩქები. სიშორეში ეული სამრეკლოს წვერი იკვეთებოდა, ქულა ღრუბლებით მოფენილი ცის ფონზე. უცებ, სრულიად მოულოდნელად, ბიჭი დამეჭყანა: თვალები დააელმა და ენა გამომიყო. გზა გავაგრძელე. ვგრძნობდი, როგორ გამომაყოლა დამცინავი მზერა.

ფლოსტები. დღეს ამ სიტყვას ველარც გაიგონებთ, ანდა – იშვიათად, ათასში ერთხელ. თუ სწორად მახსოვს, თავიდან მეზღვაურთა ფეხსაცმელი უნდა ყოფილიყო, და რაღაცით – გემბანის რეცხვასთან დაკავშირებული. პოლკოვნიკი ისევ ფეხისადგილისკენ მიფრატუნებს. ნაძლევს დავდებ, პროსტატა აწუხებს. ჩემს კართან კიდევ უფრო ანელებს ნაბიჯს – მგონი, სულაც თითის წვერებზე დგება. ეტყობა, გარდაცვლილისადმი პატივისცემის ნიშნად... ადათ-წესებს ერთგულებს ეს ჩვენი ღირსეული პოლკოვნიკი, ნამდვილად.

ახლა სადგურის გზაზე მივაბიჯებ.

როცა ახალგაზრდები ვიყავით, ცხოვრება მეტწილად მდორედ მიედინებოდა, ან იქნებ ახლა მეჩვენება ასე – მშვიდად, აუმღვრევლად. რაღაცას ველოდით ჩვენს ჯერაც მოუწყობელ სამყაროში და ისე იჭვნეულად შევცქეროდით მომავალს, როგორც მე და ის ბიჭი – ერთმანეთს. როგორც ჯარისკაცები ბრძოლის ველზე, გაფაციცებულნი ველოდით, ნეტავ რა მოხდებაო. ხის ძირას შევჩერდი და სამივე გზას გავხედე. ერთი სანაპიროსკენ მიემართებოდა, მეორე – სადგურისკენ, მესამე კი – პანია კინოთეატრისა და ჩოგბურთის მოედნი-

საკენ. მოედნის იქით მიმავალ გზას „კლდოვანას“ ეძახდნენ, თუმცა თუკი იქ ოდესმე რამე კლდეების მსგავსი იყო, ზღვას დიდი ხნის წინ გადაერეცხა. ამბობდნენ, ადრე ქვიშრობზე ეკლესია იდგა და მერე ისიც ზღვამ შთანთქა – მთლიანად, თავის სამრეკლოიან-ზარებიანადო. ერთ ქარიშხლიან ღამით მომხდარა ეს ამბავი, საშინელი მოქცევის დროს. ასე ჰყვებოდნენ აქაურები, მაგალითად, მერძევე დუინანი და ყრუჩუნა კოლფერი, გოლფის ნახმარი ბურთების გაყიდვით რომ ირჩენდა თავს. ეტყობა, უნდოდათ, სტუმრები დაერწმუნებინათ, ეს პატარა, კოხტა ზღვისპირა სოფელი ოდითგანვე დიდად საზარელი ამბების მომსწრეაო. სანაპირო კაფეს აბრა ამშვენებდა: სიგარეტის რეკლამა. მარილიანი ჰაერით დაჟანგებულ აბრის ანჯამებს ზუსტად „კედრების“ ჭიშკარივით აჭრიალებდა ზღვაური. ეს ჭრიალი – აბრისაც და ჭიშკრისაც – დღემდე ჩამესმის ყურში და სიზმარშიც არ მანებებს თავს. სანაპიროსკენ მიმავალ გზას დავადექი. სახლები, მაღაზიები, ორი სასტუმრო: „გოლფი“ და „სანაპირო“; გრანიტის ეკლესია, მაილერის ერთდროულად ფოსტაცა და ლუდხანაც და იმის იქით – ჩვენი მინდორი, ზედ გაბნეული ფიცრული კოტეჯებით. ერთ-ერთში ჩვენც ვსახლდებოდით ზაფხულობით – მამა, დედა და მე.

თუკი მანქანაში მსხდომნი მისი მშობლები იყვნენ, უცხო ადგილას მარტო როგორ დატოვეს ბიჭი? ან ის გოგო სად იყო, სულ რომ კისკისებდა?

წარსული მეორე გულივით მიცემს მკერდში.

ექიმი-კონსულტანტი, გვარად მისტერ ტოდი, ანას მისის მორდენად იხსენიებდა, მე კი – რატომღაც, მაქსად. ვერ ვიტყვი, მომწონდა-მეთქი ასეთი ახირება, ან თუნდაც მისი ძმა-

ბიჭური ტონი. მისი კაბინეტი – უფრო სწორად, რამღენიმე ოთახი – ერთი შეხედვით, ცაში იყო გამოკიდებული, თუმცა მხოლოდ მესამე სართულზე მდებარეობდა. თავად შენობა ერთიანად შუშა-ლითონისაგან გახლდათ ნაგები. ლიფტის ხაროც კი ამ გამჭვირვალე მასალისაგან აეწყოთ და თითქოს რაღაცით შპრიცსაც კი წააგავდა. ლიფტიც ვეება დგუშივით მოძრაობდა ზევით-ქვევით. ექიმის მისაღები ოთახის კედლებიც – იატაკიდან ჭერამდე – სულ შუშის ბრტყელი ნაჭრებით დაეფარათ. როცა მე და ანას გვიხმეს, თვალი მომჭრა ადრეული შემოდგომის ამ შუშებზე აბრჭყვიალებულმა შუქმა. რეგისტრატორმა, ქერა, უსახურმა ქალმა, რომელსაც თეთრი ხალათი და წრიპინა, უქუსლო ფეხსაცმელები ეცვა – არადა, ვინ დაიმახსოვრებს ასეთ დროს რეგისტრატორის გარეგნობას?! – ანას ანამნეზი მისტერ ტოდს დაუდო მაგიდაზე და მაშინვე გაწრიპინდა ოთახიდან. მისტერ ტოდმა დასხდომის ნება დაგვრთო. მე ადგილს ვერ ვპოულობდი და შუშის კედელთან ავიტუზე. მერე გარეთაც გავიხედე. ზუსტად ჩემ ქვემოთ მუხა იდგა. ან შეიძლება – ვერხვი. მართალი გითხრათ, ვერასოდეს ვარჩევდი ერთმანეთისაგან დიდრონ, გაბარჯღულ ხეებს. თუმცა თელა ნამდვილად არ იყო – თელები ერთიანად გადახმა ჩვენს მხარეში. მართლაც დიდებული სანახავი გახლდათ ეს ხე – ხშირფოთლიანს ჯერაც შერჩენოდა ზაფხულის სიმწვანე და შემოდგომას ვერაფერი დაეტყო მისთვის. მანქანების სახურავები მზეზე ბზინავდა, ავტომობილების სადგომისკენ შავკაბიანი ქალი სწრაფად მიაბიჯებდა. თითქოს აქედანაც კი მესმოდა მისი ქუსლების პაკა-პუკი. ანას ფერმკრთალი სახე ჩემ წინ ირეკლებოდა მინაზე. ოდნავ გვერდულად, წელგამართული იჯდა სკამზე, სამაგალითო პაციენტივით. ფეხი ფეხზე გადაედო და გადაჯვარედინებული ხელები თეძოზე

დაეკრიფა. მისტერ ტოდი მაგიდას მისჯდომოდა, ანას ქაღალდებს ფურცლავდა. მუყაოს ღია ვარდისფერმა საქაღალდემ ზაფხულის არდადეგების მერე სკოლაში დაბრუნება გამახსენა – პირველი გაკვეთილები და ჯერაც ხელუხლებელი სახელმძღვანელოები, მელნის მომწარო სუნი და წვერწამახული ფანქრები... სად არ დაგვიქრის ხოლმე გონება ყველაზე დაძაბულ ვითარებაშიც კი!

შემოვტრიალდი. გარე სამყარო უკვე მთლად აუტანელი მეჩვენებოდა.

მისტერ ტოდი ზორბა კაცი გახლდათ, არც მაღალი და არც ტანსრული, თუმცა – ბეჭებფართე. რაღაც ოთხკუთხედის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ისე ირჯებოდა, ძველი სკოლის ექიმებს რომ სჩვევიათ – დინჯად და საქმიანად. ტვიდის პიჯაკი და ჟილეტი ემოსა, ზედ საათის ოქროს ძეწკვით, და ისეთი მძიმე, ყავისფერი ფეხსაცმელები ეცვა, პოლკოვნიკი ბლანდენი უთუოდ მოუწონებდა არჩევანს. თმა ძველმოდურად გაეპოხა, შუბლიდან უკან გადაევარცხნა. ისეთ მოკლე, ჯაგარა ულვაშს ატარებდა, ცოტა არ იყოს, უჯიათი კაცის იერს რომ აძლევდა. უცებ ისიც ვიაზრე, ამ სიდინჯისა და გამოზომილი მიხვრა-მოხვრის მიუხედავად, ჯერ მხოლოდ ორმოცდაათის თუ იქნება-მეთქი. როდის აქეთ მომრავლდნენ ჩემზე უმცროსი ექიმები? ის კი რაღაცას წერდა, აშკარად დროს წელავდა. არც ვამტყუნებდი – მის ადგილას, მეც ასე მოვიქცეოდი. როგორც იქნა, კალამი დადო, ოღონდ კრინტის დაძვრას მაინც არ ჩქარობდა. აშკარად ეტყობოდა, არ იცოდა, საიდან და როგორ მოევლო. იყო მის ყოყმანში რაღაც ხელოვნური, თეატრალური და მივხვდი, ისევ იმავეს გაგონება მომიწევდა. ისე, ნებისმიერი ექიმი ისეთივე კარგი მსახიობი უნდა იყოს, როგორიც მკურნალი. ანა მოუთმენლად შეირხა სკამზე.

– აბა, ექიმო... – თქვა საჭიროზე ცოტა უფრო ხმამაღლა და ხმაში ორმოციანი წლების კინოვარსკვლავებისათვის დამახასიათებელი ხრინწი გამოერია, – სასიკვდილო განაჩენით გამიშვებთ თუ სიცოცხლეს მჩუქნით?

ოთახში დუმილი ჩამოწვა. ეს აშკარად წინდაწინ მოფიქრებული ვითომ ხუმრობა უპასუხოდ დარჩა. საშინლად მომინდა, მივვარდნოდი, მკლავებში მომემწყვდია და ისე გამეყვანა იქიდან, როგორც მეხანძრეს გაჰყავს ვინმე ცეცხლმოდებული შენობიდან. ოღონდ არც კი გავნძრეულვარ. მისტერ ტოდმა სწრაფი, დაფეთებული კურდღლის მზერა შეავლო და წარბები აზიდა.

– არა, მისის მორდენ... ჯერჯერობით არსად გაგიშვებთ, – თქვა და ყალბმა ღიმილმა დიდი მორუხო კბილები გამოუჩინა, – ნამდვილად არა.

ისევ დუმილი ჩამოვარდა. ანას ხელები ახლა კალთაში დაეკრიფა და მოლუშული ისე დასცქეროდა მათ, თითქოს პირველად ხედავსო. მარჯვენა მუხლი ამიძაგძაგდა.

მისტერ ტოდმა თავს ძალა დაატანა და გრძელ, ათასჯერ გამეორებისაგან ყავლგასულ მსჯელობას მოჰყვა იმედისმომცემ მკურნალობაზე, ახალ წამლებზე, მის ხელთ არსებული ქიმიური საშუალებების სასწაულებრივ თვისებებზე... გინდაც ალქიმიკოსი ყოფილიყო და ჯადოსნურ ნაყენზე ელაპარაკა... ანა ისევ მოლუშული დასცქეროდა საკუთარ ხელებს, არც კი უსმენდა. ბოლოს ექიმიც გაჩუმდა და იმ სასოწარკვეთილი, უიმედო მზერით მიაჩერდა, ადრეც რომ არაერთხელ მენახა მის სახეზე. ფსუტუნით სუნთქავდა, ტუჩები გაეწელა და ისევ გამოუჩნდა ცხენივით კბილები.

– გმადლობთ, – თავაზიანად, თითქოს სადღაც, ძალიან შორიდან შეეხმიანა ანა; თითქოს რაღაც ფიქრს დაუქნია თავი.

– დიახ, – დაამატა კიდევ უფრო მშვიდად, – დიდი მადლობა.

ეტყობა, მისტერ ტოდს ცოტა გულზე მოეშვა, ხელისგულები მუხლებზე დაირტყა და მოწყვეტით წამოდგა სკამიდან. ერთი სული ჰქონდა, როდის გაგვისტუმრებდა. ანა რომ კარში გააცილა, მომიბრუნდა და კაცურად გამიყარა თვალი თვალში. გამილიმა კიდეც, უსიტყვოდ. სხარტად ჩამომართვა ხელი. ზუსტად იმგვარად, როგორც, დარწმუნებული ვარ, ასეთ ვითარებაში იცოდა ხოლმე.

ნოხდაფენილი დერეფანი უხმაუროდ გავიარეთ. ლიფტი ტაატით დაიძრა ქვემოთკენ.

ქუჩაში გამოვედით. თითქოს რომელიღაც უცხო პლანეტაზე დავადგით ფეხი, სადაც ჩვენ გარდა, არც არავინ სახლობდა.

შინ დაბრუნებულები კარგა ხანს ვისხედით სახლის წინ, მანქანაში. ვფიქრობდით იმაზე, რაც ვიცოდით და არაფერს ვამბობდით ერთმანეთთანაც და საკუთარ თავთანაც ერთბაშად გაუცხოებულები. ანამ ყურეს გახედა, სადაც მზის გულზე აფრაგაშლილი ნავები დასრიალებდნენ. მუცელი გამობერვოდა, კაბის ქამართან მრგვალი, მკვრივი წამონაზარდი აჯდა. თქვა, ხალხი იფიქრებს, ფეხმძიმედაარ... ამხნის ქალი. ორივეს გაგვეცინა, თუმცა ერთმანეთისთვის არ შეგვიხედავს. ჩვენს საბუხრე მილებზე დაბუდებული თოლიები ახლა ისევ ზღვას დაბრუნებოდნენ, ან უცხო მხარეს გადახვეწილიყვნენ, თუ რა ვიცი, სად. არადა, მთელი ის ნაღვლიანი ზაფხული დილიდან საღამომდე სახურავს დასტრიალებდნენ და დასცინოდნენ ყველა ჩვენს მცდელობას, ისე დაგვეჭირა თავი, თითქოსდა

არც არაფერი გვემუქრებოდა და სამყაროც თავისი გზით აგრძელებდა ბრუნვას. ოლონდ ის ხომ იქ იყო, მის სხეულში – წანაზარდი, სახელად *სიკვდილი*. მართლა ნაყოფივით მწიფდებოდა და თავის დროს ელოდა.

როგორც იქნა, შინ შევედით, რაკი სხვა წასასვლელი არსად გვქონდა. შუადღის კაშკაშა შუქი სამზარეულოს ფანჯარას ეღვრებოდა და ყველაფერი შუშასავით ბრწყინავდა – თითქოს ოთახს კინოკამერის ლინზიდან შევცქეროდი.

რაღაც უხერხულობასაც ვგრძნობდი მთელი ამ ოჯახური მყუდროების გამომხატველი ნივთების შემყურე – ქილებისა დაკიდულ თაროებზე, ჩამჩებისა ლუმელის თავზე, საპურისა, თავისი დაკბილული დანით... თითქოს მზერას გვარიდებდნენ ამ გაუცხოებულ, მათთვის სრულიად მიუღებელ ხალხს. აი, ამიერიდან სულ ასე იქნება, – გავიფიქრე, – სადაც არ უნდა წავიდეთ, კეთროვანივით წინ მუდამ ზანზალაკის წკარუნი წაუძღვება. *მშვენივრად გამოიყურები!* – შესცინებენ ნაცნობები, – *ასეთი ლამაზი ჯერ არც გვინახიხარ!* და ისიც, ვითომც არაფერიო, შეიფერებს და თავისებურად მომხიბლავად გაიღიმებს კიდეც, საბრალო მისის ძვალტყავა.

შუა ოთახში იდგა, ჯერაც პალტო ეცვა და თავშალი ეხვია ყელზე. ხელები ისევ ისე დაეკრიფა თეძოზე და დარდიანი სახით იხედებოდა აქეთ-იქით. მაშინ ჯერ ისევ ლამაზი იყო, ღაწვმაღალი, სახეგადატკეცილი. მისი თითქოსდა სპილოსძვლისაგან ნაკვეთი, ნატიფცხვირიანი ანტიკური პროფილი მუდამ ყველაზე მეტად მხიბლავდა.

– იცი, ამას რა ჰქვია? – თქვა მწარე დანანებით. – რა ჰქვია და *უსამართლობა*!

თვალი ავარიდე – იმის შიშით, მზერამ არ გამცეს-მეთქი. ასეთ დროს ხომ საკუთარი მზერაც გეუცხოვება – თითქოს

შეშლილი და სასონარკვეთილი ჯუჯა ჩაგბუდებიაო. მივხვდი, რასაც გულისხმობდა: ეს მას არანაირად არ უნდა დამართოდა, ჩვენ არ უნდა დაგვმართოდა... არ ვიყავით საამისო ხალხი. უბედურება, ავადობა, უდროო სიკვდილი – ამგვარი რამ სულ სხვანაირი ადამიანების ხვედრია: თავმდაბლების, აი, იმათი, *მიწის მარილს* რომ ეძახიან, და არა – ანასი, არა – ჩემი. ჩვენი უდარდელი ერთობლივი ცხოვრების შუაგზაზე მხიარულ ბრბოს ერთი დაჭყანული არარაობა გამოეყო, მანჭვით დაგვიკრა თავი და ჩემს განწირულ დედოფალს ცხოვრებიდან დათხოვნის სიგელი გადასცა.

ანამ ჩაიდანი შემოდგა ქურაზე, ჯიბეში სათვალე მოიძია, გაიკეთა და ზონარი კისერზე გადაიგდო. მერე ატირდა, უხმოდ, თითქოს თავისდაუნებურად. უხერხულად მივუახლოვდი, ჩახუტება დავუპირე, მაგრამ უხეშად მომიშორა.

– თუ ღმერთი გწამს, ნუ ფორიაქობ... – მოსხიპა მკაცრად. – მხოლოდ ვკვდები, სხვა ხომ არაფერი.

ქურა ჩააქრო და აშიშინებული წყალიც მალევე ჩაცხრა. უკვე მერამდენედ მაკვირვებდა ჩვეულებრივი საგნების ეს ბოროტი თვითკმაყოფილება... თუმცა არა, ბოროტი ის სიტყვა არაა, არც თვითკმაყოფილება – უბრალოდ, გულგრილობა. მაგრამ სხვაგვარად, აბა, როგორ შეიძლება იყოს? შესაბამისად, ისევე უნდა აღმექვა საგნები, როგორც არის – არა ისე, როგორც მე წარმომედგინა, რადგან ეს ახალი სინამდვილე იყო. ჩაის ფინჯნებს დავწვდი, კინაღამ დავამტვრიე, ისე მიცახცახებდა ხელები, იმან კი – არ გინდაო. უკვე გადაეფიქრა. ახლა ბრენდი და სიგარეტი მოუნდა, თუმცა საერთოდ არ ეწეოდა და ძალიან იშვიათად სვამდა. ჯიუტი ბავშვის მზერით გამომხედა. მაგიდასთან იდგა, ჯერაც პალტომოხურული, უკვე აღარ ტიროდა. სათვალე მოიხსნა და ქუთუთოებზე მოისვა ხელი.

ბრენდის ბოთლი გადმოვიღე და ხელის კანკალით ჩამოვასხი. ბოთლის ყელი ისეთი ხმით რაკუნობდა ჭიქის კიდეზე, თითქოს კბილი კბილს ეხლებაო. შინ სიგარეტი არ გვქონდა – საიდან გამეჩინა? მაგრამ მითხრა, არა უშავს, მართლა კი არ ვაპირებდი გაბოლებასო. ჩაიდნის მუცელი შუქს ირეკლავდა, ცხვირიდან ორთქლის წვრილ ჭავლს უშვებდა და რატომღაც ბოთლში გამომწყვდეული ჯინისა და ჯადოსნური ლამპრის ამბავს მახსენებდა. ეს ერთადერთი სურვილი ამისრულე, რა იქნება.

– პალტო მაინც გაგეძრო... – ვთქვი ბოლოს.

ოლონდ რატომ „მაინც“? რატომ ვერ ველევით ამდენ ზედმეტსა და არაფრისმთქმელ სიტყვას?

ჭიქა მივაწოდე. გამომართვა, მაგრამ პირიც არ დაუკარებია. ფანჯრიდან შემოსული შუქი გულზე ჩამოკიდებული სათვალის შუშებს ეცემოდა და თან მისსავე სახეს ირეკლავდა, იატაკზე ერთ ნერტილს ჩაშტერებულს. უცებ ერთიანად მოიმჩვარა და მძიმედ ჩამოჯდა სკამზე. მკლავები უცნაურად, რაღაცნაირი უსასოობით გაწვართა მაგიდაზე – თითქოსდა სუფრის თავში მჯდომარე ვილაც უჩინარ მსაჯულს შეწყალებას შესთხოვსო. ჭიქა მაგიდას დაეხალა და ნახევარი შიგთავსიც გადმოიღვარა. უმწეოდ შევცქეროდი. მყისიერად გამიელვა თავში, ველარასოდეს მოვიფიქრებ, კიდევ რა ვუთხრა, ამის შემდეგ სულ ასე გაგრძელდება, ბოლომდე, ამგვარ უსიტყვო ბორგვაში-მეთქი. დავიხარე და კეფაზე ვაკოცე – ზუსტად იქ, სადაც ყორნისფერი თმა გათხელებოდა და უკვე პაწია, მქრქალი ლაქაც მოუჩანდა. სახემოღუშულმა ამომხედა.

– საავადმყოფოს სუნი აგდის, – მითხრა. – არადა, ნესით მე უნდა ამდიოდეს...

ჭიქა გამოვართვი და შიგ ჩარჩენილი მწკლარტე სითხე სულმოუთქმელად გამოვცალე. მივხვდი, რა გრძნობა მღრღნი-

და მას მერე, რაც იმ დილით მისტერ ტოდის ერთიანად მბზინავ მისაღებში შევდგი ფეხი: დაბნეულობა. ეჭვი არ მეპარებოდა, ანაც იმავეს განიცდიდა. კი, დაბნეულობა. ის დამზაფრავი განცდა, როცა აღარ იცი, რა თქვა, რას შეხედო, როგორ მოიქცე და კიდევ რაღაც, რასაც მთლად სიბრაზე არ ეთქმოდა, მაგრამ განბილების მწარე გემოს კი გიჩენდა სულში; განაწყენება იმ ყოფის გამო, რომელშიც ასე მოუმზადებლად აღმოვჩნდით – თითქოს რაღაც ისეთი უმსგავსი, ბილწი საიდუმლო გაენდოთ ჩვენთვის, აღარც ერთად დარჩენა შეგვეძლო და ვეღარც უერთმანეთოდ ვძლებდით. ორივემ ვიცოდით, მეორემაც იცისო და ეს ცოდნა გვადუღაბებდა. ამ დღიდან ყველაფერი თავდაყირა დადგებოდა: სიკვდილის ჩრდილქვეშ სხვაგვარად ვერც იცოცხლებდი.

ანა ახლა წელგამართული იჯდა მაგიდასთან, ისევ მარიდებდა თვალს. დუნე, უძრავი ხელის მტევნები ისე ამოეტრიალებინა, თითქოს ელოდა, ეგებ ვინმემ რამე მიწყალობოსო.

– აბა? – მკითხა უწინდებურად გახევებულმა. – ახლა რას ვშვრებით?

აი, პოლკოვნიკი ისევ თავის ოთახისკენ მიჩლახუნებს. ამ ჯერზე კარგა ხანი ინვალა ტუალეტში. შარდის შეხუთვას ეხუმრები? მთელ სახლში მხოლოდ ჩემი საძინებელი ოთახია, რომელსაც მის ვავასური, ცოტა არ იყოს, ამრეზით, მუდამ ფრანგულად მოიხსენიებს ხოლმე – en suite. ხედიც კარგი მექნებოდა, ბალის კიდეში ბუნგალოები რომ არ მოემრავლებინათ. საწოლიც ერთ რამედ ღირს – ძველებური, მაღალ-მაღალი, ხელნაკეთი და ვითომდა ვენეციელი დოჟისთვის საგანგებოდ შეკვეთილი... თავის ფიცარი მოჩუქურთმებულია და მთლად

სტრადივარიუსის ვიოლინოსავით გაპრიალებული. ერთი უნდა ვკითხო მის ვ-ს: მაინც სად გამოჩხრიკა? ეტყობა, ცოლ-ქმარ გრეისებს სწორედ აქ ეძინათ თავის დროზე, მე მაშინ მხოლოდ სიზმარში თუ გავცდენილვარ პირველ სართულს.

ახლაღა შევამჩნიე, რა რიცხვია დღეს: ზუსტად ერთი წელი შესრულდა, რაც მე და ანა პირველად ვესტუმრეთ მისტერ ტოდს. უცნაური დამთხვევაა. ან იქნებ სულაც არა – პლუტონის სამფლობელოში დამთხვევებს რა უნდა? მით უმეტეს, ჩემისთანა გზაკვალაბნეული, ქნარდაკარგული ორფეოსისთვის... არადა, სრული 12 თვეა გასული. კარგი იქნებოდა, დღიური მეწერა. ჟამიანობის წლის ჩემეული მატიანე.

აქ სიზმარმა მომიყვანა. იმ სიზმარში სოფლის გზას მივუყვებოდი, ეგ იყო და ეგ. ვითომ ზამთრის ბინდ-ბუნდი იდგა, ან სულაც ღამე, უცნაურად დაბინდული შუქით განათებული – აი, ისეთი, მარტო სიზმარში რომ დაგესიზმრება. თან სველი თოვლიც მოდიოდა და გამიზნულად მივიჩქაროდი სადღაც, ალბათ – შინ, თუმცა არ ვიცოდი, სად ან რანაირი შეიძლებოდა ყოფილიყო ის ჩემი სახლი. ხელმარჯვნივ ღია სივრცე გადაშლილიყო, ერთი ქოხმახიც არ მოჩანდა არსად; მარცხნივ კი გზას შავად ჩასდევდა ხეების ერთფეროვანი რიგი. წელიწადის ამ დროსაც კი ტოტებს ფოთლები ჯერ კიდევ შერჩენოდათ – სქელი, ჩამუქებული, ხშირი ფოთლები – თხელ, მყიფე ყინულად ქცეული თოვლით დამძიმებული. ეტყობა, მანქანა გამიფუჭდა... არა, უფრო ველოსიპედის ჯაჭვი თუ გამიწყდა, იმიტომ, რომ მართალია, სიზმარშიც ამ ხნის ვიყავი, მაგრამ მაინც ბიჭი მეგონა თავი – აწონილი, ტლანქის ერთი. ეგრე იყო, შინ მივდიოდი, ანდა იქ, რასაც ერთ დროს

სახლი ერქვა ჩემთვის, და ბოლოს, როცა მივაღწევდი, უთუოდ ვიცინებდი კიდეც. შორი გზა მქონდა გასავლელი, მაგრამ ეს სულაც არ მადარდებდა: მიზნისთვის ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მიმეღწია, თუმცა ჯერ თავადაც არ ვიცოდი, რატომ იყო ეს ასე მნიშვნელოვანი... გულმშვიდად ვიყავი, ბოლომდე თავდაჯერებული, და მართალია, წარმოდგენა არ მქონდა, საით მივაბიჯებდი, ეჭვიც არ მეპარებოდა, სახლის გზას ვადგავარ-მეთქი! ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მთელი დღე ნელა, ჯიუტად ბარდნიდა, მაგრამ გზას არანაირი ნაკვალევი არ აჩნდა – არც საბურავის, არც ფეხსაცმლისა და არც ცხოველის, რაკი არავის და არაფერს გაევლო ზედ და არც გაივლიდა... რაღაცა მჭირდა მარცხენა ფეხზე – ვიღრძე, ეტყობა, თანაც დიდი ხნის წინ, რადგან არ მტკიოდა; ეგაა, რომ ყოველ გადადგმაზე რაღაც უშნოდ მივიქნევდი. ეს კი დროს მაკარგვინებდა. ბევრს არა, მაგრამ მაინც. საკუთარი თავი მებრალებოდა – მძინარეს მებრალებოდა ის, ვისაც სიზმარში ვხედავდი: ერთი ვიღაც უგერგილო ტეტია! შებინდებისას ჯიუტად მივჩლახუნებდი თოვლში, უსასრულოდ გადაჭიმულ გზაზე და შინ დაბრუნებასაც პირი არ უჩანდა.

ეს იყო მთელი სიზმარი. გზა არ დამთავრებულა, არც მე მივსულვარ სახლამდე და არც არაფერი მომხდარა. მივდიოდი და მივდიოდი, მარტოსული და ჯიუტი. არც თოვლს ვეპუებოდი და არც ზამთრის ამ ბინდ-ბუნდს. მაგრამ გამთენიისას იმ განცდით კი არ გამომეღვიძა, როგორც, ჩვეულებრივ, ბოლო დროს მეღვიძება ხოლმე – როცა მგონია, ამ ღამით დამცავი კანის კიდევ ერთი ფენა გადამძვრა-მეთქი, არამედ იმაში ღრმად დარწმუნებულმა გავიღვიძე, რომ რაღაცამდე მივედი, ყოველ შემთხვევაში, თითქოს რაღაც მაინც დაიწყო. ამიტომაც წამოვხტი მაშინვე და ღმერთმა უწყის, რამდენი ხნის მან-

ძილზე პირველად, *ბალილესი* გამახსენდა, *სთეიშნ როუდზე* მდგარი სახლი, გრეისები და ქლოი გრეისი... თავადაც არ ვიცი, რატომ. თითქოს სიბნელიდან მქრქალ, მარილიანი სუნით გაჟღენთილ მზის შუქზე გამოვედი. ეს მხოლოდ წუთით გაგრძელდა, ან უფრო ნაკლებით – ეს ბედნიერი გამოფხიზლება, თუმცა კი მოასწრო, ეკარნახა, რა მექნა და საით წავსულიყავი.

ქლოი გრეისი პირველად ზღვის ნაპირას ვნახე. ნათელი, ქარიანი დღე იდგა და გრეისების ოჯახიც ქვიშაში ქარისა და მოქცევის დანატოვარ, ბუნებრივად გაჩენილ ქვაბულში მოყუჩებულიყო, სადაც ისე ჩარიგებულიყვნენ ყველანი, როგორც მსახიობები ავანსცენაზე. თადარიგიც წინდაწინ დაეჭირათ: ზღვაურისაგან თავდასაცავად ზოლიანი ტილო გაებათ ორ ჭოკს შორის, გასაშლელი მაგიდა და სკამებიც წამოეღოთ და სანოვაგით სავსე მომცრო ჩემოდნისხელა კალათაც; ის კი არა, ჩაის ფინჯნები და ლამბაქებიც არ დავიწყებოდათ. სანაპიროს ეს ნაწილი სასტუმრო „გოლფის" სტუმრებისთვის გახლდათ გათვალისწინებული. სასტუმროს ეზო ზუსტად ქვიშებთან თავდებოდა და იქაურობის სტუმრებსაც მრავალი ცნობისმოყვარე თვალი აჩერდებოდა ხოლმე. თუმცა გრეისები ამას, ეტყობა, არაფრად დაგიდევდნენ.

მისტერ გრეისს, სახელად კარლოს – ოჯახის მამას – მოკლე შარვალი და ზოლებიანი თხელი პიჯაკი ზედ შიშველ ტანზე შემოეცვა. ისე, მთლად შიშველიც არ ეთქმოდა, ბალნის ისეთი უსიერი ტევრი ედო მკერდზე. სხვათა შორის, ამგვარი ბანჯგვლიანი არც მანამდე მენახა და არც მას მერე შემხვედრია ვინმე... თავზე ქვიშაში სათამაშო სათლის ფორმის ტილოს ქუდი დაეკოსებინა. გასაშლელ სკამზე იჯდა, გაზეთს

ჩასჩერებოდა და ჯიუტი ზღვაურის მიუხედავად, სიგარეტსაც მადიანად აბოლებდა. ქერა ბიჭი, სწორედ ის, ჭიშკარზე რომ კონნიალობდა – ბარემ სახელსაც გეტყვით: მაილზი – მამის ფეხებთან ჩაცუცქულიყო და გაბუსუნებული, ზღვიდან გამორიყული პატარა ტოტით ხელში, რაღაცას ჩიჩქნიდა. ცოტა უკან, ქვიშის ბუნებრივ კედელს მოფარებული, ხაოიან წითელ პირსახოცში გამოხვეული გოგო თუ სულაც ახალგაზრდა ქალი მუხლებზე იდგა და დიდი მონდომებით ცდილობდა სველი საცურაო სამოსის გახდას. თვალშისაცემად ფერმკრთალს, ნატიფ, მოგრძო სახეზე ფიქრიანი გამომეტყველება ედო და ხშირი, ყორნისფერი თმა ეფინა მხრებზე. შევამჩნიე, თითქოს შეშფოთებული, დროდადრო როგორ გახედავდა ხოლმე კარლო გრეისის კეფას. ისიც შევნიშნე, ბიჭს თითქოსდა იმედიანად რომ გაურბოდა მისკენ თვალი – ეგება და ეს პირსახოცი ჩამოსძვრესო... მოკლედ, ასე ჩანდა, და-ძმანი არ უნდა ყოფილიყვნენ.

ზღვიდან ახლად ამოსულ მისის გრეისს ტანზე შემოტკეცილი შავი საცურაო სამოსი სელაპის ტყავივით უბზინავდა. ქვედაკაბად შემოხვეული თხელი ნაჭერი ქინძისთავით ჰქონდა დამაგრებული და ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ხორციანი, მზემოკიდებული, თუმც კი უზადოდ ჩამოქნილი ფეხები მოუჩანდა. ქმარს გაუჩერდა წინ, თეთრჩარჩოიანი მზის სათვალე შუბლზე აიწია, შეიცადა, ვიდრე კაცი გაზეთს დაუშვებდა, ამოხედავდა და სიგარეტიან ხელს მოიჩრდილავდა. თვალმოჭუტული უსმენდა, სანამ ქალი რაღაცას ეუბნებოდა. მერე მხრები აიჩეჩა, გაილიმა და მომცრო, თეთრი, ჩაწიკწიკებული კბილები გამოაჩინა. მის ზურგს უკან ჯერაც პირსახოცშემოხვეულმა გოგომ, როგორც იქნა, სველი საცვლისაგან თავი გაითავისუფლა, შეტრიალდა, ქვიშაზე მოკალათდა, პირსახოცი

ახლა მხრებზე მოიგდო და შუბლი მუხლებზე ჩამოდო. მაილ-ზმა გამეტებით ატაკა ტოტი ქვიშას.

აი, ეს გახლდათ გრეისების ოჯახი: კარლო, მისი ცოლი კონსტანსი, მათი ვაჟი მაილზი და ვიღაც ახალგაზრდა ქალი – ეჭვიც არ მეპარებოდა, ნამდვილად არ გახლდათ ის გოგო, ვისი სიცილის ხმაც იმ პირველ დღეს მომესმა სახლიდან. თავიანთი ავლადიდება ირგვლივ მიმოეფანტათ, ტილოს სკამები გაეშალათ და გასაშლელ მაგიდაზევე ჩაის ფინჯნები და თეთრი ღვინით სავსე ჭიქები ერთად დაელაგებინათ. ახლაც თითქოს თვალნათლივ ვხედავ კონი გრეისის სიფრიფანა ქვედაკაბას, მისი ქმრის მაზალო ქუდს, გადაშლილ გაზეთსა და აბოლებულ სიგარეტს, მაილზის ტოტსა და ეს-ესაა წყლიდან გამორიყული, უცნობი ზღვის ცხოველივით ქვიშააკრულ, დაუდევრად მიგდებულ სველ საცვალს.

არ ვიცი, რამდენ ხანს იდგა ქლოი ქვიშის ბექობზე, სანამ ძირს გადმოხტებოდა – ეგებ მთელი ამ ხნის მანძილზე მიცქერდა კიდეც იმისიანებს მიჩერებულს. მზის ფონზე, თავიდან მხოლოდ ბუნდოვან სილუეტად აღვიქვი და მისი მოკლედ შეკრეჭილი თმა მბზინავ მუზარადად მომეჩვენა. მერე ხელები ასწია, ფეხები შეატყუპა და ბექობიდან ისკუპა. ჰაერის ტალღამ მოკლე შარვლის ტოტები წამით გამოუბერა. სველი ქუსლებით დაერჭო მშრალ ქვიშაში და გვარიანი ბუქიც დააყენა. პირსახოცშემოხვეულმა გოგომ – ბარემ იმისი სახელიც ვახსენოთ: როუზი, საბრალო როუზი – შიშისაგან შეჰყვირა. ჯერაც ხელებაწეული ქლოი კი ქუსლებზე იდგა და აქეთ-იქით ქანაობდა – იფიქრებდი, ზურგით დაენარცხება ან სულაც ადგილზევე ჩაჯდებაო, მაგრამ წონასწორობა მაინც შეინარჩუნა. მერე თვალებში ქვიშაშეყრილ როუზს ერთი დამცინავად გახედა და თითქოს იმას აჯავრებსო, თავადაც აახამხამა

თვალები. „ქლოი!" – მისის გრეისს ხმაში საყვედური გამოერია, თუმცა ქალიშვილს ეს აინუნშიც არ ჩაუგდია, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ძმის გვერდით ჩაიცუცქა და ხელიდან ტოტის გამოგლეჯა დაუპირა. მე კიდევ ამ დროს პირქვე ვიწექი პირსახოცზე, ვითომ წიგნს ვკითხულობდი. არადა, ქლოი ნაღდად ხვდებოდა, თვალს რომ არ ვაშორებდი, თუმცა ასე ჩანდა, სულაც არ ადარდებდა ეგ ამბავი. რამდენის ვიყავით მაშინ? ათის, თერთმეტის? ალბათ, უფრო თერთმეტის. იმასაც მაილზივით ბრტყელი გულ-მკერდი ჰქონდა ჯერ და არც თეძოები ექნებოდა ჩემზე განიერი. როგორც გითხარით, მოკლე შარვალი და თეთრი უსახელო მაისური ეცვა. მზეს ლამის მთლად გამოეხუნებინა ეს მისი მოკლედ შეკრეჭილი თმა. მაილზი ცოცხალი თავით არ თმობდა ტოტს, ბოლოს მაინც იმარჯვა, დას ტოტი დასცხო ხელზე, იმან კიდევ – უხ შენიო! – გამოსცრა კბილებში და პაწია, ძვალტყავა მუშტი ზედ გულისკოვზში უთავაზა.

„ერთი, ეს განცხადება მოისმინეთ!" – ოჯახის უფროსი ვინმე ერთს არ მიმართავდა. მერე ხმამაღლა, სიცილ-სიცილით წაიკითხა გაზეთში დაბეჭდილი: „გვესაჭიროება მაგარი ბიჭები ჟალუზის პარტიის გასასაღებლად. მანქანის მართვის უფლება აუცილებელია. გამოგვეხმაურეთ". ისევ აუტყდა სიცილი. იმდენს იცინოდა, ლამის ჩაბჟირდა. „მაგარი ბიჭები მომინდომეს..." – ძლივსღა ამოღერღა.

როგორ ყრუდ ისმის ყველა ხმა ზღვის ნაპირას – დაგუდულად და თან მაინც მკაფიოდ, როგორც შორეული თოფის გასროლა. ქვიშის ამბავი უნდა იყოს. თუმცა, მართალი გითხრათ, არც მახსენდება, როდის გამიგონია თოფის ხმა.

მისის გრეისმა ღვინო დაისხა, მოწრუპა, დაიჭყანა; მერე გასაშლელ სკამზე ჩამოჯდა, ერთი ჩამოქნილი ფეხი მეორეზე

გადაიდო და ცერა თითით ფლოსტი აათამაშა. ისევ იმ პირსახოცში გამოხვეული როუზი ახლა ჩაცმას ცდილობდა. მასავით მუხლებზე ნიკაპჩამოდებული კი უკვე ქლოი დასკუპებულიყო. ყველა გოგოს უყვარს ამნაირად ჯდომა – ყოველ შემთხვევაში, ასე მახსოვს. თითქოს არც ძვალი ჰქონდეთ და არც სახსარი, შემოიჭდობენ ფეხებზე ხელებს და გაიტრუნებიან. მაილზმა ფერდში ტოტი ატაკა. „მამ, უთხარი რა, გაჩერდეს!" – გაღიზიანდა ქლოი. მამამისი ისევ გაზეთს ჩაჰკირკიტებდა. კონი გრეისის ფლოსტი მხოლოდ მისი პატრონის ფიქრში გაჟღერებული მუსიკის რიტმში ირწეოდა. ირგვლივ მზით გახურებულ ქვიშას რაღაც იდუმალი, თან თითქოს ავი სუნი ასდიოდა. შორს, ყურეში, თეთრი იალქანი თრთოდა და ირწეოდა – ხან დაფერდდებოდა, ხან ისევ გასწორდებოდა და თითქოს წამით სამყაროც კარგავდა წონასწორობას. პლაჟის ბოლოში ვიღაც ვიღაცას ეძახდა. ბავშვები. მობანავეები. ჟღალბენვაჯაგრული ძაღლი... იალქანს ისევ წამოუბერა ქარმა და ჩემს სმენასაც აშკარად მოსწვდა მშრალი ტილოს ტკაცა-ტკუცი. მერე ზღვაური მცირე ხნით ჩადგა. ახლა სრულმა სიჩუმემ დაისადგურა ირგვლივ.

რაღაცას თამაშობდნენ: ქლოი, მაილზი და მისის გრეისი. ბავშვები დედის თავს ზემოთ ბურთს უგდებენ ერთმანეთს, ქალი კი ხტება, დაჭერას ცდილობს – მეტწილად, უშედეგოდ. სირბილისას ქვედაბოლო უფრიალებს და თვალს ვერ ვაშორებ მკვრივ, შემოტკეცილ სამკუთხედს მის ჭიპს ქვემოთ. ხტის, ჰაერში იქნევს ხელებს, სუნთქვა ეკვრის და გულიანად იცინის; მკერდიც უთრთის. მისი ცქერა ერთი სიამოვნებაა და თან მაშინებს კიდეც: არსება, ვისაც სხეულზე ამდენი აღმართ-დაღმართი აქვს, ასე არ უნდა დახტუნაობდეს... ვაითუ რამე დაიშავოს შიგნით: ან კუნთი გაიჭიმოს, ან რამე სათუთი

სახსარი დაიზიანოს. მის ქმარს გაზეთი მუხლებზე დაუდვია და ისიც ჩემსავით შესცქერის. ნიკაპზე წვერს იწვალებს, თან ცივად იღიმება. ახლაც მოუჩანს მომცრო, უზადო კბილები; ნესტოები დაბერვია, თითქოს უნდა, რომ შორიდანვე შეისრუტოს მისი სურნელი. მზერაში აღგზნებაც იგრძნობა, მოწონებაცა და ოდნავი უკმაყოფილებაც; თითქოს უნდა, ქალი ქვიშაზე დაებერტყოს და მართლა იტკინოს რამე. წარმოვიდგინე, როგორ დავაჯახე მუშტი ბანჯგვლიან მკერდზე – ზუსტად ისევე, როგორც წელან ქლოიმ აჯახა თავის ძმას. უკვე ვიცნობ ამ ხალხს, უკვე მეც იმათიანი ვარ და უკვე მისის გრეისის შეყვარებაც კი მოვასწარი.

როუზმა პირსახოცი მოიშორა. ახლა წითელი პერანგი და გრძელი შავი ფართხუნა შარვალი აცვია – ილუზიონისტის წითელსარჩულიანი ლაბადის ქვეშიდან მოულოდნელად სცენაზე გაჩენილ ასისტენტს მაგონებს. ხაზგასმულად არ უყურებს არავის, მით უმეტეს, თამაშით გართულ ქალსა და ბავშვებს.

უცებ ქლოის თამაშზე გული უცრუვდება. უსიტყვოდ ანებებს თავს და ქვიშაზე ებერტყება. მერე და მერე რა კარგად გავიცნობ მისი გუნება-განწყობის ამ მოულოდნელ ცვალებადობას! დედა ეძახის, გავაგრძელოთო, ის კი ყურსაც არ იბერტყავს და არც პასუხს სცემს. მხარ-თეძოზე წამოწოლილა, ფეხები გადაუჯვარედინებია და თვალმოჭუტული, ზღვას გასცქერის. მაილზი მის წინ რაღაცას მაიმუნობს, ხელებს თეძოებზე იტყაპუნებს და გაუგებრად ლუღლუღებს. გოგო კი ვითომ არც იმჩნევს, ისევ ისე თვალგაშტერებული იყურება. „უზნეო", – თავის უხიაგ ქალიშვილზე ამბობს მისის გრეისი, გულსგარეთ, და ისევ სკამზე ჯდება. სუნთქვა ასჩქარებია და გლუვი, ქვიშისფერი მუცელი ხშირ-ხშირად აუდ-ჩაუდის. ხელს მაღლა სწევს, დაცვარულ შუბლზე ჩამოშლილ თმას ისწო-

რებს. თვალში მხვდება იდუმალი ჩრდილი მის იღლიაში – დაბინდული ქლიავისფერი, ჩემი სამომავლო, ღამეული, მშფოთვარე ზმანებების წყარო. ქლოი მოწყენილი ჩანს, მაილზიც ისევ გამეტებით ჩიჩქნის ქვიშას. ოჯახის თავი კვლავ გაზეთს აშრიალებს და ალმაცერად გასცქერის ცას. როუზი პერანგზე აწყვეტილი ღილის ნაკვალევს ათვალიერებს. მომცრო ტალღები დგაფუნით ეხლებიან ნაპირს, ჟღალბენვა ძაღლი ყეფს და ჩემმა ცხოვრებამაც უკვე სამუდამოდ იცვალა ნირი.

მაგრამ როდის არ იცვლება ცხოვრება ჩვენი, ვიდრე სულ მთლად საბოლოო ცვლილების ჟამი არ დაგვიდგება?

იქ ყოველ ზაფხულს ჩავდიოდით – მამა, დედა და მე. როგორც თავადვე ვამბობდით, *ზაფხულს ვატარებდით* ხოლმე. თუმცა ახლა ასე უკვე აღარავინ ამბობს. ზედიზედ რამდენიმე წელი, სანამ მამა ინგლისში არ გაგვექცა. იმ დროს ზოგჯერ ასეც იცოდნენ მამებმა. თუმცა, ჩვენში დარჩეს, ახლაც იციან. სოფლური სახლი, რომელსაც ჩვენ ვქირაობდით, ნამდვილი სახლის მაკეტს უფრო მოგაგონებდათ. სულ სამი ოთახი იყო და სასტუმრო ოთახი სამზარეულოს მაგივრობასაც სწევდა. უკანა მხარეს კი ორი პაწია საძინებელი გაეწყოთ. ჭერი საერთოდ არ ჰქონდა – მხოლოდ სახურავის გარანდული ფიცრები გადმოგვყურებდა ზემოდან. აი, კედლებზე კი, რატომღაც, გრძელი, კოხტა პანელები აეკრათ – მზიან ამინდში საღებავისა და ფიჭვის ფისის სუნი რომ ასდიოდა. დედა საჭმელს ნავთქურაზე ამზადებდა, რომლის ვიწრო ყელიც უცნაურ, იდუმალ სიამოვნებას განმაცდევინებდა, როცა იმის გაწმენდას მავალებდნენ. საგანგებოდ გამზადებული სპილენძის მავთულით ვუჩხიკინებდი ხოლმე. ნეტავ ახლა სად არის

ის ჩვენი ერთგული ნავთქურა? ელექტრობა არ გვქონდა და საღამოობით ნავთისავე სანათს ვანთებდით. მამა ბელიმორში მუშაობდა და დღის ბოლოს მატარებლით ამოდიოდა. უსიტყვო ბრაზით შეპყრობილი მთელი დღის ბოლმას ისე მოათრევდა, როგორც მაგრად ჩაბლუჯულ ბარგი-ბარხანას. ნეტავ დედა როგორ კლავდა დროს, როცა ის სამსახურში მიდიოდა, მე კი – გარე-გარე სახეტიალოდ? თითქოს თვალნათლივ ვხედავ: იმ პატარა ხის სახლში მუშამბაგადაკრულ მაგიდასთან ზის, თავი ხელზე ჩამოუდვია და თავის სადარდელს ელოლიავება უსასრულოდ განელილი დღის მილევამდე. მაშინ ჯერ ისევ ახალგაზრდა იყო. ისიც და მამაც. ყოველ შემთხვევაში, უფრო ახალგაზრდები, ვიდრე მე რომ ვარ ახლა. დაფიქრდები და გაგიკვირდება. ასე გამოდის, ყველანი ჩემზე ახალგაზრდები დარჩნენ – მკვდრებიანად. ვხედავ ჩემს საბრალო მშობლებს, იმ გარდასულ დროს როგორ გააფთრებით ცდილობენ სახლობანას თამაშს: მათი უიღბლობა ჩემი ბავშვობის მუდმივი თანამდევი იყო – გამყინავი, გაუნელებელი ზუზუნი სადღაც, სმენის იქით. არ მძულდნენ, ალბათ მიყვარდნენ კიდეც, ოღონდ წინ მეფარებოდნენ და მომავლის დანახვას მიშლიდნენ. დროთა განმავლობაში უთუოდ მივეჩვეოდი, მათ მიღმაც დამენახა დასანახი.

დედა მხოლოდ პლაჟიდან მოშორებით თუ ჩადიოდა ზღვაში – სასტუმროში დაბინავებული დამსვენებლებისა თუ ერთი დღით ჩამოსული ქალაქელების მზერას გარიდებული. იმ ადგილას, სადაც გოლფის ბილიკი თავდებოდა, ნაყარი ქვიშა წყალმარჩხ ყურეს შემოკვროდა და იმასაც გული იქით მიუწევდა ხოლმე. გაუბედავად, მცირე სიხარულით ნებივრობდა წყალში – არ ცურავდა, რადგან ცურვა არც იცოდა. უბრალოდ, დაებერტყებოდა ხოლმე წყალზე და ფსკერზე ხელე-

ბის ფათურით გადაადგილდებოდა, თავაწეული. კრემპლინის ნაჭრის უბრალო საცურაო სამოსი ეცვა, თაგვისფერი, წელზე დატანებული კოხტა ზონრით. რეზინის შემოტკეცილ ქუდქვეშ ფერმკრთალი, თითქოს უკარება სახე მოუჩანდა. აი, მამაჩემი კი მართლა უბადლო მოცურავე გახლდათ – ფართო მხარულით მიაპობდა წყალს და თან, რატომღაც, მუდამ ცალ თვალს ხუჭავდა ხოლმე. თითქოს ცხადლივ ვხედავ: უკვე ნაპირთან მოსული, მთელი ტანით წამომართულა, ოდნავ ქოშინებს და იპურჭყება; სველი თმა ჩამოშლია, ყურები ჩვეულებრივზე უფრო დიდრონი მოუჩანს და წყალიც წურწურით ჩამოსდის. დოინჯშემოყრილი, დედაჩემის ჭყუმპალაობას მისჩერებია ოდნავ შესამჩნევი, დამცინავი ღიმილით და ყვრიმალზე ძარღვი უფეთქავს. მიუახლოვდა, ჯერ წყალი შეასხა, მერე მაჯებში ჩაავლო ხელი და აკივლებული, ღრმა წყლისკენ წაათრია. დედამ თვალები მაგრად დახუჭა და *გაჩერდიო*, უყვირა გაბრაზებულმა. შევცქეროდი ამ ბღლარძუნს და ლამის იყო, ზიზღისაგან გული ამრეოდა. როგორც იქნა, დედას ხელი უშვა. ახლა მე მომიბრუნდა – დამაგდო, წვივებში ჩამაფრინდა, ქვიშიან ნაპირზე გამათრია, თითქოს ურიკას მიაგორებსო. თან იცინოდა. ხელები ღონიერი ჰქონდა – გეგონებოდა, თუჯის ცივი ბორკილები დამადესო, ისე მაგრად მიჭერდა ხელს. საერთოდ, უხეში კაცი იყო, მიხვრა-მოხვრაც უხეში ჰქონდა და ხუმრობაც ეგეთივე იცოდა, ოღონდ თან – რაღაცნაირად გაუბედავიც. არც მიკვირს, რომ მიგვატოვა, თავს რომ ვერ მოერია. წყალნაყლაპი, როგორც იქნა, დავუსხლტი, დაფეთებული წამოვხტი ფეხზე და იქვე, წყალში ვარწყიე.

წყლის პირას, მშრალ ქვიშაზე, ქლოი გრეისი და მისი ძმა იდგნენ, გვიყურებდნენ. ფეხშიშველებს, როგორც ყოველთვის, შორტები ეცვათ.

პირველად შევამჩნიე, რა საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს. ნიჟარებს აგროვებდნენ, რომლებსაც ქლოი კუთხეებგამოკვანძულ ცხვირსახოცში ინახავდა. სრულიად უტყვი სახეებით მოგვჩერებოდნენ, თითქოს იმათ პატივსაცემად გაგვემართა რაღაც სასაცილო წარმოდგენა, ისინი კი ამაში სასაცილოს ვერც ვერაფერს ხედავდნენ – უბრალოდ, ეუცნაურებოდათ და ეგებ მსახიობების მაგივრად რცხვენოდათ კიდეც. დარწმუნებული ვარ, ერთიანად გავწითლდებოდი, თუმცა კი მთელი ტანით ვკანკალებდი და ხორკლიც მეყარა კანზე. ვგრძნობდი, როგორ ჩამომდიოდა ფეხებზე წყალი. რომ შემძლებოდა, იქვე, იმ წუთას გავაქრობდი ჩემს შემარცხვენელ მშობლებს, წავშლიდი, ზღვის ქაფივით ავაორთქლებდი – სახეგაფითრებულ დედაჩემსაც და ქონმოკიდებულ მამაჩემსაც. სანაპიროს ზღვაური მოაწყდა. გადაუსისინა. მშრალი ქვიშა ააშრიალა, მერე ისევ წყლისკენ მიბრუნდა და ზედაპირი პატარ-პატარა ლითონის წვეტებიან ნატეხებად დაუჩეხა. გამაჟრიალა, თუმცა სიცივისაგან არა – თითქოს რაღაცამ გაიარა ჩემში, უჩუმრად, სწრაფად, გაუსაძლისად. და-ძმა შეტრიალდა და ქვიშაში ჩამარხული საბარგო კარჭაპისკენ წაფრატუნდა.

იქნებ სწორედ იმ დღეს შევამჩნიე მაილზის შეტყუპებული ფეხის თითები?

ქვემოთ მის ვავასური პიანინოზე უკრავს. ისე ფრთხილად ეხება კლავიშებს, მგონი, არც კი უნდა, ხმა გამოაცემინოს. ჩემზე თუ დარდობს, არ შევაწუხოო. ამდენი და ამდენად მნიშვნელოვანი საქმით დაკავებული კაცი. შოპენს კი მშვენივრად უკრავს, ოღონდ იმედია, ჯონ ფილდზე არ გადავა – ამას უკვე ველარ ავიტანდ. ერთი პირობა ვცადე, გაბრიელ ფორეთი და-

მეინტერესებინა, მისი გვიანდელი ნოქტიურნებით. ნოტებიც კი ვუყიდე – ლონდონიდან გამოვიწერე და გვარიანი თანხაც დამიჯდა. ეტყობა, მეტისმეტი მოვინდომე. ასე მეუბნება, სამაგისოდ თითები არ მეყოფაო. იქვე გავიფიქრე, *უფრო ჭკუამეთქი*, მაგრამ თქმით არაფერი მითქვამს. სულმდაბლური ფიქრები. ნეტავ რატომ არ გათხოვდა თავის დროზე? არადა, ლამაზი ქალი ეთქმოდა – თავისებურად. უწინ ყორნისფერი თმა ახლა ერთიანად გასჭაღარავებია. კეფაზე იხვევს და ორი გრძელი, საქსოვი ჩხირისოდენა სარჭით იმაგრებს ჯვარედინად. მე მგონი, სულ ტყუილად – თითქოს გეიშას ბაძავსო. იაპონური მოტივები კიმონოს თარგზე აჭრილ, ქამრიან, ზურგზე დაქარგულ ჭრელჩიტებიან და ბამბუკებიან, კოჭებამდე ჩამოგრძელებულ დილის ხალათსაც გასდევს. სხვა დროს კი უფრო ტვიდის მკაცრ სამოსს ანიჭებს უპირატესობას, თუმცა ვახშმობისას მე და პოლკოვნიკს ზოგჯერ მომწვანო ფერის, მუხლამდე ქვედატანითა და იმავე ქსოვილის მოსასხამით გვეცხადება; ანდა ესპანური ყაიდის მეწამული ბოლეროთი, შავი, ფართხუნა შარვლითა და პრიალა, უქუსლო ფეხსაცმელებით გვაოცებს. ერთი სიტყვით, ფრიად დახვეწილი, ხნოვანი ქალბატონი გახლავთ და თუ ჩემი კეთილგანწყობილი მზერა დაიჭირა, სახეზე მსუბუქი ღიმილიც გადაურბენს ხოლმე.

„კედრებს" წარსულის თითქმის აღარაფერი შერჩენია – წარსულის იმ ნაწილის, მე რომ მაკავშირებდა აქაურობასთან. იმედი მქონდა, გრეისების რაიმე კვალს მაინც ვიპოვიდი – სულ ერთია, რამდენად მცირეს ან უმნიშვნელოს: ვთქვათ, უჯრაში ჩარჩენილ გახუნებულ ფოტოს, თმის კულულს, თუნდაც თმისავე სარჭს, იატაკის ფიცრებს შორის ჩაკარგულს, მაგრამ მსგავსიც არაფერი დამხვედრია – იმ დროიდან შემორჩენილი ოდნავი სურნელიც კი. ეტყობა, მას მერე აქ იმ-

დენმა ვინმემ იცხოვრა – ბოლო-ბოლო, სახლიც ხომ ერთი უბრალო პანსიონი იყო – მკვდრების ყველა კვალი გადაშალა.

მაინც რა გიჟური ქარი ქრის დღეს! ვეება, რბილ, მოუქნელ მუშტებს უშენს ფანჯრებს. შემოდგომის ზუსტად ისეთი ამინდია, ქარიანი და ულრუბლო, ყოველთვის რომ მიყვარდა. სხვებს თუ გაზაფხული აძლევს ახალ ძალას, ჩემზე ასე მხოლოდ შემოდგომა მოქმედებს. მთლიანად ვეთანხმები პუშკინს – ეს ხანა შრომისთვისაა მოგონილი. სწორედ ასე, ბატონო ჩემო: ალექსანდრეცა და მეც, ასე ვთქვათ, ნაღდი ოქტომბრისტები გახლავართ. არადა, ერთიანად და სრულიად არაპუშკინისებურად დაუძლურებულს თითის თითზე დაკარებაც არ შემიძლია. თუმცა კი ჯიუტად ვუზივარ საწერ მაგიდას, უაზროდ ვანაცვლებ აბზაცებს, როგორც სათამაშო ქვებს, მაშინ, როცა თავად თამაშის წესები დამვიწყებია. მაგიდა ერთი ბეწოა, მსუბუქი, მერხივით გადასაშლელი. მის ვავასურმა საკუთარი ხელით მომართვა, მორცხვი დაჟინებით. იდექი ახლა აქ და იჭრიჭინე. ჩემი სარწეველა სკამიც აქვეა – ზუსტად ისეთი, ერთ დროს მე და ანას რომ გვედგა ნაქირავებ ბინაში კარგა ხნის წინ; ესეც ზუსტად ისევე ოხრავს და ხვნეშის, როცა საზურგეს გადავაწვები ხოლმე. სამუშაო, რასაც, წესით, ახლა უნდა ვუჯდე, მონოგრაფიაა პიერ ბონარზე – მოკრძალებული წამოწყება, რაც ვერა და ვერ მიმიყვანია ბოლომდე. უკვე იმდენი ხანია, ვცოდვილობ, წლების სათვალავიც კი ამერია. ჩემი აზრით, მართლა დიდი მხატვარია, ვისზეც – ამას კარგა ხანია, მივხვდი – ახალს და გამორჩეულს მაინც სიტყვას ველარ დავაგდებ. ანა იქედნურად „ქალების მექისეს" ეძახდა – მე მგონი, მოსწრებული ნათქვამია, ვინძლო თავად ბონარსაც დაეფასებინა: Bonnard, Bonn'art, Bon'nargue... არა, ახლა ნამდვილად არ შემიძლია მუშაობა. სულ ასეთი სისულელეები მიტრიალებს თავში.

საერთოდ, შრომა ის სიტყვა არაა, რაც ჩემს საქმიანობას მიესადაგება – ეს ბევრად უფრო ფართო ცნებაა, ბევრად უფრო წონიანი. აი, მუშა შრომობს, გენიოსები შრომობენ, ჩვენ კი – საშუალო გაქანების ხალხს – ჯერაც ვერ მოგვიგონია სიტყვა, რომელიც ზუსტად ასახავდა, რას ვაკეთებთ, ან როგორ ვაკეთებთ... ცელქობა ჩემთვის მიუღებელი განმარტებაა – მოყვარულები ცელქობენ, ჩვენ კი – ანუ, ის მოდგმა თუ სახეობა, რასაც ახლა ვგულისხმობ – სხვა ვერაფერს დავიბრალებთ, *პროფესიონალობის* გარდა. რამე რომ იყოს, ვუიარიცა და მორის დენიც საქმეში ისეთივე *მუყაითები* – აი, კიდევ ერთი უპრიანი სიტყვა! – იყვნენ, როგორიც მათი მეგობარი ბონარი, მაგრამ მარტო მუყაითობით ხომ ვერ გაქაჩავ! ჩვენ არც მიმფუჩეჩებლები გვეთქმის და ვერც სიზარმაცეს დაგვაბრალებს ვინმე – პირიქით, შიგადაშიგ თავსაც კი ვაკლავთ საქმეს, ოღონდ სავალალოდ თავისუფალნი ვართ იმ წყევლისაგან, რასაც ბოლომდე დახარჯვა ჰქვია. წამონყებულ საკეთებელს ნერტილს კი ვუსვამთ, ოღონდ ჭეშმარიტი მშრომელი – როგორც, მგონი, ერთხელ პოლ ვალერიმ თქვა – საქმეს კი არ ამთავრებს, მხოლოდ დროებით თავისუფლდება მისგან. ისე, მართლა სახალისო ამბავი კი გადახდა ლუქსემბურგის მუზეუმში ამ ჩვენს ბონარს თავის მეგობართან ერთად – თუ არ მეშლება, სწორედ ვუიარი უნდა ყოფილიყო. იმას სთხოვა, მეთვალყურე შეიქციე მცირე ხნითო, თვითონ კი იქვე გაშალა მოლბერტი და სახელდახელოდ შეუდგა თავისივე ნახატის გადაკეთებას, უკვე რამდენიმე წელი რომ ეკიდა მუზეუმის კედელზე. ყველა ნამდვილი მშრომელი იმედგაცრუებული კვდება. რამდენი უნდა მოესწრო და რამდენი დარჩა გასაკეთებელი!

აი, ისევ ვიგრძენი ჩხვლეტა. რამე ცუდის ნიშანი არ იყოს. აკი ანას ყველაფერი რაღაც სისულელეებით დაეწყო. ეს ბო-

ლო წელია, მედიცინაშიც გავიწაფე. ან რა გასაკვირია... ვიცი, მაგალითად, რომ კიდურებში წვრილ-წვრილად ჩხვლეტის შეგრძნება გაფანტული სკლეროზის ერთ-ერთი ადრეული სიმპტომია. არადა, მჩხვლეტს აშკარად. თითქოს მწარე ნემსს მიკეთებდნენ და თან – ერთბაშად რამდენიმეს. მკლავშიც, კისერშიც. მახსოვს, ერთხელ ფეხის ცერა თითის სახსარშიც ისე გამკრა, სულ ასკინკილა დავხტოდი ოთახში და სიმწრისაგან ვლმუოდი. საშინელი ტკივილია, თუმცა მალე კი გაივლის ხოლმე. იფიქრებ, ვილაც ამოწმებს, ჯერაც ცოცხალია თუ არაო, ნეტავ ტკივილს თუ იგრძნობსო.

ანას მხოლოდ ეცინებოდა ამ ჩემს ფეთებებზე; *დოქტორ მაქსს* მეძახდა. *აბა, როგორ ბრძანდება დღეს ჩვენი დოქტორი მაქსი? ისევ ისეთი საბრალობელია?* ცხადია, მართალს ამბობდა – ყოველთვის წუწუნა ვიყავი, მუდამ ვაბუქებდი უბრალო განაკაწრსა თუ სატკივარს.

ისევ გამოჩნდა ნაცნობი შაშვი. ყოველ საღამოს, ვინ იცის, საიდან მოფრინდება ხოლმე და ბაღში, ფარდულის გვერდით, ამოჩემებულ ბუჩქზე ჯდება. შევამჩნიე, ყველაფრის სამ-სამჯერ კეთება უყვარს: ჯერ ზედა ტოტზე დასკუპდება, მერე კიდევ ორჯერ შეიცვლის ადგილს, ქვემოთ და ქვემოთ გადმოინაცვლებს და ბოლოს სამჯერ დაუსტვენს მჭახედ. ყველა სულიერს თავისი ჩვევა აქვს. ბაღის შორეულ ბოლოში მეზობლის ჭრელი კატა მოიძურწება, უხმაუროდ. ფრთხილად, ჩიტუნია! აი, ბალახი კი გასაკრეჭია. წელს ერთხელაც თუ მოესწრო, ცუდი არ იქნება. თვითონვე ვითავებდი ამ საქმეს. გავიფიქრე და წამსვე საკრეჭ მანქანასთან აღმოვჩნდი, ცხვირ-პირში ბალახბულახის მტვერი მეყრება, ირგვლივ ბუზები დამბზუიან, ჟილეტსა და ძველ შარვალში გამოწყობილი, ოფლად ვიღვრები. უცნაურია, ამ ბოლო დროს რა ხშირად ვხედავ საკუთარ თავს

თითქოს შორიდან – ვითომ ვიღაც სხვა ვარ და რაღაც ისეთს ვაკეთებ, რაც ყველა სხვას შეეძლო ეკეთებინა. თუნდაც ეზოში ბალახის კრეჭა. ეს ჩვენი ფარდულიც, მართალია, უკვე კარგა შეფერთხილია, მაგრამ მაინც კოხტად გამოიყურება, თუკი ავი თვალით არ შეხედავ. ქარ-წვიმას ხის მორები დაუგლუვებია და ჩაუმუქებია, როგორც გვარიანად ნახმარი ნიჩბისა თუ ცულის ტარი. ბებერი ბონარი კარგად ჩაავლებდა ამ მრუმე ფერს, დაბინდულსა და ჩამცხრალს. *შავი შაშვი გალობდაო, ჰეე...*

კლერმა, ჩემმა ქალიშვილმა, წერილი მომწერა – მეკითხება, როგორ ხარო. ვერაფრით გაგახარებ, მშვენიერო კლარინდა, თავმოსაწონი არაფერია. დარეკვით არ მირეკავს – გავაფრთხილე, ტელეფონის ზარს არ ვპასუხობ-მეთქი. სხვა კი ვინ დამირეკავს, როცა მის გარდა არც არავისთვის გამიმხელია ჩემი სამყოფელი. არც კი მახსოვს, რამდენისაა ახლა. ოცდარაღაცის. ძალიან გონიერი ვინმეა, ნამდვილი ჭკუის კოლოფი. თუმცა გარეგნობით ვერ დაიკვეხნის და ამას დიდი ხნის წინ შევეგუე. ოღონდ ვერც იმას დავიჩემებ, საერთოდ არ ვდარდობ-მეთქი. იმედი მქონდა, ანას დაემსგავსებოდა, ის კი მეტისმეტად მაღალი და ძვალმსხვილია. უხეში, ზამბარებივით დახვეული, ჟანგისფერი თმა და ჭორფლიანი სახე აქვს. როცა იცინის, პრიალა, ღია-ვარდისფერი ღრძილები მოუჩანს. მის წვრილ, გრძელ ფეხებს, ზორბა გავას, თმასა და განსაკუთრებით, მაღალ კისერს რომ შევცქერი – ეს მაინც გამოჰყვა დედისაგან – ჩემდა სამარცხვინოდ, სულ ტენიელის ნახატები მახსენდება კეროლის წიგნისათვის: თითქოს ეს-ესაა, ელისმა ის ჯადოსნური სოკო მოკბიჩაო... თუმცა შეუპოვარი ვინმე კია და გმირულად ებრძვის საკუთარ თავსაც და მთელ სამყარო-

საც. საკუთარ თავზე მწარე, პირქუში იუმორით ლაპარაკობს, რაც ხშირად გამოარჩევთ კიდეც ამგვარ შეუხედავ გოგოებს. აქ რომ ჩამოსულიყო, ჩქარი ნაბიჯით შემოიჭრებოდა პირდაპირ ოთახში, ამ ჩემს ტახტზე დაენარცხებოდა, კალათბურთელივით ფეხებს განვართავდა, ცალ თვალს მონკურავდა, ტუჩს აიბზუებდა – *ფუუჰ!* – და მოჰყვებოდა გოდებას, თუ რა და რამდენ გაუგებრობაში მოხვედრილიყო მას მერე, რაც ბოლოს ვნახეთ ერთმანეთი. ჩემი საყვარელი, საყვარელი გოგო...

თან გამომყვა, როცა პირველად წამოვედი ბელილესში, აი, იმ სიზმრის ნახვის მერე, როცა ვითომ თოვლიან გზაზე მივაბიჯებდი შინისკენ. მე მგონი, ეშინოდა, ზღვაში არ დაიხრჩოს თავიო. არადა, უნდა სცოდნოდა, რა ლაჩარიც ვარ. იმდღევანდელმა მგზავრობამ ძველი დრო გამახსენა: მანქანით ხეტიალი ყოველთვის გვიყვარდა მამა-შვილს. სულ პატარა როცა იყო და ღამით ვერ ვაძინებდით – თავიდანვე უჭირდა, მამასავით – გავახვევდი ხოლმე საბანში, მანქანაში ჩავსვამდი და დავუყვებოდით სანაპიროს, ბნელში ჩანთქმული ზღვის გასწვრივ. თან, თუ რამ სიმღერა მახსოვდა, ყველას ზედიზედ ვღიღინებდი. ამით საბოლოოდ ვუფრთხობდი ძილს, ის კი ტაშს უკრავდა და გახალისებული, *კიდე, კიდეო* – მთხოვდა. ერთხელაც, უკვე მოგვიანებით, მხოლოდ ჩვენ ორნი წავედით არდადეგებზე, მანქანით სამოგზაუროდ, თუმცა გემო კი ვერ ჩავატანეთ: მაშინ უკვე მოზრდილი იყო და მალევე მობეზრდა ვენახების, შატოებისა და ჩემი ცქერა. იმდენი მეწუწუნა, ფარ-ხმალი დავყარე – დროზე ადრე დავბრუნდით შინ. აქეთ წამოსვლაც არ იყო ბევრად უკეთესი...

დიდებული, შემოდგომის მართლა დიდებული დღე იდგა. თითქოსდა ბიზანტიის იმპერიის მთელ ოქროსფერ ბრწყინვალებას აქ, ტიეპოლოს ლაჟვარდოვან, მომინანქრებულ ცის-

ქვეშ დაედო ბინა. მიდამო, გატრუნული და მზისგულზე მოციმციმე, იმდენად თავის თავს არ ჰგავდა, რამდენადაც საკუთარ ანარეკლს წყლის ზედაპირზე. სწორედ იმგვარი დღე იყო, ბოლო დროს რომ მგონია ხოლმე: მზე სამყაროს ხარბი თვალია და დაჟინებით მიცქერის, როგორ ვიკლაკნები ამ მოუშუშებელი ტკივილისაგან. კლერს ფერფლისფერი, ფართოკალთებიანი ნატის პალტო ეცვა, რომელსაც მანქანის გამთბარ სალონში სუსტი, თუმც კი ნაღდად ცხოველური სუნი ასდიოდა, რაც, ცოტა არ იყოს, ნერვებს მიშლიდა, ოღონდ მისთვის მაინც არაფერი მითქვამს. საერთოდ, ერთი ეგეთი ზნე მჭირს: შორიდანვე ვიყნოსავ ხოლმე ნებისმიერი ადამიანისაგან მომავალ სუნთა ნაზავს. ეს მართლა სატანჯველად მექცა. იქნებ სატანჯველი არასწორი სიტყვაა? მაგალითად, ძალიანაც მსიამოვნებს ქალის დაუბანელი თმის თავისებური სუნი. ჩემს ქალიშვილს კიდევ, ამ ჭირვეულ შინაბერას – სამწუხაროდ, მისი გათხოვების ყველა იმედი კარგა ხანია, გადამეწურა – ჩვეულებრივ, არანაირი ისეთი სუნი არ უდის ხოლმე, ჩემმა ყნოსვამ რომ ჩაავლოს. ეს კიდევ ერთია იმ უამრავ განსხვავებათაგან, რაც მასა და დედამისს შორის არსებობდა – იმას უხეში, მაგრამ ჩემთვის საამო, თავად სიცოცხლის დარი გამაბრუებელი სურნელება გამოარჩევდა, რომელსაც უმძაფრესი სუნამოს არომატიც კი ვერ ახშობდა. სწორედ ამით არ მიმიზიდა მაშინ, პირველივე შეხვედრისას? ახლა ჩემს ხელებსაც, თუმც კი სუსტად, ჯერ ისევ შერჩენია იგივე სურნელი. ვერაფრით მოვიშორე, რამდენიც არ ვეცადე. არადა, ბოლო თვეებში მხოლოდღა წამლის სუნი თუ ასდიოდა, ეგ იყო და ეგ.

როცა ჩავედით, გამიკვირდა კიდეც, რამდენი რამ დარჩენილიყო სოფელში უცვლელად – ზუსტად ისეთი, როგორიც მახსოვდა. თუკი, რა თქმა უნდა, იცოდი, რა მოგეძია. სწორედ

ისე, ძველ სატრფოს რომ გადაეყრები სადმე და იმის მომ-ჭკნარ ნაკვთებში გარდასულ სინატიფეს დაინახავ. რკინიგ-ზის უკაცრიელ ბაქანს ჩავუარეთ და პაწია ხიდს მივადექით – ძველებურად ყანყალებდა, თუმცა იხტიბარს არ იტეხდა და ახლაც მშვიდობიანად გადაგვატარა. მეც უწინდებურად შემი-ქანდა გული, მაგრამ სამშვიდობოს გასულმა, ყველაფერი ისევ ისე, უწინდელი თვალით დავინახე: გორაკს შეჭიდებული გზა, ქვემოთ გადაშლილი სანაპიროცა და თავად ზღვაც. სახლთან არ შევჩერებულვარ, მხოლოდ ოდნავ შევანელე სვლა. დგება ხოლმე ისეთი წუთი, როცა წარსული იმოდენა ძალას იძენს, გეგონება, ერთიანად წაგშლის და გაგაქრობსო.

– აი, ეგ იყო! – აღელვებულმა ვუთხარი კლერს, – „კედ-რები"...

მანამდე, გზაში, ყველაფერი ვუამბე – უფრო სწორად, თითქმის ყველაფერი გრეისების შესახებ.

– ამ სახლში ქირაობდნენ ბინას.

სკამზე შეტრიალდა და ერთხელაც გახედა.

– რატომ არ გააჩერე? – მკითხა.

რა უნდა მეპასუხა? აქ, ამ ღვთისაგან მივიწყებულ სამყა-როში უცებ გამაბითურებელი სიმორცხვე მომეძალა-მეთქი?! უხმოდ გავაგრძელე გზა და სანაპიროსაკენ გადავუხვიე. ძვე-ლი კაფე აღარსად ჩანდა. მის ადგილას ბრტყელი, დაბალი და თვალშისაცემად მახინჯი შენობა იდგა. ორი სასტუმრო კი ძველებურად დამხვდა, თუმცა, ცხადია – უფრო პატარა და შეუხედავი, ვიდრე ეს ჩემს მახსოვრობას შემოენახა. „გოლ-ფის" თავზე ამაყად და თავმომწონედ ფრიალებდა ვეება დრო-შა. მანქანაში მსხდომთაც კი გვესმოდა – თვლემამორეული პალმები დაშაშრულ ფოთლებს აშრიალებდნენ და ეს ხმა იყო სწორედ, უხსოვარ დროს, ზაფხულის იისფერ ღამეებში თით-

ქოს 1001 ღამის ყველა საოცრებას რომ მპირდებოდა. ახლა კი, ოქტომბრის საღამოს მრუმე ნათელში – ჩრდილები უკვე გვარიანად წაგრძელებულიყო – ყველაფერს გახუნებული ფერი დასდებოდა, როგორც ძველისძველ ღია ბარათებს. მაილერის ლუდხანა (იგივე ფოსტა და საბაყლოც) ახლა კაშკაშა სუპერმარკეტად ქცეულიყო, მიმდებარე მოასფალტებული ავტოსადგომით. გამახსენდა, ნახევარი საუკუნის წინ, ერთ უკაცრიელ, მდუმარე, მზით დაბანგულ შუადღეს, სწორედ ამ ადგილას რომ გადავეყარე, ერთი შეხედვით, უწყინარ ფინიას; არადა, როგორც კი თავზე ხელის გადასმა დავუპირე, კბილები დაკრიჭა – მაშინ ეს მეგობრულ ღიმილად ჩავუთვალე – უცებ ჩამკბინა მაჯაში და ძალიან კმაყოფილი, ისე გაცუხცუხდა, თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი. შინ დაბრუნებულს, დედამ ერთი ამბავი დამაწია – ყველა მხეცს რაღა შენ სჩრი პირში ხელსო – და ძალისძალად გამაგდო სოფლის ექიმთან. ისე, სულაც არ ჰგავდა სოფლის ექიმს – ქალაქურად გამოწკეპილი და ენაგაკრეფილი ვინმე გამოდგა. სალბუნი კი დამადო წითლად შესივებულ მაჯაზე, ოღონდ მერე გაშიშვლება მომთხოვა, კალთაში ჩამისვა და დიდხანს მიხსნიდა, როგორ მესუნთქა სწორად. თან თავის ფუმფულა, დამანიკურებულ თითებს მალი-მალ მისვამდა ჭიპს ქვემოთ: „მუცელი მოადუნე, ჰაერი გამოუშვი...“ – მეღუღუნებოდა და ახურებული, ბრტყელი სახე ზედ ჩემს ყურთან მოჰქონდა.

კლერმა უგულოდ ჩაიცინა:

– მერე რა უფრო დაგემჩნა – ძაღლის კბილები თუ ემაგ ექიმის თათი?

მაჯა გავუშვირე, ჯერაც მაჩნდა ძაღლის ნაკბილარი.

– არც აქაურობაა კაპრის კუნძული და არც ის ფუმფულახელებიანი ექიმი მყავდა ნერონი...

თუმცა ცოდვა გამხელილი სჯობს და, დღემდე საამოდ მახსენდება ყავის სუნი მისაღებ ოთახში და ასისტენტი ქალის ეჭვიანი მზერა.

როგორც იქნა, „ველად" წოდებულ ადგილსაც მივადექით. თუმცა, სინამდვილეში, აქ აღარც ველია და აღარც მინდორი – პატარ-პატარა ნაკვეთებად დაუყვიათ და მიჯრით ჩაუდგამთ სახელდახელო ბუნგალოები. ეჭვი მაქვს, იმავე ხელმარცხიანი ხუროთმოძღვრის ნაცოდვილარია, ბაღის კიდეზე ჩადგმული სიმახინჯეებისთვისაც რომ მოეკითხება ოდესმე. ის კი მესიამოვნა, ამ უმსგავსობისთვის სახელად „მგლისკბილა" რომ დაურქმევიათ და მშენებელსაც – ხომ იქნებოდა ვიღაც მშენებელი – ამ ხშირი, ველური ბუჩქებისთვის ხელი არ უხლია, ძველებურად დაუტოვებია სასაცილოდ თავმომწონე, დიდი, ვითომ გოთური კარიბჭის გაყოლებაზე.

სწორედ ამ ბუჩქნართან თხრიდა ყოველი კვირის ბოლოს ორმოს მამაჩემი, გინებ-გინებით. ნიჩაბს და სანათს წამოიყოლებდა სახლიდან და რბილ, ქვიშიან მიწას უჯიგროდ ებრძოდა ხოლმე, იქ ჩვენი ბიოფეხისადგილის შიგთავსი რომ ჩაემარხა. ახლა, როგორც კი ამ ბუჩქების სუსტი, უცნაურად ადამიანური სუნი მეცემა, უნებურად მაშინვე ბიოფეხისადგილის ნელსურნელება მაგონდება.

– შენ რა, გაჩერებას საერთოდ არ აპირებ? – მკითხა კლერმა. – ცოტაც და მანქანაშივე ამერევა გული.

რაც წლები გადის, სულ უფრო მიმძაფრდება ის მატყუარა განცდა, თითქოს ჩემი ქალიშვილი ასაკით დამეწია და ახლა ლამის თანატოლები ვართ. ეტყობა, ამას ვერც გაექცევი, როცა ასეთი გონიერი შვილი გყავს – ცოტა მეტი სიჯიუტეც რომ გამოეჩინა, ისეთი მეცნიერი დადგებოდა მისგან, ჩემდათავად ვერც ვიოცნებებდი. თან იმდენად კარგად მიცნობს, ზოგ-

ჯერ მაშინებს კიდეც. არც აკვიატებებსა და გამოხდომებს მაპატიებს – მათგან განსხვავებით, ვინც ნაკლებად მიცნობს და შესაბამისად, მიფრთხის კიდეც. არადა, მართლა გამოვიფიტე, ტკივილიც არ ყუჩდება და მცირეოდენი თანაგრძნობაც არ მაწყენდა. ცოდვების შენდობის იმედი თუ მექნება, ეგებ აღსარების თქმაც არ დავიზარო. *შემეშვი რა...* – ვუყვირე კიდეც გონებაში, – *მაცალე ამ ბებერ, ყავლგასულ „კედრებსაც" ჩავუარო, გამქრალ კაფესაც, „მგლისკბილას" ბუჩქებსაც და ველობსაც... მთელ ამ წარსულს, თორემ თუ გავჩერდი, იცოდე, მერე თავად შეგრცხვება, ცრემლებს რომ დავაღვარღვარებ...* თუმცა ლაჩრობამ მაინც მძლია და მანქანა გზისპირას მივაყენე. ხმისამოუღებლად, პირგამეხებული გადავიდა. ისეთი ძალით მოაჯახუნა კარი, სილის გაწვნას ჰგავდა. მაინც რა დავუშავე, რით მოვშხამე ასე? ზოგჯერ ნამოუვლის ხოლმე და ისე უცებ ეცვლება გუნება-განწყობა, მთლად დედამისს ემსგავსება.

და აი, უცებ, სრულიად მოულოდნელად, ჯუჯა ბუნგალოების იქით, დუინანის ფერმისკენ მიმავალ გზას ვკიდე თვალი – უწინდელივით ოღროჩოღროს, ჯიუტად რომ მიიკლაკნებოდა ერთ მხარეს ეკალ-ბარდსა და მეორე მხარეს მტვრიან კედლად გაწელილ მოცხარის ბუჩქნარს შორის. ნეტავ როგორ გადაურჩა ამწეებისა და საბარგოების, ბულდოზერებისა და ნიჩბების შემოსევას? ბავშვობაში ყოველ დილით დავიარებოდი ამ გზით, ფეხშიშველი. გვერდშევარდნილი ბიდონი მეჭირა ხელში, მერძევე დუინანისგან და იმისი თეძომსხვილი, მარად მოცინარი ცოლისაგან დღიური ულუფა რძის საყიდლად მივეშურებოდი. კარგა ხნის წინ ამოსული მზე ჯერ კიდევ ვერ მორეოდა ღამის სინოტივეს იმათ ეზოში, სადაც ქათმებიც კი ფეხაკრეფით მიიკვლევდნენ გზას საკუთარსავე მომწვანო-მოცარცისფრო სკინტლის გროვებში. მუდამ ფორნის ხელნაზე გამობმული

ძაღლი ეჭვიანად მადევნებდა თვალს, როგორ ვფრთხილობდი, მეც არ მეტუცა ფეხი ქათმის სკინტლში. თავლის ნახევარკარს მომდგარი მრეში ცხენიც ზედ თავს ჩამოდებდა და ნაამებ, ლამის ნეტარ მზერას გამომაყოლებდა ხოლმე ქოჩორს ქვემოდან, ფერით ზუსტად ახლადაყვავებულ იელს რომ მიუგავდა. არ მიყვარდა კარზე დაკაკუნება – დუინანის დედის მეშინოდა: დაბალ-დაბალი, გოდორა დედაბრის, ხვნეშა-ხვნეშით რომ სუნთქავდა, მარად სველი ენის წვერს რომ გადმოიკიდებდა ხოლმე ქვედა ტუჩზე. ამიტომაც მორჩილად ველოდი თავლის ბინდ-ბუნდში, როდის გამოჩნდებოდა თავად დუინანი ან მისი თანამეცხედრე და ამ საფრთხეს ამარიდებდა.

ეს დუინანი ერთი აყლაყუდა, უფერულწამწამებიანი და თივისფერთმიანი ბეყეჩი გახლდათ. მუდამ ძველმოდური, უბრალო მიტკლის ყელმოღიავებული პერანგი და მოთუთხნულ რეზინის ჩექმებში ტოტებჩატანებული, მოფლაშული შარვალი ეცვა. სარდაფში თავისი ჩახლეჩილი, თან წვრილ-წვრილი ხმით – დიდი დღე არ ეწერა, მალე გარდაიცვალა ყელის კიბოთი – მუდამ გოგოებზე ჩამომიგდებდა ხოლმე სიტყვას: ვიცი, რომ ვიღაცა გყავს და ის მაინც მითხარი, კოცნა-პროშტნის ნებას მაინც თუ გაძლევსო. ოღონდ არც ბიდონში მოთქრიალე რძის ქაფქაფა, თეთრ ჭავლს აცილებდა თვალს, თან იმ თავის უფერულ წამწამებს ახამხამებდა და იღრიჭებოდა. მართლა შეუხედავი ვინმე იყო, მაგრამ რაღაცით მიზიდავდა კიდეც. ისეთი გრძნობა მქონდა, აი, ახლა დააძრობს უბიდან რაიმე სიბილწის ამსახველ ფოტოს და იმას გამიმხელს, რაც მხოლოდ მოზრდილების საცოდნელია-მეთქი. დაბალჭერიანი სარდაფი იყო, ოთხკუთხა, უსიამო ცარცისფერ-თეთრად შებეთქილი. უჟანგავი ლითონის რძის ბიდონები ბრტყელჩაჩქნიანი, ჩაფსკვნილი ჯარისკაცებივით ჩარიგებულიყვნენ, თითოეულ მათგანს კარიდან შემოჭრილი მზის

ათინათი მხარზე თითქოს ორდენივით უბრწყინავდა. იატაკზე კი დოლბანდგადაკრული, დაბალი, რძით სავსე ვარცლები მდუმარედ ელოდნენ ბლანტი სითხის დაწკნობას და ძველებური, ხისგან ნაკეთი კარაქის სადღვებელიც, რამდენი არ მივედი, უქმად მდგომი დამიხვდა; არადა, ერთი სული მქონდა, საქმეში მენახა. რძის გრილი, ნოყიერი, იდუმალი სურნელიც, ჩემდა უნებურად, მისის გრეისს მახსენებდა. ერთი-ორჯერ ძლივს შევიკავე თავი, დუინანის დაჟინებას არ ავყოლოდი და მართლა გული არ გადამეშალა – ყველაფერი მეამბო ამ ქალზე. კიდევ კარგი, ჭკუა მეყო და ენას კბილი დავაჭირე.

აი, ახლაც ფერმის ჭიშკართან ვიდექი ისევ, ოღონდ ის ბიჭი უკვე გაზრდილიყო და ის კი არა, ლამის ერთიანად გაჭაღარავებულიყო კიდეც. ჭიშკრის ბოძზე ფერგადასული წარწერა გამვლელს სასტიკად უკრძალავდა ამ კერძო საკუთრების რაიმე სახით ხელყოფას. ზურგს უკან კლერი რაღაცას მიჩიჩინებდა ფერმერებსა და იმათ მარილით დატენილ თოფებზე. წავუყრუე, გზა გავაგრძელე. ქვაფენილზე გადავიარე – ზუსტად იგივე, ხელუხლებელი ქვები! – არადა, მეგონა, კი არ მივაბიჯებ, უშნო, სანახევროდ დაჩუტული, მძიმე აეროსტატივით მიმათრევს მიწაზე რაღაც ძალა-მეთქი, და წარსულის ხსოვნაც მუჯლუგუნების კვრით მიბიძგებდა წინ. მერე თავლა და იმისი ნახევარკარიც დავინახე: დაჟანგებული გუთანიც ზუსტად იქ აეყუდებინათ, სადაც ადრე დუინანის ურიკა იდგა ხოლმე – თუ ეს ურიკა სულაც ჩემი რიოში მოგონებაა? თავად სარდაფი კი კარგა ხნის მიგდებული ჩანდა, თუმცა ჭრიალა კარზე ვეება ბოქლომი დაედოთ, რატომღაც. სარკმლებს ტალახი მიხმობოდა, ზოგან შუშაც ჩაემტვრიათ, ჩარჩოებს კი ხავსი მოსდებოდა. ფერმისთვის რაღაც ახლებური პარმაღი მიედგათ – მინისა და ალუმინის მინაშენი; ვეება, აწ გადაშე-

ნებული მწერის მესამე თვალს ჰგავდა. ბოლოს სახლის კარი გაიღო და გაუგებარი ასაკის ქალი გამოჩნდა, პარმაღის შუშის შესასვლელთან გაჩერდა, ზარმაცად შემათვალიერა. ყურებამდე გაღიმებული, თავის კანტურით დავიძარი მისკენ, როგორც ვინმე ზონზროხა, ბრიყვი მისიონერი გაემართებოდა რომელიმე, საბედნიეროდ, ჯერაც მოუქცევი პიგმეების ტომის ციცქნა დედოფლისაკენ. თავიდან ფრთხილობდა, მეც შუშის იქით მდგომს ველაპარაკებოდი ხმამაღლა, ხელებს ვიქნევდი და ვცდილობდი, მიმეხვედრებინა, ვინ ვიყავი. უხმოდ შემომცქეროდა, მოხუცის როლის უნიჭოდ შემსრულებელი ახალგაზრდა მსახიობივით. ფეხსაცმლის ყავისფერ საცხისფრად შეღებილი თმა სქელ, მბზინავ ტალღებად დაეხვია, რაც სრულიადაც არ შეეფერებოდა მის გალეულ სახეს და ხშირი ეკალბარდის გვირგვინივით მჭიდროდ შემოჯარული, პარიკს უფრო მოგაგონებდათ. უეჭველად საკუთარი ხელით ნაქსოვი ჯემპრის ზემოდან გამოხუნებული წინსაფარი ეკეთა; მუხლებთან გამობერილი, კაცის ველვეტის შარვალი და ელვაშესაკრავიანი, მჭახე ლურჯი ფერის, ხელოვნური ნატის დაბალყელიანი წაღები ეცვა – სწორედ ისეთი, ყველა ქალს რომ ჭკუა ეკეტებოდა ჩემს ახალგაზრდობაში, ახლა კი მხოლოდ ხელმოკლე, ანდა სულაც სასმელს მიძალებულ, მომჭკნარ ქალბატონებს თუ შემორჩენიათ. შუშის აქედან ყვირილ-ყვირილით მოვახსენე, რომ ბავშვობაში ამ მხარეში ვატარებდი ზაფხულს, ნაქირავებ პატარა სახლში, და დილაობით რძე ამ ფერმიდან მიმქონდა ხოლმე. ყურადღებით მისმენდა, თავსაც მიქნევდა და ისე უთრთოდა ტუჩის კუთხე, თითქოს გულიანად გაცინება უნდა და თავს ძლივს იკავებსო. როგორც იქნა, შუშის კარიც გამოაღო და ეზოში, ქვაფენილზე ჩამოვიდა. ისე ვიყავი აღგზნებულ-აღტაცებული – თავადაც მიკვირდა გრძნობების

ასე აყოლა – კინაღამ ვეცი და გულში ჩავიხუტე. ჩქარ-ჩქარა დავაყარე კითხვები დუინანების თაობაზე: ცოლ-ქმარზე, იმ ავ დედაბერზე, მთელ ფერმაზე და არც ის ვერაგი ფინია დამვიწყებია. ისევ ისე უხმოდ მიქნევდა თავს, ეჭვიანად წარბებაწკეპილი და მზერა უფრო ჭიშკართან გაჩერებული კლერისკენ გაურბოდა, გულხელდაკრეფილი რომ იდგა ძვირფასი ბეწვის ქობამოვლებულ, ფართო პალტოში გამოხვეული.

ევრილი მქვიაო – მითხრა ბოლოს. *ევრილი.* გვარი არ გაუმხელია. ბუნდოვნად, თითქოს თავისთავად ამოტივტივდა რაღაც, რაც კარგა ხნის გამქრალი მეგონა: გამახსენდა, ფერმის უკანა, გაბოლილ ეზოში პატარა გოგონა დგას, ხელში მაგრად ჩაუბლუჯავს მოვარდისფრო, უთმო, ტიტველი თოჯინა და ჯუჯის დაჟინებული, ჯიუტი, მკაცრი მზერით მომჩერებია. მაგრამ ჩემ წინ მდგომი ქალი არაფრით არ შეიძლებოდა, ის ბავშვი ყოფილიყო – ის ახლა, სულ ცოტა, ორმოცს მაინც იქნებოდა გადაცილებული... ეტყობა, ის ბავშვი ამის და თუ იყო, ბევრად უფროსი, ბევრად ადრე დაბადებული. მაგრამ ან ეს როგორ იქნებოდა? დუინანი ხომ ახალგაზრდა გარდაიცვალა, ორმოცს მიტანებული – ესე იგი, შეუძლებელია, ევრილი მისი ქალიშვილი ყოფილიყო, რაკი თავად დუინანი ზრდასრული კაცი იყო, როცა მე ჯერ ბავშვი გახლდით და... ამ გამოთვლებმა მთლად ამირია თავგზა. თანაც ევრილი ჰქვია. არა, მაინც ვის მოუვიდოდა აზრად, ამ კუშტ მხარეში შვილისთვის ამისთანა ნაზი და საგაზაფხულო სახელი შეერჩია?

მერე ისევ დუინანების ოჯახზე ვკითხე და მეუბნება – კი, ქრისტი დუინანი უკვე მკვდარიაო. დაიცა, რა – მართლა ასე ერქვა? ქრისტი? მისის დუინანი კი ჯერაც ცოცხალია, მოხუცების თავშესაფარში გაამწესეს სადღაც, სანაპიროზეო. „პატსიმ ოლდბოუნის მახლობლად წამოიწყო საკუთარი საქმე, მერი

ინგლისში გადაბარგდა, საწყალი უილიც გარდაიცვალა...“ ამ ყველაფერს მიამბობდა და მეც თავს ვუქნევდი, მაგრამ უცებ მივხვდი, აღარ შემეძლო დუინანების ამ საგვარეულოს ჩამომავლების ამბის მოსმენა: თუნდაც მარტო ამ ძირძველი, ასე მიწიერი სახელების გაგონება – ფერმერი პატსი, ემიგრანტი მერი, პაწია, ან გარდაცვლილი უილი; ყველანი – ცალ-ცალკე და ერთად – მოგონებების ამ მარტო ჩემთვის გამართულ ქელეხს კართან ატუზული ღარიბი, დაუპატიჟებელი ნათესავებივით უკარგავდნენ სიმძაფრეს. პასუხად ვერაფერი მომეფიქრებინა. წელანდელი აღტკინება უცებვე გაქრა და ახლა ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს სრულიად უდროო დროს, სრულიად უადგილო ადგილას შემოვხეტებულიყავი. უაზრო ღიმილი ვერ მომეშორებინა სახიდან, გაუბედავად ვუქნევდი თავს და ვგრძნობდი, როგორ ერთიანად ვიფიტებოდი. საკუთარ თავზე ევრილმა სახელის მეტი არც არაფერი მითხრა: ეტყობა, ეგონა, უნდა მცნობოდა და უნდა მეცნო კიდეც – მაგრამ აბა, როგორ, საიდან? გინდაც ერთ დროს დუინანების საგვარეულო სახლის წინ მდგარი... ვერც იმას მივმხვდარიყავი, საიდან იცოდა ასე წვრილად დუინანების ამბავი, თუკი ერთი იმათიანი არ იყო? არადა, აშკარად არ იყო. ყოველ შემთხვევაში, სისხლით ნათესავი მაინც. ვერანაირი უილი, მერი თუ პატსი მისი მშობელი ვერ იქნებოდა – მაშინ აქამდეც ხომ მეტყოდა! უეცრად მთელი ჩემი უგუნებობა ერთიანად შენივთდა და ამ ქალის მიმართ მწარე წყენად იქცა, თითქოს რაღაც სულელური, მხოლოდ მისთვის გასაგები მიზეზით, ასე უშნოდ გადაცმულ-შენიღბული შემოხეტებულიყო მხოლოდ იმიტომ, რომ ყოვლად დაუმსახურებლად ნაეგლიჯა და მიეთვისებინა ჩემი ტკივილიანი წარსულის თუნდაც ერთი ნაკუწი. უფერულ სახეზე წვრილ-წვრილად დაყრილი ჭორფლი შევნიშნე, ოღონდ არა ისეთი ჟღალ-ჟღალი, როგო-

რიც კლერს ჰქონდა, არც ისეთი დიდრონი, უცნაურად ქალურ მხრებზე რომ ეყარა ქრისტი დუინანს და ჩვენში დარჩეს, არც ისეთი შემაშფოთებელი, ამ ბოლო დროს მე რომ გამიჩნდა ხელის მტევნებზე და უფრო ზემოთაც, ფითქინა-თეთრ მკლავებზე – ეს უფრო მუქი იყო, თითქმის კლერის პალტოს ფერი, და ნემსის ნაჩხვლეტისოდენა. სულო ცოდვილო, დაუბანლობის შედეგიც კი გეგონებოდა კაცს. ამ ჭორფლის შემხედვარეს, ბუნდოვნად მომაგონდა რაღაც, ოღონდ ვერ მივმხვდარიყავი – რა.

– იცით, ახლახან ცოლი გარდამეცვალა... – ვუთხარი ბოლოს.

არ ვიცი, ეს რატომ წამოვროშე. იმედია, კლერი ვერ გაიგონებდა. ევრილი არაფრისმთქმელი მზერით მომაჩერდა. ეჭვი არაა, ელოდა, რომ კიდევ დავამატებდი რამეს. მაგრამ რა უნდა დამემატებინა? ზოგჯერ იტყვი რამეს და ვერც ველარაფერს დაამატებ. იმანაც უხმოდ თანამიგრძნო – ცალი მხარი აიჩეჩა და ტუჩიც დაბრიცა.

– საწყენია, – თქვა ჩუმი, გრძნობადაცლილი ხმით. – ცუდი ამბავია.

თუმცა მაინც უფრო ვალის მოსახდელად ნათქვამივით გამოუვიდა.

შემოდგომის მზის სხივები ირიბად ეცემოდნენ ეზოს და ქვაფენილს მოცისფროდ ანათებდნენ. პარმაღზე, ქოთანში ჩადგმულ ყვავილებს თითქოს მოსასწრებად გახდომოდათ საქმე და ბოლოჯერ აფეთქებულიყვნენ ცეცხლისფრად. რას იზამ, სულ ამაოა ამქვეყნად ყველაფერი.

როგორც ჩანს, სასტუმრო „გოლფის" ხავერდოვანი მდუმარებით მხოლოდ მე და ჩემი ქალიშვილი ვსარგებლობდით. კლერმა ნაშუადღევის ჩაი მოისურვა და როცა შევუკვე-

თე, გაუმთბარ ორანჟერეაში შეგვიპატიჟეს – შენობის უკანა მხარეს, საიდანაც სანაპირო და მიქცევისას გაშიშვლებული ზღვის ფსკერი მოჩანდა. სიცივისა და სინოტივის მიუხედავად, ჰაერში ჯერ ისევ იგრძნობოდა ჩავლილი ზაფხულის დანატოვარი, გარდასულ ხმაურიან მხიარულებათა კვალი. ერთმანეთში არეულიყო დაღვრილი ლუდისა და თამბაქოთი გაბოლილი სივრცის მწკლარტე სუნი. კუთხეში, შემაღლებულზე, თითქოს ველური დასავლეთიდან გადმობარგებულ, ფეხმორყეულ პიანინოს დაეფჩინა პირი და ალაგ-ალაგ ჩამტვრეული კბილებივით დაეკრიჭა კლავიატურა. ფერმაში სტუმრობის მერე გუნება მომეშხამა და რაღაც უჟმურ ხასიათზე დავდექი – ზუსტად ოპერის იმ პრიმადონასავით, სცენიდან კულისებში საჩქაროდ გასვლას რომ ნატრობს, რადგან ტონალობაც არევია, ხმაც გაბზარვია და არიის ტექსტიც დავიწყებია...

მე და კლერი გვერდიგვერდ ვისხედით დივანზე. ცოტა ხანში ერთი უშნოდ აწოწილი, ულალთმიანი ბიჭიც გამოჩნდა. მიმტანის შავ ქურთუკსა და ლამპასებიან შარვალში გამოწყობილმა, ლანგარი ხმაურით დაგვიდგა დაბალ მაგიდაზე და დიდრონი ფეხსაცმელების ფრატუნით უსიტყვოდ გაგვეცალა. ჩაის პაკეტი დიდად უსინდისო გამოგონებაა – ჩემი, ეგებ მეტისმეტად ზიზღიანი მზერისთვის ყოვლად მიუღებელი, თითქოს ფეთხუმ დიასახლისს ჩარჩენოდეს სუფთა ჭიქაში. კიდევ კარგი, აქ ეს მაინც არ შემოგვთავაზეს: ჩაიდნიდან ტორფისფერი ნაყენი ჩამოვისხი და განუყრელი მათარიდან ცოტაოდენი მაცოცხლებელი სითხეც ჩავუმატე – ეს ბოლო წელია, წესად დავიდე, ამნაირი ტკივილგამაყუჩებლის გარეშე ფეხი არ გავადგა არსად.

ნაშუადღევის ბინდშერეულ შუქს უკვე ზამთრულად მრუმე ფერი დასდებოდა და ცისკიდურზეც მკვრივ, ტალახისფერ კედლად გროვდებოდა ღრუბლები. ტალღები დამყოლ ქვიშას

ბრჭყალებით კაწრავდნენ სანაპიროს გაყოლებაზე, ცდილობ-დნენ, როგორმე მიწაზე მოეკიდათ ფეხი, ჩასანგრულიყვნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. აქეთ მეტი პალმის ხე იდგა – სპილოს ტყავივით დანაოჭებულქერქიანი. ეტყობა, რაღაც გამძლე ჯიში შეერჩიათ, ამდენ ხანს რომ არ დამზრალიყო ცივ ჩრდილოეთში. ნეტავ იმათ უჯრედებს მაინც თუ ახსოვდათ უდაბნოს მწველი ხვატი? პალტოში გამოხვეული, აბუზული ჩემი ქალიშვილი გასათბობად ორივე ხელს მაგრად უჭერდა ფინჯანს. შევამჩნიე, როგორი ბავშვური, მქრქალი იისფერი ფრჩხილები ჰქონდა და გული მომეწურა. შვილი მაინც შვილია.

მინდვრებზე, პატარა ხის სახლსა და დუინანებზე ჩამოვუგდე სიტყვა.

– შენ სულ შენს წარსულში ცხოვრობ, – მითხრა.

დავაპირე, რამე მწარე მეპასუხა, მაგრამ თავი შევიკავე. ბოლოსდაბოლოს, ხომ მაინც სიმართლეს ამბობდა. ცხოვრება – ნამდვილ ცხოვრებას ვგულისხმობ – წესით, სულ ბრძოლაში, მუდმივ მოქმედებასა და თვითდამკვიდრების მცდელობებში უნდა გაატარო; უნდა ცდილობდე, თავით გაიტანო ყველა კედელი და არ გატყდე, მაგრამ როცა უკან ვიხედები, ვხედავ, რომ ჩემი ძალისხმევის უდიდესი ნანილი იმთავითვე თავშესაფრის, სიმყუდროვის – კი, ბატონო, ვაღიარებ – სიმშვიდის ძიებას მივახარჯე. უცნაური აღმოჩენაა, რომ არ ვთქვა, ჩემთვისვე გასაოცარი-მეთქი! ადრე საკუთარი თავი ზღვის მეკობრედ მესახებოდა, კბილებში ხმლითა და ხელებში დამბაჩებით რომ ხვდება ყველას, მის გემბანზე დაუპატიჟებლად ამოსულს. ახლა კი ვხვდები, თავის მოტყუება იყო ეს ყველაფერი. გულის სიღრმეში მუდამ ერთი და იგივე მინდოდა: საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტვა, დამალვა, გარიდება ყველა იმ საფრთხისაგან, რასაც ცა თუ მიწა უმზადებს ადამიანს. ამიტომაცაა, მუდამ წარსულს

რომ ვეპოტინები, ხალისით ვუბრუნდები, ნებისმიერ პასუხისმგებლობას ვიხსნი ცივ აწმყოზეც და კიდევ უფრო ცივ მომავალზეც. და მაინც, არსებობს კია სინამდვილეში ეს წარსული? ჩვენში დარჩეს, ეს ხომ ისაა, რაც აწმყო იყო ერთ დროს, და მერე გაქრა, წავიდა – ეგაა და ეგ. თუმცა რა გითხრათ...

კლერმა კუსავით ღრმად შემალა თავი პალტოს ბაკანში. მერე ფეხსაცმელები წაიძრო და ფეხები დაბალი მაგიდის კიდეზე ჩამოაწყო. რატომღაც, ყოველთვის გული მიჩუყდება ფეხსაცმელგახდილი ქალის დანახვაზე; მეჩვენება, თითქოს წინდაში მათაც მაილზ გრეისივით აქვთ ფეხის თითები შეტყუპებული. ოღონდ იმას ბუნებრივად ჰქონდა ასე, უფრო სწორად – არაბუნებრივად. როცა აათამაშებდა ხოლმე, ისევე იოლად, როგორც ჩვენ ხელის თითებს ვათამაშებთ, თხელი, ვარდისფერი, ნახევრად გამჭვირვალე აპკები უთხელეს აბლაბუდასავით ეწელებოდა.

უცებ, საღამოს ამ ლურჯად გამკვრივებულ ბუნდში, სათამაშო დათუნიების ოჯახი გამახსენდა, მთელი ბავშვობა გვერდიდან რომ არ იშორებდა კლერი. მუდამ ერთგვარი ამრეზით ვუყურებდი – ალბათ იმიტომ, რომ ნამდვილებს ზედმეტად მიმსგავსებული მეჩვენებოდა. ძილის წინ შუბლზე საკოცნელად წახრილს, ღამის სანათის მომწვანო შუქზე, სამი წყვილი პაწია, ბრჭყვიალა, შუშის უძრავი თვალი დაძაბული გაფაციცებით მომაჩერდებოდა ხოლმე.

– ის შენი დრუნჩა დათუნიები როგორა გყავს? – ვკითხე ახლა. – ალბათ ისევ საწოლში იწვენ ხოლმე...

ნაპირს უკვე დამრეცად ეცემოდა მზის ბოლო სხივები და წყლის პირას ქვიშას ძვალივით თეთრად აჩენდა. თეთრი თოლიაც, თვალშისაცემი შავი ღრუბლების კედლის ფონზე, უხმოდ, ნამგალა ფრთების გამალებული ქნევით, შურდულივით

მიქროდა მოუსვენარი ზეცის შორეთისკენ. კლერი ცოტა ხანს გაუნძრევლად იჯდა, მერე ატირდა. უხმოდ ტიროდა, მხოლოდ ცრემლები უბრწყინავდა ყვრიმალებზე, ვერცხლისწყლის პაწია ბურთულებივით. დედამისმაც ასე უჩუმრად, უნებურად იცოდა ხოლმე ატირება.

– მარტო შენ არ იტანჯები, – მითხრა.

სინამდვილეში, რა ცოტა რამ ვიცი საკუთარი ქალიშვილის შესახებ... ერთხელ, მგონი, თორმეტის იყო ან ცამეტის – დაქალებას აღარაფერი უკლდა – შემთხვევით სააბაზანოში შევეხეტე, კარის დაკეტვა დავიწყებოდა და დედიშობილა იდგა, მხოლოდ პირსახოცი ჰქონდა თავზე დოლბანდივით შემოხვეული. მხარს ზემოდან გამომხედა, დაორთქლილი ფანჯრის შებურულ შუქზე, სრულიად მშვიდად, აუღელვებლად. მკერდი ჯერ ისევ კოკრებად აჩნდა, აი, ტაკო კი უკვე გვარიანად წამოზრდოდა. რა ვიგრძენი მაშინ? სრული შინაგანი დაბნეულობა, და თან სინაზე და აუხსნელი შიში. ათი წლის მერე ხელოვნების ისტორიის სწავლას მიანება თავი – ვობლენსა და მის ე.წ. *ნატიფი ხანის* სტილს. აი, ეგეთია ჩემი გოგო – უფრო სწორად, ეგეთი იყო – მერე კი ადგა და უნარდაქვეითებული ბავშვების მასწავლებლობა დაიწყო ქალაქის გარეუბნებში მომრავლებული ინტერნატებიდან ერთ-ერთში. საწყენია ნიჭის ასეთი უაზრო ფლანგვა. ვერც მაშინ ვაპატიე და ვერც ახლა ვაპატიებ. ვცდილობ კია, მაგრამ არაფერი გამომდის. ერთი ყმაწვილკაცის დამსახურებაა ეს ყველაფერი: წიგნიერის – მეტისმეტად წიგნიერის, ბლანჟემოშვებულისა და ეგალიტარული იდეების მოტრფიალის... ნახა რაღა, ვისზე შევარდნოდა გული! მთელი ეს სატრფიალო ამბავი კი – ისე, ეჭვი მაქვს, ჯერაც ქალწული უნდა იყოს – უიღბლოდ შემოუბრუნდა. იმ მამაძაღლმა ჯერ დაარწმუნა, რაღაც უაზრო საზოგადოებრივი

თავგანწირვის გულისთვის მთელი ცხოვრების საქმეზე აეღო ხელი, მერე კი ეს ჩემი უიღბლო ქალიშვილი ყოვლად უსინდისოდ მიატოვა და აორთქლდა. ჩემი ნება იყოს, საკუთარი ხელით დავახრჩობდი. ვუთხარი, რიგიან ადვოკატს მაინც ვიქირავებ, სიტყვის გატეხისთვის პასუხს ვაგებინებ-მეთქი, მაგრამ დედამისმა გამაჩერა. მითხრა, ეგ კიდევ უარესი იქნებაო. მაშინ უკვე ავად იყო, რა უნდა მექნა.

გარეთ თითქმის მთლად ჩამობნელდა. აქამდე მდუმარე ზღვამ ნელ-ნელა ხმა ამოიღო და ხვნეშას მოჰყვა – ეტყობა, მოქცევა ახლოვდებოდა. კლერი აღარ ტიროდა, თუმცა ცრემლები არ მოუწმენდია. მგონი, ვერც კი ამჩნევდა. გამაჟრიალა. ამ ბოლო დროს რაღაც ძალიან დამჩემდა ეს ამბავი.

ვილაცა ზორბა, მოკლექურთუკიანი კაცი შემოვიდა, კარგი გამოჯეკილი ლაქიასავით უხმაუროდ ჩაგვიარა, თავაზიანი ცნობისმოყვარეობით გამოგვხედა და ჩემი მზერა რომ დაიჭირა, უსიტყვოდ გააგრძელა გზა. კლერი აქსუტუნდა, ჯიბეში მოიფათურა ხელი, ცხვირსახოცი ამოიღო და ხმაურით მოიხოცა ცხვირი.

– გააჩნია, ტანჯვაში შენ რას გულისხმობ, – ვუთხარი ნაძალადევი სიმშვიდით.

აღარაფერი უპასუხია. ცხვირსახოცი ისევ ჯიბეში ჩაიდო, წამოდგა და ბრაზიანად მიიხედ-მოიხედა, თითქოს რაღაცას დაეძებს და არც კი იცის, რასო. *მანქანაში დაგელოდებიო* – დამიგდო ბოლოს და თავჩაღუნული, პალტოს ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, გასასვლელისკენ გაემართა. ამოვიოხრე. ცის ჩამუქებულ ფონზე თოლიები დაგლეჯილი ნოხის ნაკუწებივით დაფარფატებდნენ. მივხვდი, თავის ტკივილი მაწუხებდა ამდენ ხანს. მას მერე მირტყამდა საფეთქლებში, რაც ამ ჩახუთულ, შემინულ ყუთში ამოვყავი თავი.

ახალგაზრდა მიმტანი კიდევ ერთხელ შემოვიდა, მელიის ლეკვივით გაფაციცებული. ლანგრის ნაღება დააპირა და შუბლზე სტაფილოსფერი თმის კულული ჩამოუვარდა. თავისუფლად შეიძლებოდა ისიც დუინანების კლანის წევრი ყოფილიყო, რომელიმე გვერდითი შტოს წარმომადგენელი. სახელი ვკითხე. გაირინდა, უშნოდ მოიხარა წელში და დაძაბულმა უფერულ ნარბებს ქვემოდან ამომხედა. ქურთუკი სიძველისაგან უბზინავდა და პერანგის სახელოებიც ვერ დაიკვეხნიდა უზადო სითეთრით.

– ბილი, სერ. – მითხრა.

ფეხის ქირა გავუწოდე. მადლობა გადამიხადა, ფული ჯიბეში შეინახა, ლანგარი აიღო და წასვლამდე ერთიც შეყოყმანდა.

– რამე ხომ არ გაწუხებთ, სერ?

მანქანის გასაღები მეჭირა ხელში და უაზროდ დავცქეროდი. ყველაფერი, რატომღაც, რაღაც სხვა მეგონა. არა, კარგად ვარ-მეთქი, დავამშვიდე და ისიც გამეცალა. ირგვლივ ზღვასავით უსაზღვრო მდუმარება ჩამოწოლილიყო. შემაღლებულზე მდგომი პიანინო ამრეზით მიღიმოდა.

ჰოლში ისევ დავინახე ის მეორე, ზორბა ვიღაც. ფართო, უტყვი, უცნაურად არაფრისმთქმელი სახე ჰქონდა. მონიწებით მიკრავდა თავს. მომუშტული ხელები მკერდზე დაეკრიფა და ლამის ბისზე გამოსული ოპერის მომღერალივით მიხდიდა მადლობას. არც კი ვიცი, რისთვის. რა სჭირთ ამ ყაიდის ადამიანებს ისეთი, სამუდამოდ რომ მამახსოვრდებიან ხოლმე? მოკრძალების მეტს არაფერს გამოხატავდა, მაგრამ თან შიშისმომგვრელიც კი აჩნდა რაღაც. იქნებ იმისთვისაც უნდა დამეტოვებინა რამე? აკი ვამბობ, ამაოებაა-მეთქი ყველაფერი.

კლერი მანქანასთან მელოდებოდა, ბელურასავით მობუზული. ხელის მტევნები ჯვარედინად შეემალა პალტოს სახელოებში.

– გასაღები რატომ არ გამომართვი? – ვკითხე. – გეგონა, არ განდობდი?

უკანა გზაზე დაიჟინა და ჩემი დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, თავად მიუჯდა საჭეს. უკვე ღამე ჩამოწოლილიყო და მანქანის თვალებდაყვლეპილი ფარები ჯერი-ჯერზე გამოსტაცებდნენ ხოლმე სიბნელეს საფრთხობელებს დამსგავსებულ, შემოძარცულ, გაშიშვლებულ ხეებს, მერე კი წამში ისევ უჩინარდებოდნენ, თითქოსდა ჩვენი სიჩქარით წელში გადაჭრილები. კლერი ისე ნახრილიყო წინ მთელი ტანით, ლამის შუბლი მიედო საქარე მინაზე. პლაფონის მომწვანო შუქი სახეზე რაღაც იმქვეყნიურ ელფერს ადებდა. ვუთხარი, გეყო-მეთქი, მაგრამ მთვრალი ხარო – ასე მიპასუხა. მთვრალი არა ვარ-მეთქი, ვუთხარი. როგორ არა, მთელი მათარა გამოწრუპეო, დაიჟინა ისევ. ნეტა როდის დაინახა. ეგ შენი საქმე არაა-მეთქი, შევულრინე. იმან კი ისევ ტირილი დაიწყო, ოღონდ ახლა მიყვიროდა კიდეც. ვუმტკიცებდი – მთვრალიც კი შენზე უხიფათოდ ვატარებ მანქანას, მით უმეტეს, როცა ასეთ დღეში ხარ-მეთქი. მერე კი წავიდა და წავიდა – როგორც ხდება ხოლმე. არც ის მზოგავდა და არც მე ვრჩებოდი ვალში. გავახსენე – მხოლოდ დასაზუსტებლად – რომ გასული წლის მეტი წილი, ანუ თითქმის მთელი წელი – ღმერთო, რა უსუსურია ენა, როგორ გღალატობს ყველაზე საჭირო დროს! – მთელი ის წელი, რაც დედამისი სასიკვდილოდ იყო გადადებული, ქალიშვილმა საზღვარგარეთ გაატარა, სწავლა-განათლებას გადაჰყვა, მე კი ამასობაში რა ნემსის ყუნწში არ ვძვრებოდი!

ამან გაჭრა. კრიჭაშეკრულმა, ამოიგმინა და ხელისგულები საჭეს დაუშინა. მერე კი მომდგა და რაღა არ დამაბრალა! ისიც კი მითხრა, ჯერომი შენ გამიქციეო. ენა ჩამივარდა. ჯერომი... ვინ ჯერომი? ა-ჰაა, იმ თავის ბლანჟეიან „კეთილისმყოფელს" გულისხმობდა. აბა რა, დიდი სიკეთე უყო... ჯერომი. სწორედ ასე ერქვა. კი, მაგრამ *მე* რითი გავაქციე-მეთქი, ვეკითხები, თან ვცდილობ, ბოლომდე შევიკავო თავი. ამაზე პასუხი აღარ გამცა, მხოლოდ თავი გადააქნია. ჩავფიქრდი. მართალია, თვალში არ მომდიოდა და არც თავად ჯერომისთვის დამიმალავს ეს – ბევრჯერაც ვაგრძნობინე – მაგრამ ეს ახლა ისე ლაპარაკობდა, თითქოს შოლტით ხელში გამოვდევნებოდი ოდესმე. ეგეც არ იყოს, თუ მართლა ჩემ გამო გაიქცა, ეს ვითომ მისი ხასიათის სიმტკიცესა და განზრახვის სიწრფელეზე მიუთითებს? არა, ნამდვილად. ამისთანებს საოთოფეზე არ უნდა გაეკარო, ორი აზრი არ არსებობს. თუმცა მაშინ, მანქანაში, მეტი აღარაფერი მითქვამს და ორიოდე მილის გავლის შემდეგ კლერიც ცოტა ჩაცხრა. ქალებს სულ ეგრე ემართებათ – თუ არ შეედავე, თუკი მოთმინება გეყო, უთუოდ გაუნელდებათ ჯიბრის ჟინი.

შინ რომ დავბრუნდით, მაშინვე სახლში შევედი – მანქანის დაბინავება მას მივანდე. სატელეფონო ცნობარში „კედრების" ნომერი მოვძებნე, მის ვავასურს დავურეკე და ვუთხარი, თქვენი ერთ-ერთი ოთახის დაქირავება მინდა-მეთქი. მერე ზემოთ ავედი, გავიხადე და ლოგინში შევწექი. უცებ მომერია დაღლილობა. საკუთარ ქალიშვილთან ომი მხოლოდ ძალას თუ გამოგაცლის კაცს და ვერაფერს მოგცემს სასიკეთოს. იმ დროისთვის ჩემი და ანას საძინებლიდან უკვე სამზარეულოს თავზე, საბავშვო ოთახში ვიყავი გადაბარგებული, სადაც ერთადერთი დაბალი და ვიწრო საწოლი იდგა. მესმოდა, როგორ

ხმაურობდა სამზარეულოში კლერი. ტაფებს და ქვაბებს აჩხარუნებდა. ჯერ არ იცოდა, სახლის გაყიდვა რომ მქონდა გადაწყვეტილი. მის ვავასურმა ტელეფონში მკითხა, რამდენ ხანს აპირებთ დარჩენასო. ხმაზე იჭვნეული გაოცება შევატყვე. მაინც არ გავუფანტე ეჭვები. რამდენიმე კვირა, შეიძლება თვეც-მეთქი, ვუთხარი. ცოტა ხანს ხმა არ ამოულია, ეტყობა, ფიქრობდა რაღაცას. მერე პოლკოვნიკი მიხსენა, მუდმივი მდგმურია და თავისი უცნაურობები სჭირსო. ესეც ყურსგარეთ გავატარე. რა საქმე მქონდა ვიღაც პოლკოვნიკებთან? თუ სურდა, სულაც მთელი შტაბი შეეძლო შეეფარებინა ჭერქვეშ. მერე გამაფრთხილა, სარეცხი სამრეცხაოში გექნებათ სატარებელიო. ვკითხე, თუ გახსოვართ-მეთქი. „კი, როგორ არა", – მიპასუხა რაღაც ისე, უგულოდ.

მალე კლერის ფეხის ხმაც გავიგონე კიბეზე. ბრაზი გამონელებოდა და ახლა მძიმე-მძიმედ, ფეხათრევით ამოდიოდა. დარწმუნებული ვარ, ამგვარი კამათი მისთვისაც დამღლელი რამაა. ოთახის კარი ღია დავტოვე, მაგრამ არ შემოსულა. დერეფნიდანვე მკითხა, ხომ არ გშიაო. შუქი ჯერაც არ ამენთო და ოთახში შემომავალი სინათლის წაგრძელებული, პირბასრი სხივი ლინოლეუმზე თითქოსდა ისარივით მიუთითებდა არა მარტო ჩემი შვილის, არამედ ჩემი ბავშვობისკენაც. როცა პატარა იყო და ამ ოთახში ეძინა, ამ საწოლში, ქვემოდან ამომავალი ჩემი საბეჭდი მანქანის კაკუნის მოსმენა უყვარდა; ასე ამბობდა, მამშვიდებსო. თითქოს შენს ფიქრებს ვუსმენო. არადა, არ მესმის, როგორ შეიძლება ჩემი ფიქრის მოსმენამ ვინმეს სიმშვიდე განაცდევინოს. უფრო პირიქით – აი, ამის თქმა დაბეჯითებით შემიძლია. მაგრამ რა შორს დარჩა ის დღეები და ის ღამეები! ყველაფრის მიუხედავად, მაინც არ უნდა ეყვირა ჩემთვის მანქანაში. ეს არ დამიმსახურებია. „მამა, რამეს

შეჭამ-მეთქი?" – მკითხა ისევ და ახლა ხმაში გაღიზიანებაც გამოერია. არაფერი მიპასუხია და ისიც წავიდა. თურმე ნუ იტყვით და, წარსულში ვცხოვრობ.

კედლისაკენ გადავბრუნდი, ზურგი ვაქციე სუსტ შუქს. მუხლები კი მოვკეცე, მაგრამ ტერფები მაინც ჰაერში მქონდა გამოკიდული. სანამ ქვეშაგებს ვებრძოდი – ამ საბან-ზეწარს მთელი ცხოვრება ვერაფერი მოვუხერხე – საკუთარი მოთბო, მწკლარტე სუნი მეცა. სანამ ანა ავად გახდებოდა, ჩემს ხორციელ გარსს მზრუნველი თანაგრძნობით ვეკიდებოდი, ისევე, როგორც ადამიანთა უმეტესობა – ყველაფერ იმას, რასაც ჰარტფორდელი ბიჭები ენამოსწრებულად „ქვენა ნაწილაკებს" ეძახდნენ. თუმცა როცა ანას საკუთარმა სხეულმა უღალატა, როცა მის მიმართ შიშმა შეიპყრო და მტერი დაინახა მასში, მეც მტანჯველი ზიზღი გამიჩნდა ჩემივე ხორცისადმი. არა, იმას არ ვამბობ, მუდმივად საკუთარი თავის სიძულვილი მჭამს-მეთქი – ყოველ შემთხვევაში, მუდმივად მაინც ვერ ვაცნობიერებ ამას, მაგრამ თავად განცდა, ეტყობა, არ ქრება და მხოლოდ დროს ელოდება, როდის დავრჩები მარტო ღამით, ან გამთენიისას, რათა სწორედ მაშინ ჭაობის აირივით მომეგრაგნოს ირგვლივ. და კიდევ, ვატყობ, ზედმეტად ვაქცევ ყურადღებას საკუთარ სხეულში მიმდინარე ცვლილებებს – მუდმივს, შეუნელებელს. მაგალითად: როგორ მეზრდება ჯიუტად თმა და ფრჩხილები, იმის მიუხედავად, რა გუნებაზე ვარ, ან რა სატანჯველი მტანჯავს. იმგვარი უდიერება და უდარდელობა ახლავს, შეიძლება ითქვას, უკვე მკვდარი მატერიის სიჯიუტეს, როგორიც იმ ცხოველებს, თავიანთ ცხოველურ საქმეებს ძველებურად რომ აგრძელებენ და წარმოდგენაც არა აქვთ, თუ პატრონი თავის ოთახში, თავისსავე ცივ საწოლში გახევებული, პირდაფჩენილი და მზერაგაყინული, ვეღარასო-

დეს ჩამოვა მათთვის საკენკისა თუ სალაფავის დასაყრელად.

რაც შეეხება საბეჭდ მანქანებს – აკი ცოტა ხნის წინ უკვე ვახსენე – სწორედ წუხელ დამესიზმრა ერთი, ამაოდ ვცდილობდი ზედ ანდერძი დამებეჭდა, რადგან ასო **მ**-ც აკლდა და **ე**-ც – მთავრულიცა და ჩვეულებრივიც.

აქ, ზღვისპირას, ღამის სიჩუმეს სულ სხვა ზნე სჭირს: არ ვიცი, იქნებ სულაც ჩემშია საქმე, იქნებ თავად შევძინე ჩემს ოთახში გამეფებულ სიჩუმეს რაღაც სხვანაირი ნირი – ოთახშიცა და მთელ სახლშიც; ან იქნებ ამ ადგილის ბრალია ყველაფერი – ჰაერში გაჯერებული მარილისა თუ ზოგადად, ზღვისპირეთის ჰავის. თუმცა ბავშვობაში, როცა აქ ვატარებდი ზაფხულს, მსგავსი არაფერი შემიმჩნევია. სიჩუმე მკვრივია და იმავდროულად, ფუყეც. დიდი დრო დამჭირდა, არაერთი ღამე, სანამ მივხვდებოდი, თუ რას მაგონებს: რასა და, ბავშვობისდროინდელ ოთახს, სადაც ავად გამხდარი წევხარ, სიცხიანი, შუბლგავარვარებული, ნოტიო საბნებქვეშ გათანგული, ყურებში კი ისე გიბაგუნებს სიცარიელე, როგორც ნარჩენი ჰაერი – წყალქვეშ ჩაყვინთულს. მაშინდელი ავადმყოფობა გამორჩეული ადგილი იყო – სწორედაც რომ ადგილი, სადაც სხვა ვერავინ შემოეხეტებოდა – გინდაც ყინულივით ცივსტეტოსკოპიანი ექიმი და გინდაც გახურებულ შუბლზე ხელდადებული დედაჩემი. ეს ზუსტად იმ ადგილს ჰგავს, სადაც ახლა ვიმყოფები: ყველასა და ყველაფრისაგან უსასრულოდ შორს. მერე სახლის სხვა ბინადრებიც მახსენდება: საკუთარ ოთახებში მძინარე მის ვავასური და პოლკოვნიკი. ვფიქრობ, იქნებ სულაც არ სძინავთ და ჩემსავით თვალდაჭყეტილები მისჩერებიან ტყვიისფრად ლურჯ სიბნელეს-მეთქი. იქნება და

ერთმანეთზეც ფიქრობენ: ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რომ პოლკოვნიკს ჩვენს დიასახლისზე გული აქვს შევარდნილი. თუმცა ზურგს უკან ქალი მხოლოდ დასცინის და არცთუ უგულოდ, ხან *უჯარო მეთაურს*, ხანაც კი *ჩვენს მამაც მეომარს* ეძახის ხოლმე. ზოგჯერ, დილაობით, თვალები ისე აქვს ჩაწითლებული, იფიქრებ, მთელი ღამე ტიროდაო. ვითომ მომხდარში საკუთარ თავს ადანაშაულებს და დღემდე იტანჯება? დარდისა და ვაების რა მყიფე, ერთი ბეწო ჭურჭლებად გვატივტივებს ცხოვრება შემოდგომის წყვდიადის ამ ყრუ მდუმარებაში...

გრეისებზე განსაკუთრებით ღამ-ღამობით ვფიქრობდი ხოლმე, როცა იმ სოფლურ ხის სახლში, ჩემს ვიწრო, რკინის საწოლზე ვიწექი, ღია ფანჯარასთან. ტალღების გამაბეზრებელ, ერთფეროვან ხვნეშას ვუსმენდი ძილგამკრთალი, ეული თოლიას ყივილი მესმოდა და კიდევ – სასტუმრო „გოლფიდან" მოღწეული საცეკვაო მუსიკის სუსტი ხმები; წინა ოთახში კი დედაჩემი და მამაჩემი ჩხუბობდნენ – როგორც ყოველთვის, როცა მძინარე ვეგონე. ხმადაგუდულები თათხავდნენ ერთმანეთს ყოველ ღამე, უსასრულოდ, სანამ ბოლოს სულ არ მიგვატოვა მამაჩემმა. ოღონდ ეს უკვე ზამთარში მოხდა, სულ სხვა ადგილას და წლების მერე. მაშინ კი, მათი ჯავჯღანი რომ არ მესმინა, თავშესაფარს იმაში ვპოულობდი, ათასნაირი თავგადასავალი მომეგონებინა, თუ როგორ ვარიდებდი მისის გრეისს რაღაც საბედისწერო და საზარელ ხიფათს: ხან ჩასაძირად განწირული გემიდან ვიტაცებდი, ხან გრიგალს გამოვარიდებდი და მერე რომელიმე მღვიმეში ვაფარებდით თავს, მშრალსა და თბილ ადგილას, სადაც მთვარის შუქზე – უკ-

ვე გემიც ჩაძირულიყო და გრიგალიც ჩამდგარიყო – ფრთხილად ვშველოდი სველი საცურაო სამოსის გახდაში და შიშველ სხეულზე პირსახოცს ვახვევდი. მერე გვერდიგვერდ ვიწექით – იმას თავი ჩემს მკლავზე ედო, მადლიერების ნიშნად სახეზე მეალერსებოდა და ჩუმად ოხრავდა. ასე ვიძინებდით ერთად, ისა და მე, ზაფხულის მსუყე, მშვიდი ღამით დანანავებულები.

იმხანად ძალზე მიტაცებდა ღმერთების ამბები. არა, მამაღმერთზე არ ვამბობ, ერთადერთზე – უბრალოდ, სხვა ღმერთებზე, ზოგადად. უფრო სწორად, ღმერთების იდეაზე, ანუ მათი არსებობის შესაძლებლობაზე. კითხვა მიყვარდა და ბერძნული მითებიც ზედმინევნით ვიცოდი, თუმცა მათი გმირებისათვის თვალის მიდევნება, ცოტა არ იყოს, მიჭირდა – იმდენად ხშირად იცვლიდნენ იერსახეს და იმდენ სხვადასხვა ფათერაკს გადაეყრებოდნენ ხოლმე. მათ გარეგნობაზე კი სრულიად გამოკვეთილი წარმოდგენა მქონდა: ვეება, ნახევრად შიშველი, ნაძერწი ტორსების მქონე დაკუნთულ გოლიათებად წარმოვიდგენდი, რისი წყაროც ჩემთვის იტალიური აღორძინების ოსტატების, განსაკუთრებით, მიქელანჯელოს ნამუშევრები გახლდათ, რომელიღაც წიგნსა თუ ჟურნალში ნანახი. საერთოდაც, შემთხვევას არ ვუშვებდი ხელიდან, შიშველი სხეულისთვის მომეკრა თვალი და რა თქმა უნდა, ამ ციურ არსებათა ეროტიკული ვნებათაღელვაც ყველაზე მეტად მიღიზიანებდა წარმოსახვას: თავად ამ მთრთოლვარე, დაძაგრულ, მოსასხამთა მარმარილოს ნაკეცებით სულ მცირედ დაფარულ სხეულებზე ფიქრიც კი როუზის პირსახოცსა თუ კონი გრეისის საცურაო სამოსს მახსენებდა და ჩემი ვნებიანი ზმანებები ამაფორიაქებელი სურათების უწყვეტ ჯაჭვად მილაგდებოდა. თუმცა იმდროინდელი ელადის ოქროსფერ მტვერში გათამაშებული სასიყვარულო ვნებების თაო-

ბაზე ჯერ კიდევ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა: უბრალოდ, თვალწინ მიდგებოდა, როგორ თრთოდნენ მზით გარუჯული თეძოები, მესმოდა აღგზნებისა თუ ტკივილნარევი სიამის ხმებიც, მაგრამ თავად დაუფლებისა თუ დანებების მექანიკა ჩემთვის მაინც ამოუცნობი რჩებოდა. ერთხელ, როცა უაზროდ დავეხეტებოდი ჭალაში, ზღვის სანაპიროს ჩვენი მინდვრებისაგან რომ ჰყოფდა, ქვიშის მომცრო ქვაბულში საწვიმრის ქვეშ შეყუჟულ, მოსიყვარულე წყვილს გადავაწყდი. ეშხში შესულებს, უცებ საწვიმარი გადასძვრათ ისე, რომ სახეებს კი უფარავდათ, მაგრამ სხვას – არაფერს... თუმცა არ ვიცი, იქნებ შეგნებულადაც ამჯობინეს ასე, თავები ჩაემალათ სირაქლემებივით. ვუცქერდი, როგორ გამალებით ადი-ჩადიოდა კაცის გავა ქალის ფართოდ გადაშლილ ბარძაყებს შორის და რატომღაც, ყელში თითქოს რაღაც დამეცო, გამეჭედა. დაფეთებულსა და ზიზღმორეულს სისხლმა ამასხა თავში. *აი, თურმე რა ყოფილა...* – გავიფიქრე, თუ თითქოს ვიღაცამ მიკარნახა ეს ფიქრი. *აი, თურმე რას აკეთებენ ხოლმე.*

ზრდასრული ხალხის სიყვარული. წარმოსადგენადაც კი მეუცნაურა – როგორ ებრძოდნენ ერთმანეთს თავიანთ ოლიმპიურ სარეცლებზე, ღამის სიბნელეში, მხოლოდ ვარსკვლავების დასანახად. როგორ ხვნეშოდნენ და ოხრავდნენ, როგორ ლუღლუღებდნენ საალერსო სიტყვებს, როგორ ყვიროდნენ ვითომ აუტანელი სიამოვნებისაგან... ამის მერე, ნეტავ დღისით რაღას ეუბნებოდნენ საკუთარ თავს? ეს ფიქრი საგონებელში მაგდებდა: რატომ არ რცხვენოდათ? წარმოიდგინეთ ერთი, როგორ მიეშურებიან კვირა დილით ეკლესიისკენ, ჯერ ისევ შაბათ ღამის ჟინით გათანგულები! მღვდელი პარმაღზე ეგებებათ, ისინიც ურცხვად შეჰღიმიან და რაღაცას ლუღლუღებენ ვითომ მიამიტად. ქალი ნაკურთხი წყლით ისველებს

წინა ღამით სასიყვარულო ვნებით გაწებილ თითის ნვერებს, საკვირაო კაბაში გამოწყობილს, ჯერ ისევ ექავება თეძოები. მუხლს იყრიან, და სულაც არ ადარდებთ, რა მწუხარე საყვედურით დასცქერით ჯვარცმული მაცხოვარი. საკვირაო სადილის მერე, ალბათ, ბავშვებს ეზოში გაუშვებენ სათამაშოდ, თავად კი საძინებლის კრეტსაბმელდაშვებულ საკურთხეველს მიაშურებენ – ისევ და ისევ იმავეს სახელდახელოდ მოსასწრებად; თან წარმოდგენაც არ ექნებათ, როგორ მიშტერებიათ ჩემი გონების ამღვრეული თვალი. დიახ, სწორედ ასეთი ბიჭი გახლდით. უფრო სწორად, ჩემი ნაწილი ჯერაც იმ მაშინდელ ბიჭად დარჩა. სხვანაირად რომ ვთქვათ – პატარა მხეცად, ბინძური აზრები რომ არ ანებებენ თავს. ჩვენში დარჩეს და, ან სხვანაირები არიან კი სადმე? ჩვენ არასოდეს ვიზრდებით. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ მოვახერხე.

დღისით სადგურის გზაზე დავბორიალებდი ხოლმე იმ იმედით, ეგებ მისის გრეისს თვალი მოვკრა-მეთქი. იმ მწვანე რკინის ჭიშკარსაც ჩავუვლიდი ხშირ-ხშირად, საგანგებოდ ფეხსაც ვითრევდი და ვოცნებობდი, ნეტავ ისიც ისევ გამოვიდოდეს სახლიდან, როგორც იმ პირველ დღეს მისი ქმარი გამოვიდა-მეთქი, მაგრამ ქალი ჯიუტად არ იცვლიდა ფეხს შინიდან. მერე, სასოწარკვეთილი, ბაღშიც ვიჭყიტებოდი, თოკზე გაფენილ სარეცხს ვათვალიერებდი, მაგრამ იქ მეტწილად ბავშვების მოკლე შარვლები და წინდები შრებოდა ხოლმე; ერთი-ორჯერ ქლოის საცვლებსაც მოვკარი თვალი, მაგრამ ეგ ვერაფერი ნუგეში იყო. ცხადია, ოჯახის უფროსის ფართხუნა, მორუხო-მოყავისფრო ნიფხვებსაც ხშირად ვხედავდი, ერთხელ კი იმისი საბავშვო სათლივით ქუდიც მეცა თვალში, თოკზე უცნაურად ჩამოკონწიალებული. მისის გრეისისა კი ერთადერთი შავი საცურაო სამოსი დავინახე, ბრეტელებით

ჩამოკიდებული, მომჩვარული და შეურაცხმყოფლად გამოცარიელებული, ამჯერად – მშრალი, რის გამოც ახლა სელაპის კანს კი არა, უფრო შავი ავაზის ტყავს წააგავდა. ფანჯრებსაც ვათვალიერებდი, განსაკუთრებით – ზედა სართულის საძინებელს და ერთ დღესაც – როგორ შემიხტა გული! – ბედმა გამიღიმა, ფარდის იქით თითქოს შიშველი თეძო დავლანდე, რაც, ეჭვი არაა, მხოლოდ მისი სხეულის ნაწილი თუ შეიძლებოდა ყოფილიყო... მერე ნანატრი სხეული შეირხა და ქმრის ბანჯგვლიან მკლავად გადაიქცა. ეტყობა, უნიტაზზე იჯდა და ქაღალდის მოსახევად თუ გაიწვდინა ხელი.

ბოლოსდაბოლოს ის დღეც დადგა, როცა კარი მართლაც გაიღო, მაგრამ სახლიდან როუზი გამოვიდა – ისე გამომხედა, თვალი ავარიდე, თავი ჩავღუნე და საჩქაროდ გავეცალე იქაურობას. კი, როუზმა იმთავითვე შემატყო ყველაფერი. ცხადია, ახლაც მატყობს.

მტკიცედ გადავწყვიტე, როგორმე უნდა შემეღწია შიგნით, იქ მევლო, სადაც მისის გრეისი დადიოდა, იქ დავმჯდარიყავი, სადაც ის ჯდებოდა, იმ საგნებს შევხებოდი, რასაც ის ეხებოდა. ამ მიზნის მისაღწევად გადავწყვიტე, ქლოი და მისი ძმა გამეცნო. ასეთი რამეები ბავშვობაში იოლია, თუნდაც ჩემისთანა უკარება ბიჭისთვის. ამ ასაკში არც ვინმეს წარდგენა გჭირდება, არც ზრდილობისთვის ხარკის გადახდა, საკმარისია, უბრალოდ, თვალში მოხვდეთ ერთმანეთს და მერე იმას დაელოდო, რაც თავისთავად მოხდება. ერთ დღეს და-ძმა სანაპირო კაფეს წინ მობორიალე დავლანდე. იქამდე ვუთვალთვალე, სანამ თვითონაც შემამჩნევდნენ, მერე კი გზა გადავჭერი, მივადექი და გავჩერდი. მაილზი დიდი მონდომებით მიირთმევდა ნაყინს; ყველა მხრიდან თანაბრად ლოკავდა, როგორც კატა თავის კნუტს, ქლოის კი, მგონი, თავისი

უკვე შეესანსლა და ახლა მოწყენილი ელოდებოდა, როდის მოათავებდა მისი ძმა ამ საქმეს. კაფეს კარს მიყრდნობოდა, ცალი სანდლიანი ფეხის წვერი მეორეზე დაებჯინა და გულგრილი სახე მზისთვის მიეფიცხებინა. არაფერი მითქვამს და არც იმათ გაუღიათ ხმა. ასე ვიდექით სამნი, დილის მზისგულზე. კაფედან გამომავალი წყალმცენარეებისა და ვანილის სურნელში გახვეულები, და კიდევ იმის, რასაც იქ ყავად ასაღებდნენ. ბოლოს ქლოიმ, როგორც იქნა, თავი დახარა, მზერა, რატომღაც, ჩემს მუხლებს მიაპყრო და ვინაობა მკითხა. სრული გვარ-სახელი ვუთხარი და იმანაც ისე გაიმეორა, თითქოს კბილებით ამოწმებდა ლითონის ფულს – ყალბი ხომ არაა.

– მორდენი? – ჩამეკითხა. – ეგ რანაირი გვარია?

სადგურის გზას გავუყევით. წინ მე და ქლოი მივაბიჯებდით, უკან მაილზი მოკუნტრუშობდა და ლამის ქუსლებზე გვაბიჯებდა ხან მე და ხან იმას. ქალაქიდან ვართო, მითხრა ქლოიმ. ან იმის თქმა რად მინდოდა. შენ სად ცხოვრობო, მკითხა მერე და მეც მხრები ავიჩეჩე.

– ქვევითკენ... ეკლესიას რომ გასცდები, იქ.

– სახლი გაქვთ ნაქირავები თუ სასტუმროში ცხოვრობთ?

წუთს არ კარგავდა. ერთი პირობა ვიფიქრე კიდეც, ვიცრუებ და ვეტყვი, „გოლფში" ვცხოვრობ-მეთქი, მაგრამ დროზე მივხვდი, რა მოკლე ფეხიც ექნებოდა ამნაირ ტყუილს.

– ფიცრულში, – ჩავიბურტყუნე.

– ყოველთვის მინდოდა, აგარაკზე მეცხოვრა, – ფიქრებში წასულმა დამიქნია თავი.

ვერაფერი ნუგეში იყო. პირიქით, წამში თვალწინ დამიდგა გადაბრეცილი ჩეჩმა ზედ ჩემი ფანჯრების წინ. მარცხენა მხარეს, ჟანგიან ლურსმანზე წამოგებული გაზეთების მონახევების სუნიც კი მეცა თითქოს...

„კედრებს“ მივადექით და ჭიშკართან ავიტუზეთ. სახლის წინ მანქანა იდგა. ეტყობა, სულ ცოტა ხნის წინ გაეჩერებინათ – ძრავა ჯერ კიდევ თბილი იყო და ნაღვლიანად ტკაცუნობდა. სახლიდან რადიოს ხმა გამოდიოდა – ორკესტრი რაღაც მიბნედილ საცეკვაოს უკრავდა და წარმოვიდგინე, როგორ ტრიალებდნენ ოთახში მისის გრეისი და იმისი ქმარი: ავეჯს გარს უვლიდნენ, ქალს თავი უკან გადაეგდო, შიშველი ყელი მოეღერებინა, კაცი კიდევ, სატირივით უკანა ფეხებზე სასაცილოდ შემდგარი, ვნებიანად შესცინოდა სახეში: დაბალსა და ბანჯგვლიანს, პატარა, წვეტიანი კბილები გამოეჩინა და ცივი, უფერული თვალები ჟინმორეული ვნებით უელავდა. ქლოი სანდლის წვერით ხრეშზე რაღაცებს ხაზავდა; წვივებზე ქერა ღინღლი უბზინავდა, თუმცა კი გლუვი მუხლისთავები რიყის ქვასავით გადაპრიალებოდა. უცებ მაილზი შეხტა, შეიკუნტრუშა – თითქოს რაღაც გაუხარდაო, მაგრამ თან ისე არაბუნებრივად, იფიქრებდი, დასაქოქ სათამაშოს წაჰკრა ვიღაცამ თითიო. მერე ხუმრობით კეფაში მითავაზა გაშლილი ხელი, შეტრიალდა და ახითხითებული, ღობეზე გადაძვრა, ეზოში ჩახტა, ისევ ჩვენკენ შემოტრიალდა, ჯერაც მუხლებში მოხრილი და ხელებგაშლილი, და ტაშის მომლოდინე ცირკის მუშაითივით გაირინდა. ქლოი დაიჭყანა, ტუჩი აიბზუა.

– ყურადღებას ნუ მიაქცევ, – ხმაში დაღლილობა და გაღიზიანება ეტყობოდა. – ლაპარაკი არ შეუძლია.

ტყუპები იყვნენ, მე კი ცხოვრებაში არ მენახა ტყუპები და ახლა თან ცნობისმოყვარეობა მომეძალა და თან ცოტა დავიძაბე კიდეც. თითქოს რაღაც უგვანიც კი იყო მათში: მართალია, გოგო-ბიჭი იყვნენ და მთლად ერთნაირები ვერც იქნებოდნენ – ზუსტად ერთნაირი ტყუპების წარმოდგენაზე ტანში გამცრა – მაგრამ მათ შორის მაინც იყო რაღაც არც მთლად

ბუნებრივი იგივეობა. ნეტავ როგორია? აი, ორი სხეული რომაა და ერთი გონება? თუ მართლა ასეა, ამაზე ფიქრიც არ მინდა. როგორი წარმოსადგენია, როცა ვიღაცამ იმთავითვე შიგნიდან იცის მეორის სხეულის ყველა ნვრილმანი, იმის ყველა ორგანო, სუნი თუ მოთხოვნილება? რა უნდა ქნა ამ დროს? სიგიჟემდე მინდოდა გამეგო. ერთხელ, ნვიმიან კვირა დღეს, იქაურ მომცრო კინოდარბაზში – ცოტა ნინ ვუსწრებ ამბავს – ფილმს ვუყურებდით, რომელშიც ორი პატიმარი ციხიდან გარბის, ერთმანეთზე ჯაჭვით გადაბმული. ჩემ გვერდით მჯდომმა ქლოიმ ცქმუტვა დაიწყო, მერე არ ვიცი, ამოიოხრა თუ ჩაიფხუკუნა და გადმომიჩურჩულა: „აგე, მაილზი და მე!" დავიბენი, ვიგრძენი, როგორ გავწითლდი და გამიხარდა, სიბნელეში რომ ვისხედით. შეიძლება რაღაც ძალიან პირადულსა და სასირცხოსაც კი აღიარებდა ამით. და მაინც, ეს ნათქვამი მსგავსი სიახლოვის არაბუნებრიობაზე მინიშნებად მეჩვენა, რამაც უფრო მეტის გაგების მოურეველი სურვილი კი გამიჩინა, მაგრამ თან რაღაცნაირად შევჩქვიფდი კიდეც. ერთხელ – ახლა კიდევ უფრო ნინ ვუსწრებ სათქმელს – როცა სითამამე მეყო და ქლოის პირდაპირ ვკითხე, მაინც რა გრძნობა გაქვთ ერთმანეთის მიმართ-მეთქი, წამით ჩაფიქრდა, ხელები სახესთან მიიტანა, ხელისგულები ერთმანეთს მიუახლოვა, თუმცა ბოლომდე არ შეუტყუპებია, როგორც ორ მაგნიტსო, – მითხრა, – ოღონდ ერთმანეთს რომ იზიდავენ და თან განიზიდავენ კიდეცო. მერე კარგა ხანს აღარ გაუღია ხმა, თითქოს იგრძნო, რაღაც სამარცხვინო საიდუმლო გავამხილეო. ზურგი შემაქცია და მეც წამით სწორედ ისეთივე შიშისმომგვრელი თავბრუსხვევა ვიგრძენი, როგორიც დიდხანს წყალქვეშ ჩაყურყუმალავებულს მეუფლებოდა ხოლმე. აი, ასეთი იყო ქლოი – მუდამ ერთიანად გაფორიაქებდა.

და-ძმას შორის კავშირი ლამის ფიზიკურად საგრძნობი ჩანდა. ჩემი წარმოსახვით, აბლაბუდას ჰგავდა, ან ფოთლიდან ფოთოლზე გადახოხებული ლოკოკინას მბრწყინავ ნაკვალევს, ოღონდ თან თითქოს ნაწრთობი ფოლადისა იყო, მოჭიმული, როგორც ქნარის სიმი თუ გაროტა. გადაბმულნი, არა, მიდულაბებულნი იყვნენ ერთმანეთზე. ერთნაირად აღიქვამდნენ საგნებს, ერთნაირად სტკიოდათ, ერთი განცდა და შიში ეუფლებოდათ ხოლმე. და ზიარი ფიქრებიც. ღამღამობით გაეღვიძებოდათ, იწვნენ და ერთმანეთის სუნთქვას აყურადებდნენ – ერთნაირი სიზმარი ხომ არ დაგვესიზმრაო. ოღონდ სიზმრებს ერთმანეთს არ უყვებოდნენ, ან რაში სჭირდებოდათ, ისედაც ყველაფერი მშვენივრად იცოდნენ.

მაილზი დაბადებით მუნჯი იყო. უფრო სწორად, სიტყვა არასოდეს უთქვამს. ექიმებმა მისი ჯიუტი დუმილის ვერანაირი მიზეზი ვერ დაადგინეს. მერე აღიარეს კიდეც, რაღაც ძაან საეჭვოა ეს ყველაფერიო. ჯერ ეგონათ, უბრალოდ, გვიან განვითარდება და როცა იქნება, ყველა დანარჩენივით ალაპარაკდებაო, მაგრამ გადიოდა წლები და ის კრინტსაც არ ძრავდა. როგორც ჩანს, არავინ იცოდა, ჰქონდა ლაპარაკის უნარი და შეგნებულად ამჯობინებდა დუმილს თუ რამე სხვა მიზეზი იყო. მუნჯი იყო თუ უენო? უენო თუ მუნჯი? თუ ჰქონდა ხმა, რასაც არასოდეს ამხელდა და თავისთვის ლაპარაკობდა ხოლმე, მარტოდმარტო დარჩენილი? წარმოვიდგენდი, როგორ ეჩურჩულებოდა ღამღამობით საკუთარ თავს საბნის ქვეშ შეყუჟული და თავისებურად ეშმაკური, ონავრული ღიმილით ილიმებოდა... ან იქნებ მარტო ქლოის ელაპარაკებოდა? მაშინ, ალბათ, რამდენს იცინოდნენ შუბლებმიდებულები და ერთმანეთის კისერზე ხელმოხვეულები, ამ საერთო საიდუმლოთი კიდევ უფრო დაახლოებულები!

– ალაპარაკდება, როცა რამე ექნება სათქმელი... – ჩვეული, მოჩვენებითი უდარდელობით იტყოდა ხოლმე მამამისი.

აშკარა იყო, მისტერ გრეისს ვაჟიშვილზე ნამდვილად არ ამოსდიოდა მზე და მთვარე. მასთან პირისპირ დარჩენას ერიდებოდა და როცა კი შეეძლო, გაურბოდა. ვერც გაამტყუნებდი, რადგან მაილზთან ყოფნა იმ ოთახში შესვლას ჰგავდა, საიდანაც ეს-ესაა, ვიღაც გავარდნილიყო კარის ჯახუნით. მისი სიმუნჯე თავგზას გიბნევდა და გთრგუნავდა. არაფერს ამბობდა, მაგრამ ჩუმადაც არასოდეს იყო. სულ რაღაცას ეპოტინებოდა, ეჯაჯგურებოდა, მოისროდა ხოლმე და აბრახუნებდა. ხორხიდან კი მუდმივად ამოსდიოდა მშრალი, სუსტი ხავილი და მუდმივად გესმოდა კაცს, როგორ სუნთქავდა. დედა ერთგვარი დაუდევრობით ეპყრობოდა: დღის მდინარებას აყოლილი – დიდი მსმელი არასდროს ყოფილა, თუმცა ცოტ-ცოტას და ხშირ-ხშირად კი წრუპავდა ხოლმე, გუნება-განწყობის გამოსასწორებლად – თითქოს მოულოდნელად შეამჩნევდა, თითქოს ბოლომდე ვერც სცნობდა, კოპებს შეკრავდა, მერე კი უცებ გაუღიმებდა, საწყლად, უიმედოდ.

ნიშნების ენა რიგიანად ვერც ერთმა მშობელმა ვერ ისწავლა და მაილზს რაღაც მოგონილი, უცნაური პანტომიმის მეშვეობით აგებინებდნენ სათქმელს, რაც იმდენად ურთიერთობის დამყარების მცდელობას არ ჰგავდა, რამდენადაც ხელის უბრალო აქნევას – აქედან დაგვეკარგეო. ის კი ყველაფერს მშვენივრად ხვდებოდა, ხშირად მანამდეც კი, ვიდრე ისინი თავიანთ მიმიკურ ტანჯვა-წვალებას მოამთავრებდნენ, რაც მშობლებს კიდევ უფრო აღიზიანებდათ. დარწმუნებული ვარ, გულის სიღრმეში ორივეს ცოტა აშინებდა კიდეც ასეთი შვილის ყოლა და არც ეს მიკვირს: ალბათ იმგვარი განცდა

ჰქონდათ, თითქოს ზედმეტად ხილულ, ზედმეტად ხელშესახებ პოლტერგეისტთან ერთად ერთ ჭერქვეშ ეცხოვრათ.

ჩემდათავად, მრცხვენია, ან ყოველ შემთხვევაში, ამის თქმა უნდა მცხვენოდეს კიდეც, მაგრამ მაილზი იმ ძაღლს მაგონებდა, ერთხელ რომ მომიყვანა მამაჩემმა: მოუსვენარ, დაუდგრომელ ტერიერს, რომელიც ძალიან კი მიყვარდა, მაგრამ ერთხელ, როცა არავინ მიცქერდა, სასტიკად ვცემე მხოლოდ იმიტომ, რომ საოცარ სიამოვნებას მანიჭებდა მისი საცოდავი წკავწკავი და წკმუტუნი. საწყალი პონგო!

მაილზს წვრილ-წვრილი თითები და გოგოსავით თხელი, მყიფე მაჯები ჰქონდა. მაცოფებდა ხოლმე: ხან სახელოზე მომქაჩავდა, ხან ქუსლებზე დამაბიჯებდა ფეხს, ხან იღლიის ქვეშ შემოყოფდა თავს და სულელურად გაღრეჭილი შემომცინებდა, ვიდრე ბოლოს მოთმინებიდან არ გამომიყვანდა, არ ვეცემოდი და ძირს არ დავანარცხებდი. იოლი საქმე კი იყო, მაშინაც უკვე აწოწილი ვიყავი – მთელი თავით მასზე მაღალი და ჯანიანიც. მაგრამ როცა წამოვაქცევდი, მერელა ვიწყებდი ფიქრს, ახლა რაღა ვუყო-მეთქი; რადგან თავს თუ გავანებებდი, ისევ ისე ამეტორღიალებოდა, აბეზარი ლეკვივით. მკერდზე გადავაჯდებოდი ხოლმე და საზარდულით ვგრძნობდი, როგორ უხტუნავდა გული, როგორ ეძაგრებოდა მუცელი, როგორ აუდ-ჩაუდიოდა ნეკნები; კანი ეჭიმებოდა სახეზე და მაინც შემომცინოდა, აქოშინებული. სველ, უსარგებლო ენას მიყოფდა. თუმცა ვითომ გულისგულში – ან არ ვიცი, სხვაგან სად ბინადრობს შიში – მეც ხომ არ მეშინოდა მისი?

ბავშვობის დაუწერელი იდუმალი წეს-კანონის თანახმად – ვიყავით კი ოდესმე ბავშვები? იქნებ უფრო სხვა სიტყვა შეგვეფერებოდა? – იმ პირველ დღეს, როცა სანაპირო კაფესთან გავიცანი, შინ არ შევუპატიჟებივარ. მართალი გითხრათ,

ახლა ვერც ვიხსენებ, როდის და რა ვითარებაში აღმოვჩნდი საბოლოოდ „კედრებში". იმ პირველი, შემთხვევითი შეხვედრის მერე კი მახსოვს, როგორი იმედგაცრუებული გამოვეცალე იმათ მწვანე ჭიშკარს. მერე უკვე სხვა დღე მიდგება თვალწინ, როცა ბოლო-ბოლო, იმ საოცნებო სივრცეში შევაღწიე. თითქოს მეც, რაღაც ჯადოს წყალობით, მაილზივით გადავევლე ღობეს, ყველა წინაღობა გადავლახე და პირდაპირ სასტუმრო ოთახში ამოვყავი თავი. ვხედავ, მზის ირიბ შუქში ვდგავარ, მისის გრეისს ტანზე ხალვათად მომდგარი, ყვავილებიანი კაბა აცვია, ღია ცისფერი, ლურჯით გაწყობილი; მაგიდისკენ წახრილი, ჩემკენ ტრიალდება და მიღიმის – შეგნებულად არაფრისმთქმელად. ეტყობა, წარმოდგენა არა აქვს, ვინ ვარ, თუმცა მაინც დარწმუნებულია, რომ გულითადად უნდა მომესალმოს; ხვდება, პირველი შემთხვევა არ უნდა იყოს, როცა ერთმანეთისთვის მოგვიკრავს თვალი. და ქლოი სადღა იყო ამ დროს? ან მაილზი? დედასთან მარტო რატომ დამტოვეს? მკითხა, რამე ხომ არ გინდა – მაგალითად, ცივი ლიმონათიო? იქნებ ვაშლი? – აგრძელებს ცოტა შემცბარი. უარის ნიშნად უხმოდ ვაქნევ თავს. მის გვერდით ყოფნამ თან გულისცემა ამიჩქარა და თან რაღაც ჩემთვის გაუგებარი დარდი გამიჩინა. ვინ იცის, რა კლანჭები ძიძგნიან პატარა ბიჭის გულს? თავი გვერდზე გადახარა, ცოტა გაკვირვებულმა და თან გამხიარულებულმა – ეგ აშკარად ეტყობოდა – ჩემს ამგვარ ჯიუტ სიმორცხვეზე ეცინებოდა. ვინ იცის, სანთლის ალთან მოფარფატე ფარვანას ვაგონებდი, ან სულაც თავად სანთელს, საკუთარი ალის მცხუნვარება რომ ადნობს.

ნეტავ მაგიდასთან რას საქმიანობდა? ყვავილებს თუ ასწორებდა ლარნაკში. ან იქნებ მახსოვრობა მღალატობს? ის წუთი მხოლოდ ფერად, ჭრელ-ჭრელ ნაკუწებად მახსოვს, მისი

თითების თვალისმომჭრელ ციმციმად. ცოტა ხანს ამაზე შევყოვნდები, სანამ ჯერ როუზი გამოჩნდებოდეს, მერე კი მაილზი და ქლოი დაბრუნდებოდნენ, არ ვიცი, საიდან და მისი ბანჯგვლიანი ქმარიც შემოეხეტებოდეს კადრში. მალე ის აღარ იქნება ჩემი ყურადღების ერთადერთი საგანი. ღმერთო, როგორ მჭრის თვალს ეს შუქი – ნეტავ საიდან? ეკლესიაში გეგონება თავი, თითქოს რაღაც ჯადოქრობის წყალობით, არარსებული ვარდისებრი ფანჯრიდან იფრქვევა ქვემოთ. უფრო იქით კი, გამოკეტილი ოთახების მრუმე სიმარტოვეში, ჩემი მახსოვრობა დაძაბული დაეძებს წვრილ-წვრილ ნივთებსა თუ მოზრდილ საგნებს, წარსულის უტყვ მოწმეებს. მისის გრეისი, კონსტანსი, კონი ჯერ ისევ მიღიმის, გულსგარეთ. ახლაღა ვხვდები, როგორ უცქერდა საერთოდ ყველაფერს, ცოტა არ იყოს, სამყაროს სიმყარეში დაეჭვებული, მუდამ იმის მომლოდინე, აი, ახლა გადაიქცევა სულ სხვა რამედ ან აი, ახლაო.

მაშინ ალბათ ვიტყოდი, ულამაზესი ქალია-მეთქი, თუკი, რა თქმა უნდა, მეყოლებოდა ვინმე, ვისთანაც მსგავს რამეზე საუბარი შემეძლებოდა. მაგრამ ახლა ვხვდები, რომ სინამდვილეში სულაც არ იყო ასე. არც აღნაგობით გამოირჩეოდა, ხელებიც ხორციანი და მოწითალო ჰქონდა; ცხვირზე კეხი აჩნდა, ხოლო ორად გაყოფილი, მეჩხერი თმის ის კულულები, წამდაუწუმ ყურებს უკან რომ იმაგრებდა და მაინც ჯიუტად ჩამოეშლებოდა ხოლმე, ოდნავ უფრო მუქად მოუჩანდა და მუხის პარკეტივით უბზინავდა. სიარულიც მოუქნელი იცოდა და ზაფხულის მსუბუქ კაბებქვეშ თეძოებს მძიმე-მძიმედ მოათამაშებდა. ოფლისა და სამზარეულოს სუნი დაჰკრავდა, თუმცა კი სულ ოდნავ. მოკლედ, ერთი ჩვეულებრივი ოჯახის ქალი იყო, ჩვეულებრივი დედა. და მაინც, ჩემთვის, მთელი ამ ჩვეულებრიობის მიუხედავად, ისეთივე მიუწვდომელი, ისეთივე უიმედოდ სასურველი

რჩებოდა, როგორც ნებისმიერი სიფრიფანა, დახვეწილი, ნახატიდან გადმოსული ბანოვანი. თუმცა არა – საკუთარ თავთან მაინც უნდა ვიყო მართალი – გინდა ბავშვობით ვიმართლო თავი და გინდა რომანტიკოსობა დავიბრალო. ჩემთვისაც კი, არც სიფრიფანა ჩანდა და არც კალმით ნახატი. თავ-ფეხიანად ნამდვილი იყო, მიწიერი, ფერ-ხორციანი და მადის აღმძვრელი. საქმეც ეგ იყო: ერთსა და იმავე დროს ჩემი წარმოსახვის გვირგვინად რომ რჩებოდა და თან სრულიად ჩვეულებრივ, ხორციელ ადამიანად მეჩვენებოდა. ახლა უკვე წარსულს ჩაბარდა ჩემი უმანკო ზმანებები გადარჩენასა და უანგარო მზრუნველობაზე, ახლა მოუთოკავი ხილვები მომეძალა, მხურვალე და თან უიმედოდ დაცლილი იმ არსებითი შემადგენლისაგან, რასაც ცხელ ქვიშაზე მისი ტანის სიმძიმის ქვეშ მოქცევა ერქმეოდა – მინებება, მიყოლა და მის თეძოებს შორის მომწყვდევა, ერთდროულად მის ბავშვად და საყვარლად ყოფნა...

ხანდახან სრულიად მოულოდნელად დამიდგებოდა თვალწინ: შიგნეული ამომიტრიალდებოდა და მთელ ჩემ არსებას ერთიანად გადაუვლიდა წადილის მწველი ტალღა. ერთხელ, ნაწვიმარზე, საღამოს მომწვანო ბინდ-ბუნდში, როცა მზის ნოტიო სხივი ჯერაც იჭყიტებოდა ფანჯარაში და მგლისკბილას ნამიან ბუჩქებშიც ამ დროისათვის სრულიად შეუფერებლად ხმიანობდა შაშვი, პირქვე ვიწექი საწოლზე, დაუკმაყოფილებელი ჟინით გათანგული. ჟინი შარავანდივით რიალებდა ჩემივე საცრფოს სახების ირგვლივ, მაგრამ არაფერს უღრმავდებოდა, და უცებ – ჩემდა უნებურად – ხმამაღალი, მწარე, გულამოსკვნილი ტირილი ამიტყდა. დედაჩემმა გაიგონა და ოთახში შემოვიდა, თუმცა ამჯერად, ჩემდა გასაკვირად, არაფერი უთქვამს, არადა, ჯიქურ გამოკითხვასა და თავში წათაქებასაც კი ველოდი – მხოლოდ ბორგვის დროს ძირს გადავარდნილ

ბალიშს დასწვდა და მცირე ყოყმანის შემდეგ ისევ გავიდა, უხმაუროდ მიიკეტა ზურგს უკან კარი. ვერც მაშინ მივხვდი და ახლაც ვერ ვხვდები, რა წარმოიდგინა ჩემი ცრემლების მიზეზად. ვითომ მიმიხვდა, სიყვარულის სატანჯველი რომ შემყროდა? ვერ დავიჯერებ. ის ხომ მხოლოდ ჩემი დედა იყო, აბა, რანაირად გამიგებდა იმ ქარცეცხლს, რაც ჩემს სულში ტრიალებდა და ჯერაც ბავშვურად სუსტ ფრთებს მიბუგავდა? ეჰ, დედაჩემო, რა ცუდად მცნობიხარ, თურმე როგორ ვცდებოდი, როცა მეგონა, ჩემი საერთოდ არაფერი ესმის-მეთქი.

მოკლედ, ვდგავარ ჩემთვის სამყაროს ჭიპზე და ზემოდან ნათლის სვეტი მადგას, გვერდით კი ეს ყვავილებია – ვითომ ნარგიზები? ახლა, რატომღაც, სწორედ ნარგიზები დამიდგა თვალწინ. ქერათმიანი მისის გრეისი კი ვაშლს მთავაზობს, რომელიც სინამდვილეში არსად ჩანს და ასე მგონია, ყველაფერი ჭრიალ-ჭრიალით, თავბრუდამხვევად დაქანდება და ამოტრიალდება, უამრავი რამ მოხდება ერთბაშად და ერთდროულად. აი, გამოღებულ კარში პატარა, შავი, ბანჯგვლიანი ძაღლი შემოვარდა – ახლა, რატომღაც, მოქმედების ადგილი შეიცვალა და სასტუმრო ოთახი სამზარეულოდ იქცა – ბრჭყალებით გამალებული ფხოჭნის ფიჭვის იატაკს, კბილებში ჩოგბურთის ბურთი მოუგდია. იმწამსვე მაილზიც შემოჰყვა, იმას კი უკან როუზი მოსდევს. ბიჭმა მართლა თუ ვითომ წაიფორხილა ძირს დაფენილი ნოხის აპრეხილ კიდეზე, წაიქცა, წამოხტა, ისევ გაგორდა, გადაკოტრიალდა, კინალამ დედაც წამოაქცია, იმანაც შიშნარევი ბრაზით უყვირა – *თუ ღმერთი გწამს, გაჩერდი, მაილზ!* – ყურპარტყუნა ძაღლმა კი ამასობაში გეზი იცვალა, მაგიდის ქვეშ შევარდა, ჯერაც კბილებში ბურთგაჩრილი. როუზი თითქოს წაეტანა, მაგრამ ცხოველი გვერდზე გახტა. თვალნათლივ ვხედავ: კარლო გრეი-

სი შემოდის, თავად უსასრულო დროის განსახიერებასავით – შორტი და სანდლები აცვია, მხარზე დიდი, ხაოიანი პირსახოცი გადაუკიდია და ბანჯგვლიან ფაშვს წინ-წინ მოაგორებს. მაილზისა და ძაღლის დანახვაზე ვითომ ბრაზობს, მუქარით აბაკუნებს ფეხს, ძაღლიც ბურთს აგდებს და მერე ის და ბიჭი ისევე მოულოდნელად უჩინარდებიან, როგორც გამოჩნდნენ. როუზი იცინის – წვრილი ჭიხვინივით ხმა ამოსდის ყელიდან; სწრაფად, შეფარულად ესვრის მზერას მისის გრეისს და ტუჩს იკვნეტს. კარი ჯახუნობს და სწრაფი ექოსავით, ახლა ზემოდანაც მოისმის სხვა კარის გაჯახუნება – ეს უკვე საპირფარეშოში – და წუთით ადრე გავსებული უნიტაზის ავზიც სულშეხუთული იწყებს ბუყბუყს. ძაღლის დაგდებული ბურთი ნელა მიგორავს, ზედ დორბლი უბრწყინავს და შუა ოთახში ჩერდება. უცნობის დანახვაზე – ეტყობა, აღარც ახსოვს, როგორ ჩამიკრა მაშინ თვალი – მისტერ გრეისი კოპებს იკრავს, თავს უკან სწევს და გვერდზე კისერგადაგდებული, ვითომდა ყურადღებით მათვალიერებს, დამცინავად ცალთვალმოჭუტული. კიბეზე ქლოის ფეხის ხმა გავიგონე, მისი სანდლების ტყაპა-ტყუპი. თუმცა სანამ შემოვიდოდა, მისის გრეისმა ქმარს წარუდგინა ჩემი თავი – მე მგონი, ჩემს ცხოვრებაში პირველი შემთხვევა იყო, როცა ვიღაცის წინაშე ოფიციალურად წარმადგინეს. თუმცა სახელისა და გვარის თქმა თავადვე მომიწია, რადგან მისის გრეისს მოესწრო და დაევიწყებინა. ვითომ დიდი პატივისცემით ჩამომართვა ხელი, *ძვირფასო ბატონო*, მომმართა კიდეც, კოკნის ყაიდაზე მოუქცია და საჯაროდ განაცხადა: *ჩვენი ბავშვების მეგობარი, მთლათ ჩვენიანიაო...* ქლოიმ თვალები გადაატრიალა და უკმაყოფილოდ შეათამაშა მხრები: „გეყო რა, მამა!" – გამოსცრა კბილებში. იმანაც, ვითომდა ქალიშვილის შიშით აღარ ვარო, საჩქაროდ მიშვა

ხელი, პირსახოცი თავშალივით მოიხვია და ჩქარი ნაბიჯით, თითისწვერებზე გავიდა ოთახიდან, თან ღამურასავით მიწრიპინებდა – აქაოდა, სანამ ლამაზი ვარ, თავს ვუშველოო. მისის გრეისი ამ დროს სიგარეტს უკიდებდა, ქლოის კი ჩემკენ არც გამოუხედავს, თვითონაც კართან მიირბინა და მამას დაადევნა: „მეც გამიყოლე, გესმის?" მანქანის კარი გაჯახუნდა, ძრავა აღმუვლდა და ფართო საბურავებმა ხრეში მოფხოჭნა. „ჯანდაბა!" – გაბრაზდა ქლოი.

მისის გრეისი მაგიდას დაყრდნობოდა – იმას, რაზეც ნარგიზები იდგა, რადგან, რაღაც ჯადოქრობით, ისევ სასტუმრო ოთახში ამოვყავით თავი. სიგარეტს აბოლებდა, ზუსტად ისე, როგორც იმ დროის ქალებს სჩვეოდათ: იდაყვში მოხრილ ცალ ხელს მეორის მტევნით იმაგრებდა ქვემოდან. წარბებაწკეპილმა, გამომხედა, უხალისოდ გამიღიმა, მხრები აიჩეჩა და ქვედა ტუჩიდან თამბაქოს ნამცეცი ნეკა თითით მოიშორა. როუზი დაიხარა, ცხვირაბზუებულმა, დადორბლილი ბურთი ამრეზით აიღო. ჭიშკრის იქით მანქანის ორი მხიარული დაპიპინება გაისმა და მანქანაც ღმუილით გაუყვა შარას. ძაღლი გადარეული იყეფებოდა, ისევ თავის ბურთს ითხოვდა.

რაც შეეხება ძაღლს, მერე აღარასოდეს მინახავს. ნეტავ ვისი შეიძლებოდა ყოფილიყო?

დღეს რაღაც უცნაურ სიმსუბუქეს ვგრძნობ: თითქოს, თუ კარგად მოვინდომებ, ავფრინდები კიდეც... ისევ ქარია. ქარი კი არა, მთლად გრიგალი. ეტყობა, ამიტომაც მეხვევა თავბრუ. საერთოდ, ამინდის მიმართ ყოველთვის ზედმეტად მგრძნობიარე ვიყავი. ბავშვობაში, ზამთრობით, საღამოხანს რადიოსთან მოვკალათდებოდი ხოლმე და გემებისთვის გა-

მოთვლილ ამინდის პროგნოზს ვუსმენდი. წარმოვიდგენდი, ვითომ მეც ერთი მამაცი ზღვის მგელი ვიყავი, ქარიშხალს ვებრძოდი სადღაც, სამხრეთ-დასავლეთის წყლებში – იმედისა თუ ცეცხლოვან კონცხთან, ან სადმე სხვაგან, შორეულ სანაპიროებთან. ხშირად მერეც, უკვე ზრდასრულს, იგივე გრძნობა მეუფლებოდა ხოლმე, როცა ანასთან ერთად ჩვენს ლამაზ ძველ სახლში ვცხოვრობდი, მთებსა და ზღვას შორის; როცა შემოდგომაზე, საბუხრე მილში ქარი ღმუოდა და ყალყზე შემდგარი, ქაფიანი ტალღებიც გრუხუნით ეხეთქებოდნენ კლდეებს. მოკლედ, იქამდე, ვიდრე ჩვენ ფერხთით უფსკრულმა არ დააღო ხახა მისტერ ტოდის მისაღებში – სუნით ძალიან რომ ნააგავდა საგანგებოდ გალოკილ საპარიკმახეროს; და ხშირად მიფიქრია გაოცებულს, რამდენი სიკეთე გამოუმეტებია ჩემთვის ცხოვრებას-მეთქი. თუკი რადიოსთან მეოცნებე იმ ბავშვს ვინმე ჰკითხავდა, რა გინდა რომ გამოხვიდეო, საბოლოო შედეგი მეტ-ნაკლებად მართლა დაემთხვეოდა მაშინდელ ნაოცნებარს. ამაში ეჭვიც არ მეპარება და თუ ჩემს ამჟამინდელ სადარდებელსაც გავითვალისწინებთ, მართლა დამაფიქრებელი ამბავია: განა ადამიანთა უმრავლესობა, სასოწარკვეთის ბორკილებს თავს რომ ვერაფრით აღწევს, განბილებული არაა საკუთარი ხვედრით?

საინტერესოა, ნეტავ ბავშვობაში სხვებსაც თუ წარმოედგინათ ერთდროულად ბუნდოვნად და დეტალურად, როგორები იქნებოდნენ ზრდასრულ ასაკში? არა, იმედებსა და მისწრაფებებზე არ ვლაპარაკობ და არც ბოლომდე გაუაზრებელ ოცნებებზე – იმთავითვე ზუსტად და მკაფიოდ წარმომედგინა, რისი მოლოდინი უნდა მქონოდა: არც მემანქანეობაზე მიოცნებია და არც სახელოვანი მოგზაური მინდოდა გავმხდარიყავი. როცა მეტისმეტად რეალური წარსულიდან

დაჟინებით ვუცქერ ბინდში ნეტარად წარმოსახულ აწმყოს, ეს, როგორც უკვე ვთქვი, ზუსტად ისაა, როგორც მაშინ ვხედავდი მომავალს, ანუ – კაცს, ვისი საქმე და გასართობიც ერთმანეთს დამთხვევია, ზედმეტი პატივმოყვარეობა არ ტანჯავს, დამჯდარა ზუსტად ამნაირ ოთახში, თავის სარწეველა-სკამზე, მაგიდისაკენ წახრილი – წელინადის სწორედ ამ დროს, როცა მომაკვდავი შემოდგომა მყუდროდ გატრუნულა, ფოთლები დაფრინავენ, დღეს თანდათან აკლდება ძალა და ყოველ საღამოს სულ უფრო და უფრო ადრიანად ანთებენ ქუჩაში ფარნებს. დიახაც, სწორედ ასეთად წარმომედგინა ჩემი ზრდასრულობა, ერთგვარად გაწელილ, უსასრულო, ნაგვიანევ შემოდგომად, სიმშვიდის განცდად, წყნარ შეგუებად, როცა ბავშვობის ლამის აუტანელი მოუთმენლობიდან აღარაფერი რჩება, ყველა მტანჯველ კითხვას პასუხი ეძებნება, ყველა საიდუმლო ამოხსნილია და წუთებიც თითქმის შეუმჩნევლად ენაცვლება ერთმანეთს ოქროს წვეთებად – საბოლოო, გარდაუვალ, შეუმჩნეველ აღსასრულამდე.

ცხადია, არსებობდა რაღაცები, რისი წინასწარ განჭვრეტის უფლებასაც ის მაშინდელი ბიჭი არც აძლევდა თავს, თავის ყველაზე თამამ ფანტაზიებშიც კი. დანაკარგი, მწუხარება, შავი დღეები და უძილო ღამეები – მსგავსი რამეები, როგორც წესი, წარმოსახვის ფოტოფირფიტაზე არ აისახებოდა ხოლმე.

როცა ამ ყველაფერზე უფრო დაჟინებით ვფიქრობ, ვხვდები, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილი მომავლის სურათი უცნაურად ძველმოდურად გამოიყურებოდა. სამყარო, რომელშიც ახლა ვცხოვრობ, მაშინდელი, თუნდაც ყველაზე თამამი წარმოდგენითაც კი, რეალურად არსებულისაგან დიდად განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო: მთლად ერთი-ერთში ეგებ არც დამთხვეოდა, მაგრამ არც სხვაობა იქნებოდა მე-

ტისმეტად თვალშისაცემი. ხალხს იგივე ფეტრის ქუდები ეხურებოდა, იმავენაირად აჭრილი პალტოები ეცმებოდა და იმნაირივე გრძელი, ზიზილ-პიპილოებით გაწყობილი მანქანებით ივლიდნენ ყველანი. ისე, მაინც სად ვნახე მსგავსი რამეები ასე მკაფიოდ რომ ჩამებეჭდა გონებაში და მომავალშიც გადმოვიტანე? ეტყობა, რაკი ცხადად არ შემეძლო მომავლის სურათი აღმექვა და თან არც იმაში მეპარებოდა ეჭვი, ამ მომავალში მეც რომ გამორჩეული პიროვნება გავხდებოდი, ეს წარმოსახული სივრცე წარმატების იმ აუცილებელი მახასიათებლებით დავტვირთე, რაც ბავშვობისდროინდელ ექიმებს, ადვოკატებსა თუ იმ პროვინციელ მეწარმეებს გამოარჩევდა, ვისთვისაც მორჩილად წევდა ჭაპანს მამაჩემი; და კიდევ, მდიდარ პროტესტანტთა იმ მცირერიცხოვან შთამომავლებს, ჯერაც მამაპაპისეულ დიდ-დიდ სახლებში რომ ცხოვრობენ ქალაქგარეთ, უკვე ბალახმოდებული გზების პირას.

თუმცა არა, არც ესაა საქმე – ასე და ამგვარადაც ვერ აიხსნება სრული სიზუსტით ჩემი ოცნებების გადაპრანჭულად ძველმოდური ხასიათი, ჩემი წარმოდგენა გარდაუვალ მომავალზე. საკუთარი თავი კი ზრდასრულ კაცად ამნაირად მესახებოდა: ვთქვათ, ძვირფასი, ჟილეტიანი კოსტუმი მაცვია, ქუდი დარდიმანდულად მომიგდია და მდიდრულ ავტომობილში მძღოლის უკან ვზივარ, მუხლებზე პლედმოხურული. ეს ხატება, როგორც ახლა ვხვდები, ეს ფუფუნება და სიბარიტული მოთენთილობა ალბათ მაინც ჩემი ბავშვობამდელი დროების გამოძახილი იყო, როცა ქვეყანა სწორედ ასე ცხოვრობდა ორ მსოფლიო ომს შორის. ამდენად, რასაც ვითომ მომავლად ვეჭვრეტდი, სინამდვილეში წარსული იყო, მხოლოდ და მხოლოდ ბავშვური ფანტაზიით აღდგენილი გარდასული დრო. მავანმა ეგებ თქვას კიდეც ჩემზე, იმდენად მომავალს არ ელ-

ტვოდა, რამდენადაც მისი ნოსტალგია ტანჯავდაო, რადგან ის რაც ჩემი ოცნების მიხედვით, მერე უნდა მოსულიყო, სინამდვილეში უკვე კარგა ხნის წინ იყო გარდასული. ახლა ჩემთვისაც კი სრულიად მოულოდნელად ვაცნობიერებ ამ არცთუ უმნიშვნელო ამბავს. ვითომ მართლა მომავალს ველოდი, თუ რაღაც სხვას, მის იქით და მის მიღმა?

სიმართლე კი ის გახლავთ, რომ თანდათან ყველაფერი გამთლიანდა – წარსულიც, შესაძლო მომავალიცა და აუტანელი აწმყოც. იმ შეშლილი დღეებისა და საზარელი ღამეების ვნების კვირების დროს, როცა ანა იძულებული გახდა, ბოლოსდაბოლოს შეჰგუებოდა მისტერ ტოდსა და მკურნალობის მისეულ მეთოდებს, მე თითქოს დაბურულ ქვესკნელში აღმოვჩნდი, სადაც ლამის შეუძლებელი ჩანდა ძილ-ღვიძილის გარჩევა, რაკი გამოღვიძებაც და ძილიც ერთნაირი გამთანგავი ბურუსით იყო მოცული. მეც აქეთ-იქით ვაწყდებოდი, აღგზნებული და ძალაგამოცლილი, თითქოს ანა კი არა, მე ვიყავი განწირული – მალე კიდევ ერთ აჩრდილად გარდასაქმნელად, უამრავ და უამრავ სხვა ლანდთა შორის. ეს იმ მოჩვენებითი ფეხმძიმობის პირქუში სახესხვაობა გახლდათ, რაც მაშინ განვიცადე, როცა ანამ გამიმხილა, ბავშვს ველოდებიო; ახლა კი მეჩვენებოდა, თითქოს მასთან ერთად უკვე მეც იმგვარივე დაავადება შემყროდა. ყოველი მხრიდან სიკვდილის წინამორბედი ნიშნები მახსენებდნენ თავს: დამთხვევები წამებად მექცა; უცებ მახსოვრობაში კარგა ხნის წინათ დავიწყებული ამბებიც ამოტივტივდნენ და მრავალი წლის წინ გამქრალი საგნებიც ხელახლა გამოჩნდნენ. თითქოს ჩემ წინ გათამაშებულ საკუთარ ცხოვრებას შევცქეროდი – არა ისე, რომ ამბობენ, დასახრჩობად განწირულს წამში გაურბენს თვალწინო, არამედ მდორე კრუნჩხვებით; ნელ-ნელა იცლე-

ბოდა ყველა უწინდელი საიდუმლოსა და გაურკვევლობისაგან იმ წამისთვის სამზადისი, როცა ქარონის ნავში უნდა ჩავმჯდარიყავი, აჩრდილთა საუფლოში რომ გადამიყვანდა უკვე გაყინულ ხელში ჩაბღუჯული სპილენძის ერთი ობოლის საფასურად. უცნაური კი ჩანდა, მაგრამ საბოლოო განშორების მომასწავებელი ეს წინკარი მთლად უცხო და უჩვეულო ადგილად სულაც არ მეჩვენებოდა. ზოგჯერ ადრეც, თავდავიწყების წუთებში, ვთქვათ, საწერ მაგიდასთან, როცა სიტყვებში ვიხრჩობოდი ხოლმე, სულ ერთია, თუნდაც სულ უბრალო სიტყვებში – ხომ შეიძლება, საშუალო გაქანების კაცსაც ეწვიოს შთაგონება – მიგრძნია, როგორ ვგლეჯ ცნობიერის მემბრანას და სხვა სივრცეში გადავდივარ, რასაც სახელიც კი არა აქვს, სადაც ჩვეულებრივი კანონები აღარ მოქმედებს, დროც თუკი საერთოდ იძვრის, სულ სხვანაირად, და იქ არც ცოცხალი გქვია და არც რაიმე სხვა, თუმც კი არსებობას უფრო ცხადად შეიგრძნობ, ვიდრე ჩვენ მიერ ეგრეთ წოდებულ „ნამდვილ“ სამყაროში. ეგ კი არადა, უფრო ადრეც, მრავალი წლის წინ, როცა, მაგალითად, მისის გრეისის პირისპირ ვიდექი მზით განათებულ იმ სასტუმრო ოთახში, ანდა ქლოის გვერდით ვიჯექი ბნელ კინოდარბაზში, თითქოს იქაც ვიყავი და თან არც ვიყავი: მე *მე* ვიყავი და თან – აჩრდილიც, და იმ წამში ბოლომდე ჩაკირული, გასაქრობად გამზადებული, წონადაკარგული, ჰაერშიც დავფარფატებდი. ეტყობა, მთელი ჩვენი ცხოვრებაც ესაა – სხვა არც არაფერი, მასთან განშორების სამზადისის გარდა.

ავადმყოფობისას, ანასთვის ყველაზე აუტანელი ღამის დადგომა იყო. არცაა გასაკვირი. თუმცა ბევრი სხვა რამეც არ აღმოჩნდა გასაკვირი, როცა მთავარი და გამოუსწორებელი უკვე მოხდა. სწორედ ღამღამობით, ის, რაც დღის შუქზე

სრულიად წარმოუდგენელი ჩანდა – *რაღა მაინცადამაინც მე!* – ბლაგვ, უაზრო გაოცებად გარდაიქმნებოდა. ძილგამკრთალი ჩემ გვერდით იწვა და მეც თითქოს მთელი არსებით ვგრძნობდი, როგორ მორევივით უტრიალებდა სხეულში დამადამბლავებელი შიში. ზოგჯერ, სიბნელეში, ხმამაღლა გაიცინებდა ხოლმე, ისეთნაირად, იფიქრებდი, ბოლომდე მაინც ვერ დაუჯერებია, რა უსინდისოდ, დაუნდობლად მოჰქცევია განგებაო. თუმცა, მეტწილად, ჩუმად იწვა, გვერდულად, კარავში მოკუნტული, გზადაბნეული მოგზაურივით, რულმორეული და ტანში სიცივეგამჯდარი, უკვე ერთნაირად გულგრილი რომაა როგორც გადარჩენის, ეგრევე შესაძლო დალუპვის მიმართ. ადრე მთელი მისი განცდები დროებითი იყო, წარმავალი: მწუხარებას დრო კურნავდა, სიხარული ჩვევაში გადასდიოდა, მცირე სატკივარს კი თავად სხეული უმკლავდებოდა. მაგრამ ახლა სრული, ერთადერთი, თავისთავადი აღსასრული მოახლოებულიყო, რასაც ვერც ითავისებდა, ვერც ერეოდა. *მტკიოდეს მაინცო*, იტყოდა ხოლმე. ეს მართლაც რაღაცის ნიშანი იქნებოდა – იმის საბუთი, რომ რაც დამართოდა, მართლა ყველა სინამდვილეზე უფრო ნამდვილი იყო. მაგრამ ტკივილები არ აწუხებდა – ჯერჯერობით; უბრალოდ, ზოგად აღგზნებას უჩიოდა, შინაგან ფორიაქს, თითქოს მისი საბრალო, გაბითურებული სხეული შიგნიდან უმართავდა წინაღობებს იმ მომხდურს, ღალატით რომ შეეღწია მის სხეულში და ახლა შავად მბზინავ კლანჭებს ილესავდა.

ოქტომბრის იმ უსასრულო ღამეებში, როცა გვერდიგვერდ ვიწექით, კვარცხლბეკიდან გადმოგდებული საკუთარი ქანდაკებებივით, და აუტანელი აწმყოდან გაქცევას ერთადერთ შესაძლო დროში, ანუ წარსულში, უშორეს წარსულში ვლამობდით, ერთად გატარებულ პირველ დღეებს ვაფარებდით თავს და რაღაც-რაღაცებს ვიხსენებდით – ისე ვეხმარე-

ბოდით ერთმანეთს, როგორც ორი მიხრწნილი მოხუცი, ხელიხელგაყრილი რომ დაბორიალებს იმ ქალაქის ძველ უბნებში, ერთ დროს მშობლიური რომ ერქვა.

განსაკუთრებით ხშირად იმ კვამლისფერ ლონდონურ ზაფხულს ვიხსენებდით, როცა ერთმანეთი გავიცანით და მალევე დავქორწინდით კიდეც. ანას პირველად ვიღაცის ბინაზე გამართულ წვეულებაზე მოვკარი თვალი, ერთ ჩახუთულ საღამოს. ყველა ფანჯარა ბოლომდე გამოეღოთ, ქუჩიდან შემომავალი გამონაბოლქვის სუნი ყველა სხვას ახშობდა და მიმომავალი ავტობუსების საყვირებიც ვერაფრით ეწყობოდა ხალხით სავსე ოთახებში ატეხილ ჟივჟივს. პირველ რიგში, ჩემი ყურადღება აღნაგობით მიიქცია: არა, არც ძალიან მაღალი ეთქმოდა და არც ძვალმსხვილი; უბრალოდ, ჩემთვის ნაცნობ ყველა ქალთან შედარებით, თითქოს სულ სხვა საზომები უნდა მიგესადაგებინა მისთვის. განიერი მხრები ჰქონდა, გრძელი ხელები, გრძელი ფეხები, ფართო სახე და გრძელი, შავი, ხშირი თმა. ჩემსა და ფანჯარას შორის იდგა, მსუბუქ ქსოვილის კაბასა და სანდლებში გამოწყობილიყო. ვიღაც ქალს ელაპარაკებოდა, როგორც იცოდა ხოლმე – ერთდროულად დაძაბულად და უყურადღებოდ. ფიქრებში წასული, თმის კულულს იხვევდა თითზე. წამით თითქოს გამიჭირდა მასზე მზერის შეჩერება, და თან ისიც მეგონა, რომ იმ ორში უფრო ტანადი ანა ჩემთან ბევრად უფრო ახლოს იდგა, ვიდრე მისი თანამოსაუბრე.

ეჰ, მაშინდელი წვეულებები – რამდენი იმართებოდა ხოლმე! როცა იმ დროს ვიხსენებ, სულ ერთი და იგივე სურათი მიდგება თვალწინ: აი, მივედით, ცოტა ხანს პარმაღზე შევყოვნდით, ხელი მის წელზე მაქვს შემოხვეული, თხელი აბრეშუმის ქვეშ გრილი ფოსო მხვდება, ნესტოებში მისივე ველური სურნელი მიღიტინებს, ლოყაზე კი მისი თმის სიმხურვალეს

ვგრძნობ... ალბათ რა მომხიბლავი წყვილი ვიყავით – ყველა დანარჩენზე მაღლები, მათი თავების ზემოთ მაცქერალნი; თითქოსდა რაღაც ისეთს ვხედავდით, რასაც ჩვენ გარდა ვერავინ დაინახავდა.

იმხანად ფოტოგრაფობაზე ოცნებობდა – დილაუთენია დადიოდა ჟანრული ფოტოების გადასაღებად, ძირითადად – შავ-თეთრის, და ამისთვის საგანგებოდ არჩევდა ქალაქის ყველაზე მივარდნილ, დაჩრდილულ ქუჩაბანდებს. ძალიან უნდოდა ემუშავა, რამე ეკეთებინა, სახელი გაეთქვა. ისტ-ენდი უხმობდა, ბრიქ-ლეინი – სულ ეგეთ-ეგეთი ადგილები. მე ამ გატაცებას დიდად არასოდეს ვუწონებდი, არადა – სულ ტყუილად. მამასთან ერთად ცხოვრობდა, ნაქირავებ ბინაში, ჩაშავებული აგურით ნაშენებ სახლში, სლოუნ-სკვერის შორიახლო. ბინა უზარმაზარი იყო, მრავალოთახიანი, მაღალჭერიანი. დიდრონი ფანჯრები გულგრილად დაჰყურებდნენ და თითქოს კიდევ უფრო აკნინებდნენ ქვემოთ, ქვაფენილზე მორიალე კაცუნებს. მამამისს, ბებერ ჩარლი ვაისს – *დარდი გაუშვი, ებრაელი არა ვარო* – თავიდანვე მოვეწონე: მაღალი, ახალგაზრდა, გაურანდავი, და იმ ოქროვარაყიან ოთახებში ჩემი ხილვა ძაანაც ახალისებდა. მხიარული კაცი იყო, პატარა, ნატიფი ხელ-ფეხი ჰქონდა. მისი გარდერობი ერთ რამედ ღირდა: სევილ-როისზე ნაყიდი უამრავი კოსტუმი, შარვეს პერანგები – ღია ყავისფერი გინდა, მომწვანო თუ სულაც ლაჟვარდისფერი; და კიდევ, ათობით წყვილი ხელით ნაკერი, კოხტა ფეხსაცმელი. თმას ორ დღეში ერთხელ იკრეჭდა ტრამპერთან – ბალანია და კაცმა ცხვარივით არ უნდა მოიზარდოსო, ამბობდა. თავი კი უზადო კვერცხის ფორმისა ჰქონდა, გლუვი, და ზუსტად ისეთივე სათვალეს ატარებდა, დიდად რომ ფასობდა მაშინდელ ბობოლა საქმოსნებს შორის: ჩარჩომოჩუქურთმებულსა და იმოდენა

შუშებიანს, იფიქრებდი, მისი თვალები ცნობისმოყვარე, უცხო რამ თევზებივით დაცურავენ ამ ორგანყოფილებიან აკვარიუმ-შიო. წამითაც ვერ ჩერდებოდა ერთ ადგილას: წამოხტებოდა, დაჯდებოდა, ისევ წამოხტებოდა და იმ მაღალ ჭერქვეშ თხილის გულს ჰგავდა, მეტისმეტად დიდი ზომის ნაჭუჭში მოჩხაკუნეს. პირველი სტუმრობისას ამაყად დამათვალიერებინა მთელი ბინა და ნახატებიც მიჩვენა – როგორც თავად ეგონა, სულ ძველი ოსტატების ნახელავი; კაკლისპანელებაკრულ კაბინეტში დადგმული უშველებელი ტელევიზორი, „დომ პერინიონის" ბოთლი და უბადლო, თუმცა კი საჭმელად უვარგისი ხილით სავსე კალათა, იმ დილით რომ გამოეგზავნა მავან კოლეგას; ჩარლის არც მეგობრები ჰყავდა, არც პარტნიორები, არც კლიენტები – მხოლოდ კოლეგები, მასავით საქმის ხალხი. ჩაშაქრული თაფლივით სქელი ზაფხულის შუქი მაღალი ფანჯრებიდან იღვრებოდა და ნაყშებიან ხალიჩას ეფინებოდა. ანა ხელზე ნიკაპჩამოდებული იჯდა ტახტზე, ცალი ფეხი შეეკეცა და გულგრილად უცქერდა, როგორ ვევლებოდი თავს მის ჩია, კაფანდარა მამიკოს. ტანმორჩილ ადამიანთა უმეტესობისაგან განსხვავებით, ჩვენ გვერდით სულაც არ გრძნობდა თავს უხერხულად, პირიქით, მგონი, ჩემი ზორბა ტანი ახალისებდა კიდეც. დიდი გრძნობით, ლამის სიყვარულით მელამუნებოდა და საკუთარი წარმატების ამ უტყუარი მტკიცებულებების მოხილვისას ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, აი, ახლა ისკუპებს და კისერზეც ჩამომეკონწიალება-მეთქი. როცა მესამედაც ახსენა საკუთარი ბიზნეს-ინტერესები, ვკითხე, მაინც რას საქმიანობთ-მეთქი. ის თავისი აკვარიუმები მომანათა და ყოვლად უმანკო თვალები აახამხამა:

– მძიმე მანქანათმშენებლობა, – ისე მიპასუხა, ღიმილიც არ დასჩენია სახეზე.

ჩარლი საკუთარ ცხოვრებას აღტაცებული შესცქეროდა და ცოტა უკვირდა კიდეც, რა ყველაფერი საათივით მაქვს აწყობილიო. ცხადია, თაღლითი იყო; შესაძლოა, მაგარი თაღლითიც და სრულიად, სრულიად ამორალური ვინმე.

ანა მას რაღაც სევდანარევი პატივისცემით ეპყრობოდა. ასეთ ერთი ციდა კაცს ამოდენა ქალიშვილი როგორ ეყოლა – აი, ეს კი ამოუხსნელ საიდუმლოდ რჩებოდა ჩემთვის. ახალგაზრდობის მიუხედავად, ანა მაინც უფრო მის მომთმენ დედას ჰგავდა, ის კი – ონავარ, დაუდგრომელ და მაინც საყვარელ შვილიკოს. ანას დედა თორმეტი წლისას გარდაეცვალა და მას მერე მამა-შვილი ისე აღიქვამდნენ ქვეყნიერებას, თითქოს XIX საუკუნის სათავგადასავლო რომანის გმირები არიანო – მაგალითად, ბანქოს მავანი პროფესიონალი მოთამაშე და მისი ასისტენტი ქალი. კვირაში ორჯერ ან სამჯერ წვეულებებს მართავდნენ და იყო ერთი ხორხოცი და გნიასი, შამპანური კი ქაფიან, შუშხუნა მდინარედ იღვრებოდა. ზაფხულის მიწურულის ერთ გვიან საღამოს, პარკიდან ვბრუნდებოდით – მიყვარდა ანასთან ერთად ბინდ-ბუნდში სეირნობა, იმ ხეების ფოთლებქვეშ, უკვე რომ შეპარვოდათ შემოდგომის ხრაშუნა სიმშრალე – და სანამ ქუჩაზე შევუხვევდით, მათი ბინის გამოღებული ფანჯრებიდან მთვრალების ღრიანცელი მოგვესმა. ანამ მკლავზე მომკიდა ხელი და შემაჩერა. საღამოს ჰაერი თითქოს თავისთავად დამუხტულიყო რაღაც პირქუში დაპირებებით. ჩემკენ შემობრუნდა, ქურთუკის ღილზე ორი თითით ჩამაფრინდა და სეიფის ციფერბლატივით დაუწყო ტრიალი. მერე იმ თავისებურად მშვიდი, ძალდაუტანებელი ხმით მითხრა, მოდი, ცოლად შემირთეო.

მთელი იმ მოლოდინითა და ხვატით გაჯერებული ზაფხულის განმავლობაში მე თითქოს მხოლოდ ფილტვებში მო-

მარაგებულ ჰაერს ვსუნთქავდი, როგორც ის წყალში მხტომელი, ყველაზე ზედა ბაქანზე რომ ასულა და იქიდან გადმოსცქერის ერთი ბეწო, ლურჯ ოთხკუთხედს სადღაც დაბლა, წარმოუდგენლად ქვემოთ... და აი, ახლა ყურებში ანას ძახილი ამიხმიანდა: *გადახტი, გადახტი!* დღეს, როცა მხოლოდღა დაბალი ფენების წარმომადგენლები და აქა-იქ შემორჩენილი „კეთილშობილნი" თუ ქორწინდებიან, ყველა დანარჩენი კი პარტნიორს ირჩევს, ვითომ ცეკვაზე იყოს ლაპარაკი ანდა ბიზნეს-წამოწყებაზე, ალბათ, ძნელია, წარმოიდგინო, რამდენად თავბრუდამხვევი გახლდათ ეს ნახტომი, ანუ ქორწინების განაჩენის გამოტანა საკუთარი თავისთვის. ანასა და მამამისის უცნაურ სამყაროში რომ გადავბარგდი, თითქოს სულ სხვა გარემოში აღმოვჩნდი – ფანტასმაგორიულში, სადაც აქამდე ჩემთვის ნაცნობი წეს-კანონები აღარ გამოდგებოდა, სადაც ყველაფერი ციმციმებდა, მაგრამ არაფერი იყო ნამდვილი; ან იქნებ ნამდვილი კი იყო, მაგრამ მაინც ყალბს ჰგავდა, როგორც ის ხილი, კალათში რომ ეწყო ჩარლის ბინაში. ახლა კი მეპატიჟებოდნენ, ამ თავბრუდამხვევი, სრულიად უცხო სილრმეების ბინადარი გავმხდარიყავი. ის, რაც ანამ ზაფხულის იმ მტვრიან საღამოს სლოუნ-სტრიტის კუთხეში შემომთავაზა, იმდენად დაოჯახება არ იყო, რამდენადაც საკუთარ თავზე ჩემივე წარმოდგენების ხორცშესხმის შესაძლებლობა.

ქორწილი ზოლებიან ჩარდახქვეშ გავმართეთ მათივე სახლის უკან, მოულოდნელად დიდ ბაღში. გამორჩეულად ცხელი ზაფხულის ერთი ბოლო დღეთაგანი იდგა. ჩახუთულ ჰაერს შუშასავით კაწრავდა მზის ირიბი სხივები. გრძელი, პრიალა ავტომობილები მთელი საღამო ზედიზედ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს ჭიშკართან და ახალ-ახალი სტუმრები მოჰყავდათ: ყანჩისფეხება, ფართოშლაპიანი ქალბატონები; მაღალყელიან

ტყავის თეთრ ჩექმებში გამოკვართული, უფერულპომადიანი გოგოები, ზოლიან თუ ღია ფერის შარვალ-კოსტუმში გამოწყობილი, ნახევრადპატივსაცემი ბატონები, აწონილი ახალგაზრდა კაცები, მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველებით რომ ეწეოდნენ მოსაწევს და კიდევ ვილაც გაუგებარი ტიპები, ეტყობა, ჩარლის კოლეგები – სლიპინა, გაფაციცებული, სახეგაქვავებული ვაუბატონები, პრიალა ნაჭრის პიჯაკებსა და ასევე პრიალა, ფერად-ფერად პერანგებში გამოკვართულნი. ამათ ყველას ფეხზე წვერწამახული, ყელიანი, უთასმო ნაღები ამოეცვათ. ჩარლი სტუმრებს შორის დაკუნტრუშებდა, სილურჯედაკრული თავი უბზინავდა და ოფლივით სდიოდა კმაყოფილება. უფრო მოგვიანებით კი ზანტი, წყლიანთვალებიანი, ჩასუქებული, ფერად-ფერად თავსაბურველებსა და გრძელ, თეთრ ჯელაბებში გამოხვეული, მორიდებული ბატონებიც მობრძანდნენ და ჩვენ შორის მტრედების გუნდივით აღულუნდნენ. კიდევ უფრო გვიან მავანი ფუმფულა ქვრივი ისე გამოტყვრა, ძირს გაიშხლართა და საკუთარმა სახეგაქვავებულმა მძღოლმა გაიყვანა ხელში ატატებული. როცა ხეების ტოტებს შორის შუქი შესქელდა და მეზობლად მდგომი სახლის ჩრდილი ბაღში ფარდასავით გადმოეფინა, როცა უკანასკნელი შექეიფიანებული, ჯამბაზურ სამოსში გამოწყობილი წყვილები ძლივ-ძლივს დაათრევდნენ ფეხებს საგანგებოდ მოწყობილ საცეკვაო ფიცარნაგზე, თვალგაშტერებულები და ერთმანეთის მხრებზე თავმიდებულები, მე და ანა ცალკე ვიდექით და ველოდით, როდის მოთავდებოდა ეს ყველაფერი. უცებ საიდანლაც მოფრენილმა ჭილყვავების გუნდმა შავი ღრუბელივით გადაუფრინა ჩარდახს – ისე დაბლა-დაბლა, რომ მათი ფრთების ტყლაშუნი დამცინავი ტაშისცემასავით გაისმა ირგვლივ.

მისი თმა. გამახსენდა ეს თმა – გრძელი, შავი, მბზინავი. შუბლიდან ზემოთ და გვერდულად მაღალ, ირიბ ტალღასავით გადაფენილი. უკვე შუახნისასაც კი ერთ თეთრ ღერს ვერ უპოვიდი. ერთხელაც საავადმყოფოდან შინ მივდიოდით მანქანით, როცა მხარზე შერჩენილ ღერს დასწვდა, თვალებთან მიიტანა და გულდასმით შეათვალიერა მოღუშულმა.

– მართლა თუ არსებობს ეგეთი ჩიტი, *ქაჩალა?* – მკითხა.

– მე მგონი, *ბელოტას* ეძახიან, – ვუპასუხე, ცოტა არ იყოს, დაეჭვებულმა. – თუმცა მთლად დარწმუნებულიც არა ვარ, იქნებ ფრინველიც არაა. რა იყო, რატომ მეკითხები?

– ეტყობა, ერთ-ორ თვეში მეც მთლად გავმელოტდები.

– ეგ ვინღა გითხრა?

– ერთმა ქალმა საავადმყოფოში. იმას უკვე ჩაუტარეს ის მკურნალობა, მე რომ მიპირებენ. ღერი თმა აღარ ჰქონდა თავზე. მაგაზე უკეთ ვის ეცოდინება...

ცოტა ხანს ფანჯრიდან იცქირებოდა, ჩვენდამი სრულიად გულგრილ სახლებსა და მაღაზიებს მისჩერებოდა. მერე ისევ ჩემკენ შემობრუნდა.

– კი, ნაღდად *ბელოტა* ჰქვია, ახლა გამახსენდა. და მართლა ჩიტია, წყალი არ გაუვა.

– ალბათ.

– იცი, – ჩაიცინა ნაძალადევად, – სულ რომ გამცვივდება თმა, გამოცხადებული ჩარლი ვიქნები.

ბოლოს მართლა ძალიან დაემსგავსა.

საწყალი, ბებერი ჩარლი ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა, ჩვენი ქორწილიდან სულ რამდენიმე თვეში. მთელი მისი ფული ანას დარჩა. არც იმდენი, როგორც ვვარაუდობდი, მაგრამ მაინც საკმარისი.

მრავალთაგან ერთი უცნაურობა, რაც მისის გრეისისადმი ჩემს ლტოლვას ახლდა, ისიც იყო, რომ ლამის იმწამს გამიქრა, როცა, სავარაუდოდ, უკანასკნელი ზღვარისთვის უნდა მიეღწია. ეგ ყველაფერი კი პიკნიკის დღეს მოხდა. იმ დროისათვის უკვე თითქმის ყველგან ერთად დავიარებოდით – ქლოი, მაილზი და მე. გენახათ ერთი, როგორ მეამაყებოდა ამ ორი საოცრების გვერდით ყოფნა: მე ხომ ისინი რალაც ღვთაებებად მიმაჩნდა, იმდენად განსხვავდებოდნენ ჩემთვის ნაცნობი ნებისმიერი ადამიანისაგან! ჩემი იქაური ძველი მეგობრები კი, ვისთანაც უკვე აღარც ვთამაშობდი, ამ ღალატით მართლა აღშფოთებულები იყვნენ.

– ახლა მთელ დღეებს იმ მდიდარ ბავშვებთან ატარებს... – გავიგონე, როგორ უთხრა ერთხელ დედაჩემმა რომელიღაც იმათგანის დედას. – ბიჭის ამბავი ხომ იცით... – მოიბოდიშა თითქოს, – რალაც სიჩერჩეტე ჩაიდო თავში.

მგონი, მართლა უკვირდა, რატომ არ ვთხოვდი გრეისებს, მიშვილეთ-მეთქი. როგორღაც მითხრა კიდეც, მადლობელი დავრჩები, ფეხებში თუ აღარ ამებლანდებიო. თან მშვიდად მიცქერდა, გამომცდელად, დაჟინებით, როგორც მერეც ხშირად შემოუხედავს, როცა მამამ მიგვატოვა. თითქოს მეუბნებოდა, ახლა *შენი ჯერია, ახლა შენ მიმატოვებო*... სხვათა შორის, ასეც მოხდა.

ჩემს მშობლებს მისტერ და მისის გრეისები არასოდეს გაუცნიათ, სურვილიც კი არ ჰქონიათ, რადგან რიგიან სახლებში დაბინავებული ხალხი დიდად არ უყადრებს თავს ჩვენსავით სადღაც ქოხმახში შეხიზნულებს. ჩვენი მხრივ, არც ამის იმედი ჰქონია ვინმეს. ჩვენ არც ჯინ-ტონიკს გეახლებოდით, არც წვეულებებს ვმართავდით შაბათ-კვირა, არც ვითომ შემთხვევით მივაგდებდით ხოლმე დაუდევრად მანქანის სავარძელზე, გამოსაჩენად, საფრანგეთის ტურისტულ რუკას.

ეგ კი არა, ჩვენნაირ ფიცრულებში მცხოვრებთა უმეტესობას საერთოდ არ ჰყავდა მანქანა. ჩვენი საზაფხულო სამყაროს სოციალური კიბე მკაცრად დადგენილი და ზიკურატივით ძნელად ასასვლელი იყო: წვერზე საკუთარი სააგარაკო სახლების მქონე სულ რამდენიმე ოჯახი იდგა; იმათ ისინი მოსდევდნენ, ვისაც შეეძლო თავისთვის სასტუმროში გაჩერების უფლება მიეცა: ამ მხრივ, „სანაპირო" უფრო „წონიანი" ადგილი გახლდათ, ვიდრე „გოლფი". მერე ნაქირავებ სახლებში მობინადრენი მოდიოდნენ და სულ ბოლოს – ჩვენ. ისინი კიდევ, ვინც მთელი წელი ცხოვრობდნენ აქ, იერარქიის სათვალავში საერთოდ არც იგულისხმებოდნენ. ზოგადად, სოფლელები, მაგალითად, მერძევე დუინანი ან გოლფის ბურთების შემგროვებელი ყრუ კოლფერი, აივი-ლოჯში დაბინავებული ორი გაუთხოვარი პროტესტანტი დაიკო თუ ჩოგბურთის მოედნის მეთვალყურე ფრანგი ქალბატონი, ვისზეც ამბობდნენ, მუდმივად თავის ნაგაზთან აქვს სიყვარულობაო, ყველანი ცალკე კლასს შეადგენდნენ და მუდამ ჩვენი მბრწყინავი, მზით განათებული სცენის კულისებში რჩებოდნენ. ის, რომ ამ სოციალურ კიბეზე მთლად ძირისძირიდან გრეისების საფეხურამდე აფოფხება მოვახერხე – სხვათა შორის, ისევე, როგორც მისის გრეისისადმი ჩემი ფარული ლტოლვა – გამორჩეულობის ნიშნად მიმაჩნდა. მეგონა, ამდენ უგვანთა შორის მაინცადამაინც ჩემთვის გაეღიმა ბედს. ღმერთებს ვუყვარდი.

ახლა რაც შეეხება თავად პიკნიკს: ნაშუადღევს მისტერ გრეისის თვალისმომჭრელი მანქანით კარგა შორს გავემგზავრეთ – იქამდე, სადაც მოკირწყლული გზა თავდებოდა. უცნაური ჟინი მაშინვე მომეძალა, როგორც კი სავარძლის ნოტიო ტყავი შევიგრძენი მოკლე შარვლის ქვემოთ. მისის გრეისი წინ, ქმრის გვერდით იჯდა, სანახევროდ მისკენ შებრუნებული.

მკლავი სავარძლის საზურგეზე ჩამოედო, მის იღლიას მშვენივრად ვხედავდი და ქარის ყოველ მობერვაზე ოფლისა და მხურვალე სხეულის თავბრუდამხვევ, გამაბრუებელ სუნსაც შევიგრძნობდი ხოლმე. ქალს რაღაც უცხო რამ ეცვა, ახლა რომ *ტოპიკს* ეძახიან: თეთრი ქსოვილის მომცრო, უზონრებო ზოლი მჭიდროდ შემოტმასნოდა ზედ და მის სავსე მკერდსაც უფრო აჩენდა, ვიდრე მალავდა... ისევ ის ჰოლივუდური სათვალე მოერგო და მსუქანა, მოკლე სიგარეტს აბოლებდა. ყოველ ჯერზე გული შემიხტებოდა ხოლმე, როცა ღრმა ნაფაზს დაარტყამდა და ქვედა ტუჩს ოდნავ მობრეცდა, ბოლის რგოლების გამოსაშვებად. ფრჩხილები კაშკაშა წითლად შეეღება. ზუსტად მის უკან ვიჯექი, გვერდით ქლოი მეჯდა და უფრო იქით – მაილზი. გაჩხინკული ქლოის თეძოს ძვალი წამდაუწუმ ბარძაყში მერჭობოდა, თუმცა იმას სულაც არ ადარდებდა ეს ამბავი. და-ძმა რაღაც თავიანთებური უსიტყვო შეჯიბრით იყო გართული, ბღლარძუნობდნენ, იმანჭებოდნენ, დაძაგრული თითებით ერთმანეთს ჩააფრინდებოდნენ ხოლმე – ეგებ როგორმე სკამიდან ჩამოვაგდოო. ამგვარი თამაშების წესები ვერაფრით დავადგინე, თუკი ჰქონდათ კიდეც რამე წესი. თუმცა ბოლოს გამარჯვებული უცილობლად რჩებოდა რომელიღაც – მეტწილად, ქლოი. ახლაც რომ მახსენდება, ისევ სიბრალული მომეძალება ხოლმე საწყალი მაილზისადმი – ჯერ კიდევ იმ დროიდან გამოყოლილი, როცა პირველად შევესწარი ამგვარ თამაშსა თუ უფრო ორთაბრძოლას. წვიმიანი დღე იყო და „კედრებში" დავრჩით, ოთხ კედელში გამომწყვდეულები. მაინც რა ველურ მხეცს აღვიძებს ბავშვებში ამგვარი წვიმიანი დღეები! ტყუპები სასტუმრო ოთახში პირისპირ ჩაცუცქულიყვენ, მუხლისთავები მიეტყუპებინათ და დაჟინებით მისჩერებოდნენ ერთმანეთს თვალებში. თითები გადაეხლართათ, სამ-

კვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული ორი სამურაივით ირწეოდნენ ადგილზე. მერე რაღაც მოხდა, რაღაც გადამწყვეტი, თუმცა მე ვერ დავინახე – რა, და მაილზიც იძულებული გახდა, დანებებულიყო. დის მარწუხებიდან თითები გაითავისუფლა, ნატკენი ხელები იღლიებში შემოიჭდო – ნაწყენ-დაჩაგრულის გათამაშება მშვენივრად ეხერხებოდა – და ტირილი მორთო. ღაპაღუპით ჩამოსდიოდა მსხვილ-მსხვილი ცრემლები, წვრილი ხმით ზლუქუნებდა, თეატრალურად და ჯამში, არცთუ მთლად დამაჯერებლად. ერთი გენახათ, მხარს ზემოდან როგორ ეშმაკურად, გამარჯვებული სახით გამომხედა ქლოიმ, უსიამოდ კბილებდაკრეჭილმა, პატარა მტაცებელი მხეცივით. ახლაც, მანქანაში, ისევ ის გამოვიდა გამარჯვებული. ეტყობა, მაჯა ატკინა მაილზს და იმანაც წკმუტუნი მორთო. „მორჩით რა, ორივე..." – მოთენთილი ხმით შეუწყრა დედა, თუმცა ხეირიანად არც კი შეუხედავს ამათთვის. ქლოი ამჯერადაც ეშმაკურად იღიმებოდა, კიდევ ერთხელ გამარჯვებული; უფრო მაგრად მომაჭირა თეძო ფეხზე, მაილზი კი იჭყანებოდა, გაბუტული სახით ბრეცდა ტუჩებს და ცრემლს კი იკავებდა, მაგრამ ეტყობოდა, მართლა სტკიოდა გაწითლებული მაჯა.

გზის დასასრულს მისტერ გრეისმა მანქანა გააჩერა, საბარგულიდან სენდვიჩებით თავმობმული კალათა, ფინჯნები, ღვინის ბოთლები ამოვალაგეთ და მერე ძველისძველი, ჟანგმოდებული, სანახევროდ წამოქცეული ეკალხლართის ღობით შემოსაზღვრულ, დატკეპნილი ქვიშის ფართო ზოლს გავუყევით. სულ არ მომეწონა იქაურობა. ის კი არა, ცოტათი მაშინებდა კიდეც ეს ვერანი, ტალახისფერი, ჭუჭყიანი ადგილი, სადაც თითქოს ყველაფერი ზურგს აქცევდა მიწას და მხსნელის გამოჩენის უტყვი იმედით მისჩერებოდა ჰორიზონტს. ტალახი ახალ სისხლჩაქცევასავით ლურჯად ბზინავდა, შამბნა-

რი უსიამოდ სისინებდა და მიტოვებულ, ლპობაშეპარულ ხის ბოძებზე უკვე ფერგადასული, არაფრისმთქმელი ნიშან-წარწერები შერჩენილიყო. მოქცევა აქ არასდროს აღემატებოდა ათიოდე სანტიმეტრს – ზღვა სწრაფად გადაურბენდა ხოლმე წყლისპირს, ვერცხლისწყალივით, და მერე იქვე იწრიტებოდა. მისტერ გრეისი მხნედ მიაბიჯებდა წინ, იღლიებში თითო გასაშლელი სკამი ამოეჩარა და ის თავისი სასაცილო ქუდიც ცალ ყურზე ჩამოფხატოდა. კონცხს შემოვუარეთ და სრუტის გადაღმა, გორაკებზე შეფენილი ქალაქი დავინახეთ – სათამაშოსავით პაწია, მოიისფრო კუთხე-სიბრტყეები და ერთადერთი წონოლა კოშკურა. მისტერ გრეისმა, ეტყობა, იცოდა, საითაც ეჭირა გეზი: ქვიშნარიდან მდელოზე გადაუხვია, ლერწმიანთან. ჩვენ უკან მივყვებოდით – მისის გრეისი, ქლოი, მაილზი და მე. ლერწამი ლამის ჩემს სიმაღლე გაზრდილიყო. მდელოს ბოლოში მისტერ გრეისი ქოლგასავით გაშლილი ფიჭვის ქვეშ გველოდებოდა, მაგრამ იქამდე ფეხი გადახლეჩილ ლერწამს დავაბიჯე, რამაც შიშველ კოჭთან დანასავით გადამისერა კანი.

ბალახზე თეთრი სუფრა გავაფინეთ. მისის გრეისმა ჩაიმუხლა – სიგარეტს ეწეოდა და ცალი თვალი მოეჭუტა ბოლით შეწუხებულს – საგზალი გააწყო, ქმარი კი, ახლა უკვე ორივე ყურზე კიდევ უფრო სასაცილოდ რომ ჩამოფხატოდა ქუდი, ბოთლის საცობს ებრძოდა ერთი-ერთზე. მაილზი ლერწმიანში გაუჩინარებულიყო. ბაყაყივით ჩაცუცქული ქლოი კვერცხიან სენდვიჩს ღეჭავდა. როუზი კი – დაიცა, როუზი სადღაა? აქვეა, ალისფერი პერანგი ჩაუცვამს, უქუსლო ფეხსაცმელი და შემოტკეცილი, ტოტების ბოლოებში ფოჩებჩამოყრილი შავი შარვალი – აი, მოცეკვავეებს რომ აცვიათ, ისეთი; ეს ფოჩებიც ფეხსაცმლის ლანჩებქვეშ ეთრევა, შავი თმა ცხენის კუდივით გამოუკრავს კოხტა კეფაზე. ოღონდ აქამდე როგორ

ჩამოაღწია? მანქანაში ჩვენთან ერთად არ მჯდარა. გამახსენდა – ველოსიპედით. აქვე გდია, ლერწმებთან, საჭეამოტრიალებული და თითქოს იმას წინასწარმეტყველებს, რაც ახლა უნდა მოხდეს. მისტერ გრეისმა ბოთლი მუხლებში მოიქცია და ერთხელაც დაეჯაჯგურა. ყურის ბიბილოები წითლად აუვარვარდა. ჩემს ზურგს უკან, სუფრის კუთხეში როუზი ზის, სამაჯურიან მკლავს ეყრდნობა, ლოყა მხარზე ჩამოუდვია, ფეხები მუხლებში მოუკეცავს და მართალია, რაღაც უშნოდ კი ჩამომჯდარა, მაგრამ არც იმდენად. მესმის, როგორ დაშლიგინებს მაილზი ლერწმიანში. უცებ საცობმა იბუთქა და მოულოდნელობისაგან ყველანი ადგილზევე შევხტით.

საგზალს შევექცეოდით. მაილზი ვითომ რაღაც გარეულ მხეცს ასახიერებდა: გამოხტებოდა ხოლმე ლერწმებიდან, სუფრიდან რამეს დაითრევდა და აჭიხვინებულ-აქოშინებული ისევ უკანვე ბრუნდებოდა. მისტერ და მისის გრეისებმა ერთი ბოთლი ღვინო სწრაფადვე გამოწრუპეს და ცოტა ხანში კაცს მეორის გახსნაც მოუწია – ამჯერად ნაკლები წვალების ფასად. როუზმა თქვა, არ მშიაო, მაგრამ მისის გრეისი შეუწყრა – ნუ სულელობ რაღაცას, რამე მაინც უნდა გადაიღოო, და გაღრეჭილმა მისტერ გრეისმა, რატომღაც, მაშინვე ბანანი შესთავაზა. ზღვაური უბერავდა, ცაზე ერთი ფთილა ღრუბელიც კი არსად ჩანდა. წელში მოხრილი ფიჭვი თავზე დაგვხვნეშოდა, წიწვების სურნელებას გაეჟღინთა იქაურობა და კიდევ – ბალახის, მოშიშინე ლერწმებისა და ზღვის მარილის სუნს. როუზი გაბუსუნებული იჯდა, მე მგონი იმიტომ, მისის გრეისმა რომ დაუცაცხანა, მისმა ქმარმა კი ის სულელური ბანანი გაუწოდა. ქლოი დიდი გულმოდგინებით იწვალებდა მკლავზე იმ ადგილს, სადაც წინა დღით ეკალი შესობოდა. მეც დავიხედე კოჭზე, ლერწმით გაჭრილი შევითვალიერე. მოვარ-

დისფრო, ავი კვალი შემრჩენოდა მოთეთრო კანზე. სისხლი არ მდიოდა, თუმცა ლიმფას კი ბლომად გამოეჟონა. მისტერ გრეისი ერთიანად მოღვენთილიყო თავის გასაშლელ სკამზე, ფეხი ფეხზე გადაედო, სიგარეტს აბოლებდა და ის სასაცილო ქუდი ახლა თვალებზე ჩამოეფხატა.

უცებ რაღაც მსუბუქად მომხვდა ლოყაზე: ქლოის თავისი ჭრილობების წვალება მობეზრებოდა და პურის დასორსოლებული ნამცეცების სროლით ერთობოდა. გავხედე, იმანაც არაფრისმთქმელი მზერა მომაგება და კიდევ ერთხელ გაიმეორა იგივე, ოღონდ ამჯერად ამაცილა. ბალახში ჩავარდნილ პურის ბურთულას დავწვდი და ვესროლე, მაგრამ მეც ავაცილე. მისის გრეისი ზარმაცად გვადევნებდა თვალს, ზუსტად ჩემ პირდაპირ, მხარ-თეძოზე გაწოლილი, თავქვეშ ხელამოდებული. ღვინის ჭიქა ბალახში ჩაედგა და ირიბად დახრილ, თიმთიმა ძუძუზე მიეყრდნო. ბევრჯერ მიფიქრია, ნუთუ არ უჭირს ამ ორი ვეება ჯიქნის ტარება-მეთქი... თითის წვერი გაიტლიკა და ჭიქის პირს მოატარა – ალბათ სურდა, ხმა გამოეცემინებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ქლოიმ პურის პაწია ლუკმა პირში ჩაიდო, ნერწყვით დაალბო, გამოიღო, თითებში მოსრისა, მოამრგვალა, უნდოდ დამიმიზნა და მესროლა. ამ ჯერზე საერთოდ ვერც მოაწვდინა ჩემამდე. „ქლოი!" – უნდილად შეუწყრა დედა, თუმცა ქლოის ყურადღება არ მიუქცევია. მე გამილიმა – თავისებურად, ეშმაკურად, ზარმაცი კატასავით. დიდი გულბოროტი გოგო კი იყო ჩემი ქლოი. მახსოვს, მთელი დღე კალიებს მაჭერინებდა ხოლმე, მერე ფეხებს აგლეჯდა – გასაქცევს უსპობდა, საცოდავად მოფართხალეებს, თუნუქის ქილაში ყრიდა, ნავთს ასხამდა და ცოცხლად წვავდა. მონუსხულივით მიაჩერდებოდა ხოლმე ამ უბედური არსებების ტანჯვა-ნამებას, საკუთარ წვენში რომ იხრაკებოდნენ...

უკვე ახალ ბურთს ამზადებდა. „ქლოი, უკვე ზედმეტი მოგდის!" – ამოიოხრა მისის გრეისმა. იმას კიდევ, ეტყობა, უცებვე მობეზრდა ეს გართობა, პური გადმოაფურთხა, ნამცეცები ჩამოიფერთხა, წამოდგა და ფიჭვის ჩრდილისაკენ გაემართა ფეხათრევით.

ვითომ დაიჭირა ჩემი მზერა კონი გრეისმა? ვითომ მართლა თანამზრახველივით მიღიმოდა? ერთხელაც ამოიოხრა მძიმედ, ზურგზე გადაბრუნდა, თავი უკან გადააგდო, ცალი ფეხი მოხარა და მაშინ უკვე ნება მომეცა, მისი ქვედაკაბის ქვეშაც მეხილა დასანახი – მისი ბარძაყის შიდა მხარე, მთელ გაყოლებაზე, საზარდულამდე და თეთრ, მჭიდრო ქსოვილში შემალულ მომცრო ბორცვამდე. მაშინ იყო სწორედ, ყველაფერი რომ ერთბაშად შენელდა: დაცლილი ჭიქა გულწასული ქალივით გადაპირქვავდა და შიგ ჩარჩენილი უკანასკნელი წვეთი ზანტად დაიძრა ტუჩისკენ, ზედ დაეკიდა, მოწყდა... თვალს ვერ ვაშორებდი, შუბლი გამიხურდა და ხელისგულები დამეცვარა. ქუდჩამოფხატული მისტერ გრეისი, მგონი, ულვაშებში იღიმებოდა, მაგრამ მე უკვე არას დაგიდევდით. მისი ტანსრული მეუღლე, ამ დროისთვის კიდევ უფრო გაფაშფაშებული, ვის ფეხებთანაც შიშისაგან ერთიანად მოვკუნტულიყავი, გაინვართა, კიდევ უფრო მაღლა ასწია მუხლი და სამზეოზე გამოიტანა ხორციანი ბარძაყის ნაკეცები – სწორედ ის ადგილი, საიდანაც უკანალი ეწყებოდა. საფეთქლებში აბაგუნებულმა დოლებმა დღის შუქი დამიბნელა, გაჭრილი კოჭი მტკივნეულად მითრთოდა. საიდანღაც, ლერწმიანი სიშორიდან, წვრილი, გამყინავი ხმა მოისმა, ძველთაძველი სალამურის ბგერასავით გაკვეთა მოსარკული ჰაერი და ფიჭვქვეშ მჯდომმა ქლოიმაც წარბი შეიჭმუხნა; მერე, თითქოს მხოლოდ მისთვის გასაგებ ბრძანებას ემორჩილებაო, დაიხარა, ბალახი

მოგლიჯა, პირთან მიიტანა და შეტყუპებული ხელისგულების ნიჟარიდან საპასუხო ბგერა ამოუშვა.

ერთი თუ ორი უსასრულოდ გაჭიმული წუთის შემდეგ ამ ჩემმა განვართულმა *მახამ* ფეხი ჩამოუშვა, ისევ გვერდზე გადაბრუნდა და მართლა გამაოგნებელი სისწრაფით მიეცა ძილს – წამსვე გავიგონე, როგორ მშვიდად ფშვინავდა, თითქოს პატარა, სუსტი ძრავა ამაოდ ცდილობს ამუშავებასო. მეც წამოვდექი ფრთხილად – თუნდაც უმცირესი მოუზომავი მოძრაობით რაღაც მყიფე და ძვირფასი რომ არ დამეზიანებინა საკუთარ არსებაში. მაშინვე ვიგრძენი გამოცარიელების მომწარო გემო. წელანდელი მღელვარება სადღაც გამქრალიყო, უკვალოდ. უბრალოდ, ახლა ოფლი მასხამდა ქუთუთოებსა და ზედა ტუჩზე, მოკლე შარვლის წელთან კი დანამული ხორცი მიხურდა და მეწვოდა. გაოგნებული ვიდექი, უცნაური წყენა მომეძალა, ვითომ მისი კი არა, ჩემი სხეულის იდუმალი ადგილები ეთვალიერებინოს ვინმეს ასე უტიფრად. არადა, ხომ ჩემი თვალით ვიხილე ღმერთქალის გამოცხადება! თუმცა, ეჭვი არაა, ღვთაებრიობის ეს გაელვება დამამცირებლად ხანმოკლე გამოდგა. ჩემმა ხარბმა თვალმა მისის გრეისი ქალიდან ჯერ ხილვად აქცია და მერე, წამსვე – ისევ ჩვეულებრივ მდედრად. თავიდან ის, უბრალოდ, კონი გრეისი იყო – საკუთარი ქმრის მეუღლე, საკუთარი შვილების დედა, თვალის ერთ დახამხამებაში კი უიმედო თაყვანისცემის საგანი გახდა, პიროვნულობაწაშლილი კერპი, უძველესი და პირველყოფილი, ჩემი სურვილის ძალით გაჩენილ-განსხეულებული. მერე კი ისევ მოირღვა რაღაც, მეც ზიზღისა და სირცხვილის გორგალი მომაწვა ყელში, ოღონდ ჩემ გამო, ჩემი საქციელის გამო კი არ მცხვენოდა, არამედ – გაუაზრებლად, თავად ქალის მიზეზით; და ეს არა იმიტომ, რომ რაღაც უგვანი ჩაედინა, არამედ იმის გამო, რაც იყო, როგო-

რიც იყო, როცა დაგუდული ხვნეშით გვერდზე გადაბრუნდა და ძილს მისცა თავი – უკვე არა მაცდუნებელმა დემონმა, არამედ შოკვდავმა, ჩვეულებრივმა, უბრალოდ, ქალმა.

მაგრამ, მთელი ჩემი გაწბილების მიუხედავად, სწორედ მოკვდავი და არა ღვთაებრივი მიდგას ჯერაც თვალწინ, ბადაგვით მბზინავი იმ სხვა, სამარადისოდ გარდასულ აჩრდილთა შორის. საკუთარი თავის ავატარად შემორჩა ჩემს მახსოვრობას. რომელი იყო უფრო ნამდვილი – ჩემი მოგონებების ბალახიან მდელოზე წამოწოლილი ეს ქალი თუ ერთი ბღუჯა მისი მტვერი, ან გამომშრალი ძვლები, რაც, ვინ იცის, საერთოდ შეინახა კია მიწამ? ცხადია, რომ სადღაც ვილაცისთვის ის კვლავაც ცოცხლობს, კვლავაც მიდი-მოდის მახსოვრობის ცვილის ფიგურათა მუზეუმში, მაგრამ იმათი მოგონებანი ერთმანეთისაგანაც განსხვავებული იქნება და ჩემი მოგონებებისგანაც. ან რაში გვარგია სხვათა სულისა თუ ფიქრის განჩხრეკა – ესეც ამაოებაა, და არც უკვდავებაზე ლაპარაკში ყრია რამე. გარდაცვლილებს მხოლოდ მანამდე დავატარებთ თან, სანამ თავადაც არ ამოგვხდება სული, მერე კი ცოტა ხანს უკვე ჩვენ ვრჩებით ვილაცის ხსოვნაში და ასე გრძელდება უსასრულოდ, თაობიდან თაობაში. მე ანა მახსოვს, ჩვენს ქალიშვილ კლერს ანაც დაამახსოვრდება და მეც, მერე კლერიც გაქრება და ვილაცები მას მოიგონებენ, ოღონდ ჩვენ უკვე – აღარ და აი, მაშინ საბოლოოდ გავითქვიფებით არარაში. მართალია, რაღაც სახით კიდევ შემოვრჩებით ამ ქვეყანას – გახუნებულ ფოტოდ, თმის კულულად, თითის ანაბეჭდად, მორიალე ატომებად იმ ოთახში, სადაც უკანასკნელად ამოვისუნთქავთ, თუმცა ეს არ იქნება ჩვენი მთავარი *მე*, ანუ ის, ვინც ვართ, რანიც ვიყავით. დარჩება მხოლოდ ბღუჯა მტვერი და სხვა არაფერი.

ბავშვობაში რელიგიურიც კი მეთქმოდა: არა, თავგადაკ-ლული მორწმუნე არასოდეს ვყოფილვარ – უბრალოდ, უფალს ვაღიარებდი. ჩემი ღმერთი იაჰვე იყო, სამყაროთა დამამხობ-ელი და არა კეთილი იესო, გამგები და მიმტევებელი. უფალი ჩემთვის მაინც მუქარას განასახიერებდა და მეც შიშითა და მისი მარადი თანამდევის – დანაშაულის განცდით ვიყავი შეპ-ყრობილი. რაც შეეხება დანაშაულის განცდას, მაშინ ამაში მართლაც არ მყავდა ბადალი და საქმე-საქმეზე თუ მიდგა, არც ახლა, სიბერემიტანებული, დავუდებ ვინმეს ტოლს. პირ-ველი ზიარების, უფრო სწორად, მისი წინამორბედი პირველი აღსარების დროს ჩვენთან, სამონასტრო სკოლაში, ზედიზედ რამდენიმე დღე დაიარებოდა მავანი მღვდელი, ახლად წამო-ჩიტული ყვინჩილები ქრისტიანული სწავლების ანაბანაში რომ გავერკვიეთ. ხმელ-ხმელი, ფერმკრთალი, ნამდვილი ფანატი-კოსი გახლდათ, ტუჩის კუთხეებში მუდმივად ნერწყვი უგროვ-დებოდა ხოლმე. განსაკუთრებით მკაფიოდ მახსოვს, მაისის ერთ მზიან დილას როგორი თავდავიწყებით გვიხსნიდა ფა-რულად ჭვრეტის ცოდვის მთელ საშინელებას. დიახ, სწორედ ამაზე გველაპარაკებოდა. მანამდე ცოდვის ათასნაირ სახეო-ბებშიც გაგვარკვია: ნებსითსა თუ უნებლიეში, მომაკვდინე-ბელსა თუ მისატევებელში, შვიდ უმძიმესსა და კიდევ მრავალ სხვა საზარელ შეცოდებებში, რასაცაო – როგორც თავად ამ-ბობდა – მხოლოდ არქიეპისკოპოსი თუ შეგინდობთო. და, აი, უცებ სრულიად ახლებური ცოდვაც ამოტივტივდა: პასიური. *ნუთუ ფიქრობთ,* – დამცინავად კითხულობდა ძმა ფომფლეკი, გამალებული რომ მიდი-მოდიოდა კარსა და ფანჯარას შო-რის, ანაფორა უფრიალებდა და ვიწრო, შემელოტებულ შუბ-ლზე ვარსკვლავად უციმციმებდა მზის შუქი, თითქოს თავად ღვთიური მადლის ანარეკლი, – *ნუთუ ფიქრობთ, რომ ცოდვა*

უცილობლად რაიმეს ჩადენას გულისხმობს? ჟინით, შურითა თუ სიძულვილით ცქერაც თავად ჟინი, შური და სიძულვილია! აღუსრულებელი უგვანი სურვილი სულს ისეთივე დაღს ასვამს, გინდაც უგვანი საქციელი ჩაგედინოთ... განა თავად უფალმა, – აყვირდა უცებ, – თავის სამწყსოს არ ჩააგონა, რომ როცა კაცი ჟინით უცქერს ქალს, ის უკვე სცოდავს და მრუშობს?! ნელ-ნელა ისე შევიდა ეშხში, საერთოდ გადავაინყდით, ჩვენ კი თაგვებივით გასუსულები ვისხედით და შიშით სულგაპარულები, თვალებდაყვლეპილნი, მივჩერებოდით. მართალია, ვერც მე და ვერც ჩემმა თანაკლასელებმა ბევრი ვერაფერი გამოვიტანეთ ამ ნაუბრიდან, მაგრამ იმას მაინც ჩავხვდი – იქნებ ჩემებურად – რომ შვიდი წლის ასაკშიც კი უკვე კარგად გამოჯეკილი ვყოფილვარ, რაკი ჩუმ-ჩუმად თვალთვალიც მეხერხებოდა და აკრძალული ხილის ცქერითაც მრავალჯერ მქონდა გული ნაჯერები... იქნებ ამიტომაც, ახლა, როცა ბოლომდე მოვიხილე მისის გრეისის ბარძაყთა მოვერცხლისფრო იდუმალება, მისი საცვლის სითეთრე და თავბრუდამხვევი ბორცვის მოხაზულობაც, სრულიად ბუნებრივი იყო, წამსვე შიში დამუფლებოდა, ვაითუ თვალებად ქცეულს მეც მითვალთვალებს ვინმე-მეთქი! ლერწმიანიდან გამოსული მაილზი როუზის თვალთვალით იყო დაკავებული. ქლოი ჯერაც ფიჭვის ქვეშ ოცნებობდა რაღაც სათავისოს. აი, მისტერ გრეისს კი თავისუფლად შეეძლო, მთელი ამ ხნის განმავლობაში შუბლზე ჩამოფხატული ქუდის ქვემოდან ეცქირა ჩემთვის. თუმცა ისე იჯდა, გეგონებოდა, ირგვლივ ვერავის და ვერაფერს ამჩნევსო – ნიკაპი მკერდზე ჩამოედო, გაღეღილი პერანგიდან ბანჯგვლიანი მუცელი მოუჩანდა, შიშველი ფეხი ფეხზე გადაედო და მისი ბარძაყის შიდა მხარესაც მთელ სიგრძეზე ვხედავდი, ხაკის შორტების იმ გამობერილ ადგილამ-

დე, სადაც მისი ვეება კაკლები ამობურცულიყო. მთელი ეს გრძელი დღე, ვიდრე ფიჭვი ჯიუტად ჩამუქებულ, მოიისფრო ჩრდილს აფენდა ბალახზე, დასაკეცი სკამიდან მხოლოდ რამდენჯერმე წამოდგა – ჯერ ცოლს შეუვსო ჭიქა, მერე თავისთვის დაითრია რაღაც საცმუცნავი. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ ჩაუბღუჯავს ლორიანი სენდვიჩი თითებში და როგორ იტენის წვერში გაჩენილ, წითლად დაღებულ ხვრელში.

მაშინ იმ ასაკში ვიყავით, ყველა უფროსი უცნაური გვეგონა, ცოტა დარტყმულიც კი, მაგრამ კარლო გრეისთან მაინც მეტი სიფრთხილე გვმართებდა: უცებ წამოუვლიდა ხოლმე რაღაც, უცებ ეცვლებოდა გუნება-განწყობა. გეგონა, ზის თავისთვის, გაზეთს კითხულობსო და წამში შორიახლოს ჩავლილ ქლოის სტაცებდა ხელს, შხამიანი გველის სისხარტით ყურს აუწევდა, ან მთელ ბღუჯა თმას მოქაჩავდა მწარედ, გააფთრებით, თან სიტყვასაც კი არ ეტყოდა – ის კი არა, თითქოს გაზეთსაც არ აშორებდა თვალს, თითქოს მისი ხელი თავისით, მისგან დამოუკიდებლად არსებობდა და მოქმედებდა. ზოგჯერ შუა ლაპარაკში გაშტერდებოდა ხოლმე, გაქვავდებოდა, აწეული ხელი ჰაერში გაუშეშდებოდა, აზრდაკარგული თვალებით მიაჩერდებოდა რაღაცას, თითქოს სასიკვდილო საფრთხე იგრძნო ან მხოლოდ მისი ყურისათვის გასაგონი განგაშის ნიშანი მოესმაო; მერე იქვე ისევ ვიღაცას სტაცებდა ხელს და კბილებდაკრეჭილი, მხიარულად ხვიხვინებდა. შეეძლო სანახევროდ შეშლილ ფოსტალიონთან დიდი მონდომებით ესაუბრა ამინდის ცვლილებასა თუ მოახლოებული საფეხბურთო მატჩის სავარაუდო შედეგზე. ისე მონდომებით უქნევდა თავს, ისეთი გულისყურით უსმენდა, თითქოს უდიდეს სიბრძნეს ანდობენო, და როცა საცოდავი, შტერი ბიჭი თავის გზას დაადგებოდა სტვენა-სტვენით, კარლო გრეისი ჩვენკენ შემოტრიალდებო-

და, თვალებს დააელმებდა, საფეთქელთან საჩვენებელ თითს დაიტრიალებდა და უხმო სიცილით ათახთახდებოდა ხოლმე. ერთი შეხედვით, მთელი ჩემი ყურადღება ვითომ სხვებისაკენ იყო მიპყრობილი, მაგრამ ახლა მგონია, პირველმა სწორედ კარლომ მაფიქრებინა, ღმერთების საუფლოში მოვხვედრილ-ვარ-მეთქი. მთელი მისი გონებადაფანტულობისა და მხიარული უდარდელობის მიუხედავად, სწორედ ის გვმართავდა თავისებურად ყველას – ეს დამცინავი ღვთაება, ჩვენი საერთო ზაფხულის პოსეიდონი, რომლის ნიშანზეც ეს პატარა სამყარო მორჩილად ინარჩუნებდა დადგენილ წესსა და რიგს.

მახსოვს, როგორ გაიწელა ის დღე, მთელი თავისი განცდა-სადარდებლებით. სანამ მისის გრეისს მშვიდად ეძინა ბალახში, დანარჩენებსაც დამბანგავი მოთენთილობა მოგვეძალა, ძილ-ბურანის უხილავ ბადეში გამოგვახვია, როგორც ხდება ხოლმე, როცა ჯგუფს ერთ-ერთი წევრი გამოაკლდება და ძილს ამჯობინებს. მაილზი ჩემ გვერდით გაწოლილიყო პირქვე, თუმცა მე არ მიცქერდა, ჯერაც სუფრის კუთხეში მჯდომი როუზისთვის მიეპყრო თვალი, ის კი ბიჭის დაჟინებულ მზერას ამჯერადაც ვერ ამჩნევდა. ქლოი კვლავ ფიჭვის ჩრდილში იდგა, ხელში რაღაც ეჭირა, თავი უკან გადაეგდო და დიდი გაფაციცებით მისჩერებოდა ჩიტს თუ ცის ფონზე უცნაურ ცხაურად შეკრულ ტოტებს და ზღვიდან ნელი-ნელ დაძრულ თეთრ ქულა-ღრუბლებს. ღრმა საფიქრალში ჩაძირულიც კი, ერთიანად დამუხტული ჩანდა, წარმოუდგენლად ცოცხალი. ხელში – ნეტავ თუ სწორად მახსოვს? – გირჩა ეჭირა და თვალმოჭუტული ტოტებს შორის გამოღწეულ სხივებს არ ეპუებოდა. უეცრად სწორედ ის იქცა მთელი ამ იდილიის ღერძად, ვის გარშემოც ბრუნავდა და ტრიალებდა ყველაფერი: სრულიად მოულოდნელად შუქი-ცა და ჩრდილიც თითქოს მის ნებას აჰყვა და დაემორჩილა

– ბალახზე გაშლილი თეთრი სუფრაც, გვერდზე გადახრილი ლურჯ-მწვანე ფიჭვიც, აშიშინებული ლერწმიანიცა და თვით ის პანია ქულა-ღრუბლებიც, თითქოს უძრავად დარჩენას რომ ლამობდნენ მაღლა, უსასრულო ლაჟვარდში. მისის გრეისისკენ გამექცა თვალი. არა, გამექცა კი არა, შეგნებულად გავხედე, ლამის ამრეზით. წამში ჩემთვის ის, უბრალოდ, დიდ, ყავლგასულ, უსიცოცხლო სხეულად იქცა, მავანი ღმერთქალის დამხობილ კერპად, ვისაც უკვე ტომი აღარ ეთაყვანება, მოუსვრია კიდეც და ახლა სოფლელი ბიჭების შურდულების, ისრებისა თუ კენჭების სამიზნე გამხდარა.

უეცრად, თითქოსდა ჩემი ცივი მზერის სუსხი იგრძნოო, თვალები დააჭყიტა, წამოჯდა და ნამძინარევმა დაბნეულად მიმოიხედა. თითქოს გაუკვირდა, ღვინის ჭიქა ცარიელი რომ დახვდა. ერთი წვეთი თეთრ სამოსზე დასცემოდა და მოვარდისფრო ლაქა დაეტოვებინა. თითი გაუსვა, უკმაყოფილოდ გააწკლაპუნა ენა. მერე ერთხელაც შეგვათვალიერა ყველა, ჩაახველა და ხმამაღლა გამოაცხადა, ახლა დაჭერობანას დროაო. ყველანი მივაჩერდით, მისტერ გრეისიც კი. „არავის დევნას მე არ ვაპირებ!" – გამოსძახა ფიჭვის ჩრდილიდან ქლოიმ, თან ჩაიცინა თუ გაკვირვებულმა ჩაიხითხითა და როცა დედამ უსაყვედურა, გეყოფა ამდენი ჭირვეულობაო, მამის სკამს მიუახლოვდა, მისტერ გრეისს მხარზე ჩამოადო ხელი და დედას თვალებმოწკურულმა გახედა. მამამ ხელი შემოხვია, აიტაცა, ბანჯგვლიან მკერდზე მიიკრა. მისის გრეისი ახლა მე მომიბრუნდა: შენ ხომ ითამაშებ? – მკითხა, – და როუზიც...

ის თამაში ცოცხალი სურათების მონაცვლეობადღა მახსოვს, სწრაფი, ფერადოვანი მოძრაობების წამიერ გაელვებებად: აი, როუზი წელამდე ლერწმიანს მიარღვევს, წითელი პერანგი აცვია, თავი მაღლა უჭირავს და შავი თმა უფრიალებს;

ინდიელივით შუბლზე ლერწმის წვენწათხიპნილი მაილზი გამ-
ნარებული ცდილობს, ხელიდან დამისხლტეს, მესმის კიდეც,
როგორ ხრაშუნებს მისი მხრის სახსარი ფოსოში; როუზი ისევ
მიქრის, ამჯერად – გამკვრივებულ ქვიშაზე, უკან მისის გრეი-
სი მისდევს, სიცილით, და სადაცაა, დაიჭერს, ეს ორი ფეხ-
შიშველი მენადა წამით ფიქვის ჩრდილის ჩარჩოში შერბის;
უფრო იქით მუქ-ვერცხლისფრად ბზინავს სრუტე და ლურ-
ჯად კამკამებს ცისკიდური. ახლა უკვე მისის გრეისი მოჩანს
ლერწმიანში, სპრინტერივით ცალ მუხლზე დამდგარი, თით-
ქოს ნიშანს ელოდება, ადგილიდან რომ მოწყდეს, ამ დროს
კი მეც ვეწევი, მაგრამ ყველა წესისა და კანონის მიუხედა-
ვად, ის აღარ გარბის, თავისკენ მიხმობს და გვერდით ჩა-
მოჯდომას მთხოვს. მერე ხელს მხვევს, თავისკენ მიზიდავს...
მისი მკერდის სისავსეს ვგრძნობ, იმის გულისცემას, მომჟავო,
რძე-ძმრიან სუნს. *ჩუო*, მეუბნება და თითს ტუჩებზე მადებს.
სიცილის შეკავებას ცდილობს, ერთიანად თრთის. ზრდასრულ
ქალთან ასე ახლოს არასდროს ვყოფილვარ მას მერე, რაც
დედა ხელით დამატარებდა, მაგრამ ახლა, რაიმე სურვილისა
თუ ჟინის ნაცვლად, მხოლოდ შიში და გაურკვეველი ბრაზი
მიპყრობს. როუზი, ასე უცნაურად ჩახვეულებს რომ გვპოუ-
ლობს, შუბლს იჭმუხნის. მისის გრეისი გოგოს მაჯაში ავლებს
ხელს, თითქოს წამოდგომა სურს და საყრდენს დაეძებსო,
მაგრამ სინამდვილეში იმასაც ქვევით, ჩვენკენ ექაჩება. ახლა
უკვე აქოშინებულები და გულამოვარდნილები, ერთმანეთში
ვირევით, ვიხლართებით – ვერ გაიგებ, სად ვისი მკლავია და
ფეხი, ზღვის ვარსკვლავივით გავთხლაშულვართ დაბეკნილ
შამბნარზე. სწრაფად ვდგები – ვშიშობ, მისის გრეისმა, უკვე
ჩემი ჩავლილი ტრფობის საგანმა, ისევ არ მოინდომოს თავისი
სამშვენისების გამომზეურება. თვითონ თვალს იჩრდილავს,

ამომცქერის და იდუმალი, მკაცრი, სუსხიანი ღიმილით მიღიმის. როუზიც წამომხტარა, პერანგს ისწორებს, გაბრაზებული ბურტყუნებს რაღაცას, ჩემთვის გაუგებარს, და უკანმოუხედავად, საჩქაროდ გვეცლება. მისის გრეისი მხრებს იჩეჩს, ეჭვიანობსო, მეუბნება და მერე მთხოვს, სიგარეტი მომიტანეო. თურმე ნუ იტყვით, სიგიჟემდე მონდომებია გაბოლება.

როცა მდელოზე, ფიჭვის ქვეშ დავბრუნდით, იქ არც ქლოი დაგვხვდა და არც მამამისი. სუფრაზე გაბნეული საგზლის ნარჩენები იდუმალი რუნებივით მოჩანდა და თითქოს ჩვენგან ამოკითხვას ითხოვდა, საგანგებოდ დატოვებული გზავნილივით. „აი ეს მომწონს! – წყენით ჩაილაპარაკა მისის გრეისმა. – ჩვენ უნდა ავალაგოთ?!" ლერწმიანიდან კიდევ ერთხელ გამოჩნდა მაილზი. ჩაიმუხლა, ბალახის ღერო მოგლიჯა, შეტყუპებულ ხელისგულებს ერთხელაც გამოაცემინა ძველებური სალამურის ხმა და ჩუმად, დაძაბული, თაბაშირის ფავნივით გაქვავებული დაელოდა პასუხს. ჩალისფერ თმაზე მზე დასთამაშებდა. წამში მართლა მოისმა ქლოის საპასუხო გამოძახილი – კამკამა, წვრილი სტვენა, ნემსივით რომ გაფხაჭნა ზაფხულის უკვე მწუხრისკენ გადახრილი დღე.

რაც შეეხება ფარულად ჭვრეტას, ამასთან დაკავშირებით უნდა ვახსენო ის ხანგრძლივი, პირქუში დათვალიერება, ამ დილით სააბაზანოს სარკეში საკუთარ თავს რომ მოვუწყვე. ბოლო დროს, ჩვეულებრივ, სარკესთან აუცილებელზე მეტხანს არასოდეს ვჩერდები; არადა, იყო დრო, როცა საკუთარი ანარეკლის ცქერა სიამოვნებასაც კი მანიჭებდა, ოლონდ ეს ამბავი კარგა ხნის წინ ჩაბარდა წარსულს. ახლა, მსუბუქად რომ ვთქვათ, მაფრთხობს კიდეც სარკის ჩარჩოში მომ-

ნყვდეული გამოსახულება, რაკი სულაც აღარ ჰგავს იმას, ვის დანახვასაც ველოდები. თითქოს საკუთარი თავის კარიკატურამ მუჯლუგუნით გამწია გვერდზე და ჩემი ადგილი ვილაც თმააჩეჩილმა, მორუხო-მონითალო, საჰელოუინო ნიღაბმორგებულმა უცნობმა დაიკავა, რაღაცით რომ მახსენებს ჩემსავე გარეგნობას, რომელსაც ჯიუტად არ ვივიწყებ. ზოგადად, სარკეებთან დაკავშირებით, ერთი პრობლემა მაქვს – უფრო სწორად, რამდენიმე, ოღონდ, მეტწილად, მეტაფიზიკური ბუნებისა; ის ერთი კი, რომელიც ახლა ვახსენე, მთლიანად პრაქტიკული ხასიათისაა. ჩემი არასტანდარტული და უაზრო ზომების გამო, ჩემთვის ტუალეტის სარკეები მუდამ დაბლა კიდია ხოლმე, ამიტომაც იძულებული ვხდები, გვარიანად მოვიხარო წელში, სახე მთლიანად რომ დავინახო. მოკლედ, როცა ასე წახრილი, გაოცებული და დაბნეული (რითაც ბოლო დროს გამოვირჩევი), პირდაღებული და გაკვირვებისაგან წარბებაპრეხილი მივაჩერდები საკუთარ თავს, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ვილაც ჩამოხრჩობილს შევცქეროდე.

აქ რომ გადმოვბარგდი, ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე, წვერს მოვუშვებ-მეთქი – უფრო სიზარმაცის, ვიდრე რაიმე სხვა მიზეზის გამო – მაგრამ სამი-ოთხი დღის ჯაგარი ისეთი უცნაური ჟანგისფერი გამოდგა, თავზე ამოსული თმისაგან სრულიად განსხვავებული (ახლაღა ვხვდები, კლერს ჟღალი თმა ვისგან გამოჰყვა), განზრახვაზე მაშინვე ავიღე ხელი. ამ ჩხვლეტია, ქლიბის პირივით წვერისა და ჩაწითლებული თვალების გადამკიდე, მართლა კომიქსების ბოროტმოქმედს დავემსგავსე – საშიშ ბოროტმოქმედს, რომელიც ჯერ იქნებ არც ჩამოუხრჩვიათ, მაგრამ სიკვდილმისჯილთა საკანში კი ელოდება განაჩენის აღსრულებას. საფეთქლებზე, სადაც ჭაღარა გვარიანად შემოთხელდა, მოყავისფრო ლაქები გამიჩნდა – არ ვიცი, ნაგვიანევი

ჭორფლი დავარქვა თუ ღვიძლის ჯანყის გამოვლინება. ალბათ უფრო მეორე, და ეჭვიც არ მეპარება, დღეს-ხვალ ნებისმიერი ამათგანი შეიძლება შარად მექცეს, რომელიმე ატიპური უჯრედის წყალობით. ისიც შევამჩნიე, როგორ მომიმრავლდა მოვარდისფრო ფერიჭამიები. შუბლზე კანი ერთიანად ნითლად მაქვს დაწინწკლული, ნესტოებთანაც საზიზღრად დამაყარა და ლოყებზეც მომეძალა არაბუნებრივი სიწითლე. ჩემი საყვარელი და მრავალნაცადი, ლონდონში ედამ და ჩარლზ ბლექების მიერ დასტამბული, უილიამ თომსონისეული სამედიცინო ცნობარი, სადაც 441 შავ-თეთრი, უფრო სწორად, რუხზე რუხი ილუსტრაცია და გულისგამხეთქი ოთხი ფერადი ჩანართია, მკაცრი შეუვალობით მამცნობს, რომ ეს ფერიჭამიები დიდად უსიამო ავადობის მომასწავებელია, რაც *სახისა და შუბლის ანთებითი არეების ქრონიკული კონგესტიით* გამოიხატება და *წითელი პაპულების გაჩენას იწვევს;* ამის შედეგად ნარმოქმნილი ერითემა – ასე უწოდებენ ექიმები კანის სიწითლეს – ხან იკლებს, ხან იმატებს, მაგრამ, საბოლოდ, მაინც მუდმივი ხდება. როგორც იგივე გულწრფელი დასტაქარ-ლექსიკოგრაფი გვაფრთხილებს, მას *თან სდევს საცრემლე ჯირკვლების მნიშვნელოვანი გამსხვილება და ცხვირის გამსხვილება, ანუ რინოფიმა, ე.წ. „ლოთის ცხვირის“ გაჩენა.* სხვათა შორის, სიტყვა „გამსხვილების“ გამეორება იშვიათი ზადია პროფესორ თომსონის, ჩვეულებრივ, კეთილხმოვანი, არქაული სტილისათვის. ერთი უნდა გავარკვიო, კერძო პრაქტიკა თუ აქვს. ალბათ გადასარევი სანახავი იქნება მომაკვდავის საწოლთან წახრილი. დაამშვიდებს, ანუგეშებს. რამე რომ იყოს, განყენებულ თემებზეც გაესაუბრება. ეს მედიკოსები არც მთლად ისეთი ყუმი ხალხია, როგორც ამბობენ. თუნდაც, აი, ის როჟე, კიდევ ერთი ცნობილი სინონიმების ლექსიკონის ავტორი. ამავე დროს მნიშ-

ვნელოვან კვლევებს აწარმოებდა ჭლექისა და საანესთეზიო აირების დარგში და ეჭვი არაა, შიგადაშიგ ერთი-ორ ავადმყოფსაც მოარჩენდა. ოღონდ, ეგ იქით იყოს და, „ლოთის ცხვირი" მაინც დიდი ვერაფერი საოცნებოა...

როცა სარკეში ასე ვათვალიერებ ხოლმე საკუთარ სახეს, ბუნებრივია, ბონარი მახსენდება – ლე-ბოსკეში, სააბაზანოს სარკის წინ, ავტოპორტრეტისთვის გაკეთებული მისი ბოლო ჩანახატები. ისინი ომის მიწურულს, ცოლის გარდაცვალების მერე გააკეთა (კრიტიკოსები, რატომღაც, ამ ჩანახატებს *დაუნდობელს* უწოდებენ, თუმცა არ მესმის, რატომ უნდა დაენდო თავი). სინამდვილეში ეს ანარეკლი, ახლაღა მივხვდი, ყველაზე მეტად მაინც ვან-გოგის ავტოპორტრეტს მაგონებს – არა იმას, ცნობილს, თავშეხვეული და ჩიბუხიანი რომაა გამოსახული, არამედ უფრო ადრეულს, 1887 წელს, პარიზში დახატულს, სადაც თავშიშველია, მაღალ საყელოზე პროვანსული ლურჯი ყელსახვევი უკეთია, ორივე ყური ადგილზე აქვს და ისე იცქირება, თითქოს ეს-ესაა, უწამებიათო; შუბლი შეჭმუხვნია და ნაშიმშილარივით ჩასცვენია ლოყები; ჩარჩოდან გვერდულად, მოღლილი თვალებით იმზირება, გაფაციცებული და გაბრაზებული, რაღაც უარესის სრულიად საფუძვლიანად მომლოდინე.

ამ დილით ყველაზე მეტად თვალებმა შემაშფოთა. გუგები ერთიანად დაეღარა ღია წითელ ხაზებს და ქვედა ქუთუთოებიც შემწითლებოდა. მგონი, შემშუპებოდა კიდეც. ვამჩნევ, წამწამები ლამის სულ გამცვივდა, არადა, ახალგაზრდობაში, გოგოებს შურით რჩებოდათ თვალი. ზედა ქუთუთოზე, კუთხეში, შიგნიდან, რაღაც გამომხტომია: შეხედავ და არაფერი, ოღონდ შუაში პატარა, ყვითელი წერტილი მოუჩანს, ჩირქგროვასავით. არა, არ შეიძლება ასე დაჟინებით და გამოწვლილ-

ვით იკვლიო ადამიანის სახე. რა საჭიროა? სიწითლეშეპარულ, ვშიშობ, მართლა საბრალო ვინსენტივით ჩაცვენილ ლოყებსაც სააბაზანოს თეთრ კედლებსა და პირსაბანზე არეკლილი შუქი კიდევ უფრო უცნაურ ელფერს აძლევს. თავად შუქიც სულაც არა ჰგავს ჩრდილოური შემოდგომის ნათებას, უფრო შორეული სამხრეთის მკაცრი, თავნება, მშრალი ციალის მსგავსია. აი, სარკეშიც აირეკლა, მდუმარე კედლებში შეუონა, გამოაშრო და პრეისტორიული თევზის ჩონჩხივით მყიფედ აქცია; მერე, პირსაბანის ბაკანზე ასხლეტილი, ყოველ მხარეს გაიფრქვა – შორეული ნისლივით. შუქის ამ თეთრ ყუთში მომწყვდეული, წამით, თითქოს რომელიღაც ნამდვილ თუ წარმოსახულ უცხო ნაპირზე ალმოვჩნდი, არც ვიცოდი – სად. თუმცა იქაურობა დასიზმრებულივით ნაცნობს ჰგავდა და მეც მზის გულზე ვიჯექი, ქვიშის მკვრივ ბორცვზე, ხელში დიდი, ბრტყელი, გლუვი, ლურჯი ქვა მეჭირა, გამშრალი და თბილი. მგონი, ტუჩებთანაც მივიტანე, მარილიანი გემო გავუსინჯე – ზღვის ფსკერისა და შორეული კუნძულების, ღვთისაგან მივიწყებული ადგილების, თევზების მყიფე ჩონჩხების, წყალმცენარეებისა და ლპობის გემო. ჩემ წინ გადაშლილი ზღვის მომცრო ტალღები ადამიანის ხმით მესაუბრებოდნენ, გულითადი მეგობრებივით მანდობდნენ უძველესი კატასტროფების, ტროას დაქცევის, ეგებ ატლანტიდის ჩაძირვის ამბებსაც კი... ირგვლივ ყველაფერი ბრნყინავს, ციმციმებს, ელვარებს. ნიჩაბს გაწყვეტილი მძივის მარცვლებივით სწყდება წყლის ვერცხლისფერი წვეთები. დასალიერზე შავ გემს ვხედავ, რომელიც წამი-წამ სულ უფრო ახლოვდება. აქა ვარ, არსად გავრბივარ. უკვე მესმის თქვენი მღერა, სირინოზებო. ჰა და ჰა, თითქმის გავედი ბოლოში.

II

ახლა რომ მახსენდება, ქლოი, მაილზი და მე თითქმის მთელ დღეებს ზღვაში ვატარებდით: მზიან ამინდშიც ვცურავდით და წვიმიანშიც. დილაობითაც, როცა წყალი წვნიანივით ბლანტი იყო და ღამითაც, როცა ის შავი აბრეშუმივით გველამუნებოდა მკლავებზე. ერთ საღამოს გაქანებული ჭექა-ქუხილის დროსაც კი დავრჩით ზღვაში და ელვამ ორკაპა ენა ჩვენგან ისე ახლოს დაჰკრა ზედაპირს, ჭახანის ხმაც გავიგონეთ და ჰაერში დამწვრის სუნიც დატრიალდა. თავად დიდი ვერაფერი მოცურავე ვიყავი, ტყუპები კი სულ პატარაობიდანვე დადიოდნენ ცურვაზე და ტალღებსაც იოლად მიაპობდნენ ხოლმე – დანით რომ კარაქი გაჭრა, ისე. თუმცა წრთობისა და ნასწავლობის ნაკლებობას გამძლეობით ვინაზღაურებდი. გაუჩერებლად შემეძლო დიდხანს და შორს ცურვა, რასაც ხშირად ვაკეთებდი კიდეც, თუკი ვინმე მყავდა მაყურებელი: გვერდულად მივარღვევდი წყალს, ვიდრე მარტო საკუთარ თავს კი არა, სანაპიროზე დარჩენილ ხალხსაც არ გამოვუღევდი მოთმინებას.

სწორედ ამგვარი თავმოსაწონი ყოყლოჩინობის დროს გამიჩნდა პირველად შეგრძნება, რომ ჩემ მიმართ ქლოის დამო-

კიდებულება შეიცვალა – უფრო სწორად, მივხვდი, რომ საერთოდ რაღაც დამოკიდებულება ჰქონია. გვიანი საღამო იყო, კარგა შორს შევცურე – ას იარდზე? თუ სულაც ორასზე? – და მწვანე ობმოდებულ ორ დიდრონ ბეტონის ჯებირსაც გავცდი, ვინ იცის, როდის აღმართულს ზღვაში, ნაპირის ჩამორეცხვასთან ბრძოლის უიმედო მცდელობის ნაშთს. ნაპირზე გამოსულს კი ქლოი დამიხვდა – თურმე მთელი ამ დროის განმავლობაში მელოდებოდა. პირსახოცში გამოხვეული, აწურული, იდგა და სიცივისაგან მთელი ტანით კანკალებდა, ტუჩებიც კი გალურჯებოდა. „ნეტა რას ვაჟკაცობ?" – მომახალა გაბრაზებულმა. სანამ რამეს ვუპასუხებდი – თუმცა რა უნდა მეპასუხა, მართალს ამბობდა, მართლა სულელივით ვიქცეოდი – მაილზიც გამოხტა ქვიშის ბორცვების უკნიდან, ჩვენკენ დაეშვა სირბილით, მერე ორივეს ქვიშა შემოგვაყარა და სწორედ იმ წამს ნათლად და მკაფიოდ, უცნაურად გულისამაჩუყებლად დამიდგა თვალწინ ჩვენი პირველი შეხვედრა: ქლოიმ სხვა ქვიშის ბორცვიდან რომ ისკუპა და ჩემს ცხოვრებაში სამუდამოდ შემოიჭრა. ახლა უხმოდ გამომიწოდა ჩემი პირსახოცი. ჩვენ გარდა ნაპირზე აღარავინ ჩანდა. საღამოს რუხად დაბურულ ჰაერს წყალმოსხმული ნაკვერჩხლის სუნი ასდიოდა. დღევანდელივით მახსოვს, დავიძარით და ქვიშის ბორცვებს შორის დარჩენილი ვიწრო გზით სადგურისკენ გავწიეთ. ქლოი პირსახოცის ბოლოს ქვიშაზე მიათრევდა, მე კი მხარზე პირსახოცგადაგდებული და სველ თმაგადაგლესილი, ალბათ, რომელიმე რომაელი სენატორის დაპატარავებულ ასლს ვგავდი. მაილზი წინ გარბოდა, მაგრამ ეს ვინღაა, ბინდბუნდში რომ ილანდება ნაპირზე, სიბნელეშეპარულ ზღვასთან, რომელსაც თითქოს რაღაც უცხო, დაფეთებული ღამეული მხეცივით მოურკალავს ზურგი და ცდილობს, დანისლული ჰორიზონ-

ტიდან სწრაფად დაძრულ ღამეს გამოერიდოს? იქნებ ჩემივე აჩრდილი გვითვალთვალებს – იმ სამ ბავშვს უთვალთვალებს, ფერფლისფერ ჰაერში რომ ითქვიფება და მერე სადგურისკენ მიმავალ გზაზე უჩინარდება?

ქლოიზე, ჯერჯერობით, ბევრიც არაფერი მითქვამს. იმ ასაკში გარეგნულად დიდად არც განვსხვავდებოდით ისა და მე, საერთო იერსახის თვალსაზრისით. ლამის სითეთრემდე ქერა თმაც კი – მხოლოდ სველი რომ უმუქდებოდა ხოლმე მწიფე ხორბლისფრად – ზუსტად ჩემნაირად ჰქონდა მოკლედ შეკრეჭილი. უფლისწულის მხლებელ პატარა ბიჭს წააგავდა; ქოჩორი ლამაზ, მაღალ შუბლზე ჩამოშლოდა, როგორც – ეს ახლა მომივიდა აზრად – პროფილში მდგომ ერთ-ერთ იდუმალ ფიგურას ბონარის ცნობილ ნახატზე „ფანჯარასთან მიდგმული მაგიდა". აი, იმაზე, ხილით სავსე თასი და წიგნი რომ მოჩანს, თავად ფანჯარა კი ტილოს ჰგავს, მოლბერტზე გადაჭიმულსა და უკანა მხრიდან დანახულს. არა, ახლა ჩემთვის მართლა ყველაფერი რაღაც სხვაა – სულ უფრო და უფრო ხშირად ვამჩნევ ამას. მახსოვს, ჩვენს მეზობლად მცხოვრები ერთი უფროსი ბიჭი მიმტკიცებდა: ეგეთი, ქლოისნაირი ქოჩორი იმის უტყუარი ნიშანია, ეგ გოგო თავისივე ფისუნიას ეალერსებაო... მაშინ არ ვიცოდი, რას გულისხმობდა, თუმცა დარნმუნებული ვიყავი, ქლოი არაფერს თამაშობდა – არც თავის თავთან და არც სხვაგვარად. ის თამაშები, რასაც ადრე ხალისით ვეტანებოდი ხოლმე ჩემს უწინდელ მეგობრებთან ერთად – წრეში ბურთი იქნებოდა თუ დამალობანა, იმას საერთოდ არ იზიდავდა. როცა ვუთხარი, ჩვენთან, ფიცრულ სახლებში ზოგი შენი ხნის გოგო ჯერაც თოჯინებით ერთობა-მეთქი, უნდა გენახათ, როგორ აიმრიზა და როგორ აიბზუა ცხვირი. საერთოდაც, თანატოლების უმრავლესობას არ სწყა-

ლობდა. არა, თამაში ქლოისთვის არ იყო მოგონილი, მხოლოდ მაილზთან ერთობოდა და ამას თამაშს ნამდვილად ვერ დაარქმევდი.

იმ ბიჭმა, მისი ქოჩორი რომ ახსენა – უცებ თვალწინ დამიდგა ეს ბიჭი, ჯო ვიღაცა, ძვალმსხვილი, მოსული ტანის, ყურპარტყუნა და თმააჯაგრული – მერე ისიც თქვა, მაგ შენს ქლოის მწვანე კბილები აქვსო. ჯერ კი აღვშფოთდი, მაგრამ მართალი გამოდგა: როცა დავაკვირდი, მინანქარს ნამდვილად დაკრავდა მომწვანო-მორუხო ელფერი – როგორც ხის ჩრდილში ნოტიო შუქს ნაწვიმარზე, ანდა დამდგარ წყალში მკვახე ვაშლისფრად არეკლილ ფოთოლს. სწორედ ვაშლის ფერი – მის სუნთქვასაც ხომ ვაშლის სურნელი ასდიოდა! პატარა მხეცებივით ვიყავით, მუდამ ვსუნავდით ხოლმე ერთმანეთს. განსაკუთრებით მომწონდა, თუკი მოვახერხებდი და რაღაც მოტკბო-მომჟავოს შევიყნოსავდი, მისი მუხლებისა და მკლავების შიდა მხარეებს რომ ასდიოდა. უნდა ვაღიარო, დიდი სისუფთავის მოყვარული გოგო არ ეთქმოდა და მეტწილად, მით უფრო საღამოსკენ, სულ ისეთ გაუგებარ, ჩამდგარ სუნს აფრქვევდა, ადრე ფხვიერი ნამცხვრების დიდი, რკინის ოთხკუთხა ყუთებიდან რომ ამოდიოდა ხოლმე. ნეტავ ისევ თუ ყიდიან ამგვარი ყუთებით ფხვიერ ნამცხვრებს? მისი ხელები, თვალები, ფრჩხილებდაკვნეტილი თითები – ეს ყველაფერი ცხადად მახსოვს, თუმცა ცალ-ცალკე, დაფანტულად, და ერთად ვერაფრით მომიყრია მათთვის თავი. ვერაფრით. რამდენიც არ უნდა ვცადო, როგორც არ უნდა მოვინდომო და თავიც მოვიტყუო, ხსოვნაში მაინც ვერ ვაცოცხლებ ისე, როგორც, ვთქვათ, დედამისს ან მაილზს, ან თუნდაც იმ ყურპარტყუნა ჯოს. მოკლედ, ვერ ვხედავ. ჩემი გონების თვალი მხოლოდ სადღაც შორს, ბუნდოვნად, ფოკუსიდან ამოვარ-

დნილს აღიქვამს და ზუსტად იმავე სიჩქარით ხევს უკან, რომ-ლითაც მე ვისწრაფი მისკენ. მოკლედ, მივდევ და ვერ ვეწევი. არ ვიცი, რატომ. ახლაც კი, ზოგჯერ, ქუჩაში მოვკრავ ხოლმე თვალს, ანუ – ვიღაცას, ვინც შეიძლებოდა ის ყოფილიყო: ისე-თივე მაღალი შუბლი, უფერული თმა, იმგვარადვე თან მიზან-მიმართული და თან უცნაურად მერყევი, მტრედივით აცაბაცა სიარული... მაგრამ მუდამ ბევრად, ძალზე ბევრად ახალგაზ-რდა. სწორედ ეს ამოუცნობი საიდუმლო მირევდა თავგზას მაშინ და ახლაც მირევს. როგორ შეიძლება, ერთ წამს ჩემთან იყოს და მეორე წამს – უკვე აღარ? და საერთოდ, როგორ შეიძლება, სადმე სხვაგან იყოს, სრულიად სხვაგან? ეს არ მეს-მოდა, ამას ვერ ვეგუებოდი და დღემდე ვერ შევგუებივარ. თუკი ვერ ვხედავ, წესით, სრულ გამონაგონად უნდა ქცეუ-ლიყო, მხოლოდ ზმანებად, მაგრამ ყველა საბუთი და ნიშანი მკარნახობდა, რომ ჩემგან შორსაც კი, ის მყარად, ჯიუტად, ამოუხსნელად ცოცხალ, რეალურ არსებად რჩებოდა. არადა, ადამიანები მიდიან, ქრებიან, ეს კი კიდევ უფრო დიდი საი-დუმლოა, უდიდესი. მეც წავალ, წამში გავქრები და თითქოს არც ვყოფილვარ. ოლონდ ეგაა, წლების განმავლობაში ცხოვ-რებას იმდენად ეჩვევი, აღარც სიკვდილი გხიბლავს, როგორც ამას სერ ტომას ბრაუნი გვიმტკიცებდა.

– *პაციენტი,* – მითხრა ერთხელ ანამ, უკვე ბოლოსკენ, – სასაცილო სიტყვაა. მართალი გითხრა, სულაც არ ვგრძნობ თავს პაციენტად...

ზუსტად როდის და რა წუთს გადავიტანე ჩემი ტრფობა – ვერა და ვერ მოვიშორე ეს ძველმოდური სიტყვაკაზმულო-ბა – დედიდან შვილზე, ახლა ვეღარც კი ვიხსენებ. ცხადია, იყო იმ პიკნიკის დროს რაღაც თვალის ამხელი წამი, როცა ქლოი ფიჭვის ქვეშ იდგა, მაგრამ ეს უფრო ესთეტიკური გან-

ცდა იყო, ვიდრე ეროტიკული, ან მით უმეტეს, სასიყვარულო. ვერა, მიხვედრისა და გაცნობიერების ვერანაირ განსაკუთრებულ წამს ვერ ვიგონებ, ვერც ქლოის მორცხვი ხელის შეხებას, ვერც უეცარ, მგზნებარე ჩახუტებას, ვერც მარადიულ სიყვარულზე გაუბედავ ჩურჩულს. ამგვარი რამეები ალბათ იყო კიდეც, შეიძლება – ყველაფერი ერთადაც: ალბათ ხელებიც ჩაგვიკიდია, ჩავხუტებულვართ კიდეც, სიყვარულიც აგვიხსნია, მაგრამ ეს ყოველივე წარსულის ბნელ ნაკეცებში ჩამარხულა და ახლა სულ უფრო და უფრო ედება მტვერი. იმ საღამოსაც, როცა კბილებაკანკანებული ამოვედი წყლიდან, ის კი საღამოს ბინდ-ბუნდში ტუჩებგალურჯებული მელოდა ნაპირზე, არ განმიცდია ის უხმო აფეთქება, რაც, როგორც გვიამბობენ, სიყვარულის მაუწყებელია თუნდაც პატარა, გამოუცდელი ბიჭის გულში. მივხვდი, როგორ სციოდა, რამდენი ხანი მელოდა, მისი უხეში სინაზეც ვიგრძენი, როცა პირსახოცი მომახურა გათოშილ მხრებზე, მაგრამ ამის მიუხედავად, მხოლოდ გულწრფელ მადლიერებას განვიცდიდი, თითქოს ჩემი არსების შიგნით დანთებულ ალს თბილმა სიომ დაუბერა და მხოლოდ წამით ააბრიალა. არადა, მთელი ამ ხნის მანძილზე მაინც უთუოდ ხდებოდა რაღაც, იდუმალი გარდასახვა ან სულაც გარდაქმნა...

კოცნაც მახსოვს – ის ერთი, ერთადერთი მრავალ დავიწყებულთაგან. არ ვიცი, სწორედ ის იყო პირველი თუ არა. ბავშვობაში კოცნა ძალიან ბევრს ნიშნავს: უცებ მთელი სამყარო ამოყირავდება, აკაშკაშდება, ახმიანდება, უცებ ცა ათასნაირი მაშხალით განათდება და უთვალავი შადრევანი ამოიფრქვევა. როცა ვაკოცე – როცა ერთმანეთს ვაკოცეთ – ფარლალა კინოდარბაზში ვისხედით, და ეს კინოდარბაზი უკვე იმდენჯერ ვახსენე, ცხადია, ქვეცნობიერად სწორედ ამ დღის

სანიშნედ ჩნდებოდა ხოლმე ამავე წიგნის ფურცლებზე. უფრო ფარდულს ჰგავდა, მოშიშვლებულ, უშენ ადგილას იდგა ნაპირსა და კლდეებს შორის. დამრეცი სახურავი ეფარა და უფანჯრო გახლდათ, ერთადერთი შესასვლელი ჰქონდა, გვერდზე გამოჭრილი, ზედ გრძელი ფარდა თუ მგონი, ტყავი გაეკრათ, მოკლედ, რაღაც სქელი, ეკრანს რომ შუქი არ დასცემოდა, როცა დაგვიანებული მაყურებლები შემოიძურწებოდნენ ხოლმე დღის ჩვენებაზე; საღამოობით კი ჩოგბურთის კორტებს იქით გადახრილი მზის შუქს აკავებდნენ ასე. ხალხი ხის გრძელ, გაურანდავ სკამებზე ისხდა, ეკრანად დიდი, ოთხკუთხა ტილო გაეკრათ, რომელიც ქარის ყოველ დაბერვაზე ისე მგრძნობიარედ თრთოდა, ფილმის გმირი ქალის თეძო გამომწვევად იწყებდა რხევას, გმირ ვაჟკაცებს კი სამარცხვინოდ უკანკალებდათ ჩახმახს გამოდებული თითი.

მეპატრონე – მისტერ რეკეტი თუ რიკეტი – ერთი ჩოფურა, მოდური ჯემპრით თავმომწონე კაცი გახლდათ, დამხმარეებად კი ორი ჩაფსკვნილი, სანდომიანსახიანი, ჩვენზე ცოტათი უფროსი ვაჟიშვილი ჰყავდა, რომლებსაც, სულ ასე მეგონა, ძალიან რცხვენოდათ ამ ოჯახური საქმის, ცოტა არ იყოს, კაბარესებური უხამსობა რომ დაჰკრავდა. ერთადერთი ხმაურიანი პროექტორი იდგა, იოლად რომ გადახურდებოდა ხოლმე – გეფიცებით, ერთხელ ჩემი თვალით დავინახე, როგორ აუვიდა ბოლი – ასე რომ, სრულმეტრაჟიან ფილმებს, სულ ცოტა, ორჯერ მაინც სჭირდებოდა ფირის შეცვლა. ამ შუალედებში ის მისტერ რეკეტი თუ რიკეტი, თავადვე რომ ასრულებდა კინომექანიკოსის მოვალეობას, დარბაზში შუქს არ ანთებდა – დარწმუნებული ვარ, შეგნებულად, რაკი მისი დარბაზი იმთავითვე მიმზიდველად ცუდი სახელით სარგებლობდა – და ამით უამრავ წყვილს, მათ შორის ჯერ უასა-

კოებსაც, ერთი-ორი წუთი სრულ წყვდიადში ვნებიანი შმაშუ-ნის საშუალებას აძლევდა.

იმ სამახსოვრო კოცნის დღეს, უფრო სწორად, წვიმიან კვირა საღამოს, როცა მე და ქლოი გრძელი მერხის შუაში ვისხედით წინა რიგში, ეკრანთან ისე ახლოს, რომ ტილო ლა-მის თავზე გვეფარა და ზედ შავ-თეთრად გამკრთალი აჩ-რდილებიც თითქოს გასრესით გვემუქრებოდნენ, იმდენ ხანს მქონდა ქლოის ხელის მტევანი ჩემს თითებში მომწყვდეული, მისად უკვე ველარც აღვიქვამდი; ვერანაირი სიახლოვე ვერ ამთლიანებს ორ სხეულს ისე, როგორც ეს ბავშვური ხელჩა-კიდება – და როცა ეკრანი ტკაცუნით გაუფერულდა და გო-გოს თითებიც თევზებივით ასხმარტალდნენ, მეც ერთიანად ამიტანა თრთოლამ. ჩვენს თავს ზემოთ ჯერ ისევ დაბინდულ ნაცრისფერად ციმციმებდა ეკრანი, ვიდრე საბოლოდ ჩაბნელ-დებოდა და მერეც ინარჩუნებდა ამ ციმციმის რაღაც კვალს – აჩრდილთა აჩრდილს. სიბნელეში ჩვეული სტვენა-ყვირილი და ფეხების ბრაგუნი ატყდა; თითქოს ამ ნიშანს ველოდით, მე და ქლოიმ ერთდროულად მივაბრუნეთ ერთმანეთისაკენ თავები და წყალმოწყურებულებივით დავეწაფეთ ერთმანეთის ტუჩებს. ვერაფერს ვხედავდით და ეს კიდევ უფრო ამძაფ-რებდა ჩვენს განცდებს. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ამ მკვრივ, დამუხტულ წკვარამში მივფრინავდი, ძალდაუტა-ნებლად, მდორედ, სიზმარეულად. ირგვლივ ამტყდარი გნია-სიც უცებ წარმოუდგენლად შორეული მეჩვენა – სადღაც და-სალიერში ატეხილი ჭექა-ქუხილის სუსტი გამოძახილივით. ქლოის გრილი და მშრალი ტუჩები ჰქონდა და ვგრძნობდი, როგორ დაძაბული სუნთქავდა. ბოლოს, როცა უცნაური, სტვენის მსგავსი ამოოხვრით გამეცალა, ხერხემალზე თით-ქოს დენმა დამიარა, თითქოს რაღაც ცხელი ჩამეღვარა გამო-

ცარიელებულ გულ-მუცელში. მერე მისტერ რიკეტმა თუ რეკეტმა – იქნებ სულაც *როკეტმა* – ისევ აამუშავა პროექტორი და დარბაზიც ჩაყუჩდა. ეკრანმა ჯერ თეთრად იელვა, მერე ზედ გამოსახულებაც შრიალ-შიშინით დაბრუნდა და იმ წამს, სანამ ხმაც დაედებოდა, გავიგონე, რომ მანამდე სახურავზე მორახუნე თავსხმა წვიმას გადაეღო.

ბავშვობაში ბედნიერება სულ სხვა რამეა. მეტწილად, უბრალოდ აგროვებ ახალ გრძნობებს, შეგრძნებებსა თუ გამოცდილებას და მერე იმ პრიალა მოზაიკასავით აწყობ, ერთ მშვენიერ დღეს შენივე საკუთარ, უკვე დასრულებულ *მე*-დ რომ დალაგდება. ოღონდ ამას სასწაულის მუდმივი განცდაც ახლავს – ბედნიერების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი, როცა ბოლომდე ვერ იჯერებ, ბედი თუ ასე გაგიღიმებდა. მართლაც, სრულიად მოულოდნელად, მკლავებში მყავდა მოქცეული ეს გოგო და გარკვეულწილად, ზუსტად იმას ვაკეთებდი, რასაც კაცები შვრებიან: მისი ხელი მქონდა მომწყვდეული თითებში, ვკოცნაობდით კიდეც ბნელ კინოდარბაზში და როცა ფილმი დამთავრდა, პირველი წამოვდექი, გვერდზე გავდექი, თავაზიანად ჩავახველე და გზა დავუთმე რიგებს შორის გასავლელად, იმ მძიმე ფარდისკენ; მერე ფარდაც გადავუწიე და ზაფხულის წვიმით გადარეცხილ საღამოში გამოვაბიჯეთ. ახლა მე *მე*-ც ვიყავი და იმავდროულად, ვილაც სხვაც, ვილაც სრულიად განსხვავებული, სრულიად ახალი. როცა სანაპირო კაფესაკენ მივაბიჯებდით მოზოზინე ბრბოში, უკან მივყვებოდი და თითი, უნებურად, ტუჩებზე მოვისვი, იმ ტუჩებზე, ცოტა ხნის წინ მას რომ კოცნიდნენ. ეტყობა, ველოდი, რაღაც ჯადოს წყალობით, ტუჩებიც უნდა შეცვლილიყვნენ, თუნდაც სულ ოდნავ, სხვებისათვის თითქმის შეუმჩნევლად. საერთოდ, მეგონა, ყველაფერი შეიცვლებოდა ზუსტად ისევე, როგორც

თავად ის დღე გადასხვაფერდა – თავიდან მოლუშული და წვიმიანი, როცა კინოდარბაზში შევდიოდით, ახლა კი ჩამავალი მზის ირიბი ჩრდილებით სავსე; წვიმით დანამული ბუჩქები მარგალიტებად იფერთხავდნენ წვეთებს და შორს, ყურეში, ჩვენკენ ზურგშექცეული ალისფერი იალქანიც სილურჯეშეპარული დასალიერისაკენ მისრიალებდა.

მერე უკვე კაფე. ის კაფე. და კაფეში – ჩვენ.

ის კვირა საღამოც ზუსტად ისეთივე იყო, როცა აქ დასაბინავებლად ჩამოვედი მას მერე, რაც ანამ, როგორც იქნა, საბოლოოდ მოისვენა. მართალია, ახლა ზაფხული კი არა, შემოდგომა იდგა, მაგრამ მზის ჩაოქროსფერებული შუქი და კვიპაროსთა მელნისფერშეპარული, წაგრძელებული, კოხტა ჩრდილები მაინც ისეთივე დამხვდა. განცდაც იგივე იყო, თითქოს ყველაფერი მიედინებოდა, ბრჭყვიალა, ძვირფას ქვებად იფრქვეოდა და ზღვაც ძველებურად, ლურჯად ციმციმებდა. საოცარი სიმსუბუქე ვიგრძენი, თითქოს ერთიანად დამბალი საღამო რაღაც ამაო სადარდელს იფერთხავდა და მეც დროებით მათავისუფლებდა ტანჯვისა და ტკივილის ტვირთისაგან. ჩვენი სახლი – უფრო სწორად, უკვე მხოლოდ ჩემი – ჯერაც არ გამეყიდა, ფეხს ვითრევდი განცხადების გამოქვეყნებისაგან, თუმცა იქ ზედმეტი წუთი გამჩერებელი აღარ ვიყავი. ანას სიკვდილის შემდეგ ერთიანად გამოცარიელდა და გარდასულ ხმათა ფუყე საყუდარადღა იქცა. ჰაერშიც რაღაც მტრულს დაესადგურებინა, ბებერი ნაგაზიც სევდიანად ილრინებოდა – ვერ მიმხვდარიყო, რა იქნა მისი საყვარელი პატრონი და მე, დარჩენილსაც, ერთთავად საყვედურით მარიდებდა თვალს. ანამ თავის ავადმყოფობაზე ლაპარაკი ყველასთან ამიკრძალა.

ხალხი რაღაცას ეჭვობდა, თუმცა ბოლო დრომდე დანამდვილებით არავინ არაფერი იცოდა. კლერიც კი თავისით მიხვდა, დედა რომ უკვდებოდა. ახლა კი ეს ყველაფერი დამთავრებულიყო და რაღაც სხვა იწყებოდა ჩემთვის: რთული და საპატიო მოვალეობა – როგორმე ცოცხალი დავრჩენილიყავი.

მის ვავასური მორცხვად ააღელვა ჩემმა ჩამოსვლამ – მაღალ, წვრილად დაღარულ ღაწვებზე ვარდისფრად შეეფაკლა ორი პატარა, მრგვალი ლაქა; ერთთავად ხელებს ასავსავებდა და ტუჩებსაც ძალას ატანდა, ზედმეტად არ გაღიმებოდა. კარი რომ გამიღო, პოლკოვნიკი ბლანდენიც მაშინვე გამოფრატუნდა დერეფანში და გვერდით ამოუდგა. შევატყვე, სულაც არ ეამა ჩემი დანახვა. მესმის მისი. სხვა თუ არაფერი, ჩემს გამოჩენამდე ერთადერთი მამალი იყო ამ საქათმეში, ახლა კი სავარაუდო ცვლილებები აშინებდა. ჩემზე მთელი თავით დაბალმა, მოწყენილი მზერა ჩემს ნიკაპს მოაპყრო და მოსალმებისას ხელიც ღონივრად ჩამომართვა და ხმაც საგანგებოდ გაიმკაცრა, როცა ათას რამეს მიედ-მოედო ამინდის თაობაზე – მოკლედ, გამოჯეკილი, ძველი ჯარისკაცის როლი მოირგო. საერთოდ, არის მასში რაღაც ისეთი, არაბუნებრივი, მოგონილი და ნაწვალები. მაგალითად, თვალის მოჭრამდე პრიალა ფეხსაცმელი, იდაყვებსა და მაჯებზე ტყავდაკერებული ტვიდის პიჯაკი თუ მყვირალა ყვითელი ჟილეტი, კვირაობით რომ მოიცვამს ხოლმე თავმომწონედ. იმ მსახიობს მაგონებს, საკუთარი როლი რომ ამოსვლია ყელში, მაგრამ თან ცდილობს, პატიოსნად მოიხადოს ვალი მეჩხერი მაყურებლის წინაშე. იმაშიც არ ვარ დარწმუნებული, მართლა გადამდგარი პოლკოვნიკი თუა. მისი საგულდაგულოდ შენიღბული ბელფასტური აქცენტიც ალაგ-ალაგ მაინც იჩენს ხოლმე თავს, ჩამდგარი ქარივით. ისე, ვერც ვხვდები, ამას რატომ უნდა მალავდეს,

რისი ეშინია, მაინც რას გავიგებთ მასზე ასეთს? მის ვავასურმა ჩუმად გამანდო, ერთი-ორჯერ თვალი მოვკარი, ადრიან დილით როგორ შეიძურნა ეკლესიაში საკვირაო მესაზე დასასწრებადო. ვითომ ეს ჩვენი ჩრდილოირლანდიელი პოლკოვნიკი კათოლიკეა? ფრიად საეჭვოა.

იმ ოთახის მინაშენის ფანჯარასთან, ადრე სასტუმროდ რომ იყენებდნენ, ჩაისთვის მაგიდა გაეშალათ. ოთახი ზუსტად ისეთივე იყო, როგორიც მახსოვდა, ყოველ შემთხვევაში, დამახსოვრებულს ჰგავდა. ხსოვნა ხომ მუდამ სიამით ახერხებს, იოლად მოარგოს მოგონება მობრუნებული წარსულის საგნებსა თუ ადგილებს. ვითომ მაგიდაც იგივე იყო, რომელზეც მისის გრეისი ლარნაკში ყვავილებს ასწორებდა იმ დღეს, კბილებში ბურთგაჩრილი ძაღლი რომ შემოვარდა? სუფრა კი მონდომებით გაეწყოთ: ვერცხლის დიდი ჩაიდანი თავისივე საწურით, საუკეთესო ჩინური ფაიფური, ძველებური სარძევე, კვნიტი შაქრის ასაღები მაშა, არშიამოვლებული ხელსახოცები... მის ვავასური იაპონური იერით წარმოგვიდგა – თმა მაღლა აევარცხნა და ხის ორი დიდი სარჭით ჯვარედინად დაემაგრებინა კეფაზე. მის დანახვაზე, უნებურად, XVIII საუკუნის იაპონური ეროტიკული გრავიურები გამახსენდა, სადაც ფუმფულა, თითქოსდა ფაიფურისსახიანი, ფერხორციანი ქალები დასაბურჯგნად მშვიდად ნებდებიან სახედაჭყანულ, უზომოდ დიდსირებიან და ჩემდა გასაკვირად, საოცრად მოქნილ ფეხისთითებიან ვაუბატონებს...

საუბარი ვერ აეწყო. მის ვავასური ჯერაც ღელავდა, პოლკოვნიკს კი აშკარად მუცლის გვრემა სჭირდა. ეზოს მაღალ ბუჩქნარში გამოჭყეტილმა გვიანი მზის სხივმა თვალი მოგვჭრა და მაგიდაზეც თითქოს ყველაფერი აალიცლიცა. თავს რაღაც მოუქნელ დევკაცად ვგრძნობდი, ან უფრო – დროზე

ადრე დაკაცებულ ბავშვად, გაჭირვებულ მშობლებს სოფელში რომ გაუგზავნიათ ნათესავ მოხუც ცოლ-ქმართან, ხელის ნასაშველებლად. ვითომ დიდი შეცდომა დავუშვი? იქნებ სჯობდა, მოსაბოდიშებლად რამე ჩამებურტყუნა, ღამის გასათევად სასტუმროში წავსულიყავი და მერე საერთოდ შინ დაებრუნებულიყავი? იქნებ მეცადა იქაურ სიცარიელესა და მდუმარებასთან შეგუება? მაგრამ მაშინვე მივხვდი: სწორედ იმიტომ ჩამოვედი აქ, შეცდომა რომ იყო – უნდა ყოფილიყო კიდეც. ანას სიტყვებით თუ ვიტყვით, მეც უადგილოდ უნდა მეგრძნო თავი. „სულ გაგიჟდი? იქ მარტო მოწყენილობა მოგკლავს!" – მითხრა წამოსვლისას კლერმა. შენ რა გენაღვლება-მეთქი, ვუთხარი. მშვენიერი ახალი ბინა გაქვს-მეთქი. დრო ფუჭად არ დაგიკარგავს... ესეც გავიფიქრე, ოღონდ ჩემთვის. „მერე, წამოდი და ჩემთან იცხოვრე", – მითხრა. იმასთან ცხოვრება – ერთ ჭერქვეშ! მადლობა გადავუხადე და ცალკე მირჩევნია-მეთქი, ვუთხარი. არ შემიძლია იმის ატანა, როგორ მიცქერის ამ ბოლო დროს – ცარიელი სინაზე და ყურადღებაა. გადასწევს თავს გვერდზე, ზუსტად ანასავით, ცალ წარბს აზიდავს და თანაგრძნობა ეხატება სახეზე. არ მინდა ეს თანაგრძნობა! ბრაზი, უხეშობა, ჩხუბი მჭირდება. იმ კბილატკივებული კაცივით ვარ, ისევ და ისევ რომ ინვალებს კბილს ენით, უსასრულოდ. წარმოვიდგინე, როგორ მოიქნია ვიღაცამ საიდანღაც მუშტი და სახეში მხია – ვგრძნობ კიდეც, ცხვირის ძგიდის ხრაშუნიც მესმის და რატომღაც, სევდიანი კმაყოფილებაც კი მეძალება. დაკრძალვის მერე ვიღაცებთან ერთად რომ მივებრუნდით შინ – საშინელება იყო, აუტანელი – ისე მოვუჭირე თითები ღვინის ჭიქას, ხელში ჩამატყდა. მესიამოვნა საკუთარი სისხლის დანახვა, თითქოს დაუძინებელი მტრისთვის მიმეყენებინა ჭრილობა და ის იცლებოდა ახლა სისხლისაგან.

– ესე იგი, ხელოვნების სფეროში საქმიანობთ? – ფრთხილად შემაპარა პოლკოვნიკმა. – ღირს რამედ?

ცხადია, ფულს გულისხმობდა. ტუჩებმოკუმულმა მის ვავასურმა მკაცრად გახედა და საყვედურით გადააქნია თავი.

– ხელოვნებაზე წერს, – ისე გადაუჩურჩულა, თითქოს ვერაფერს გავიგონებდი.

პოლკოვნიკმა მზერა შეავლო, მერე ისევ მე მომაჩერდა და უხმოდ დაიქნია თავი. სულ რაღაც ელანდება, ყველაფერს ეჭვის თვალით უცქერს. ასეა მიჩვეული. ფინჯანი რომ მიაქვს ტუჩებთან, ნეკა თითს გაბზეკს ხოლმე, მეორე ხელის ნეკი კი სამუდამოდ მიჰკვრია ხელისგულზე. საკმაოდ გავრცელებული სინდრომია, ოღონდ ახლა სახელი დამავიწყდა. იფიქრებ, სტკივა კიდეცო, მაგრამ თვითონ უარობს. თუმცა ხელს მშვენივრად ხმარობს, მოხდენილადაც კი, თითქოს დირიჟორობდეს – ხან ჩასაბერ ინსტრუმენტებს აძლევდეს მოგუდვის ნიშანს, ხან კი ქოროსგან ითხოვდეს ფორტისიმოს. ოღონდ მტევანი კი ოდნავ მაინც უკანკალებს. რამდენჯერმე ფინჯანი წინა კბილებზეც მიიხალა – ცხადია, ხელოვნურზე, ისეთი უზადო სითეთრე დაჰფენიათ. ქარდაკრულ სახესა და ხელის ზურგზე კანი დანაოჭებია, მუქად უბზინავს იმ ყავისფერი ქაღალდივით, რაშიც რაღაც ძნელად გასახვევს ახვევდნენ ხოლმე ძველად.

– გასაგებია... – მეუბნება. თუმცა მაინცადამაინც არ ეტყობა.

1893 წლის ერთ დღეს პიერ ბონარმა თვალი მოჰკრა პარიზის ტრამვაიდან გადმოსულ გოგოს, რომლის მყიფე, სიფრიფანა მშვენიერებამ აიძულა, სამუშაო ადგილამდე მიჰყოლოდა – დამკრძალავ ბიურომდე, სადაც ის თურმე სამგლოვიარო გვირგვინებზე რიოში მარგალიტების აცმულებს

ამაგრებდა. ასე, პირველივე დღიდან, სიკვდილმა თავისი შავი არშია მოავლო მათ ცხოვრებას... ერთმანეთი მალევე გაიცნეს – ვფიქრობ, იმ ე.წ. *მშვენიერების ხანაში* მსგავსი ამბები მარტივი და სავსებით ბუნებრივი ჩანდა. მერე გოგომ ცოტა ხანში სამსახური და საერთოდ, მთელი უწინდელი ცხოვრება მიატოვა და ბონართან გადასახლდა. მართა დე მელინიდ გაეცნო და თექვსმეტის ვარო, უთხრა. სინამდვილეში – ეს კაცმა სადღაც 30 წლის მერე შეიტყო, როცა ბოლოსდაბოლოს დაქორწინება გადაწყვიტა – გოგოს მარია ბურსენი რქმევია და გაცნობისას თექვსმეტის კი არა, თავად ბონარივით ოცს კარგა ხნის გადაცილებული ყოფილა. მთელი ცხოვრება ერთად გაატარეს, შავი და თეთრი დღეები, უფრო სწორად, შავი და მრუმე, ვიდრე თითქმის 50 წლის მერე მარია არ გარდაიცვალა. ტადე ნათანსონი, ბონარის ერთ-ერთი ადრეული მფარველი ქალბატონი, მხატვარზე თავის მოგონებებში გაკვრით, იმპრესიონისტული შტრიხებით, *ელფის მსგავს მართასაც* ახსენებს – მის *გარეული ფრინველის მზერასა* და *თითის წვერებზე სიარულის ჩვევას*. მართა გულჩათხრობილი, ეჭვიანი, გააფთრებული მესაკუთრე გამოდგა, დევნის მანიით შეპყრობილი და მუდამ რაღაც ფარული შიშებით მოცული. 1927 წელს, ლაჟვარდოვან სანაპიროზე, არაფრით გამორჩეულ პატარა დასახლება ლე-კანში ბონარმა კერძო სახლი, ლე-ბოსკე შეიძინა, სადაც მართასთან ერთად დაიდო ბინა და მეუღლის გარდაცვალებამდე მთელი 15 წელი ხშირად აუტანელ, თუმც კი მაინც ნებაყოფლობით განდეგილობაში გაატარა. სწორედ იქ გამოამჟღავნა ქალმა აბაზანაში საათობით ნოლის ჩვევა და ბონარიც დროდადრო სწორედ აბაზანაში მწოლიარეს ხატავდა ხოლმე; ის კი არა, სერია ქალის გარდაცვალების მერეც კი გააგრძელა. ზოგადად, ე.წ. „აბაზანის" ეს ციკლი მთელი მისი

ცხოვრების საქმის გვირგვინი გამოდგა: ერთ-ერთ ნახატზე – „ქალი აბაზანაში, ძაღლითურთ“ – რომელიც ბონარმა 1941-ში, მეუღლის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე დაიწყო და მხოლოდ 1946-ში დაამთავრა, მართა – ვარდისფერი, იისფერ-ოქროსფერი – წყლის ღმერთქალივით წევს, მოთენთილი, უასაკო, არცა მკვდარი და არცა ცოცხალი, გვერდით კი, ფილაქანზე, მისი პაწია, ყავისფერი ფინია დასკუპებულა, მისი უსაყვარლესი ტაქსა გაფაციცებული გაყურსულა თავის ნოხსა თუ ეგებ სულაც უხილავი ფანჯრიდან დაღვრილი შუქის ოთკუთხედზე. ქალის თავშესაფრად ქცეულ ამ ვიწრო სათავსოში ყველაფერი მთრთოლვარე და მოცახცახე ფერებად ქცეულა. უსაშველოდ გრძელი მარცხენა ფეხის ტერფი აბაზანის კიდეს მიბჯენია, თითქოს ზედ აწვებაო, თითქოს სურს განელოს, ფორმა უცვალოსო; და ამ მხარეს იატაკიც, იმავე ძალისმიერ სივრცეში მოქცეული, დაფერდებულა, გეგონება, ცოტაც და, კუთხეში ჩაიწრიტება დაცლილი აუზის წყალივითო. აქ ყველაფერი უხმოდ და უჩუმრად მოძრაობს წყლის სამყაროს მდუმარებაში; მხოლოდ შიგადაშიგ გესმის თითქოს ოდნავი დგაფუნი, შრიალი, ჩქამი... მობანავის მარჯვენა მხართან, წყლის ზედაპირზე, ჟანგისფერ-წითელი ლაქა ირეკლება – ვინ იცის, მართლა ჟანგისაა თუ სულაც, ოდესღაც მიმხმარი სისხლის. მარჯვენა ხელი თეძოზე ჩამოუდვია, ნებიერად, და მეც ანას ხელები მახსენდება, მაგიდაზე დალაგებული, იმ პირველ დღეს, როცა ექიმ ტოდისაგან დავბრუნდით – მისი უღონოდ ამობრუნებული მტევნები, თითქოს ვიღაც იქ არმყოფს რაღაცას სთხოვსო.

ისიც, ჩემი ანაც, როცა ავად გახდა, დღისით აბაზანაში წოლას დაეჩვია – ეს მამშვიდებსო, ამბობდა. მისი თორმეტთვიანი ნელი კვდომის მთელი შემოდგომა და ზამთარი

ზღვისპირა სახლში გამოკეტილებმა გავატარეთ, სწორედ ისე, როგორც ბონარმა და იმისმა მართამ – ლე-ბოსკეში. მშვიდი ამინდები იდგა – არანაირიო, რომ იტყვი, სწორედ ისეთი. თითქოს უსასრულოდ გაგრძელებული ზაფხული შეუმჩნევლად გადადიოდა ნისლშეპარულ, გაყუჩებულ წლის მიწურულში, ოთხიდან არც ერთ დროს რომ არ ჰგავდა. ანას გაზაფხულის დადგომის ეშინოდა – მთელი იმ აუტანელი ჟივილ-ხივილისა და ფაცი-ფუცის. *ამ განახლებული სიცოცხლისო,* – ასე ამბობდა. ჩვენ ირგვლივ სრული, იდუმალი სიჩუმე გამეფებულიყო, ხავერდოვანი და ნაჯერი, მდინარის შლამივით. ისე გაყუჩდებოდა ხოლმე ქვემო სართულზე, სააბაზანოში, ზოგჯერ მართლა შიში მიპყრობდა – წარმოვიდგენდი, გონდაკარგული როგორ ჩაყურყუმალავდებოდა თუჯის ფეხებმორყეულ, წყლით სავსე აბაზანაში და უკანასკნელ ამოსუნთქვას ამოუშვებდა წყალქვეშ. ფეხაკრეფით ჩავიპარებოდი კიბეზე და გასუსული ვიდექი ხოლმე კართან, გაუნძრევლად, თითქოს თავადვე ჩამეყვინთოს სადღაც, ზღვის სიღრმეში და დაძაბული ვაყურადებდი, ეგებ სიცოცხლის რამე ნიშანი გავიგონო-მეთქი. ცხადია, გულის რომელიღაც ბითურ, უგვან კუნჭულში მინდოდა კიდეც, მართლა ასე მომხდარიყო, მართლა დამთავრებულიყო ყველაფერი – არა მარტო მისთვის, ჩემთვისაც. მერე წყლის ჩქაფუნიც მესმოდა, როცა მხარს შეინაცვლებდა, საპონს ან პირსახოცს გადასწვდებოდა – მაშინღა შევტრიალდებოდი და ისევ ჩემი ოთახისკენ გავიძურწებოდი, კარს შევიკეტავდი, საწერ მაგიდას მივუჯდებოდი, საღამოს რუხ ბინდს გავუშტერებდი თვალს და ვცდილობდი, არაფერზე მეფიქრა.

– ჩემი საბრალო მაქსი, – მითხრა ერთხელ. – სულ იმას ცდილობ, სიტყვაც მოზომო და ქცევაც...

იმ დროს ის უკვე საავადმყოფოში იწვა, ძველი შენობის კუთხის ოთახში, რომლის ფანჯარაც თვალისათვის მიმზიდველად გაველურებული მდელოს ნაგლეჯსა და უაზროდ ჩარიგებულ მაღალ, გაბარჯღლულ, მოშავო-მომწვანო ხეებს გაჰყურებდა. გაზაფხული მოვიდა და წავიდა კიდეც, მაგრამ იმდენად იყო უკვე ავად, აღარც ამ ხმაურ-ჟივჟივს შეუწუხებია. მერე ცხელი, ნოტიო, წებოვანი ზაფხულიც ჩამოდგა, მისთვის უკანასკნელი...

– რას გულისხმობ? – დავეკითხე. – გგონია, ვთამაშობ რამეს?

მაშინ უკვე იმდენ უცნაურობას ლაპარაკობდა, თითქოს სადღაც სხვაგან გადაბარგებულიყო კიდეც, უჩემობაში, და სიტყვებსაც განსხვავებული აზრი მისცემოდა. გამომხედა და გაიღიმა. იმის გაძვალტყავებულ სახეს უცებ რაღაც დამზაფრავი მშვენიერება დაედო.

– უკვე იმის უფლებაც აღარ გაქვს, სულ ცოტათი მაინც გძულდე! – მეუბნება. – როგორც ადრე...

ცოტა ხანს ხეებს გასცქეროდა, მერე ისევ ჩემკენ მოაბრუნა თავი, ერთხელაც გამიღიმა და ხელზე მომითათუნა ხელი.

– მაგაზე არ იდარდო, – მითხრა. – მეც მძულდი. ცოტათი. ბოლო-ბოლო, ჩვენც ადამიანები ვიყავით.

მაშინ უკვე მხოლოდ წარსულ დროში ლაპარაკობდა.

– ოთახის ნახვას არ ისურვებთ? – მეკითხება მის ვავასური. მინაშენის ფანჯრიდან შემოჭრილი მზის უკანასკნელი სხივები დამსხვრეულ შუშასავით ბრჭყვინავდა მაგიდაზე, თითქოსდა ცეცხლმოკიდებულ სახლში. პოლკოვნიკი გაბუტული სახით იწმენდდა ყვითელ ჟილეტს, რომელზეც ჩაი ჩამოღვროდა. ნაწყენი ჩანდა – ეტყობა, რაღაცას მეუბნებოდა, მე კი

ںარ ვუსმენდი. მის ვავასური დერეფანში გამიძღვა. მაშინებდა
ںამ წუთის დადგომა, როცა აქაურობა საბოლოოდ უნდა მო-
ںმერგო, იმ სამოსივით, სხვა, გარდასულ დროს რომ მეცვა,
ںვთქვათ, ერთ დროს მოდური ქუდივით, ან მოდიდან გადასუ-
ںლი ფეხსაცმელივით, თუ სულაც, იმ საქორწინო პიჯაკივით,
ںუკვე ჩრჩილის სუნი რომ ასდის, მკერდზე აღარ გეკვრება,
ںიღლიებშიც გიჭერს, მაგრამ ყველა ჯიბე-უბე მოგონებებით
გამოვსებია... დერეფანი საერთოდ მეუცხოვა: მოკლეა, ვინ-
რო, ჩაჟამებული. კედლები თარაზულად დაუყვია შებეთქილ
ნახევარსა და გამოხუნებულ, თითქოს საუკუნოვან შპალერს.
არც მახსოვდა, აქ დერეფანი თუ იყო – მეგონა, მთავარი კა-
რიდან პირდაპირ სამზარეულოში გადიოდი. თუ მეშლება?
ხელში ჩანთა მეჭირა და მის ვავასურს ისე ვედექი კვალ-
ში, როგორც საქმის კარგად მცოდნე მკვლელი რომელიღაც
შავ-თეთრ თრილერში. ვგრძნობდი, მთელი ჩემი მცდელობის
მიუხედავად, როგორ ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა ნამდვილი
სახლი მახსოვრობაში შემორჩენილ მისსავე ასლს. ყველაფრის
ზომა ოდნავ მაინც განსხვავებული ჩანდა, ყველა კუთხე-კუნ-
ჭული – გადასხვაფერებული: კიბე – უფრო დამრეცი, ბაქანი
– უფრო მომცრო, საპირფარეშოს სარკმელიც გზას კი არ გა-
დასცქეროდა, არამედ სახლის უკან გადაშლილ მინდვრებს.
მართლა შეძრწუნებული მივჩერებოდი სინამდვილეს, სრუ-
ლიად უგვანსა და მიუღებელს, რომელსაც კლანჭი ჩაესო ჩემ
მიერ დამახსოვრებული საგნებისათვის და ყველაფრისთვის
ერთიანად ეცვალა სახეცა და იერიც. თითქოს რაღაც ძვირ-
ფასი და მნიშვნელოვანი სამუდამოდ მისხლტებოდა თითებს
შორის, თანაც რა იოლად ველეოდი! წარსული – ნამდვილად
არსებულს ვგულისხმობ – ნაკლებს ნიშნავს, ვიდრე თავს ვირ-
წმუნებთ ხოლმე, და როცა მის ვავასურმა უკვე *ჩემად* ქცეულ

ოთახში დამტოვა, პალტო სკამის საზურგეზე გადავკიდე, სანოლის კიდეზე ჩამოვჯექი, ღრმად ჩავისუნთქე დამდგარი, ჩახუთული, უცხოვრებელი ჰაერი და მივხვდი, კარგა ხანი, წლები გამიტარებია მოგზაურობაში და, აი, ახლა დანიშნულების ადგილამდეც მოვსულვარ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ვერც კი ვაცნობიერებდი, მაგრამ სულ აქეთ მეჭირა გეზი და აქვე დავრჩები კიდეც, რადგან ესაა ჩემთვის ერთადერთი სავანეცა და თავშესაფარიც.

ცოტა ხნის წინ ის ჩემი ნაცნობი შაშვი ისევ გამოჩნდა ბაღში და უცებ მივხვდი, რას მაგონებდა ევრილის ჭორფლი იმ დღეს, როცა დუინანის ეზოში შევხვდით ერთმანეთს. ჩიტი ახლაც ბუჩქის ამოჩემებულ ტოტზე დასკუპებულა, სარდალივით ზვერავს მიდამოს მახვილი, მძივის მარცვალივით თვალით. შაშვი უშიშარ ფრთოსნად ითვლება და ესეც სრულიად მშვიდად შეცქერის მაღალ, დიდი ხნის გაუკრეჭავ ბალახში მოსუნსულე მეზობლის ფისოს. ის კი არა, დამცინავადაც კი ჩხავის, ბუმბულს იფუებს და მოწითალო-ნარინჯისფერ მკერდსაც ისე ამაყად აჩენს, თითქოს დასცინის – ნახე, რა გემრიელი ლუკმა ვარ, მაგრამ, აბა, თქვენ, კატებს, ფრენისა რა გაგეგებათო... დავინახე თუ არა, მაშინვე მტკივნეულად გამახსენდა დიდი ხნის წინ გავერანებული ბუდე მაყვლის ეკალბარდებში. ბავშვობაში ჩიტების დიდი მოყვარული მეთქმოდა: არა, ცქერა კი არ მიყვარდა იმათი, არც მათი ჯიშების ამოცნობა-დახარისხება – ამისკენ გული არ მიმიწევდა და თან მალევე მბეზრდებოდა ხოლმე; ხეირიანად ვერც კი ვარჩევდი ერთიმეორისაგან და ვერც მათი წარმოშობისა თუ ჩვევების მცოდნედ გამოვდგებოდი – უბრალოდ, იოლად და სწრაფად

ვაგნებდი ჩიტის ბუდეებს. აი, ამ საქმეში კი ბადალი არ მყავდა. ოღონდ ამას მოთმინება, მახვილი თვალი, სიფხიზლე და კიდევ რაღაც ისეთი სჭირდებოდა – უნარი, ამ პაწია არსებებთან გაგეიგივებინა თავი, როცა საბუდარისკენ მიეშურებოდნენ. მავანი მეცნიერ-მკვლევარი, გვარი აღარ მახსოვს, რაღაცის გასაქარწყლებლად – ახლა აღარც ეს მახსოვს, რის – ამტკიცებდა: შეუძლებელია ადამიანმა სრულად მოახერხოს, ვთქვათ, ღამურასთან თავის გაიგივებაო. მთლიანობაში, ამ აზრს ვეთანხმები, მაგრამ იმასაც დავუმტკიცებდი საბუთიანად, როგორ შეიძლება, სხვა არსებად გარდაიქმნა ბავშვობაში, როცა ჯერ თავადაც, ნაწილობრივ მაინც, პატარა მხეცი ხარ.

არა, ბოროტი არასოდეს ვყოფილვარ – ვერც მოვკლავდი ჩიტს და ვერც იმის დადებულ კვერცხებს მოვიპარავდი; მხოლოდ ცნობისმოყვარეობა მამოძრავებდა – სულ უბრალო მიზეზი, რაღაც მაინც შემეტყო სხვა, უცხო არსებათა საიდუმლოებებიდან.

ყველაზე მეტად კი ბუდესა და კვერცხს შორის სრული აცდენა მაოცებდა, ანუ პირველის – სულერთია, როგორი ლამაზი შესახედიც არ უნდა ყოფილიყო – შემთხვევითობა და მეორის სრულყოფილება, უზადო სისრულე. კვერცხი ხომ საწყისიდანვე დასასრულია და თვითკმარობის უზუსტესი გამოხატულებაა. მახსოვს, ვერასდროს ვიტანდი გატეხილი კვერცხის დანახვას, ამ მცირე ტრაგედიას. იმ დღეს კი, რომელსაც ახლა ვიხსენებ, როგორც ჩანს, ვილაცას ჩემდა უნებურად ჩიტის ბუდე ვაპოვნინე – მაყვლის ბუჩქში, ზედ შუა მინდორში. ნებისმიერს შეეძლო იქით მიმავალი დავენახე – მით უმეტეს, რამდენიმე კვირა ზედიზედ დავიარებოდი იქ. დედა-ჩიტი გამიშინაურდა კიდეც – ნეტავ რომელი იყო, ბოლოქანქარა თუ შაშვი? მოკლედ, არცთუ მთლად პაწაწინა. ერთ დღესაც რომ

მივედი, ბუდეში კვერცხები აღარ დამხვდა. ორი ცალი ნაელოთ, მესამე კი იქვე, ქვაზე მიემსხვრიათ. ერთმანეთში აზელილი გული და ცილაღა დარჩენილიყო და პაწაწინა, მუქ-ყავისფრად დანინწკლული ნაჭუჭის ნატეხები. თითქოს ისეთიც არაფერი – ეჭვი არ მეპარება, მაშინ ნებისმიერი სხვა ბიჭივით უგულო ვიქნებოდი, მაგრამ ის ბუჩქი რომ სულ თვალწინ მიდგას?! მისი სუნიც კი მახსოვს. ის დანინწკლული ნაჭუჭებიც, ასე რომ ჰგავდა ჭორფლს ევრილის უფერულ ლოყებსა და ცხვირზე. თითქმის ორმოცდაათი წელი მიტარებია ხსოვნაში ის წუთი, როგორც რაღაც ძვირფასის, საბოლოოს, გარდაუვალისა და გამოუსწორებლის მარადიული ნიშანი.

ანა საწოლიდან იხრება, იატაკზე არწყევს. ხელისგული იმის გახურებულ შუბლზე მიდევს, სირაქლემას კვერცხივით გლუვსა და მყიფეზე.

ზღვისპირა კაფეში ვზივარ ქლოისთან ერთად, კინოსა და იმ სამახსოვრო კოცნის მერე. პლასტმასის მაგიდას ვუსხედვართ და ჩვენს საყვარელ სასმელს ვწრუპავთ მაღალი ჭიქებიდან: ფორთოხლის შუშხუნა წვენს, რომელშიც ვანილიანი ნაყინის მოზრდილი ულუფაც დატივტივებს. ისე, თუ არ დაიზარე და მახსოვრობა კარგად დაძაბე, მთელ შენს ცხოვრებას აღიდგენ გონებაში. საოცარიც კია, რა მკაფიოდ ვხედავ ამ ყველაფერს. ჩვენი მაგიდა გამოღებულ კართან იდგა და მზის შუქი სქელ-სქელ სხივებად გვეღვრებოდა ფეხებთან. დროდადრო გზააბნეული ნიავიც შემობორიალდებოდა, იატაკზე ქვიშის წვრილ-წვრილ მარცვლებს შემოყრიდა, ანდა კანფეტის ქაღალდს შემოიყოლებდა, სადმე მიაგდებდა; მერე, ხელახლა მობრუნებული, ისევ წაეთამაშებოდა ხოლმე, წააშრიალებდა

სადმე კუთხეში. ჩვენ გარდა თითქმის არც არავინ იყო იქ, მხოლოდ კუთხის მაგიდასთან ვილაც ბიჭები თუ ახალგაზრდა კაცები თამაშობდნენ ბანქოს. მეპატრონის ცოლი – ტანსრული, ქერა, არცთუ ულაზათო ქალი – დახლს იქით იდგა და თვლემამორეული მზერა გამოღებული კარისთვის გაეშტერებინა. ცისფერი, გამოხუნებული, თეთრ არშიამოვლებული წინსაფარი ეკეთა. რა ერქვა? რაც ერქვა. არა, ახლა ნამდვილად ალარ გამახსენდება. ეგეც თქვენი ნაქები მახსოვრობა. თუ მაინც უნდა ერქვას რამე, მოდი მისის სანაპირო დავარქვათ. უცნაურად კი იცოდა დგომა – ეგ კარგად მახსოვს – მყარად, საფუძვლიანად, ცალი დაჭორფლილი მკლავით დახლს ეყრდნობოდა. ნაყინისა და წვენის ნაზავი ყვითლად შიშხინებდა ჭიქებში. წვრილი ჩხირებით ვწრუპავდით და ცოტა ხნის წინანდელი მიზეზით დამორცხვებულები ერთმანეთს თვალს ვარიდებდით. სრული სიმშვიდის განცდა დამუფლებოდა – როგორც საწოლზე მდორედ დაფენილ ზეწარს, ანდა კარავს, ნელ-ნელა რომ იკეცება საყრდენებგამოცლილი. ბნელ კინოდარბაზში კოცნა – როგორც ახლა ვრწმუნდები, ეს მართლაც ჩვენი პირველი კოცნა უნდა ყოფილიყო – მძიმე, გადაულახავ კედლად იდგა ჩვენ შორის. ქლოის ზედა ტუჩზე ქერა ღინღლი მოსდებოდა და ჩემი ტუჩები კვლავაც გრძნობდნენ მათ მსუბუქ სინაზეს. ჭიქა ლამის ბოლომდე დავცალე და ახლა ვშიშობდი, შიგნით ჩარჩენილ სითხის წვეთებს ის ხიხინა, რაღაცნაირად ორაზროვანი ხმები არ გამოეცა. ქუთუთოებს ქვემოდან, შეფარვით ვუცქერდი ქლოის ხელებს: ერთი მაგიდაზე ედო, მეორეში კი ჭიქა ეჭირა. თითები პირველ სახსრამდე ფუმფულა ჰქონდა, მერე კი, წვერებისკენ, უნვრილდებოდა. ნამდვილად დედამისის ხელები გამოჰყოლოდა. რადიოდან რომელიღაც დაშაქრული სიმღერა მოისმოდა, რასაც ქლოი

აზრმიუცემლად აყოლებდა ხმას. მაშინ სიმღერები მართლა ძალიან ბევრს ნიშნავდა. უსასრულო კვნესა იმ მონატრება-განშორებაზე, რასაც ყოვლად მცდარად სიყვარულად ვნათლავდით. ღამლამობითაც, როცა ჩვენს ფიცრულ სახლში, საწოლში ვიწექი, ორივე სასტუმროდან სულ ამნაირი ჰანგები მოჰქონდა ნიავს – სუსტი, მიბნედილი ხმები, და მაშინვე ჩახუთულ, ცხელ ბინდბუნდში მოცეკვავე წყვილები მიდგებოდა თვალწინ: თმადახვეული გოგონები, ნაზი ცისფერი თუ სამსალასავით მწვანე კაბებით, ყმაწვილკაცები სპორტული ქურთუკებითა და სქელი, წრიპინალანჩებიანი ფეხსაცმელებით. *მე უშენოდ ვერსად წავალ, სიყვარულო ჩემო!* უფრო იქით კი უჩინარი, ბნელში ჩანთქმული ნაპირი – ზედაპირზე გრილი ქვიშა, რომელსაც ქვევით ჯერაც შემოუნახავს დღის სიმხურვალე. თეთრქოჩორა ტალღების გრძელი რიგი, თითქოს შიგნიდანვე საკუთარი შუქით განათებული, ირიბად ეხლება ნაპირს, და ამ ყველაფერს ზემოდან დასცქერის ღამე – მდუმარე, იდუმალი, დაძაბული.

– დებილური კინო იყო, – განაცხადა უცბად ქლოიმ. ლამის ცხვირი ჩაყო ჭიქაში და შუბლზე თმა ჩამოეშალა. მის ფეხებთან ნოხად გაფენილი მზის შუქივით უფერული თმა ჰქონდა... თუმცა არა, რაღაც მეშლება. არ შეიძლება, ეს ჩვენი პირველი კოცნის დღე ყოფილიყო: უკვე მოსაღამოვებულიყო, კინოდან რომ გამოვედით, ნაწვიმარზე, ახლა კი გაგანია მზიანი შუადღე იდგა. მაგრამ მაილზი სადღა იყო ამ დროს? კინოში ჩვენთან ერთად წამოვიდა, აბა, ახლა რა იქნა? ის ხომ თავის ნებით გვერდიდან არ შორდებოდა დას. სულ ტყუილად გაქეთ, ქალბატონო მახსოვრობავ! თუ, რაღა თქმა უნდა, მართლა თქვენ მკარნახობთ ამ ყველაფერს და არა რომელიმე სხვა, უფრო მდიდარი წარმოსახვის მქონე მუზა... ქლოიმ

ჩაიფრუტუნა: „ვითომ ვერ ხვდებოდნენ, ის ყაჩაღი სინამდვილეში ქალი რომ იყო!“

ისევ მის ხელებს დავხედე. ერთი ძირში მოევლო ჭიქისთვის, რომელშიც მზის წამახული, კრიალა თეთრი სხივი ბრიალებდა, მეორის ცერა და საჩვენებელი თითებით კი საწრუპი ჩხირი ეკავა ტუჩთან და მაგიდაზე მათი ჩრდილი რომელიღაც კაუჭნისკარტა, ქოჩორა ფრინველის თავს წააგავდა. ისევ გამახსენდა დედამისი და ამჯერად მწვავე და მხურვალე ჩხვლეტა ვიგრძენი, თითქოს გახურებული ნემსი მატაკეს გულშიო. ვითომ სინდისი მქენჯნიდა? მართლაც, რას იგრძნობდა, რას იტყოდა მისის გრეისი, თუკი, თუნდაც უნებურად, თვალს მოჰკრავდა, როგორ მივშტერებოდი მოიისფრო ფოსოს მისი ქალიშვილის ლოყაზე, როცა ის ჩხირით ჭიქიდან ბოლო წვეთებს ისრუტავდა ტუჩებმომუწული? თუმცა სინამდვილეში ეს არ მადარდებდა – ყოველ შემთხვევაში, დიდად არ ვუღრმავდებოდი და არც რამის მრცხვენოდა. ის, რასაც სიყვარულს ვეძახით, ხშირად მუხანათურად და დაუნდობლად ინაცვლებს ხოლმე ერთი კაშკაშა საგნიდან კიდევ უფრო კაშკაშაზე, და თან სრულიად შეუსაბამო ვითარებებში... ქორწილის მერე სანოლში პატარძალთან დარჩენილ რამდენ შეზარხოშებულ-შექეიფიანებულ სიძეს დასდგომია თვალწინ მისი უკვე მეულლედქცეულის საუკეთესო მეგობრის, უფრო ლამაზი დისა თუ – ღმერთო შენ გვიშველე – სულაც ზომიერად ფერხორციანი დედიკოს სახე?

კი, ქლოი შემყვარებოდა – ასე მოხდა და რაღაა აქ სალაპარაკო. მეცხრე ცაზე ვიყავი, ბედნიერად, ყოვლისშემძლედაც კი ვგრძნობდი თავს – როგორც ნებისმიერი, ვისაც სიყვარული მორევია და ამ ციცაბოზე ასვლას ლამობს. უკვე მაშინ, იმ ასაკშიც კი ვიცოდი, რომ ყოველთვის არსებობს ის, ვისაც

უყვარს და ის, ვინც უყვართ და იმასაც ვხვდებოდი, მე რა როლი მერგებოდა ამ შემთხვევაში. ქლოისთან ერთად გატარებული ის რამდენიმე კვირა მეტ-ნაკლები სიმძაფრის მქონე დამცირებათა მონაცვლეობად მექცა. მოწყალედ მრთავდა ნებას, მის ფეხებთან გამართულ საკურთხეველთან მელოცა. ხანდახან, თუკი სხვა რამეზე ფიქრობდა, ჩემს იქ ყოფნას საერთოდ ვერც ამჩნევდა და მაშინაც კი, როცა მთლიანად მითმობდა ყურადღებას, მუდამ მრჩებოდა რაღაც ხინჯი – თითქოს მაინც სხვაგან ქროდა მისი გონება. ეს შეგნებული ორაზროვნება მტანჯავდა და მაცოფებდა, მაგრამ უფრო უარესი იმის დაშვება გახლდათ, რომ შეიძლება სულაც არ იყო შეგნებული და გამიზნული. თუკი საკუთარი ნებით მოინდომებდა ჩემს უგულებელყოფას, ამას მივიღებდი, შევეგუებოდი კიდეც, არც შევიმჩნევდი, მაგრამ იმაზე ფიქრი, დროდადრო, უბრალოდ, ვერც მამჩნევს და ვერც აღმიქვამსო, სრულიად აუტანელი ხდებოდა. როცა მის არაფრისმთქმელ მდუმარებას მაინც დავარღვევდი ხოლმე, შეკრთებოდა და სწრაფ მზერას მოატარებდა ირგვლივ – ჭერს ახედავდა ან ოთახის კუთხეს მიაჩერდებოდა – მოკლედ, ყველაფერს შეხედავდა ჩემ გარდა; თითქოს ამაოდ დაეძებდა იმ ხმის წყაროს, მას რომ ეს წუთია, გამოლაპარაკებოდა. რა იყო ეს – გამიზნულად მაწვალებდა თუ დროდადრო მართლა ებინდებოდა გონება? სიბრაზემორეული ზოგჯერ მხარში ვავლებდი ხელებს და ვაჯანჯღარებდი: მოვითხოვდი, დავენახე და თანაც მარტო და მაინცდამაინც მე. ის კი მოიღვენთებოდა, ნაჭრის ტიკინასავით გადააგდებდა თავს, თვალებს დაიელმებდა და თავისებურ, ხორხისმიერ, მაილზისდაგვარ სიცილს მოჰყვებოდა, ხოლო როცა უხეშად მოვიშორებდი, ზურგით გადაწვებოდა ქვიშასა თუ დივანზე და ხელფეხგაფარჩხული ეგდო ასე, თავს იმკვდარუნებდა.

მაინც რატომ ვურიგდებოდი მის ამ ჭირვეულობებსა თუ გამოხდომებს? ზოგადად, არასოდეს მჩვეოდა წყენის დათმენა და პასუხის გაცემაც მეხერხებოდა – თუნდაც მათთვის, ვინც მიყვარდა, განსაკუთრებით მათთვის; მაგრამ ქლოის შემთხვევაში უსაზღვრო მოთმინებას, მგონი, ის განცდა კვებავდა, რასაც, სავარაუდოდ, მასზე ზრუნვის მოთხოვნილება ერქვა. მოდი, აგიხსნით – მგონი, ღირს ამად: ამ ურთიერთობაში დიდი წილი ედო ერთგვარ რიდს, მორიდებას, მოფრთხილებას... რაკი მაინცდამაინც მასზე შევაჩერე ჩემი არჩევანი, ან პირიქით, მე გამომარჩიეს ამ სიყვარულის განსაცდელად, მეც, რაც შემეძლო, უნდა მოვფრთხილებოდი, და არა მარტო მისი საკუთარი ქმედებებისაგან, არამედ მისივე საფიქრალისაგანაც დამეცვა. მთავარი და გადამწყვეტი ის იყო, საკუთარი თავისაგან და საკუთარი შეცდომებისაგან დამეზღვია. ბუნებრივად მერგო ეს ტვირთი, რაკიღა საკუთარ ნაკლს თავად ვერ გამოასწორებდა... თანაც, არა მარტო ხსნა სჭირდებოდა ამ თავისი ნაკლოვანებებისა თუ მათი გარდაუვალი შედეგებისაგან, არამედ მათი არსებობის მიჩქმალვაც; ანუ როგორმე უნდა მომეხერხებინა, თავად არც სცოდნოდა, ეჭვიც კი არ აეღო რამეზე, და ეს არა მხოლოდ მის ქცევაში გამოხატულ უმეცრებას, ზერელობას, უაზრო თავდაჯერებას ეხებოდა – ეს ყველაფერი უნდა შენიღბულიყო კიდეც და მათ გამოვლინებებზეც თვალი უნდა დამეხუჭა. მაგალითად, სწორედ ის ამბავი, რომ მან არ იცოდა, დედამისის შემდეგლა თუ ქცეულიყო ჩემი ტრფობის საგნად, ლამის მტკივნეულ სიბრალულს მიჩენდა ქლოის მიმართ. ყურადღება მიაქციეთ: ის კი არ მაწუხებდა, რიგით შემდეგია-მეთქი, იმას ვდარდობდი, საერთოდ ვერაფერს ხვდება-მეთქი. ჩემი საიდუმლო როგორმე რომ გაეგო, სავარაუდოდ, საკუთარი თავის მიმართ პატი-

ვისცემას დაკარგავდა, სიბრიყვედ მიითვლიდა, როგორ ვერ დავინახე, რა თვალით უცქერდა დედაჩემსო და ეგებ დედასთან შედარებით, უარესადაც მიეჩნია საკუთარი თავი, რაკი იმთავითვე ვერ ქცეულიყო ჩემს რჩეულად. ამის დაშვება კი არანაირად არ შემეძლო.

თუკი ვინმეს მოეჩვენება, რომ ვცდილობ, თავი ძალიან მომგებიანი კუთხით წარმოვაჩინო, აქვე მინდა განვაცხადო: ქლოისა და მის ნაკლოვანებებზე ზრუნვა სულაც არ ყოფილა მარტო მისთვის სიკეთის ნდომით განპირობებული. ქლოის პირადი ღირსების გრძნობა გაცილებით უმნიშვნელო იყო ჩემთვის, ვიდრე საკუთარი, თუმცა კი მეორე პირველზე გახლდათ დამოკიდებული: თუკი მისი თვითშეფასება შეირყეოდა, თავს სულელად იგრძნობდა, რაკი დროზე ვერ მიხვდა, მეც შემეცვლებოდა მის მიმართ დამოკიდებულება და ეგებ მისდამი პატივისცემაც გამქრობოდა. ამიტომ, თავიდან უნდა აგვერიდებინა ყოველგვარი დაპირისპირება, მკაცრი პირდაპირობა, დაუნდობლობა... შეიძლებოდა მხრებში ჩავფრენოდი და მაგრადაც მენჯღრია; შეიძლება გაბრაზებულს, ქვიშაზეც დამეგდო, მაგრამ არასდიდებით არ უნდა გამემხილა, შენამდე დედაშენი მიყვარდა, ან ფხვიერი ნამცხვრის სუნი გიდის, ანდა ერთი ბიჭი ამბობს შენზე, კბილებზე მწვანე ფერი დაკრავსო... როცა საქმიანად მიმავალს უკან მორჩილად მივყვებოდი ხოლმე, თვალს ვერ ვწყვეტდი მოოქროსფრო ღინღლის პაწია სამკუთხედს მის კისერზე, პაწია ღარებს მის ფაიფურივით მყიფე მუხლის მოსახრელებში და ისეთი განცდა მეუფლებოდა, თითქოს საკუთარ არსებაში უძვირფასესი, ფეთქებადი სითხით სავსე ფიალას დავატარებდი, ხოლო ნებისმიერი მკვეთრი მოძრაობა გამოუსწორებელი და მომაკვდინებელიც კი შეიძლებოდა გამომდგარიყო.

არსებობდა სხვა მიზეზიც, რის გამოც არ შეიძლებოდა ზედმეტი თვითშემეცნებით გასვრილიყო ან დაკნინებულიყო, ანდა ბოლომდე ამოეცნო ჩემი არსება. ამიტომ იყო სწორედ *განსხვავებული*. სწორედ მასთან ურთიერთობისას მივხვდი პირველად ადამიანთა შორის სრული განსხვავებულობის გარდუვალობას. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი – მაინც ვიტყვი, გინდაც გადაჭარბება გამომივიდეს – რომ ქლოის მეშვეობით დავინახე პირველად სამყარო, როგორც ობიექტური მთლიანობა. არც ჩემი მშობლები, არც მასწავლებლები, არც სხვა ბავშვები და არც თვით კონი გრეისი არ ყოფილან ჩემთვის ისეთი *ერთიანად ნამდვილები*, როგორიც ქლოი, და თუ ის ასეთი იყო, მაშინ უნებურად, მეც ასეთივე გამოვდიოდი. დარწმუნებული ვარ, სწორედ ის იქცა ჩემთვის თვითშემეცნების ჭეშმარიტ წყაროდ: მანამდე არსებობდა რაღაც ერთი და მეც მისი ნაწილი ვიყავი, ახლა კი ვიყავით *მე* და სხვა დანარჩენი – არა-მე. მაგრამ ამ შემთხვევაშიც რჩებოდა რაღაც ხინჯი, ერთგვარი გადაულახავი სირთულე სამყაროსაგან ჩემი გამიჯვნა-გამოყოფით, რის გაცნობიერებაშიც ქლოი დამეხმარა, თან საგანთა ბუნებრიობის განცდაც გამიქრო – ის ყველაფერი, რაც მეც მგულისხმობდა, რაშიც მანამდე ჩართული ვიყავი, მეტ-ნაკლებად ნეტარი უმეცრების გამო. ადრე ჭერიც მქონდა და კედლებიც მიცავდნენ, ახლა კი ტრიალ, გაშლილ ადგილას აღმოვჩნდი და ირგვლივ არანაირი თავშესაფარი არ ჩანდა. არც ის ვიცოდი, ისევ მოვხვდებოდი თუ არა შინ, იმ შეუქცევადად დავიწროებული ჭიშკრის გავლით.

ქლოის გვერდით ყოველთვის ვკარგავდი ადგილისა და სივრცის განცდას, არასდროს ვიცოდი, რას მოიმოქმედებდნენ მისი ხელები და ვეჭვობ, დიდწილად ამაშიც იმალებოდა ჩემი ლტოლვის მიზეზი. საერთოდ, ესაა სწორედ სიყვარუ-

ლის დონკიხოტური ბუნება. ერთ დღეს, როცა ნაპირზე, ზედ წყლის პირას დავაბიჯებდით რომელიღაც განსაკუთრებული, ვარდისფერი ნიჟარის საპოვნელად – ყელსაბამისთვის სჭირდებოდა – უცებ შეჩერდა, ჩემკენ შემობრუნდა, ვითომ ვერც ზღვაში მობანავეებს ამჩნევდა და ვერც ნაპირზე გასარუჯად გამოფენილ დამსვენებლებს, პერანგის საკინძით თავისკენ მიმიზიდა და ისეთი ჟინით მაკოცა, ზედა ტუჩი წინა კბილებზე გადამისკდა, სისხლის გემო ვიგრძენი და ჩვენ უკან მომავალმა მაილზმაც თავისებურად, ხორხში ჩაიხითხითა. უცებვე მომიშორა – ამრეზით, ასე მგონია; მერე კოპებშეკრულმა გზა გააგრძელა, უწინდელივით დაჟინებით ჩააცქერდა ზღვის ნაპირს, სადაც გადაგლესილი ქვიშა ხარბად ელოდა ხვნეშა-ხვნეშით დაძრულ ტალღას. შეშფოთებულმა, მივიხედ-მოვიხედე: დედაჩემს რომ დავენახეთ, ან მისის გრეისს? ან თუნდაც როუზს? მაგრამ ქლოის, ეტყობა, არც ეს ადარდებდა. ახლაც მახსოვს კბილდაჭერილი ტუჩების დაძაბული სილბო...

უყვარდა ადამიანების გამოწვევა, მაგრამ ბრაზობდა, თუკი ამ გამოწვევას ვინმე მიიღებდა. ერთ სისხამ, საოცრად მდუმარე დილით, როცა შორს, ჰორიზონტზე, საავდრო ღრუბლები იყრიდა თავს, დამდგარი ზღვა კი რუხად ბრჭყვინავდა, მის ნინ ვიდექი წელამდე წყალში და ვაპირებდი, ჩამეყვინთა, მის ფეხებს შორის გამეცურა, რის ნებასაც ხანდახან მრთავდა ხოლმე.

– მიდი, დროზე! – მითხრა თვალებმოჭუტულმა. – ამწუთას ვქენი ფისი.

რაღა დამრჩენოდა – ბრძანებას დავემორჩილე. მე ხომ პატარა, შეყვარებული რაინდი ვიყავი! მაგრამ როცა ისევ ამოვყვინთე, ასე მითხრა, დიდი ბინძური ვინმე ხარო, კისრამდე შევიდა წყალში და ნელ-ნელა გაცურა.

შიგადაშიგ უხეშობის ისეთი უეცარი შეტევა ნამოუვლიდა ხოლმე, ბრაზს ძლივს ვერეოდი. ერთი ნოტიო საღამო მახსენდება, როცა მარტოები დავრჩით „კედრების" სასტუმრო ოთახში. ნაწვიმრის, შმორისა და მტვრიანი ფარდების სუნი იდგა. ქლოი ეს-ესაა, სამზარეულოდან შემობრუნებულიყო, ახლა ფანჯრისკენ მიაბიჯებდა. დივანიდან წამოვდექი და მისკენ გავემართე. ეტყობა, ვაპირებდი, მკლავები შემომეხვია მისთვის. მივუახლოვდი თუ არა, გაჩერდა, შემომიტრიალდა და პირდაპირ სახეში გამილაწუნა. იმდენად მოულოდნელი, გამეტებით მოქნეული სილაქი იყო, მისი ხმა ჭერიდან ექოდ მომიბრუნდა. წამით გაუნძრევლად ვიდექი, უნებურად სახეგამიტრიალებული, იმან კი ნაბიჯი უკან გადადგა, გაიცინა, მერე გაბუტული სახით ფანჯარასთან მივიდა, ზედ მიმდგარი მაგიდიდან რაღაც აიღო და მოღუშულმა, თვალიერება დაუწყო.

ერთხელ კიდევ, სანაპიროზე, ვიღაც ქალაქელ ბიჭს აუშარდა. ქარიანი, უჟმური დღე იდგა, ზაფხული იწურებოდა და ჰაერში უკვე შემოდგომის მომასწავებელი სუსტი სუნიც ტრიალებდა. ქლოის ეტყობა, მოწყენილობა მოსძალებოდა და ბრაზიან გუნებაზე გახლდათ. ის ბიჭი ერთი ფერმკრთალი, მფრთხალი ვინმე გამოდგა – შავი, ფართხუნა საცურაო ნიფხავი ეცვა, მკერდი ჩავარდნოდა და სიცივისაგან ძუძუსთავები გაუფერულებოდა. კუთხეში მივიმწყვდიეთ ჩვენ სამმა, ბეტონის კედელთან. ბიჭი ტყუპებზე მაღალი იყო, მაგრამ მე მასზე მაღალი ვიყავი და რაკი სატრფოსთვის თავის მოწონების სურვილი მკლავდა, ერთი კარგი მუჯლუგუნი ვუთავაზე, მწვანედ გალიპულ კედელს მივაჯახე ზურგით, მერე კი ქლოიც აესვეტა წინ და მბრძანებლურად მოსთხოვა, ვინაობაც მოეხსენებინა მისთვის და იქ ყოფნის მიზეზიც. ბიჭი უაზრო გაოცებით მისჩერებოდა – ეტყობა, ვერ გაეგო,

რას ერჩოდნენ, რა უნდოდათ მისგან. ამაზე ცხადია, არც ჩვენ გვქონდა პასუხი. „რამ გაგაშტერა!" – შეუძახა ქლოიმ. დოინ-ჯშემოყრილი ცალ ფეხს ქვიშაზე აბაკუნებდა. ბიჭმა მორიდებით გაულიმა – უფრო დარცხვენილმა, ვიდრე შეშინებულმა. *ერთი დღით ჩამოვედით მატარებლით მე და დედაჩემიო,* – ამოღერღა. „დედიკოს ბიჭი ხარ?" – დამცინავად ჰკითხა ისევ ქლოიმ და თითქოს ნიშანი მისცაო, მაშინვე მაილზმაც გაშლილი ხელი მწარედ ჩაარტყა კეფაში. „გაიგე?" – უყვირა ქლოიმ. – „და ნუ გვეჯგიმები აქ!" საწყალმა, ქვეშაფსია ქალაქელმა ბოჩოლას თვალებით ამოგვხედა და თითქოს მომხდარს ვერც იჯერებსო, ფრთხილად მოისვა ხელი კეფაზე. წამით დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა, იმ დროს რომ იცის ხოლმე, როცა ნებისმიერი რამ შეიძლება მოხდეს. მაგრამ არაფერიც არ მომხდარა. ბიჭმა მორჩილად, უნდოდ აიჩეჩა მხრები და ჯერაც თავზე ხელმიდებული, სადღაც წაფრატუნდა. მერე ქლოიმ მე გამომხედა გამომწვევად, ოღონდ აღარაფერი უთქვამს, მაილზმა კი გულიანად ჩაიხითხითა.

ეს ამბავი არც ქლოის მზერისა და არც მაილზის ხითხითის გამოისობით არ დამმახსოვრებია სამუდამოდ, იმ ქალაქელი ბიჭის ბოლო შემოხედვის გამო დამამახსოვრდა – სანამ უიმედოდ შეტრიალდებოდა და გაგვეცლებოდა. მიმიხვდა, რომ მეც იმასავით ქალაქელი ვიყავი, რადაც არ უნდა მომეჩვენებინა თავი. მის ამ გამოხედვაში ღალატის გამო საყვედური, ან მის წინააღმდეგ ვილაც უცხოების გვერდით დგომის გამო ბრაზი რომ ყოფილიყო – საერთოდ რაიმე ამდაგვარი – ამას აინუნშიც არ ჩავაგდებდი, თუმცა ალბათ ცოტათი მაინც შემრცხვებოდა. ყველაზე მეტად იმისმა უნდილობამ ამირია თავგზა, ჩემს ღალატთან ასე მორჩილად, ცხვარივით შეგუებამ. რაღაც მიბიძგებდა, საჩქაროდ უკან გავყოლოდი, მხარზე

ხელი დამედო – არა იმიტომ, რომ მომებოდიშა და პატიება მეთხოვა მის შეურაცხმყოფელთა დახმარებისთვის, არამედ მეიძულებინა, ერთხელ კიდევ შემოეხედა, უფრო სწორად, ის უწინდელი მზერა გაექრო, წაეშალა, მისი ხსოვნაც კი ამოერეცხა თვალებიდან. ეს იმიტომ, აუტანლად რომ მიმაჩნდა იმაზე ფიქრიც კი, ასე კარგად შემიცნო-მეთქი... უკეთესად, ვიდრე მე ვიცნობდი საკუთარ თავს, ანუ – უარესი მხრიდან.

არასოდეს მიყვარდა ფოტოს გადაღება, მაგრამ განსაკუთრებით ვერ ვიტანდი, როცა ანა მიღებდა სურათებს. ვიცი, უცნაურად ჟღერს, მაგრამ როცა აპარატში იხედებოდა, თითქოს ბრმად იქცეოდა, რაღაც კვდებოდა მის თვალებში და ბუნებითი შუქი უქრებოდა: თითქოს ლინზიდან გადასაღებ ობიექტს კი არ უცქერდა, არამედ სადღაც, სიღრმეში აპყრობდა მზერას, საკუთარი არსების წიაღში და იქ ხედვის რაღაც სხვა კუთხეს, უმთავრეს სახილველს დაეძებდა. გაუნძრევლად ეკავა კამერა თვალის სისწორეზე, ფაფარივით თმას გადაიყრიდა და დაბინდულ მზერას წამით მოგაპყრობდა – თითქოსდა ნაკვთებზე ბრაილის ანბანის ნიშნებად გეწერა ამ მანძილიდან მხოლოდ მისთვის გასარჩევი სიტყვები – ღილაკს კი სასხვათაშორისოდ გააჩხაკუნებდა, აქაოდა, მხოლოდ მექანიზმის ასამოქმედებლადო. ჩვენი ურთიერთობის პირველ დღეებში ისეთი უგუნურება გამოვიჩინე, ნება მივეცი, რამდენჯერმე გადაეღო ჩემთვის ფოტოები. შედეგი მართლა სავალალო იყო, იმდენად მკაფიოდ და არამიმზიდველად დავინახე საკუთარი თავი. ამ ათიოდე შავ-თეთრ ფოტოპორტრეტზე – კი, ასეა, მხოლოდ ჩემი თავი გადაეღო – საკუთარ თვალში კიდევ უფრო შემზარავი გამოვჩნდი, ვიდრე მთლიანობაში ვიქნებოდი, თუნ-

დაც დედიშობილა. არადა, ახალგაზრდა, სანდომიანი და მეტი რომ არა ვთქვათ, არცთუ ულაზათო ვინმე გახლდით, თუმცა ამ ფოტოებზე ასაკგადაცილებულ რაღაც ჰომუნკულუსს ვგავდი. იმას არ ვამბობ, შეგნებულად დამამახინჯა-მეთქი: ის კი არა, ამ ფოტოების მნახველები იმასაც კი მიმტკიცებდნენ, შენი გულის მოგებას ცდილობდაო. მაგრამ, თუ მართლა ეს მიზანი ჰქონდა, ჩემთვის მაინც პირიქით გამოჩნდა. ასე მეჩვენებოდა, თითქოს ვილაცას გაქცევის მცდელობისას ეტაცა ჩემთვის ხელი და საცაა, აყვირდებოდა – ქურდი, ქურდი დავიჭირეო... სახეზე ერთდროულად ყინჩი და მავედრებელი გამომეტყველება შემყინვოდა – იმ არამზადისა, გული ფეხებში რომ ეპარება, ვაითუ ყველა იმ დანაშაულში მამხილონ, რაც კი ჩამიდენია და ბოლომდე კარგად არც მახსოვსო. თუმცა თან წინდაწინ მაინც ემზადება, როგორ დაიძვრინოს თავი. გენახათ ერთი, რა სასოწარკვეთილი, ქლესა ღიმილი მეხატა სახეზე, მართლა ამაზრზენი! ის ფოტოკამერას ვითომ სანდომიან, ახალგაზრდულ სახეს უმიზნებდა, არადა, სინამდვილეში, მავანი გალოთებული გაიძვერას პირადობის მოწმობისთვის გადაღებული სურათი კი გამოსდიოდა. მოკლედ, ნიღაბი ჩამოხსნაო, რომ იტყვიან, ეგ იყო.

მართლა გამორჩეული ნიჭი ჰქონდა, მიუკერძოებელი, ბოლომდე გამაშიშვლებელი თვალით დაენახა ყველაფერი. ის ფოტოებიც მახსენდება, საავადმყოფოში გადაღებული – უკვე სულ ბოლოს, დასასრულის დასაწყისში, როცა ჯერ კიდევ უტარებდნენ მკურნალობას და საწოლიდან დაუხმარებლად წამოდგომასაც პხერხებდა. კლერს სთხოვა, ფოტოაპარატი მომიძებნე და მომიტანეო. უკვე წლები იყო, ხელში აღარც აეღო. ძველი აჩემებისკენ მიბრუნების ამ მოლოდინმა უცებ ძლიერი, უსიამო წინათგრძნობა გამიღვიძა და არც ის მომე-

ნონა – თუმცა ვერანაირად ვერ ავხსნი, რატომ – მე კი არა, კლერს რომ სთხოვა აპარატის მიტანა. თან ვითომ არც უნდა მცოდნოდა. ნეტავ ვის რაში სჭირდებოდა მთელი ეს გასაიდუმლოებული ფაცი-ფუცი? კლერი ახალი დაბრუნებული იყო – მანამდე უცხოეთში სწავლობდა, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ბოლოს გერმანიაშიც – და შეძრწუნებული დარჩა, როცა დედა ამ მდგომარეობაში დაუხვდა. ცხადია, ჩემზეც გადატყდა ჯოხი – უფრო ადრე რატომ არ შემატყობინეო. აღარ მითქვამს, ანას არ უნდოდა დროზე ადრე შენი შინ დაბრუნება-მეთქი. ესეც უცნაური ჩანდა, რადგან ადრე დედა-შვილი სულ იოლად უგებდნენ ერთმანეთს. იქნებ ვეჭვიანობდი? ცოტათი კი. ან იქნებ – არც ისე ცოტათი, თუ სიმართლე გინდათ. კარგად ვიცი, რას ველოდი, რას ველი საკუთარი ქალიშვილისაგან და ამ ლოდინის თავკერძობასა თუ მომთხოვნელობასაც მშვენივრად ვაცნობიერებ: ძალიან ბევრს ვითხოვ ჩემისთანა ზერელე ბუნების კაცის ნაშიერისაგან. ის იმას მაინც მოახერხებს, რაც მე ვერ შევძელი და თუ რამე მესმის, ცნობილი მეცნიერიც გახდება. არადა, ამდენი ნამდვილად მესმის. დედამ რაღაც ფული დაუტოვა, თუმცა ბევრიც არაფერი. მე კიდევ ფული არ მაკლია, ოღონდ მაინც ხელმომჭირნე ვარ...

სრულიად შემთხვევით ჩავავლე კლერს, იმ ფოტოაპარატს რომ მოარბენინებდა. შეეცადა, არაფერი შეემჩნია, სასხვათაშორისოდ გაეტარებინა ეს ამბავი, მაგრამ ამნაირები დიდად არ ეხერხება. თუმცა ჩემზე უკეთ ვერც ის ხვდებოდა, რა საჭირო იყო მთელი ეს გასაიდუმლოება. ანას კი მუდამ სჩვეოდა სულ უბრალო რამეების მიჩუმათება. ეტყობა, მამის გავლენა თუ იყო, მათი ხანგრძლივი, უთავბოლო ერთობლივი ცხოვრების გამოძახილი. საერთოდ, იყო მასში რაღაც ბავშვური – იმის თქმა მინდა, რომ ჭირვეულობა, უეცარი გულჩათხრობი-

ლობა სჩვეოდა. ვერ იტანდა მის საქმეში სულ ოდნავ ჩარევასა თუ ნებისმიერ წინააღმდეგობას. ვიცი, რასაც ვამბობ და ასე მგონია, ორივე რომ დედისერთები ვიყავით, ამის ბრალია ყველაფერი. უცნაურად კი ჟღერს *დედისერთები*. ვითომ მე შევუშალე ხელი? ჩემ გამო ვერ გახდა ხელოვანი? თუკი, საერთოდ, ფოტოაპარატის ჩხაკუნი შეიძლება ხელოვნებად მივიჩნიოთ... ვაღიარებ, მისი ფოტოები საერთოდ არც მაინტერესებდა და ამიტომ არანაირი საფუძველი არ ჰქონდა, ეფიქრა, აპარატს დამიმალავსო... მართლა ვერაფერს გაიგებს კაცი.

ასეა თუ ისე, რამდენიმე დღეში, მას მერე, რაც კლერს ანას აპარატი დავუნახე ხელში, საავადმყოფოში დამიბარეს და მითხრეს, თქვენი მეუღლე სხვა პაციენტებს სურათებს უღებს და ამის გამო უკმაყოფილებაც გამოითქვაო. როცა მკაცრსახიანი მთავარი ექიმის კაბინეტში აწურული ვიდექი, ანას მაგივრად მცხვენოდა და თავს თანაკლასელის ცელქობისთვის გალანძღულ მოწაფედ ვგრძნობდი. როგორც გაირკვა, ანა თურმე ფეხშიშველი, საავადმყოფოს თეთრ ხალათში გამოხვეული დაიარებოდა პალატებში, თან ბორბლებიან წვეთოვანს დაათრევდა – ამას „ჩემს ბორბლებიან ბარს" ეძახდა – და ერთ ბედქვეშ მყოფთა შორის განსაკუთრებით დანგრეულ-დასახიჩრებულებს დაეძებდა. მათ საწოლებთან ჩერდებოდა, აპარატს მოიმარჯვებდა და იქამდე აჩხაკუნებდა, ვიდრე რომელიმე ექთანი არ წაასწრებდა და საწოლში დაბრუნებას არ მოსთხოვდა.

– გითხრეს მაინც, ვინ ჩივისო? – მკითხა პირგამეხებულმა. – თვითონ პაციენტები კი არა, იმათი პატრონები... და იმათ რა ესმით?

ფირები გასამღავნებლად თავის მეგობარ სერჟთან გამატანა. ეს მეგობარი სერჟი, რომელიც თავისუფლად შეიძ-

ლება შორეულ წარსულში მეგობარზე მეტიც ყოფილიყო, ერთი აწოწილი, კოჭლი ჯეელია, ლამაზად მბზინავი შავი თმა აქვს და ძალიანაც უყვარს ამ თმის შუბლიდან მოხდენილად უკან გადაყრა თავისი დიდრონი, მოუხეშავი თითებით. მდინარესთან, შეიდ-სტრიტზე, მაღალი, წოწოლა სახლის ბოლო სართულზე აქვს სტუდია გამართული. მოდის სფეროში საქმიანობს და თავის არც ერთ მოდელს არ უშვებს უპატივცემულოდ. ასე ამბობს, ლტოლვილი ვარო – არ მახსოვს, საიდან – და იმის ღულუნა აქცენტი თურმე ჭკუას აკარგვინებს გოგოებს... გვარს არასოდეს ახსენებს – ყველასათვის, უბრალოდ, სერჟია. შეიძლება ესეც მხოლოდ „შემოქმედებითი" ფსევდონიმია. ახალგაზრდობიდანვე ვიცნობდით ბევრ ეგეთს ანაცა და მეც. იმ ძველ დროში, მაშინ რომ ახალი გვეგონა. ახლა ვეღარც ვხვდები, რანაირად ვეგუებოდი ასეთ ხალხს – სრულ უბადრუკობას, მაშინაც და ახლაც.

მაგრამ, ეტყობა, არის ჩემში რაღაც ისეთი, სერჟს, რატომღაც, მუდამ რომ ახალისებს: სულ მზადა აქვს პატარ-პატარა, უმარილო ხუმრობები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ იმის საბაბია, დამცინოს და არ კი შეეტყოს, მე თუ დამცინის. როცა გამჟღავნებული ფირებისათვის მივაკითხე, თვალისმომჭრელად არეულ-დარეულ სტუდიაში დაუწყო ძებნა. სულ არ გამიკვირდებოდა, ეს არეულობა განგებ რომ მოეწყო – როგორც, ვთქვათ, ვიტრინას აწყობენ ხოლმე. წინ და უკან დაიარებოდა იმ თავის შეუსაბამოდ მაღალ ფეხებზე და ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ჯიუტად კოჭლობდა. მხარს ზემოდან მეხმიანებოდა ხოლმე და თან ეტყობა, უძირო ფინჯნიდან ხვრეპდა ყავას. ეს ყავაც მისი ერთ-ერთი გამოსარჩევი ნიშანია – როგორც თმა, კოჭლობა და თეთრი, გრძელი, ნელზე გადმოშვებული, რუსული ყაიდის ქამრიანი პერანგები.

ამათზე საერთოდ ჭკუა ეკეტება. „როგორა მყავს მშვენიერი ანი?“ – მკითხა. ერთხელაც გამომხედა გვერდულად და გაიცინა. მხოლოდ ის ეძახის ასე. არ მინდოდა მეფიქრა, რომ ეს მათი ძველი, სასიყვარულო თიკუნი შეიძლებოდა ყოფილიყო. ანას ავადობაზე სიტყვა არ დამიძრავს, ან რატომ უნდა მეთქვა რამე? ახლა თავის დიდ სამუშაო მაგიდაზე გამეფებულ ქაოსში იქექებოდა. ბნელი ოთახიდან მომავალი რაღაც ქიმიური სითხის მომწარო სუნი ნესტოებსა და თვალებს მიწვავდა. „არ იცვლება ჩვენი ანი...“ – ჩაილულუნა თავისთვის, თითქოს წაიმღერა და თან ერთხელაც ჩაიფრუტუნა. წარმოვიდგინე, როგორ ვეძგერე, ფანჯარასთან მივათრიე და ფეხებით გადავკიდე რაფაზე. უცებ გახარებული ახვიხვინდა და სქელი კონვერტი დააძრო საიდანღაც. როცა გამორთმევა დავუპირე, ხელი უკან წაიღო და ეშმაკურად, ცელქად შემომხედა, შაშვივით გვერდზე თავგადაწეულმა: „მართლა მაგარი რაღაცები გადაუღია!“ კონვერტს ჯერ ისევ ხელში ათამაშებდა, მეორე ხელს კი ცუდი დირიჟორივით იქნევდა აქეთ-იქით: „კი, მართლა მაგარია!“

მწოლიარე ანამ ხელი გამოიწვდინა და ბავშვივით თითებგაფარჩხულმა, უსიტყვოდ გამომტაცა კონვერტი. პალატაში ნესტიანი სიცხე იდგა, შუბლსა და ზედა ტუჩზე ვერცხლისწყალივით უბრწყინავდა ოფლის წვეთები. თავზე თმას ისევ დაეწყო ზრდა, ოღონდ რაღაცნაირად დუნედ, უგულოდ, თითქოს იცოდა, დიდი ხნით მაინც აღარ დავჭირდებიო. თხელ, მუქ, გაზინთულივით მბზინავ ბღუჯებად ამოსვლოდა და კატის გატლეკილ ბეწვს მიუგავდა. საწოლის კიდეზე ჩამოვუჯექი, ვუცქერდი, როგორ მოუთმენლად ებრძოდნენ მისი თითები კონვერტს. რატომ ამშვიდებს კაცს საავადმყოფოს ეს თეთრი პალატები? იმის მიუხედავად, რაც იქ ხდება. სულ არ ჰგვანან სასტუმროს ნომრებს: იქ, უძვირფასესშიც კი, მაინც ანონიმუ-

რობა სუფევს, არაფერი ამჟღავნებს სტუმრისადმი ზრუნვას – არც საწოლი, არც სასმელებით სავსე მაცივარი თუ შარვლის საკიდი, გულგრილად რომ აყუდებულა ზურგით კედელზე. არქიტექტორთა, დიზაინერთა და მენეჯერთა დიდი მცდელობის მიუხედავად, სასტუმროს ნომრები მაინც მუდმივად მოუთმენლობით არიან შეპყრობილნი, თუ როდის დაცლიან და გაეცლებიან ეს მობინადრენი! აი, საავადმყოფოს პალატები კი, პირიქით, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე გვაკავებენ, უნდათ, რომ დავრჩეთ და თავიც შინაურულად ვიგრძნოთ... როგორ დამამშვიდებლად წააგავს აქაურობა თუნდაც სამშობიაროს – ამ შეთეთრებული კედლებით, ლინოლეუმიანი იატაკით, ერთი ბეწო პირსაბანით კუთხეში და იქვე გადაკიდული პატარა პირსახოცით და, რაღა თქმა უნდა, ბორბლებიანი და ბერკეტებიანი საწოლით, მართლა ახალშობილის სარწეველას რომ წააგავს; სადაც შეგიძლია ტკბილად იძინო, ლამაზი სიზმრები ნახო – იმიტომ, რომ თვალს არ მოგაშორებენ, მოგივლიან და არასოდეს, არასოდეს მოკვდები... ნეტავ არ შეიძლება, ერთი ასეთი ვიქირავო? პალატაზე ვამბობ. დავჯდები და ვიმუშავებ იქ. სულაც საცხოვრებლად გადავბარგდები. მე შენ გეტყვი, პირობებს დაიწუნებ! დილაობით მხიარულს გაგეღვიძება, დანიშნულ დროს საჭმელსაც მოგართმევენ, საწოლსაც კოხტად გაგისწორებენ, თეთრ, მართკუთხა კონვერტს დაამსგავსებენ და მთელი სამედიცინო პერსონალიც იქვე გეყოლება, ყოველი შემთხვევისთვის. კი, აქაურობას მშვენივრად მოერგებოდა კაცი. მოვეწყობოდი ერთ-ერთ ასეთ თეთრ საკანში, გისოსებიან ფანჯარასთან... არა, გისოსები არ მინდა. ეტყობა, მთლად ეშხში შევედი. ფანჯარა ქალაქს უნდა გადასცქეროდეს, ქარხნის მილებს, გადატვირთულ ქუჩებს, ერთმანეთზე მიჯრილ სახლებსა და მათ წინ უსასრულოდ მორიალე პაწაწინა კაცუნებს.

ანამ ფოტოები მის ირგვლივ საწოლზე მიმოაბნია და ხარბად დააჩერდა. თვალები უბრწყინავდა, იმ დროისათვის უკვე ლამის მარტო თვალებადღა იყო ქცეული. ჯერ ერთი, იმან გამაკვირვა, ფერადი ფირი რომ ეხმარა – ადრე მხოლოდ შავ-თეთრ ფოტოებს იღებდა. მეორე გაოცება ჩემთვის თავად ფოტოები გამოდგა: თამამად შეიძლებოდა, ომის დროს, საველე ლაზარეთში ან რომელიმე დანგრეულ-დაპყრობილი ქალაქის სამხედრო ჰოსპიტალში გადაღებულად მიგეჩნიათ. ვიღაც მოხუცი კაცისთვის მუხლს ქვემოთ მოეკვეთათ ფეხი და ნარჩენი უხეშად, მსხვილი ძაფით გადაეკერათ – ნაკერი ჯინსის ელვა-შესაკრავს ჰგავდა; ზონზროხა, შუახნის ქალისთვის ცალი ძუძუ მოეჭრათ, ნარჩენი ადგილი ახლა ერთიანად მოჭმუჭნულიყო და ვეება, ცარიელ თვალის ბუდესავით მოჩანდა; მკერდსავსე, მომღიმარ დედას მაქმანიანი ღამის პერანგი გადაეცვა და კმაყოფილი სახით აეტატებინა ხელში თავისი ახალშობილი, ჰიდროცეფალი პირმშო, რომლის დაყვლეპილ თვალებშიც ცხოველური შიში ჩაბუდებულიყო; ახლო ხედით გადაღებული მავანი დედაბრის ართრიტით დაკრუნჩხული თითები ვაზის გამხმარი ფესვებივით დაგრეხილიყო; ლოყაზე უცნაურწყლულიან ბიჭს მუშტები შეემართა, ცერა თითები აეპრიხა და ენაგადმოგდებული, გამომწვევად იჭყანებოდა. იყო კიდევ რაღაც მონარჩენებით, გაურკვეველი, მუქი, სველი ხორცის ნაფლეთებით სავსე თუნუქის ტაშტის ფოტოც – ვერ გაიგებდი, სამზარეულოდან ჩაეცალათ შიგ ეს ყველაფერი თუ საოპერაციოდან გამოეტანათ...

თუმცა ყველაზე გამაოგნებელი ჩემთვის ამ სურათებზე გამოსახული ადამიანების მშვიდი ღიმილი იყო, რითაც საკუთარ იარებს, ჭრილობებსა და ჩირქგროვებს ამზეურებდნენ. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი, თითქოსდა ფორმა-

ლისტური ჩანახატივით ფოტო: ზედ მჭახე შუქ-ჩრდილები ჭარ-ბობს, და ვიღაც ბებრუხანას ფეხები აუპრიხავს, მოლურჯოდ დაძარღვულ მუხლისთავებს შორის კი რაღაც – იქნებ სულაც გამოვარდნილი საშო მოუჩანს. მთელი ეს კომპოზიცია ბლეი-კის რომელიღაც წიგნი-ქადაგების ყდასავით შთამბეჭდავ და ზუსტად გათვლილ გაფორმებას მოგაგონებთ. შუა სივრცე – ამოყირავებული სამკუთხედი – ორივ მხრით დედაბრის გაშ-ლილ-გაფარჩხულ ფეხებს მოუნიშნავს, ხოლო ზემოდან – მის თეთრ ქვედაბოლოს: თითქოს ამ სუფთა პერგამენტივით ადგი-ლას ის ცეცხლოვანი წარწერა უნდა გაჩნდეს, რომელიც წინ-დანინ გვაუწყებს იმ რაღაც მოვარდისფრო-მეწამული არარას ვითომ-შობას, რასაც უკვე გამოუყვია კიდეც თავი. ამ სამკუთ-ხედის იქით კი ბებრის მედუზა გორგონასავით საბედისწერო სახე, პერსპექტივის ოსტატური გადანაცვლებით, იმავე სიბ-რტყეში ჩანს, სადაც მისივე მუხლები, იმავე დონეზე – თით-ქოს მთელი თავი პირწმინდად მოუჭრიათ და ქვედაბოლოზე ისე დაუდვიათ, ვითომ სინით შემოიტანესო... არადა, თავად სახეს სიმშვიდე დაჰფენია – იფიქრებთ, დამცინავად თუ სუ-ლაც შეთქმულივით ილიმისო; ერთგვარი სიამეც კი აწერია ზედ და აშკარა თვითკმაყოფილებაც. გამახსენდა, როგორ მივაბი-ჯებდით ერთ დღეს მე და ანა ქუჩაში, მას მერე, რაც მთლია-ნად გასცვივდა თმა, და მოპირდაპირე მხარეს ზუსტად მასავით გამელოტებულ ვიღაც ქალს ჰკიდა თვალი. არ ვიცი, შეამჩნია თუ არა, მეც რომ დავინახე, როგორ მიაჩერდნენ ერთმანეთს – თითქოს არაფრისმთქმელი, მაგრამ თან ეშმაკური, ორაზროვა-ნი, შეთქმულთა მზერით. ანას ავადმყოფობის მთელი ამ უსას-რულო 12 თვის მანძილზე, მგონი, არასოდეს მიგრძნია თავი მისგან ასე გაუცხოებულად, როგორც იმ წამს, როცა ტანჯულ ქალთა ამ საკრებულოდან გარიყული აღმოვჩნდი.

– აბა? – მკითხა უკვე მაშინ, როცა საწოლზე მიმობნეულ სურათებს ათვალიერებდა; სხვათა შორის, ჩემთვის ერთხელაც არ შემოუხედავს. – რას იტყვი?

ჩემი აზრი სრულებით არ აინტერესებდა. იმ დროისათვის მეც და ჩემი შეხედულებებიც მისთვის უკვე გუშინდელი დღე ვიყავით.

– კლერს აჩვენებ? – ვკითხე. არ ვიცი, პირველი რაღა მაინცადამაინც ეს შეკითხვა მომივიდა თავში.

ვითომ ვერ გაიგონა. ან იქნებ არც მისმენდა? სადღაც, შენობაში ზარი ზუზუნებდა, თითქოს პატარა, გაუნელებელი ტკივილის ხმა აღწევდა ჩვენამდე.

– ესაა ჩემი ალბომიცა და საბრალდებო დასკვნაც, – თქვა.

– რა დასკვნა? – გავიკვირვე და თან აუხსნელი შიში დამეუფლა. – ვინ რაში გდებს ბრალს?!

მხრები აიჩეჩა.

– ყველა, – მიპასუხა. – ყველაფერში.

ქლოი, მისი სისასტიკე. ზღვის ნაპირი. ცურვა ღამღამობით. ერთ საღამოს საცეკვაო დარბაზის შესასვლელთან დაკარგული მისი სანდალი – კონკიას ბროლის ქოში. გაქრა ყველაფერი. წავიდა. წავიდა და წავიდეს – დავიღალე. დავიღალე და გავილეწე. ერთი მაგის დედაც.

ჩვენთან გრიგალმა გადაიარა. მთელი ღამე ქროდა და ნახევარი დილაც. უცნაური ამბავია, არც ვიცოდი, ამ ადგილებში მსგავსი რამ თუ ხდებოდა. სიძლიერესა და ხანგრძლი-

ვობას ვგულისხმობ. ისე, დიდად კი ვისიამოვნე: ვიჯექი ჩემს ვარაყიან საწოლზე, როგორც კატაფალკზე – არ ვიცი, რამდენად ზუსტი სიტყვა მოვძებნე – და ოთახიც ზანზარებდა, თითქოს გაშმაგებული ცა, აი, ახლა ძვლებში გადატყდება და ჩამოიქცევაო. ვფიქრობდი, როგორც იქნა, ბუნების ძალებმაც მიაღწიეს დულილის იმ წერტილს, რაც ჩემს შინაგან მდგომარეობას ზედმიწევნით ეხამება-მეთქი! მეგონა, გარდავისახე: ვაგნერისეულ რომელიღაც ღმერთკაცად ვიქეცი, საავდრო ღრუბელს მოვაჯექი და დიდებულ, მგრგვინავ მუსიკას ვაყღერებდი – ციურ ბუკსა და ნაღარას, ასე ვთქვათ. აღგზნებული, ეიფორიით შეპყრობილი, ელვა-ჭექითა და ჭიქა ბრენდით შეხურებული საკუთარ მდგომარეობას ახლა უცებ ახელილი თვალით შევცქეროდი. ცხადია, ზოგად მდგომარეობას ვგულისხმობ. მთელი ჩემი გონივრული განსჯის მიუხედავად, მუდამ მწამდა, რომ მომავლის რომელიღაც უნებურ წამს უსასრულო რეპეტიციად ქცეული ჩემი ცხოვრება – ასეთი აბდაუბდა და დაულაგებელი, შეცდომებითა და მარცხით სავსე – დასრულდებოდა და ბოლოსდაბოლოს დაიწყებოდა ის ნამდვილი დრამა, რისთვისაც ასეთი გულწრფელობით ვამზადებდი თავს. ვიცი, ეს ჩვეულებრივი თავის მოტყუებაა და ნებისმიერს გვახასიათებს. და მაინც, წუხელ, მთელი ამ ვალპალური სიშმაგის ამოფრქვევისას, მაინც ვიფიქრე: ხომ არ მოახლოვდა სცენაზე ჩემი გამოსვლის დრო, ასე ვთქვათ, მთავარი რეპლიკის წარმოთქმის წუთი-მეთქი. არ ვიცი, რანაირი იქნება ეს დრამატული გარდასახვა – ზუსტად რა მოხდება, როცა სცენაზე შევდგამ ფეხს; თუმცა ერთგვარ აპოთეოზს კი ველი, რაღაც დიად გარდატეხას. არა, გარდაცვალებაზე არ ვლაპარაკობ – არ მჯერა იმქვეყნიური ცხოვრების და არც ღვთაება მეგულება ისეთი, ამას რომ შემომთავაზებდეს. თუ

გავითვალისწინებთ, როგორი და რა სახის სამყარო შექმნა, წრეგადასული სითამამე იქნებოდა, ღმერთის რომ გწამდეს. არა, მე მხოლოდ მიწიერი თვითგამოხატვის წამს ველი. სწორედ ასეა: მთლიანად, ერთიანად გამოვხატავ საკუთარ თავს და გავთავისუფლდები როგორც საბოლოო, სამადლობელი სიტყვის მთქმელი. მოკლედ, *ამოვითქმები*. და განა მუდამ ეს არ იყო ჩემი მიზანი? სინამდვილეში, განა ეს არაა ყველა ჩვენგანის ფარული მისწრაფება – მოიშოროს ხორციელი და ერთიანად ტანჯვაშეუვალ, ხელშეუხებ სულად გარდაისახოს? იჭექა, იქუხა, დააზანზარა, შეარყია ყველა კედელი.

სხვათა შორის, საწოლი, ჩემი საწოლი. მის ვავასური იჩემებს, სულ აქ იდგაო. ასე გამოდის, ცოლ-ქმარ გრეისებს ეძინათ ზედ? აგეკვიატება ასეთი ფიქრი და ველარც მოიშორებ. იქნებ როგორმე მაინც ამოვიგდო თავიდან. ნამდვილად აჯობებდა. უფრო მშვიდად მაინც ვიქნებოდი.

ეს ერთი კვირაც გავიდა... რა ჩქარა გარბის დრო! განსაკუთრებით, შემოდგომის მიწურულს. მიწაც გამალებული მიექანება წელიწადის ბოლო, მკვეთრი მოსახვევისაკენ. გაწელილი დარიანობის მიუხედავად, პოლკოვნიკი მაინც გრძნობს ზამთრის მოახლოებას. ბოლო დროს რაღაც ვერ იყო კარგად, თვითონ ამბობს, თირკმელები გამიცივდაო. ვუთხარი, დედაჩემიც სულ ამას უჩიოდა-მეთქი. წუწუნი უყვარდა-მეთქი, ალარ დამიმატებია, თუმცა მაინც ისე შემომხედა, მგონი, ეგონა, მასხრად მიგდებსო და ალბათ, ასეც იყო. საერთოდ, რას ნიშნავს ეს *თირკმელების გაციება?* ამ საკითხში არც დედაჩემი იყო პოლკოვნიკზე მეტად ჩახედული და ამ შემთხვევაში, დიდ დახმარებას ვერც ბლეკის სამედიცინო ენციკლოპედია-

ლექსიკონი გაგინევს კაცს. შეიძლება ამით უნდა, რომ ამიხსნას ტუალეტში დღითა თუ ღამით ხშირ-ხშირი სტუმრობის მიზეზი. ეტყობა, არ სურს, რამე სხვა, უფრო უარესი ვიფიქრო. „არა, ნამდვილად ვერა ვარ კარგად! – გაიძახის წამდაუწუმ. – ფაქტია, ვერსად გაექცევი". ბოლო დროს მაგიდასთან „კაშნეშემოხვეული ზის ხოლმე. საჭმელს უნდილად შეექცევა „და მხიარულების ნებისმიერ გამოვლინებას უნდო, ტანჯული მზერით ეგებება, რასაც თან სუსტი ოხვრაც სდევს. ოხვრა კი არა, სულაც გმინვა. არ მახსოვს, რამე თუ მითქვამს აქამდე მის უცნაურად ფერადოვან ცხვირზე: დღის მონაკვეთისა თუ ამინდის ოდნავი ცვალებადობის მიხედვით იცვლის ელფერს – ხან მკრთალი იისფერია, ხან ღვინისფერი და ხანაც მუქი, სამეფო მეწამული დაჰკრავს. ახლაღა მომივიდა თავში: ვითომ დოქტორ თომსონის ცნობილ „ლოთის ცხვირის" სინდრომთან გვაქვს საქმე? მის ვავასური მის ჩივილებს ცოტა ეჭვით უცქერის და პოლკოვნიკის ზურგს უკან თვალსაც ჩამიკრავს ხოლმე. მე მგონი, ბერიკაცმაც აღარ იცის, როგორ მოიგოს მისი გული: თვალისმომჭრელად ყვითელ ჟილეტზე ბოლო ღილი მუდამ შეხსნილი აქვს, მისი სამკუთხა ბოლოები მომცრო ღაპზე გადახსნია და რომელიღაც უცნაურად შებუმბლული მამალი ჩიტივით – ფარშევანგივით თუ ხოხობივით დაძაბულ-გაფაციცებული, შორიახლოს დააბიჯებს, გაფხორილი, მზერაგამახვილებული... ვითომ ზედაც არ უყურებს, როგორ მშვიდად დაეძებს მინაში ჭიაყელებს მისი შეუხედავი დედალი. მის ვავასური ცოტა გაღიზიანებული და თან დარცხვენილიც ირიდებს ამ მოუხეშავად გაუბედავ არშიყობას. ასე მგონია, კაცის ნაწყენი მზერა იმის ნიშანი უნდა იყოს, ადრე ქალმა იმედის რაღაც საფუძველი რომ გაუჩინა, მაგრამ მაშინვე გამოაცალა, როგორც კი მე გამოვჩნდი ამ უნებლიე სისუსტის

სავარაუდო მოწმედ. ამიტომაც ახლა ჩვენი დიასახლისი საკუთარ თავზეც ბრაზობს და ძალიან უნდა, მეც დამარწმუნოს: თითქოს ის, რაც წახალისებად მიიჩნიეს ზოგიერთებმა, სინამდვილეში მხოლოდ მასპინძლის თავაზიანობის გამოხატულება იყო და სხვა არაფერი.

ზოგჯერ თავადაც არ ვიცი ხოლმე, დრო როგორ მოვკლა. ერთხელაც გადავწყვიტე, პოლკოვნიკის რიგითი დღის განრიგი შემედგინა: სისხამ დილით დგება, ცოტა ძილი ჰყოფნის; ისეთი სახით გვენახება ხოლმე, თითქოს ყველა გადატანილი ბრძოლის ქარცეცხლი ხელახლა დაბრუნებოდეს ღამეულ ზმანებებში, რაც დაბანგულსაც კი არ მოახუჭინებდა თვალს. თუმცა მე მაინც მგონია, მტანჯველი მოგონებების საზრდოს შორეულ კოლონიებში კი არა, სადღაც უფრო ახლოს, ვთქვათ, საუთარმაგის შემოგარენთა ოკრობოკრო სოფლურ გზებზე უნდა კრეფდეს. როგორც წესი, მარტო საუზმობს ხოლმე, პატარა მაგიდასთან, სამზარეულოს მინაშენში – მე ეს მინაშენი საერთოდ არც მახსოვდა – და ამტკიცებს, *სიმარტოვე დღის ამ უმნიშვნელოვანესი ტრაპეზის საუკეთესო წინაპირობაა...* მის ვავასურიც არ აპირებს ზედმეტად მის შეწუხებას და დამცინავი მდუმარებით მიართმევს ხოლმე ლორს, ერბოკვერცხსა და პუდინგს. პოლკოვნიკს საკმაზის საკუთარი მარაგიც აქვს უიარლიყო, პანია, მოყავისფრო, მოწითალო თუ მუქ მწვანე ბოთლებში და მათ შიგთავსს საჭმელს ალქიმიკოსის სიზუსტით მოაფრქვევს ხოლმე. თავისივე ხელით იმზადებს რაღაც ხაკისფერ საწებელს – ყოველ შემთხვევაში, თავად ასე უწოდებს შავი წიწაკით გაჯერებულ ამ მღვრიე მასას, რომელშიც, ღმერთმა უწყის, რას არ ტენის და სუნი კი ნაღდად რომ ძალლის ფსიტისა უდის! ძალიან შველის იმ ამბავსო, იმეორებს ხშირად. კარგა ხანი დამჭირდა, სანამ მივხვდებოდი, რომ მის

ვავასურის თანდასწრებითაც არა ერთხელ ნახსენები „ის ამ-ბავი" კუჭის მოქმედება იყო და არა რამე სხვა... საერთოდ, ძალიან აფიქრებს ეს საკითხი.

საუზმეს დილის გასეირნება მოსდევს და მარშრუტიც ნებისმიერ ამინდში ერთი და იგივეა: სადგურის გზა, კლდოვანი ბილიკი, სანაპირო კაფე, მერე კი უკან დაბრუნება გრძელი გზით, შუქურის მიმდებარე კოტეჯებისა და იმ დიდი მაღაზიის შემოვლით, სადაც გაზეთებსა და პირშუშხა საწუწნ კანფეტებს ყიდულობს ხოლმე. მაგათ მთელი დღე აცოდვილებს პირში და გარშემო იმისთანა სურნელი დგება, ვერაფრით რომ ველარ გამოდევნი სახლიდან. მხნე ნაბიჯით დაიარება, დარწმუნებული ვარ, თავის სამხედრო ნამსახურეობას უსვამს ხაზს, თუმცა პირველივე დილას, როცა ზურგიდან შევხედე სადღაც მიმავალს, შევკრთი კიდეც – ზუსტად ისე უშნოდ მიათრევდა მარცხენა ფეხს, როგორც ჩემმა დიდი ხნის წინ გადაკარგულმა მამამ იცოდა. ჩემი აქ დაბინავების პირველი ერთი-ორი კვირა, ამ სეირნობების მერე, კვლავ ჯიუტად მოჰქონდა მის ვავასურისთვის რამე მოსაკითხი: არა, არაფერი ისეთი, დათაფლულ-დაშაქრული – მოწითალო ფოთლებიანი ტოტი ან მწვანე რტო, მოკლედ, რაღაც ისეთი, რაც, უბრალოდ, ბუნების სიყვარულადაც შეიძლებოდა აღქმულიყო. მერე ამას უსიტყვოდ დააბინავებდა ხოლმე შემოსასვლელში, პატარა მაგიდაზე, სადაც დიასახლისის მებაღის ხელთათმანები და გასაღებების აცმა ეყარა. ახლა უკვე ხელცარიელი ბრუნდება, თუ, რა თქმა უნდა, გაზეთსა და საწუწნ კანფეტებს არ ჩავთვლით. ჩემი ბრალია. ჩემმა ჩამოსვლამ დააკარგვინა არშიყობის ხალისი.

დილის დარჩენილი ნაწილი გაზეთების კითხვაში გაჰყავს, პირველიდან ბოლო ფურცლამდე არაფერს ტოვებს წაუკითხავს. ცოდნას იღრმავებს. მისაღებ ოთახში, ბუხართან მოი-

კალათებს ხოლმე, სადაც ყოყმანით, სვენებ-წვალებით წიკწიკებს ბუხრის თაროზე შემოდგმული საათი: ხან ნახევარ საათში ერთხელ ახმიანდება, ხან – ყოველ თხუთმეტ წუთში, თითქოს ბორძიკ-ბორძიკით მიიკვლევენ ისრები გზასო; აი, საათის შესრულებისას დარეკვა კი ნურას უკაცრავად – ამ დროს, ეტყობა, ჯინაზე, ჯიუტად დუმს. პოლკოვნიკს საკუთარი სავარძელიც აქვს, შუშის საკუთარი საფერფლეც ჩიბუხისათვის, სადგამიც გაზეთებისათვის, პატარა სკამიც ფეხების შემოსაწყობად და საყვარელი პლედიც. ნეტავ თუ ამჩნევს მაინც მინაშენის ფანჯრიდან დაუპატიჟებლად შემოჭრილ მზის სპილენძისფერ სხივს, გამომხმარ ყვავილებს ბუხრის თაროზე, ან თვით ამ ძველებურ ბუხარს, რომელშიც ჯერ კიდევ ადრეა საზამთროდ ცეცხლის დანთება? ნეტავ თუ ამჩნევს, რომ ის სამყარო, რომლის შესახებაც გაზეთებში წერენ, უკვე აღარაა იგივე, რასაც თვითონ ოდესღაც იცნობდა? არ გამოვრიცხავ, ახლა მთელი მისი ძალისხმევა – ჩემი არ იყოს – სწორედ იმისკენაა მიმართული, რომ არც შეამჩნიოს. ერთხელ თვალი მოვკარი, როგორ ჩქარ-ჩქარა იწერდა პირჯვარს, როცა სანაპიროს გზაზე აღმართული ქვის ეკლესიის სამრეკლოდან მწუხრის ზარის ხმა მოისმა.

დღისით მე და პოლკოვნიკმა თავად უნდა მივხედოთ თავს, რადგან მის ვავასური თორმეტიდან სამამდე მუდამ საკუთარ ოთახში იკეტება ხოლმე. არ ვიცი, იძინებს, კითხულობს თუ სულაც მემუარებს წერს. ისე, არაფერი გამიკვირდება. პოლკოვნიკი კი დიდი წუნია ვინმეა – დაჯდება სამზარეულოში, მაგიდასთან, მოკლესახელოებიან პერანგსა და ძველთაძველ უსახელო პულოვერში გამოწყობილი და საკუთარი ხელით, ჰაიჰარად დამზადებულ სენდვიჩებს შეექცევა: ყველს ან ცივ ხორცს პურის ორ ვეება ნაჭერს შორის მოაქცევს, ზედ თავის საწებელს

ანდა ცხარ-ცხარე კეჩუპს მოასხამს და მადიანად ილუკმება. ზოგჯერ ყველს და ხორცს ერთად მიირთმევს, როცა განსაკუთრებულ მადაზეა ხოლმე. თან ცდილობს, საუბარი გამიბას: ისე აზუსტებს სალაპარაკოს, როგორც საველე მეთაური – სისუსტეებს მოწინააღმდეგის დაცვით ნაგებობებში. ძირითადად, მაინც ნეიტრალურ თემებს ირჩევს ხოლმე: ამინდი, სპორტის ამბები, დოლის შედეგები... თუმცა კი იფიცება, ცხოვრებაში არ დამიდია ფსონიო. მთელი ამ მიკიბმოკიბვის მიუხედავად, მისი მიზანი აშკარაა: იმასაც ისევე აშინებს ნაშუადღევის უშინაარსო საათები, როგორც მე – ჩემი მართლა უძილო ღამეები. ვერა და ვერ მიმხვდარა, ბოლო-ბოლო, სინამდვილეში ვინა ვარ, აქ რა მინდა, როცა, მისი აზრით, თამამად შემიძლია ნებისმიერ სხვა ადგილას ვიცხოვრო. ვისაც თბილ სამხრეთში დაბინავების ფუფუნება აქვს – ასე ამბობს, მზე კაცის ყველა სატკივრის უებარი მკურნალიაო – „კედრებში" რატომ უნდა იტანჯავდეს თავს? ძველ დროზე, გრეისებსა და სხვა დანარჩენზე სიტყვაც არ დამცდენია მასთან, ან რა ახსნად გამოდგებოდა მისთვის? მერე ვდგები – სამუშაო მაქვს-მეთქი, ვამბობ და ისიც უიმედო, სასონარკვეთილი მზერით მაცილებს. ჩემნაირი უყმურიც კი ურჩევნია ოთახში ეულად რადიოს მოსმენას.

როცა ერთხელ, შემთხვევით, ჩემი ქალიშვილი ვახსენე, ამან მისი დიდი გამოცოცხლება გამოიწვია: როგორც ამბობს, თავადაც ჰყავს გათხოვილი ქალიშვილი და ორი შვილიშვილიც. თურმე ჰპირდებიან, რომ დღე-დღეზე მოინახულებენ. სიძე ინჟინერი კაცი ყოფილა, გოგონები კი ერთი შვიდისაა, მეორე კიდევ – სამის. გული მიგრძნობს, ფოტოებს ვერ გადავურჩები. შარვლის უკანა ჯიბიდან საფულეს აძრობს და ამაყად მიჩვენებს უხეში, უკმაყოფილოსახიანი ახალგაზრდა ქალის სურათს, სულაც რომ არ ჩამოჰგავს მამამისს და საგა-

რეო კაბაში გამოწყობილ პატარა გოგოს, რომელიც, სამწუხაროდ, პაპამისის ალი-კვალია. ზღვის ნაპირას მდგომ, გაღიმებულ სიძეს ხელში ჩვილი უჭირავს – ჩემთვის მოულოდნელად, საკმაოდ სანდომიანი შესახედია, მხარბეჭიანი, სამხრეთული ტიპის ჯეელი, თმაგაპოხილი და მზერამიბნედილი. ნეტავ როგორ მოჩანგლა ამ შეუხედავმა მის ბლანდენმა? რას გაიგებ. უცებ ვხვდები, ამათი ცქერა აღარ შემიძლია – პოლკოვნიკის ქალიშვილის, იმისი ქმრისა თუ ამ ბავშვების. უსიტყვოდ ვიქნევ თავს და საჩქაროდ ვუბრუნებ სურათებს. „ბოდიში, ბოდიში..." – ბუტბუტებს პოლკოვნიკი და დარცხვენილი, მუშტში ახველებს. ასე ჰგონია, ოჯახზე საუბარი ჩემთვის ჭრილობაზე დაყრილი მარილია, თუმცა სინამდვილეში ეგ არაა მიზეზი – უფრო სწორად, მხოლოდ ეგ არა. ბოლო დროს სამყარო მხოლოდ პატარ-პატარა, ფრთხილად მოზომილ ულუფებად შემიძლია აღვიქვა. ასეთი ჰომეოპათიური კურსი დავუნიშნე საკუთარ თავს, თუმცა კი არც ვიცი, რის სამკურნალოდ. შეიძლება ცოცხლებს შორის ცხოვრების ხელახლა შესწავლას ვცდილობ. ანუ ამაში ვვარჯიშობ. მაგრამ არა, არც ესაა საქმე. აქ ყოფნა მხოლოდ არსადყოფნის საშუალებაა, ეგაა და ეგ.

ჩვენზე ყოველმხრივ მზრუნველი მის ვავასური ჭირვეული ან სულაც უხეში ხდება, როცა საქმე ჭამა-სმას შეეხება და ვახშამიც განსაკუთრებით უვარგისი შეიძლება გამოდგეს ხოლმე „კედრებში": რაგინდარა შეიძლება დაგვხვდეს მაგიდაზე და გვხვდება კიდეც. ასე, მაგალითად, ამ საღამოს საუზმიდან მორჩენილი ქაშაყი, ერბო-კვერცხი და ჩაშუშული კომბოსტო შემოგვთავაზა. აფრუტუნებული პოლკოვნიკი ხაზგასმულად გამომწვევად ატრიალებდა თითებში თავის პატარა ბოთლებს, გამოჯეკილი ჟონგლიორივით. ამ უსიტყვო პროტესტს მის ვავასური ჭეშმარიტად არისტოკრატული გონე-

ბადაფანტულობით პასუხობს ხოლმე, რაშიც ამრეზილობის დიდი წილიც ივარაუდება. ქაშაყს დაკონსერვებული მსხალი მოჰყვა, რუხ, ბლანტ, უგემურ ფაფაში – თუ ბავშვობის მოგონებები არ მღალატობს, მანანის ფაფა უნდა ყოფილიყო. წარმოიდგინეთ ერთი, მანანის ფაფა! სანამ ირგვლივ გამეფებულ დუმილს მხოლოდ ამ სისაძაგლის ღეჭვა-ყლაპვის ხმა არღვევდა, თვალწინ უცებ საკუთარი თავი დამიდგა რაღაც დიდი, შავი, მაგიდასთან მოკალათებული მაიმუნივით, თუმცა რაღაც კი არა, არაფერი – სიცარიელე, ხვრელი სივრცეში, ხილული სიბნელე. უცნაური ჩვენება იყო, იქაურობას თითქოს საკუთარი სხეულიდან გასული ვხედავდი – ორი სანათურით განათებულ სასადილო ოთახს, უშნო, ფეხებმორყეულ მაგიდას, თეფშისკენ ნახრილ, ჭამით გართულ პოლკოვნიკისაკენ მიმართულ მის ვავასურის დაბნეულ მზერასა და საკუთარ თავს – დიდ, მუქ, ბუნდოვან ჩრდილს – ზუსტად ისეთს, ვერავინ რომ ვერ ხედავს ხოლმე, სანამ ფოტოს არ გაამჟღავნებენ. ასე მგონია, საკუთარი თავის აჩრდილად ვიქეცი.

ვახშმის შემდეგ მის ვავასური მაგიდას ალაგებს – ამას სულ რამდენიმე მსუბუქი, ძალდაუტანებელი მოძრაობით ახერხებს. ღმერთმანი, მეტისმეტად აზიზი ქალია ამგვარი შავი საქმისთვის. მე და პოლკოვნიკი კი უმიზეზო მოწყენილობით ვაყურადებთ საკუთარ შიგნეულს, გამალებული რომ ცდილობს, ეს-ესაა, მიყენებული შეურაცხყოფა როგორმე მოინელოს. მერე დიასახლისი დარბაისლურად მიგვიძღვება ტელევიზორიანი ოთახისაკენ. უჟმური, ცუდად განათებული სათავსოა, სადაც მუდმივად ნესტიანი სიცივე სუფევს. ავეჯსაც სარდაფში ნამყოფის იერი დაკრავს, თითქოს წლების მანძილზე ეზიდებოდნენ ზედა სართულებიდანო. ჩითის შალითაგადაკრულ დივანს თითქოს გაოცებისაგან გადაუშლია გვერდები

და ბებერივით მომჩვარულა. იქვე დგას პლედგადაფარებული სავარძელი და მომცრო, სამფეხა მაგიდა, ზედ დამტვერილი ქოთნითა და შემჭკნარი ყვავილით. თუ არ ვცდები, ფიკუსი უნდა იყოს, რაც აღარც მახსოვს, ბოლოს როდის ვნახე, თუკი საერთოდ მინახავს. მის ვავასურის პიანინო ზურგით კედელს აჰკვრია, თავდახურული, გასაღებით ჩაკეტილი; თითქოს ტუჩები მოუკუმავს თავის მეტოქეზე განაწყენებულს – დიდ, რუხი ფერის ტელევიზორზე, რომლის მიმართაც პატრონს ერთდროულად სიამაყისა და ერთგვარი კრძალვის გრძნობაც ეტყობა. სწორედ მის ეკრანზე შევცქერით ხოლმე რაღაც კომედიებს. უპირატესობას უფრო ზომიერებს ვანიჭებთ – ოცი, ოცდაათი წლის წინანდელებს. ჩუმად ვსხედვართ, ჩვენ მაგივრად კი სტუდიაში საგანგებოდ მიწვეული აუდიტორია იცინის. ფერადოვანი შუქი სახეებზე დაგვთამაშებს, ჩვენ კი ბავშვური გაფაციცებით მივჩერებივართ ეკრანს. ამ საღამოს აფრიკაზე აჩვენეს რაღაც გადაცემა – მგონი, სერენგეტის დაბლობზე, სადაც ვეება სპილოების ჯოგები დაბორიალებენ. დიდი საოცარი ცხოველი კია. უშუალოდ გვაკავშირებს იმ უხსოვარ დროს, როცა სპილოზე დიდი ბეჰემოთები ღრიალ-ღრიალით დააბოტებდნენ ტაფობებსა თუ ტყეებში. გარეგნულად მოწყენილები ჩანან, თუმცა შეფარულად, ალბათ, დაგვცინიან კიდეც. დაწალიკებულნი მიაბიჯებენ, დინჯად. უკან მიმავალს ხორთუმი წინა თანამოძმის გოჭის კუდივით დახვეულ, სასაცილო კუდზე მოუვლია, უფროსებზე უფრო თმიანი სპლიყვები კი დედების ლაჯებშორის ცქმუტავენ. თუკი ვინმეს აზრად მოუვიდოდა, ხმელეთზე მცხოვრებ ჩვენს თანამოძმეებს შორის ჩვენგან ყველაზე განსხვავებული გამოეძებნა, უთუოდ ვურჩევდი, სპილოებისთვის მიეპყრო ყურადღება. არა, მაინც როგორ დავრთეთ ნება, ამდენ ხანს არ გადაშენებულიყვნენ?

მათი სევდიანი, პაწია, ჭკვიანი თვალები თითქოს პირდაპირ უბიძგებენ კაცს, თოფს დაავლოს ხელი. კი, ასეა. მოგინდება, მსხვილი ჟაკანი დააჭედო შიგ. ანდა ვეება, უაზროდ პარტყუნა ყურები დაუცხრილო. ეგრეა, ეგრე – ყველა ცოცხალი არსება უნდა გაანადგურო, ხეებიც მოჭრა, სიცოცხლის ხე... იქამდე, სანამ კუნძად არ აქცევ, მერე იმასაც ისე, ალერსიანად მიადგე ამოსაძირკვად... მოკლედ, ბოლო უნდა მოუღო ყველაფერს.

არა, მაინც როგორ გაბედე ჩემი ასე მარტოდმარტო მიტოვება, შე ბოზო შენა! ახლა საკუთარ სიბინძურეში ვფართხალებ და კაცი არაა, საკუთარი თავისაგან მიხსნას... სინდისი სად გქონდა?

ტელევიზორიან ოთახს რაც შეეხება, ახლაღა მივხვდი: არ ვიცი, ადრე რატომ არ მეცა თვალში ასეთი აშკარა მსგავსება – ამ ოთახისაც და მთელი სახლისაც, რამაც, ალბათ, ამარჩევინა კიდეც თავშესაფრად აქაურობა – იმ ბინასთან, მე და დედაჩემი რომ ვქირაობდით – იძულებულნი ვიყავით, გვექირავა – ჩემი მოწაფეობისას. მამამ რომ მიგვატოვა, დედას სამსახურის ძებნა მოუწია: თავი უნდა გაგვეტანა როგორმე და თან ჩემი სწავლა-განათლების ფულიც უნდა ეხადა – ავად თუ კარგად, ხომ ვსწავლობდი. ამიტომაც გადავბარგდით დიდ ქალაქში, ეგონა, იქ უფრო დიდი არჩევანი მექნებაო. არადა, დიდი ცოდნა-განათლებით ვერ დაიკვეხნიდა: სკოლა ადრე მიატოვა და ცოტა ხანს მაღაზიაში, გამყიდველად მუშაობის მერე მამაჩემი გაიცნო, მალევე გაჰყვა ცოლად – მისიანების ნების საწინააღმდეგოდ. რატომღაც, დარწმუნებული იყო, გადასარევი სამსახური მელოდებაო, სანატრელზე-სანატრელი, ზუსტად ისეთი, მე რომ შემეფერებაო. ოღონდ მას ვერაფრით მიაგნო და ერთი ადგილიდან მეორეზე გადავდიოდით, ერთი ნაქირავები ბინიდან მეორეში, და ასე მგონია, ყოველ ახალ

ადგილას, რატომღაც, მაინცადამაინც ზამთრის ჟინჟღლიან კვირა საღამოს ჩავდიოდით ხოლმე. ის ნაქირავები ბინებიც ყველა ერთმანეთს ჰგავდა, ან იქნებ მე დამამახსოვრდა ასე: ყველგან სახელურმოტეხილი სავარძელი დგას, იატაკზე დაჭორფლილი ლინოლეუმი აგია, სადღაც კუთხეში გაზის ქურა დაყუდებულა, ჩვენამდე აქ მცხოვრები ხალხის ნახარშ-ნაწვავის სუნშერჩენილი; საპირფარეშო დერეფნის ბოლოსაა: ხის ხინვიანი დასაჯდომი, გრძლად, უანგისფრად დალაქავებული უნიტაზი, სახელურმომწყდარი ჯაჭვი... დერეფანში ისეთივე სუნი იდგა, როგორიც ჩემსავე შეტყუპებულ ხელისგულებში, როცა ჯერი-ჯერზე ვასუნთქებდი ხოლმე შიგ იმის გასაგებად, ასე თავის დახრჩობა თუა შესაძლებელი-მეთქი. ჩვენი პატარა, სასადილო მაგიდის ზედაპირი მუდმივად გაწებილი იყო, რამდენიც არ უნდა ეფხიკა და ეხეხა დედაჩემს. ჩაის სმას რომ მოვითავებდით, ჭურჭელს აალაგებდა, სუსტად მოციმციმე ნათურის ქვეშ, მაგიდაზე „ივნინგ მეილს" გაშლიდა და თმის სარჭს აყოლებდა განცხადებებს სამუშაო ადგილების თაობაზე, თან გაბრაზებული ბუტბუტებდა რაღაც გაუგებრობას: *შესაბამისი გამოცდილება აუცილებელია... სასურველია რეკომენდაცია... საჭიროა უნივერსიტეტის დიპლომი...* „ჯანდაბა!" – წამოიძახებდა ბოლოს და მერე, გულის გადასაყოლებლად, ბანქოს გაქექილ დასტას ამოიღებდა. ორ თანაბარ ნაწილად გაყოფილი ასანთის ღერები, სიგარეტის ნამწვავებით სავსე თუნუქის საფერფლე, კაკაო ჩემთვის და ალუბლის შემთბარი ნაყენი თავისთვის. ხან „ქურდ ქალს" ვთამაშობდით, ხან „ფურთს", ხან კიდე „გულობანას". ამასაც მოვათავებდით და მერე დივანზე გაშლილი ლოგინი, ზეწრის მომჟავო სუნი, როგორღაც გაბმული ნაჭერი ოთახის გასატიხრად... ვიწექი და უილაჯო ბრაზით ვუსმენდი მის ოხვრას, ხვნეშას, სტვე-

ნა-სტვენით გამოქარვებულ ჰაერს. ასე მგონია, ყოველ ღამე მისი შეკავებული ქვითინი მაღვიძებდა – პირზე ხელი მიეჭირა, ბალიშში ჩაერგო თავი. მამას იშვიათად ვახსენებდით, თუ, რა თქმა უნდა, ფულის გადმორიცხვა არ იგვიანებდა. იმის სახელს არც ახსენებდა – ხან *ვაუბატონს* ეძახდა, ხან – *ბედოვლათს*, ხანაც კიდევ – თუ ძალიან მოაწვებოდა ბოღმა ან ალუბლის ნაყენი მოუვიდოდა მეტი – *ბებერ კუანას*. აჩემებული ჰქონდა, ის იქ, სადღაც, ქერის ორმოში ზის და ჩვენთვის მისხლის გამეტებაც არ უნდაო. კონვერტებში, რომლებშიც საბანკო ქვითარი იდო ხოლმე, წერილი არასოდეს ყოფილა, მხოლოდ ღია ბარათი მხვდებოდა შობასა თუ ჩემს დაბადების დღეზე, მამის საამაყო ხელწერით გამოყვანილი რამდენიმე სიტყვა. მათზე დაწერილმა მისამართებმა, მერეც კი, როცა ის ადგილები მამაჩემისვე ოფლით გაყვანილი გზების წყალობით მოვიარე, საოცარი განცდები გამიჩინა: ერთდროულად აბეზარი სევდა, სიბრაზე თუ სიბრაზის გამოძახილი და დანანების უჩვეულო ტკივილი – იმგვარი დანანების, რაც, წესით, არანაირად არ უნდა განმეცადა. *უოთფორდი, ქოვენთრი, სტოკი.* ცხადია, მამისთვისაც კარგად იყო ნაცნობი აშმორებული ოთახები, ლინოლეუმიანი იატაკები, მონჯღრეული გაზქურები, ათასგვარი სუნი დერეფანში. მერე უკანასკნელი წერილიც მოვიდა – ვილაც უცნობი ქალისაგან. მორინ სთრეინჯი ერქვა. გვწერდა, ძალიან ცუდი ამბავი უნდა შეგატყობინოთო. დედაჩემის ცხარე ცრემლის მიზეზი, მწუხარებასთან ერთად, ბრაზიც იყო: „ეს *მორინი* ვინღა ოხერია?!" – ქვითინებდა და ცისფერარშიიანი ფურცელი უთრთოდა ხელში. „ჯანდაბას იმისი თავი! – ახლა უკვე მამას გულისხმობდა, – ეგ ნაბიჭვარი ვირიშვილი!" წამით თვალწინ დამიდგა: აქ, აგარაკზე, ზაფხულში, ნავთის სანათის ბლანტ, ყვითელ შუქში დგას და

უცნაურად, დამცინავად მომჩერებია, თითქოს მიღიმის კიდეც; შუბლზე შუქის ათინათი უბრწყინავს, მის ზურგს უკან კი, გამოღებულ კარში, ზაფხულის იისფრად ჩაბნელებული, უსაზღვრო ღამე მოჩანს...

ბოლოს, როცა ყველა ტელეარხზე აუტანლად პირქუში ღამის გადაცემები იწყება, ტელევიზორს უყოყმანოდ თიშავენ და პოლკოვნიკიც მის ვავასურის დამზადებულ ბალახეულ ჩაის სვამს. გამომიტყდა, ამ სისაძაგლის დალევა აუტანელიაო, მაგრამ უარის თქმას ვერ ბედავს და მეც გამაფრთხილა, არ გამთქვაო. მის ვავასურს კი დაუჩემებია, უკეთესად დაგეძინებათო და სანამ ჭიქას არ გამოცლის, თავზე ადგას. პოლკოვნიკმა კი იცის, უძილობის რა წამალიცაა ეს ნაყენი, და მაინც ემორჩილება, საწყალი სახით წრუპავს სასმელს. ერთ საღამოს როგორღაც დავითანხმე, სანაპიროზე, ბარში წავსულიყავით. მერე კი მაგრად ვინანე. აშკარად ვაღიზიანებდი – არც მიკვირს, აკი მევე მაღიზიანებს საკუთარი თავი – ის კიდევ იჯდა იქ, ხელში ხან ჩიბუხს აწვალებდა, ხან – ლუდის კათხას და მალი-მალ საათზე იხედებოდა, შეფარვით. იქაურობის ერთი-ორი მუდმივი სტუმარი ალმაცერად გამოგვხედავდა ხოლმე და ჩვენც მალევე გამოვბრუნდით. ოქტომბრის უსაზღვრო, ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა დაგვყურებდა, როცა ღრუბლებში შემალული მთვარით განათებულ გზას უხმოდ მივუყვებოდით „კედრებისკენ". ღამღამობით ვცდილობ, იმდენი დავლიო, როგორმე დამეძინოს. ოთახში ერთი ბოთლი „ნაპოლეონი" ყოველთვის მაქვს და ხუთ-ექვს სირჩასაც გამოვუყვან ხოლმე წირვას. შეიძლებოდა პოლკოვნიკისთვისაც შემეთავაზებინა, მაგრამ ვატყობ, არ ღირს – ამა ცხოვრებასა თუ სხვა ფილოსოფიურ საკითხებზე მასთან ღამეული საუბრები დიდად არ მხიბლავს. ღამე გრძელია, მოთმინება – მოკლე.

ჩემი ლოთობის თაობაზე თუ ვთქვი უკვე რამე? თევზივით ვსვამ. არა, თევზივით არა – თევზები არ სვამენ. ეგ სუნთქვაა მაგათი. მე კი ახლახან დაქვრივებულივით ვსვამ – იმ ქვრივი კაცივით, ვისაც მოკრძალებული ნიჭი დაჰყვა და კიდევ უფრო მოკრძალებული პატივმოყვარეობა; ვინც ნლებს ერთიანად გაუჭაღარავებია და დაბნეულ-დაეჭვებული, თანაგრძნობას დანატრებული, ხანმოკლე შვებას მემთვრალეობის თავდავიწყებაში პოულობს. ნარკოტიკებსაც მივიღებდი, რომ მქონდეს. ოღონდ არა მაქვს და არც ვიცი, სად და როგორ ვიშოვო. არა მგონია, ბენილესში ვინმე ნარკოტიკით მოვაჭრე დაიარებოდეს. ეგებ პეკერ დეევერო დამხმარებოდა? ისე, ეს პეკერიც დიდი საშიში ვინმეა – ცარიელი მხრები და დაკუნთული გულმკერდია. დიდი, უხეში, ნაავდრალი სახე აქვს და გორილასავით მკლავები. სახეც ერთიანად დაბებკია, ნაყვავილარივით. მეზღვაური ყოფილა ერთ დროს, შორეული ქვეყნებიც მოუვლია და იმასაც ამბობენ, კაცი ჰყავს მოკლულიო. ერთი აკრი ბაღი აქვს და იქ ცხოვრობს, ბორბლებდახსნილ ფურგონში, თავის კაფანდარა, გალეულ ცოლთან ერთად. ვაშლს ყიდის და ჩუმ-ჩუმად არაყსაც ხდის – რაღაც ბლანტ, მომწვანო სითხეს, შაბათ საღამოობით ერთიანად რომ აშტერებს აქაურ ჯეელობას. ახლა რატომ გამახსენდა ეს კაცი? ვინაა ჩემთვის პეკერ დეევერო? არც არავინ. ისე, ამ მხარეში იმის გვარს *დეევროდ* გამოთქვამენ. ახლა გვარზეც გადავედი... მოკლედ, სად არ ნაგიყვანს მოუთოკავი ფიქრი.

დღევანდელი დღე, მე ვიტყოდი, მის ვავასურის მეგობრის, ქალბატონ ფისოს სტუმრობამ გაგვილამაზა. საკვირაო სადილზე გვეწვია. სასტუმრო ოთახში დამხვდა, სარწეველა სავარძელში ძლივს ეტეოდა და ცოტა არ იყოს, ქოშინებდა კიდეც. რამე რომ იყოს, ზომა-წონაში ტონგას ქვეყნის

ან განსვენებულ დედოფალსაც არ დაუდებდა ტოლს. მართლაც დიდად თვალში საცემი ბანოვანი გახლავთ, გაურკვეველი ასაკისა. ტვიდის მორუხო, ქამრიანი კაბა ეცვა და ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ, თითქოს მკერდი და თეძოები საგანგებოდ ჰაერით დაუტუმბავთ გასკდომამდეო. მოკლე, ბოძებივით ფეხები კი ორ სქელ, გატიკნილ ტომარას მიუგავდა. მხოლოდ თხელი, ნატიფი ნაკვთების მქონე სახე თუ მიგახვედრებდათ, როგორი იქნებოდა კარგა ხნის წინ გარდასულ გოგოობაში. ფერფლისფერ-ვერცხლისფერი თმა ძველმოდურად დაევარცხნა, შუაზე გაეყო და კეფაზე დაეხვია ბღუჯად. გამიღიმა, თავი დამიქნია, პუდრით შეფიფქული ღაბაბი აუთამაშდა. ჯერ არც ვიცოდი, ვინ იყო – ვიფიქრე, ახალი მდგმური თუ ჩაგვისახლდა-მეთქი: წლის ბოლოსკენ მის ვავასურს ლამის ათიოდე თავისუფალი ოთახი დაურჩა გასაქირავებელი. როცა მძიმე-მძიმედ წამოდგა, ნატანჯ სავარძელს შვების ოხვრა აღმოხდა – არა, მართლა იშვიათად ფერხორციანი ქალბატონი გახლდათ, ნამდვილად. თავში გამიელვა, ახლა ქამრის ბალთამ რომ უმტყუნოს, უზადო სიმრგვალის ვეება ბურთი შეგვრჩება ხელში-მეთქი. ისე გამომხედა – ერთდროულად თანაგრძნობითა და ცნობისმოყვარეობით – მივხვდი, ჩემი ვინაობაც იცოდა და ჩემი იმჟამინდელი მდგომარეობაც. საკუთარი გვარიც გამანდო – რაღაც ჩახლართული, ორმაგი, იქვე მიმავიწყდა. ხელის მტევანი მოულოდნელად პატარა აღმოაჩნდა, რბილი და ბავშვის ხელივით მოთბო. მერე ოთახში პოლკოვნიკი ბლანდენიც შემოვიდა, იღლიაში საკვირაო გაზეთებამოჩრილი. ქალს შეხედა და კოპები შეკრა. როცა ასე იბღვირება ხოლმე, თვალების შეყვითლებული სკლერა უმუქდება, ოთხკუთხა ნიკაპიც წინ ეწევა და მართლა ფოქსტერიერს ემსგავსება.

ჩემი დანაკარგის მეტ-ნაკლებად მტანჯველ შედეგად ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ ბოლო დროს, სხვა ყველაფერთან ერთად, ძალიან მაღიზიანებს, ადამიანები ჩემ მიმართ ხაზგასმულ თანაგრძნობასა და ყურადღებას რომ გამოხატავენ, მე კი ეს ყველაფერი სრულიად დაუმსახურებელი მგონია. ანას სიკვდილის შემდეგ, ყველგან და ყოველთვის, საგანგებო ზრუნვისა და ლოლიაობის საგნად ვგრძნობდი თავს. როცა გაიგებდნენ ჩემს ამბავს, უცებ ჩუმდებოდნენ, გამომეტყველება ეცვლებოდათ, ნებისმიერ ოთახში თითქოს ჰაერიც კი იმუხტებოდა და ისღა მრჩებოდა, მეც გავბუსუნებულიყავი, სახე მომექუფრა და რაღაც ყალბი ნიღაბი მომერგო. ეს ჩემი საგანგებოდ გამორჩევა სასაფლაოდანვე დაიწყო, თუ უფრო ადრე არა. გენახათ ერთი, რა ნაზი მზერით მიცქერდნენ გათხრილ სამარესთან მდგომს! რა სათუთად, გრძნობით მკიდებდნენ მკლავზე ხელს – თითქოს მე მელოდა რაღაც საფრთხე, შეიძლებოდა უცებ გონება დამეკარგა და ღია საფლავში ჩავვარდნილიყავი. მგონი, ამ ქალურად გამოხატულ სითბო-თანაგრძნობაში გარკვეულ შორს მიმავალ გათვლასაც ვგრძნობდი – იქიდან გამომდინარე, როგორ მითათუნებდნენ ხელებს მხარზე, როგორ ჩამცქეროდნენ თვალებში უსიტყვო თანაგრძნობით, როგორ აქნევდნენ თავებს, გაქვავებულ სახეებზე კი ძველი დროის ტრაგიკოსი მსახიობების გამომეტყველება ედოთ, უკანასკნელ სცენაში, მომაკვდავ გმირს რომ იხუტებდნენ გულში. არ მტოვებდა განცდა, უნდა ავდგე, ხელი ავწიო და ეს ყველაფერი შევაჩერო-მეთქი. მინდოდა, ამ ხალხისთვის მეთქვა, რომ ამგვარ პატივს არ ვიმსახურებდი – სწორედ პატივს – რადგან მე უბრალო სტატისტი გახლდით, მოკრძალებული როლის შემსრულებელი, სიკვდილით კი ანა მოკვდა და არა მე. იმ სადილზეც ქალბატონი ფისო ჯიუტად ავლენდა

სითბოსა და ყურადღებას, მოთოკილ მოკრძალებას ჩემ მიმართ; მე კი, როგორ არ ვცდილობდი, მაინც ვერ ვახერხებდი, ისეთი ტონი შემერჩია პასუხად, რომელიც არც ყოყოჩობად ჩამეთვლებოდა და არც ზედმეტ სიმორცხვედ. მის ვავასურს აშკარად ეტყობოდა, როგორ აღიზიანებდა ეს დათაფლული ენის მოჩლექა; რამდენჯერმე სცადა კიდეც, უფრო ბუნებრივი, ჩვეულებრივი სახე მიეცა ჩვენი ტრაპეზისათვის, მაგრამ – წარუმატებლად. ვერც პოლკოვნიკი დაგვეხმარა რამეში, თუმცა ვერ დავუკარგავ – ცდილობდა კია. ქალბატონი ფისოს თანაგრძნობის ამ მორევში ხან ამინდის ავ-კარგზე ცდილობდა სიტყვის ჩაგდებას, ხან გაზეთში ამოკითხული ამბავი აგონდებოდა, მაგრამ ყოველ ჯერზე ლამის უხეშად აკმენდინებდნენ ხმას. მართლაც, აბა, ქალბატონ ფისოსთან რას მოვიდოდა ეს ჩვენი გადამდგარი მეომარი! მალიმალ ნაძალადევად ილიმებოდა და იმ კბილებდაკრეჭილ აფთარს ემსგავსებოდა, გავეშებული, ვეება ჰიპოპოტამის შემოტევისას დამფრთხალი რომ იხევს უკან.

ქალბატონი ფისო ქალაქში ცხოვრობს, საკუთარ ბინაში, მაღაზიის თავზე, ისეთ ვითარებაში – ეს კი დაუფარავად მაგრძნობინა – რაც სრულებით არ შეეფერება ძირძველ თავად-აზნაურთა ამგვარ რთულგვარიან შთამომავალს. გარდასულ დროთა ერთ გულიან შინაბერას მაგონებს, ვისთვისაც ზედგამოჭრილი იქნებოდა, ვთქვათ, საკუთარი ძმის, მავანი დაქვრივებული მემამულის მეურნეობას გასძღოლოდა. სანამ თავისებურად ჟღურტულებდა, წარმოვიდგინე, როგორ ზის ბამბაზიის კაბასა და ღილებიან ფეხსაცმელში გამოწყობილი, დიდი, სოფლური სახლის გრანიტის კიბეზე, მუხის მძიმე კარის წინ და ჯალაბობაც თვალგაფაციცებული შესცქერის აქეთ-იქიდან; ანდა მელიაზე სანადიროდ გამოსულს, მონადი-

რის წითელი, მოკლე ქულაჯა აცვია, თავზე პირბადიანი, ქვაბურა ქუდი ახურავს და ვეება, შავ ქურანა ცხენს მიაჭენებს; ან სულაც, უშველებელ სამზარეულოში ტრიალებს, სადაც გრძელი, დახუნძლული მაგიდა დგას, ქურა გიზგიზებს, ჭერზე კი ღორის შებოლილი ბარკლები კიდია და ერთგულ, ბებრუხანა მზარეულს ურჩევს, რომელი ნაჭრები მიართვას ბატონს ყოველწლიურ სააღდგომო ნადიმზე. ამ სალაღობო ფიქრებში გართულმა, ვერც კი შევამჩნიე, როგორ დაიძაბა ვითარება მასა და ჩვენს დიასახლისს შორის, სანამ უკვე მართლა ხმამაღალ შეხლა-შემოხლამდე არ მივიდა საქმე. წარმოდგენაც არ მქონდა, რით დაიწყო და რის გამო. ჩვეულებრივ, ნაკლებად თვალშისაცემი ორი მოწითალო ლაქა მის ვავასურის ღაწვებზე ახლა ალისფრად ენთო, ქალბატონი ფისო კი, თითქოს უფრო გაზრდილ-გაბერილი, ერთიანად თახთახებდა აღშფოთებისაგან, მოპირდაპირე მხარეს მჯდომ დობილს ავად უღიმოდა და ჩქარ-ჩქარა აუდ-ჩაუდიოდა გადავსებული მკერდი. ღვარძლიანი, ყალბი თავაზიანობით მიმართავდნენ ერთმანეთს, ისე კამათობდნენ, ისე აკვესებდნენ თვალებს, თითქოს ურთიერთის დაბუგვას ნატრობენო. *არ მესმის, რისი თქმა გნებავს მაგით?! მოიცა, და ახლა შენ მეუბნები მაგას?! არ მითხრა ახლა, სწორედ მასე იყოო!!! გეშლება, ნაღდად გეშლება, ჩემო კარგო! ვერ მოგართვი, არც მთლად მასეა საქმე!* პოლკოვნიკი სულ უფრო და უფრო იძაბებოდა; დაფეთებული, ხან ერთს მიაჩერდებოდა და ხან მეორეს – თითქოს ჩოგბურთს ადევნებს თვალსო, ჩვეულებრივი თამაშივით დაწყებულსა და სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში გადაზრდილს.

მეგონა, მის ვავასური იოლად გაუსწორდებოდა თავის მეტოქეს, მაგრამ ნურას უკაცრავად! ბოლომდე არ იყენებდა ყველა იარაღს, რაც კი, დარწმუნებული ვარ, ხელთ გააჩნდა:

აშკარად აკავებდა რაღაც – რაღაც ისეთი, რის თაობაზეც ქალბატონმა ფისომაც მშვენივრად უწყოდა და თავისთვის სასარგებლოდაც იყენებდა ამ გარემოებას. ერთი შეხედვით, ცხარედ მოკამათეებს საერთოდ დავიწყებოდათ ჩემი და პოლკოვნიკის არსებობა, მაგრამ მერე ნელ-ნელა გამინათდა გონება და მივხვდი – მთელი ეს ორომტრიალი, ნაწილობრივ მაინც, სწორედ ჩემ გამო იყო ატეხილი, ჩემზე შთაბეჭდილების მოსახდენად. ცდილობდნენ, თავისკენ გადავექაჩე – ან ერთს, ან მეორეს. ამას ქალბატონ ფისოს წვრილი, შავი, ხარბი თვალები მაფიქრებინებდა, მალ-მალე რომ მომანათებდა ხოლმე. აი, მის ვავასურს კი ერთხელაც არ გამოუხედავს ჩემკენ. თანდათან დავრწმუნდი, ეს ჩვენი სტუმარი გაცილებით ეშმაკი და გონებასხარტი იყო, ვიდრე ერთი შეხედვით იფიქრებდა კაცი. რატომღაც მგონია, სქელი და ზონზროხა ადამიანი უცილობლად ცოტა უნდა ნაიჩლუნგებდეს კიდეც. თუმცა ამ ფაშფაშა ქალბატონმა იმთავითვე ამომიცნო – ეჭვი არ მეპარება, მაშინვე მიხვდა, ვინ და რა ვიყავი სინამდვილეში, მთელი ჩემი შინა არსითა და გამოვლინებებით. კი, მაგრამ მაინც რა დაინახა ასეთი? ცხოვრებაში არასოდეს შევუწუხებივარ იმაზე ფიქრს, მდიდარი – ცხადია, მეტ-ნაკლებად – ცოლის კმაყოფაზე ვარ-მეთქი. დილეტანტად დაბადებულს, მხოლოდ ჯიბის ფულის ნაკლებობა თუ მაწუხებდა და ისიც – ანასთან შეხვედრამდე. სხვათა შორის, არც ანას ფულის წარმომავლობა მადარდებს, ზოგადად. თავიდან ჩარლი ვაისის იყო და ახლა ჩემია. არც ის, რა და რამდენი მანქანა-დანადგარის ყიდვა-გაყიდვა მოუწია ჩარლის, სანამ ამ ფულს მოუყრიდა თავს. ჩვენში დარჩეს და, რაა ეს ფული? თითქმის არაფერი, თუკი საკმარისად გაქვს... მეც რაღას მაფორიაქებს ქალბატონ ფისოს ეს შეფარული, აუტანლად ყოვლისმცოდნე მზერა?

კარგი, მაქს, გეყოფა! არ უარვყოფ, საკუთარი წარმომავლობისა ყოველთვის მრცხვენოდა. დღესაც კი ვინმე ფისოსნაირის ერთი ალმაცერი შემოხედვა ან შემწყნარებლური სიტყვა საკმარისია, წყენამ და მოურეველმა ბრაზმა ერთიანად დამრიოს ხელი. იმთავითვე იმას ვცდილობდი, როგორმე საკუთარი სოციალური მდგომარეობა გამეუმჯობესებინა და ქლოი გრეისისგანაც განა ის არ მინდოდა, რამენაირად მათი ოჯახის ტოლ-სწორად მეგრძნო თავი? თუნდაც მცირე ხნით, თუნდაც ოდნავ... ძნელი კია ოლიმპოს ამ ოკრობოკრო ბილიკებზე ცოცვა! ახლაც, სუფრასთან ქალბატონ ფისოს გვერდით მჯდომს, უცებ გამახსენდა, რა აუტანელმა ჟრუანტელმაც დამიარა მაშინ, როცა, ამ ნახევარი საუკუნის წინ, ერთ კვირა დღეს სწორედ ასევე ვუჯექი ამავე ჭერქვეშ სასადილოდ გაშლილ სუფრას. ნეტავ ვინ დამპატიჟა? დარწმუნებული ვარ, ქლოიმ არა. ალბათ დედამისმა – მაშინ ჯერ კიდევ მწვავდა იმის ტრფობა და ეტყობა, მოსწონდა კიდეც, ენაგადაყლაპული როგორ ვუჯექი სუფრას მასთან ერთად. შიში მკლავდა, სული მეპარებოდა. ისეთი რაღაცები იდო მაგიდაზე, ადრე არასოდეს მენახა და ჭურჭელიც უცნაური გამოეფინათ: წელწვრილი გრაფინები, ფაიფურის ჯამ-ჭურჭელი, ვერცხლის სადგამი დიდი დანისთვის, ასეთივე დიდი, ორკაპა, ძვლისტარიანი ჩანგალი... ყოველი ახალი კერძის შემოტანისას ჯერ სხვებს გავხედავდი, რომელ დანა-ჩანგალს იხმარდნენ და მერეღა ვბაძავდი იმათ მაგალითს. ვიღაცამ პიტნის სანებელი მომაწოდა. მთლად დავიბენი – არ ვიცოდი, რაში მეხმარა. პიტნის სოუსი! ეგეთი გაგიგიათ?! მაგიდის მეორე ბოლოში კარლო გრეისი იჯდა, გამალებული იღეჭებოდა და დროდადრო მხიარულ მზერას მომაპყრობდა ხოლმე. ჩვენი ნაქირავები, სოფლური სახლის ამბებსაც მეკითხებოდა. საჭ-

მელს რაზე ამზადებთო? პრიმუსზე-მეთქი, ვუთხარი. „ბიჭოს! – გამოცოცხლდა კიდეც – Primus inter pares!" ბევრიც იცინა ამაზე, მაილზიც აიყოლია, როუზსაც კი გადაურბინა ტუჩებზე ღიმილმა, თუმცა დარწმუნებული ვარ, მთქმელის გარდა, კაცს არ გაუგია ნათქვამის მარილი. ქლოი მოილუშა, ოღონდ იმათმა დაცინვამ კი არა, ჩემმა უმწეობამ გააბრაზა.

მსგავსი რამეებისადმი ჩემს წრეგადასულ მგრძნობიარობას ანა არასოდეს იზიარებდა – თავად ხომ, ასე ვთქვათ, უკლასო კლასის წარმომადგენელი გახლდათ. დედაჩემი გასაოცარ ადამიანად მიაჩნდა – კი, ცოტა გულჩათხრობილად, ცოტა უხიაგად, მაგრამ მაინც თავისებურად მიმზიდველად. დედაჩემი კი, თავისთავად ცხადია, ამ სითბოს სითბოთი არ პასუხობდა. სულ ორჯერ თუ სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ყოველ ჯერზე ერთი სული მქონდა, მალევე დავშლილიყავით. დედა ჩვენს ქორწილს არ დასწრებია – გამოგიტყდებით, არც დამიპატიჟია – და ქორწილის მერე მალევე გარდაიცვალა, დაახლოებით იმავე დროს, როცა ჩარლი ვაისი. თითქოს გაგვათავისუფლესო, – მითხრა მაშინ ანამ. თავად მე სულ სხვა აზრის გახლდით, თუმცა არ შევკამათებივარ. იმ დღეს უკვე საავადმყოფოში ინვა და არ ვიცი, რატომ დაიწყო მოულოდნელად დედაჩემზე ლაპარაკი. ეტყობა, შორეული წარსულიდანაც დაიძრნენ აჩრდილები სათავისოს მოსათხოვნად. ნაავდრალი დილა იდგა და ყველაფერი, რაც ჩვენი კუთხის პალატის ფანჯრიდან ჩანდა, ერთიანად აჯაგრულ-აჩეჩილიყო: გრიგალგადავლილ მდელოზე ნაადრევი ფოთოლცვენის ნაშთი ეფინა, ხეები კი ჯერაც ვერ გასწორებულიყვნენ წელში, ნაბახუსევი ლოთებივით. ანას ერთ მაჯაზე პლასტმასის სამაჯური ეკეთა, მეორეზე – რალაც პატარა, საათისნაირი მოწყობილობა, ღილაკიანი; როცა დააწვებოდი, მორფინის გა-

მოზომილ ულუფას უშვებდა მის უკვე მონამლულ სისხლში. როცა პირველად მივედით სტუმრად ჩემთან, შინ – *შინ:* ამ სიტყვაზე თითქოს ენა მტყდება – დედაჩემს გადაბმულად ორი სიტყვაც კი არ უთქვამს რძლისთვის. არხის შორიახლო ცხოვრობდა, ნახევრად ბნელ, დაბალჭერიან ბინაში, რომელიც სახლის პატრონის კატების სუნით ქოთდა. საჩუქრად უცხოური სიგარეტი და ერთი ბოთლი ალუბლის ნაყენი მივართვით. მადლობის ნიშნად ერთი ჩაიფრუტუნა და გვითხრა: იმედი მაქვს, აქ დაბინავებას არ ფიქრობთო. იქვე ახლოს, იაფიან სასტუმროში გავჩერდით, სადაც ონკანიდან ყავისფერი წყალი მოდიოდა და ანას ხელჩანთაც ვილაცამ აგვწაპნა იმავე დღეს. მერე დედა ზოოპარკში წავიყვანეთ. ბაბუინების ცქერისას ბევრი იცინა და ისეთი ხმით გვითხრა, ვილაცას მაგონებენო, მივხვდი, მე მგულისხმობდა. ერთ-ერთი მაიმუნი ჭუჭუს იწვალებდა და მხარს ზემოდან მიბნედილი თვალებით გასცქეროდა სივრცეს. „საძაგელი!" – ჩაილაპარაკა დედამ და ზურგი შეაქცია.

ჩაი იქვე დავლიეთ, კაფეში, სადაც ერთმანეთში ირეოდა სპილოების მოძახილი და ბრბოს ღრიანცელი. დედამ უცხო სიგარეტს გაუსინჯა გემო, მაგრამ ორი-სამი ნაფაზის მერე ხაზგასმულად უკმაყოფილო სახით ჩააქრო საფერფლეში – აქაოდა, დაზავების იმედი არ გქონდესო.

– სულ მაქსს რატომ გეძახის? – წაისისინა, როცა ანა დახლისკენ წავიდა მისთვის ფუნთუშის ასაღებად. – საიდან მოიტანა?

– ახლა ასე მქვია, – ვუთხარი. – არ წაგიკითხავს, რაც გამოგიგზავნე? ჩემი დაწერილი წიგნები... ფსევდონიმად მაქვს.

როგორც იცოდა ხოლმე, გოროზად აიჩეჩა მხრები.

– ეგ წიგნები სხვისი დაწერილი მეგონა.

სიბრაზე მაგიდასთან ჯდომაზეც კი ეტყობოდა – ნკიპზე იჯდა, გვერდულად, წელგამართული. ხელები მაგრად ჩაევლო მუხლებზე დადებული ხელჩანთისთვის, ქუდი კი გვერდზე მოჰბრეცოდა და ჰაიჰარად დავარცხნილი ჭაღარა კულულები მოუჩანდა. ნიკაპზეც ემჩნეოდა ჭაღარა ბუსუსები. ამრეზით მიმოიხედა.

– რა ადგილია! იმედია, არ მიპირებ, აქ დამტოვო მაიმუნებთან ერთად, გალიაში. ახლა იმათი ბანანები მინდა?!

ანამ ფუნთუშა მოუტანა. დედამ ცხვირი აიბზუა.

– ეგ რაღად? მე არ მითხოვია.

– კარგი რა, დე! – ვეუბნები.

– ეგრე ნუ მეძახი!

მაგრამ გამომშვიდობებისას მაინც წაიტირა – გამოღებულ კარს ამოეფარა და ბავშვივით დაიმალა სახე ხელით, საკუთარ თავზე გაბრაზებულმა. იმ ზამთარს მოკვდა, არხის პირას, სკამზე მჯდომი, წლის იმ დროისათვის უჩვეულოდ თბილ საღამოს. არავინ იცოდა, გულის უკმარისობას თუ უჩიოდა. მტრედები ჯერაც მისი ხელით მიმობნეულ ნამცეცებს კენკავდნენ ბილიკზე, როცა ვიღაც ჩამოძონძილი მაწანწალა მიუჯდა გვერდზე და თავისი ბოთლიდან სასმელი შესთავაზა. თავიდან ვერც მიხვდა, მკვდარს თუ ელაპარაკებოდა.

– უცნაურია, – თქვა ანამ. – ერთ წამს ხარ, მეორე წამს კი უკვე აღარ...

ამოიოხრა, ხეებს გახედა. ამ ხეების ცქერა უყვარდა, იზიდავდა, სულ უნდოდა, გარეთ გასულიყო და ხეებთან დამდგარიყო, ფოთლებში ქარის შრიალისთვის ესმინა. ოღონდ უკვე ველარ გავიდოდა, ველარასოდეს. „ერთ წამს ხარ, მეორე წამს კი...“ – სწორედ ასე თქვა.

ვილაც მელაპარაკებოდა. ქალბატონი ფისო. ვითომ რამდენი ხანი დავბორიალებდი ამ ჩემი მოგონებების ბნელ ტალანებში?

სადილი დასრულდა, ქალბატონი ფისოც უკვე გვემშვიდობებოდა. როცა ილიმება, სახე კიდევ უფრო უპატარავდება, პაჭუა ცხვირის ირგვლივ თითქოს ეჭმუჭნება ხოლმე. ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ იგრაგნებოდა ღრუბლები, თუმცა დასავლეთისაკენ გადახრილი ნოტიო მზე ჯერ ისევ იჭყიტებოდა ცის მომწვანო-ბლანტი ნაკუწებიდან. წამით ისევ საკუთარი სახება დამიდგა თვალწინ: ვზივარ სკამზე, ვეება მაიმუნივით, მოვარდისფრო ქვედა ტუჩი ჩამომვარდნია, უშველებელი ხელები უღონოდ ჩამომიყრია მაგიდაზე და მართლა დამწყვდეულ, წამლით გაბრუებულ, გათიშულ გორილას ვგავარ. ხანდახან, ბოლო დროს კი სულ უფრო და უფრო ხშირად, მეჩვენება, თითქოს საერთოდ არაფერი აღარ ვიცი, თითქოს თუ რამ მქონდა თავში, ამომივარდა, ან წვიმის თქეშმა გამომირეცხა. შიშისაგან დადამბლავებული, მოთმინებით ველოდები ხოლმე, როდის დამიბრუნდება ეს ყველაფერი – ოღონდ განსაკუთრებული იმედის გარეშე. ქალბატონი ფისო მაგიდიდან თავის ნივთებს კრეფდა და იმ გადამწყვეტი წამისთვის ემზადებოდა, როცა ბოძებივით ფეხებს დანდობილი, მოწყვეტით, ერთი ბიძგით წამოდგებოდა. მის ვავასური უკვე წამომდგარიყო და დობილის გვერდით იდგა – ახლა იმასლა ნატრობდა, დროზე გაეტიოს აქედანო. პოლკოვნიკი მეორე მხრიდან ამოსდგომოდა სტუმარს, სასაცილოდ წინ წახრილი, უაზროდ აფათურებდა ჰაერში ხელებს, იმ კაცივით, მძიმე ტვირთის ასაწევად რომ ემზადება, ოღონდ საკუთარ ძალებში არცთუ მთლად დარწმუნებული.

– ესეც ასე! – თქვა ქალბატონმა ფისომ და ორივე ხელი მაგიდის ზედაპირს დაჰკრა. მერე სწრაფად შეავლო თვალი ჯერ მის ვავასურს, მერე პოლკოვნიკს. იმათაც უფრო ახლოს მიიწიეს მისკენ, თითქოს მართლა აპირებდნენ, აქეთ-იქიდან იღლიებში ამოედოთ ხელი და ასე წამოეყენებინათ.

მერე გარეთ გამოვედით, გვიანი შემოდგომის საღამოს მოსპილენძისფრო შუქში. ქარი გამეტებით ეხლებოდა სადგურის გზას, ხეების კენწეროებს არხევდა და უსასრულო ქარავნებად მიერეკებოდა ყვითელ ფოთლებს. სადღაც გულისგამაწვრილებლად ხმიანობდნენ ჭილყვავები. წელიწადიც იწურებოდა. რატომ მგონია, სანაცვლოდ რამე ახალი დაიწყება-მეთქი? კალენდარში რიცხვის შეცვლის გარდა, არც არაფერი. ქალბატონ ფისოს მანქანა – კოხტა, მომცრო, წითელი მოდელი, ჭიამაიასავით ხალისიანი, ჭიშკართან იდგა, ეზოში. კარგა ხანს იხვნეშა, ვიდრე უკუსვლით ჩაჯდებოდა შიგ – ჯერ ვეება უკანალს მოათავსებდა ვითომდა ვეფხვისტყავიან სავარძელზე და მერე ფეხებსაც შეაწყობდა, ცალ-ცალკე, წვალებ-წვალებით. პოლკოვნიკმა ჭიშკარი გაუღო და იქამდე იდგა გზაზე, სანამ, თავისი ჭკუით, გასვლაში არ დაეხმარა ხელების გამალებული ქნევა-ქნევით. მანქანის გამონაბოლქვის, ზღვის, ბაღის ნეშომპალას სუნი ერთმანეთში აირია. არაფერი მესმის, არაფერი, ერთი ბებერი მაიმუნი ვარ და ეგაა. ქალბატონმა ფისომ მხიარულად აახმიანა საყვირი, ხელიც დაგვიქნია. შუშის იქიდან გაღიმებული სახე მოგვანათა. მის ვავასურმაც საპასუხოდ დაუქნია ხელი – არცთუ გულითადად. მანქანა, როგორც იქნა, გასწორდა გზაზე, სარკინიგზო ხიდისკენ აიღო გეზი და მალე თვალსაც მიეფარა.

– კარგად აცივებულა! – თქვა პოლკოვნიკმა, ხელები მოიფშვნიტა და სახლისკენ დააღირა თავი.

მის ვავასურმა ამოიოხრა.

სადილი იმდენ ხანს გაგვიგრძელდა, ვახშმის იმედი აღარც უნდა გვქონოდა. თან გუნებაზეც ვერ გახლდით მაინცადამაინც. აშკარად ვამჩნევდი, მის ვავასური ჯერაც აღელვებული იყო დობილთან სიტყვიერი შეხლა-შემოხლის მერე. როცა პოლკოვნიკი სამზარეულოში შეჰყვა – ეგებ საღამოს ჩაის მაინც გამოვრჩეო – ქალმა საკმაოდ უხეშად მოიშორა თავიდან და ისიც ყურებჩამოყრილი გაეშურა თავისი ოთახისაკენ, ფეხბურთის მატჩის რადიორეპორტაჟის მოსასმენად. მე ფანჯარასთან მოვიკალათე, წიგნი გადავშალე – ბელის მონოგრაფია გახლდათ ბონარზე, მოსაწყენზე მოსაწყენი. ვერც დავუდე კითხვას გული და წიგნი მალევე გადავდე გვერდზე. ქალბატონი ფისოს სტუმრობამ ჩვენი მყიფე წონასწორობა კიდევ უფრო შეარყია. ჰაერში თითქოს უხმო ზუზუნი ისმოდა – იფიქრებდი, წვრილი, უკიდურესობამდე დაჭიმული სიმი შეარხიეს და ჯერ ისევ თრთისო... ფანჯრიდან გავცქეროდი, თანდათან როგორ ბნელდებოდა გარეთ. ჩამავალი მზის ბოლო გამონაშუქში შავად მოჩანდა გზის გადაღმა მდგარი ხეები. გუნდ-გუნდად მორიალე, ხმაჩახლეჩილი ჭილყვავები ღამის გასათევ ადგილს ირჩევდნენ. ანაზე ვფიქრობდი – თავი ვაიძულე, მეფიქრა. ერთგვარი ვარჯიში მოვიგონე. ისეა ჩარჩენილი ჩემში, როგორც დანა ჭრილობაში. არადა, თანდათან მაინც მავიწყდება: ხსოვნაში ჩარჩენილი ხატება ნელინელ ხუნდება, ფერი გადასდის, ვარაყი ეცლება. ვითომ ერთ მშვენიერ დღეს მთლად გადაიშლება ხსოვნის ტილო? ახლაღა ვხვდები, რა ცუდად მცნობია. ანუ – როგორ ზერელედ, რამდენად ცალმხრივად. მაგრამ ამაში საკუთარ თავს არ ვადანაშაულებ და ეგებ სულ ტყუილად? ვითომ მეტისმეტად ზარმაცი ვიყავი? თუ ზედმეტად ყურადღებაგაფანტული, საკუთარ

თავში ჩაკეტილი? კი, ესეც იყო, მაგრამ მაინც არა მგონია, ბრალეულობაზე მიდგეს ჯერი, როცა დავიწყებისა და ზერელე ცოდნის ამბავია! მე მგონი, მაინც მეტისმეტს ველოდი ამ გაცნობა-შეცნობისგან. საკუთარ თავს ისე ცუდად ვიცნობ, სხვა როგორლა უნდა შემეცნო...

თუმცა, არა, ვტყუი, ეგ არაა საქმე. სინამდვილეში არც გვინდოდა ერთმანეთის უკეთ გაცნობა. პირიქით, საპირისპიროსაც კი ვისახავდით მიზნად. მგონი, უკვე ვთქვი კიდეც: ახლა უკან დაბრუნებისა და ქექვა-ჩხრეკის დრო არაა, თავისით მოვიდა ფიქრი და არც ვუძალიანდები – ანამ პირველი დანახვისთანავე იმით მიმიზიდა, მისი მეშვეობით ჩემს თავზე საკუთარი წარმოდგენების განხორციელების შესაძლებლობა რომ დავინახე. არ ვიცი, რას ვგულისხმობდი, როცა ამას ვამბობდი, მაგრამ ახლა ნელ-ნელა რაღაცას მაინც ვხვდები, ასე მგონია. ვცდი მაინც. დრო თავზე საყრელი მაქვს, ეს კვირა საღამოები ისედაც უსასრულოდ იწელება.

ბავშვობიდანვე მინდოდა, ვილაც სხვა ვყოფილიყავი. შეგონება – შეიცან თავი შენი! – მწარე გემოს მიტოვებდა ენაზე, რამდენჯერაც კი მასწავლებელი გამეორებას მაიძულებდა. საკუთარ თავს მშვენივრად ვიცნობდი და სრულებითაც არ მომწონდა. ამჯერადაც მომიწევს ახსნა: უკმაყოფილო იმით კი არ ვიყავი, რასაც პიროვნულად, არსობრივად წარმოვადგენდი – თუმცა ისიც ძნელი დასადგენია, რას ნიშნავს ჭეშმარიტად ერთადერთი და განუმეორებელი პიროვნული *მე* – არამედ იმით, თუ ზემოქმედებათა რა ერთობლიობა, მიდრეკილებები, ნასესხები აზრები, კლასობრივი ჩვევები მომეცა დაბადებიდანვე, განუმეორებელი პიროვნულობის სანაცვლოდ. დიახ, სწორედ სანაცვლოდ. პიროვნულობა, რაც სხვებს გამოარჩევს, ან, ჩემი აზრით, უნდა გამოარჩევდეს, მე არასოდეს გამაჩნდა. ყოველ-

თვის გამოკვეთილი *არავინ* ვიყავი, ვისი მოურეველი სურვილიც გაურკვეველ ვინმედ ყოფნა გახლდათ. ვიცი, რასაც ვგულისხმობ. ანას პირველი დანახვისთანავე მივხვდი, რომ ის უნდა ქცეულიყო ჩემი გარდასახვის საშუალებად. ის ერთი დიდი სარკე იყო, რომელიც ყველა ჩემს სიმრუდეს გაასწორებდა. რატომ არ გინდა, ის იყო, რაც ხარო? – მეკითხებოდა ხოლმე ჩვენი ქორწინების პირველ დღეებში. *იყო*, და არა *შეიცნოო*... ეტყობა, ვეცოდებოდი, როცა ხედავდა, რა ამაოდ ვცდილობდი ამ უსასრულო სამყაროს მოხელთებას. ცხადია, ნათქვამი – *იყავი, რაც ხარ!* – იმას ნიშნავს, შენ ვინც გინდა, ის იყავიო... ეს იყო ჩვენი უსიტყვო შეთანხმება, რითაც ერთმანეთი უნდა გაგვეთავისუფლებინა ტვირთისაგან, მუდმივად სხვათა თვალით გვეცქირა საკუთარი თავისთვის. ყოველ შემთხვევაში, მან ნამდვილად გამათავისუფლა ამისაგან, მაგრამ მე რაღა გავაკეთე მისთვის? ალბათ არშეცნობისკენ ამ ლტოლვაში ის არ უნდა ჩამეთრია – უმეცრების ეს სურვილი მხოლოდ ჩემში უნდა ჩარჩენილიყო.

ასეა თუ ისე, ის კითხვა, რაც ახლა მაწუხებს, ისევ და ისევ ცოდნა-არცოდნას უტრიალებს. სხვა ვინ ვიყავით, თუ არა ჩვენ? კარგი, ანას მოვეშვათ, ვინ ვიყავი მე, თუ არა მე? ფილოსოფოსები გვიმტკიცებენ, რომ წინდაწინ განსაზღვრულნი ვართ და საკუთარ არსებას სხვათა მეშვეობით ვაცნობიერებთ. განა ვარდი სიბნელეშიც წითელია? უშორეს პლანეტაზე, სადაც ვერავინ ვერაფერს გაიგონებს, ტყეში ხე მაინც ხმაურით წამოიქცევა? საკითხავია, ვის შეიძლებოდა ვცნობოდი, თუ არა ანას? ვის შეიძლებოდა სცნობოდა ანა, თუ არა მე? აბსურდული შეკითხვებია. ერთად ბედნიერები ვიყავით; ან უბედურები არ ვყოფილვართ, რაც ადამიანთა უმეტესობისათვის მიუღწეველი რამაა. განა ეს ცოტაა?

იყო დაძაბულობაც, ტკივილიც – უამისოდ როგორ შეიძლება ორი ადამიანის თანაარსებობა! ყვირილი, კივილი, თეფშების ლეწვა, ხელით შეხებაც და მეტიც... იყო სერჟი და სხვა მისნაირები, ჩემს ტურფებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. კი, ასე ჯობია. მაგრამ ყველაზე გაარჯლებული ჩხუბის დროსაც კი ჩვენი სიშმაგე მხოლოდ მოჩვენებითი იყო, ისეთივე თამაში, როგორიც ქლოისა და მაილზის ბღლარძუნი. ბოლოს ყველაფერი სიცილით მთავრდებოდა – მწარე, გიჟური სიცილით, მაგრამ ეს მაინც სიცილი იყო, სინანულისა და სიმორცხვის... ოლონდ ჩვენი გაცხარებისა კი არ გვრცხვენოდა, არამედ – სიცხარის ნაკლებობისა. ვჩხუბობდით, რათა გვეგრძნო, ნამდვილი გრძნობა განგვეცადა, ცოცხალ და არა ისეთ ნაძალადევ ადამიანებად აღგვექვა თავი, როგორებიც სინამდვილეში ვიყავით. მე ვიყავი.

შეგვეძლო კია? მე თუ შემეძლო სხვანაირად მოქცევა? მოვახერხებდი სხვაგვარად ცხოვრებას? უაზრო კითხვებია. ცხადია, შემეძლო, მაგრამ არ ვისურვე. აქედანაა თავად შეკითხვის უაზრობაც. და მაინც, სადაა ნამდვილობის ის ეტალონი, რასაც ჩემს გამოგონილ მე-ს შევადარებდი? აბაზანაში მყოფ სამოცდაათი წლის მეუღლეს ბონარი ბოლომდე იმ გოგოდ ხატავდა, პირველი დანახვისას რომ დაუდგა თვალწინ. მე რატომღა უნდა მოვთხოვო საკუთარ თავს იმაზე მეტი, ვიდრე ამ დიდმა და ტრაგიკული ბედის მხატვარმა მოსთხოვა? რაც შეგვეძლო, თავს არ ვზოგავდით – არც ანა და არც მე. ერთმანეთს მივუტევეთ ყველაფერი ის, რაც არ ვიყავით. მეტი რა უნდა მოსთხოვო ადამიანს ტანჯვისა და ცრემლის ამ საყუდელში? „ნუ ხარ ესე გაბუტული! – მითხრა ერთხელ. – მეც მძულდი. სულ ცოტათი. ბოლო-ბოლო, ჩვენც ადამიანები ვართ". და მაინც, ამ ყველაფრის მიუხედავად, არ მცილდება

განცდა, რომ რაღაც გაგვისხლტა ხელიდან, მე გამისხლტა, ოღონდ არ ვიცი, რა.

ბილიკს გადავუხვიე. ყველაფერი აირ-დაირია. რატომ ვიტანჯავ თავს ამ ამოუხსნელი ქარაგმებით – ვითომ მაკლია ტვინის ჭყლეტა? მოეშვი მაგას, მაქს, თავი შეიცოდე.

მალე მის ვავასურიც შემოვიდა, ბინდ-ბუნდის ჩრდილებში მორიალე აჩრდილივით. ხომ არ გცივათო, მკითხა. ბუხრის დანთება შემომთავაზა. მე ქალბატონ ფისოს ამბავი ვკითხე – ვინაა, სად გაიცანით-მეთქი. ისე, სიტყვის მასალად. მაშინვე არ მიპასუხა, და ჩემი კითხვის პასუხად ვერც ჩათვლიდი, მერე ისეთი რამ მითხრა:

– იცით, ეს სახლი ვივიენის ნათესავებისაა.

– ვინ ვივიენის? – გავიკვირვე.

– ფისოსი...

– ახლა გასაგებია.

ბუხართან ჩაცუცქდა, ხვნეშა-ხვნეშით დასწვდა გამხმარი ჰორტენზიის ღეროს.

– შეიძლება უკვე მისიც გახდა აქაურობა, – დაამატა მერე. – აკი ნათესავების უმრავლესობა დაეხოცა.

ვუთხარი, ეს სახლი თქვენი მეგონა-მეთქი.

– არა, – მითხრა და მოღუშული სახით დახედა გამხმარ ყვავილებს. მერე მზერა ჩემზე გადმოიტანა და რაღაცნაირად ეშმაკურად გამიღიმა, თან ენის წვერიც კი გამოაჩინა. – მე რაღაც დანამატივით ვიგულისხმები...

პოლკოვნიკის ოთახიდან ყრუდ მოისმოდა სტადიონზე თავმოყრილი ხალხის გუგუნი და კომენტატორის აღგზნებული ხმა. ეტყობა, ვილაცამ გოლი გაიტანა. ნეტავ ამ სიბნელეში რა ათამაშებთ?! ალბათ დამატებით დროზე თუ მიდგა საქმე.

– არასოდეს გათხოვილხართ? – ვკითხე.

მორცხვად გაიღიმა და ისევ დახარა თვალები.

– არა, – მითხრა. – არასოდეს.

სწრაფი მზერა მესროლა. ღაწვებზე ორი ლაქა აუწითლდა.

– ვივიენი ჩემი მეგობარი იყო. ანუ ფისო.

– გასაგებია, – ვუთხარი. ან სხვა რა უნდა მეთქვა.

ახლა პიანინოზე უკრავს. შუმანს, „ბავშვობის სურათებს". ჩემს მოთმინებას თუ სცდის.

უცნაურია, არა? როგორ ილექება გონებაში ერთი შეხედვით უმნიშვნელო რაღაც-რაღაცები. „კედრების" უკან, სადაც სახლის კუთხე მოუვლელ მდელოს ემიჯნება, შავი, დაღუნული საწვიმარი მილის ქვეშ, ადრე ერთი კასრი იდგა – ცხადია, ახლა უკვე დიდი ხნის გამქრალია. ხის კასრი, ძველებური, მუცელგაბერილი. მოქლონები დრო-ჟამს ჩაეშავებინა და სალტეები ჟანგს დაეხრა. პირი ცალ მხარეს ისე გაგლუვებოდა, მიერთების ადგილებს ხელის გადასმითაც ვერ მიაგნებდი. მუცელი, პირიქით, ხაოიანი ჰქონდა, ლელქაშივით, ოღონდ უფრო ნოტიო და გრილი. არ ვიცი, რამდენ წყალს იტევდა, ისე კი სულ პირთამდე სავსე მხვდებოდა ხოლმე – ეტყობა, ამ მხარეში ხშირი წვიმების გამო. მით უფრო, ზაფხულში. შიგ რომ ჩაიხედავდი, წყალი ნავთივით შავი და ბლანტი ჩანდა. ოდნავ დაფერდებული იდგა და წყლის ზედაპირიც სადგურზე მატარებლის ყოველ ჩავლაზე ლიცლიცებდა, შემკრთალ ჭავლებად თრთოდა. ბაღის ამ მიგდებულ კუთხეში, ეტყობა, სწორედ ამ კასრის წყალობით, განსაკუთრებულად რბილი და გრილი ჰაერი ტრიალებდა. რაღა არ იზრდებოდა იქ: ჭინჭარი, გვიმრა... სხვების სახელები აღარც მახსოვს. დილაობით მუდამ მომწვანო შუქი იდგა ხოლმე, განსაკუთრებულად უც-

ნაური. რაკი კასრში მხოლოდ წვიმის წყალს აგროვებდნენ, არ ვიცი, სიხისტის თუ პირიქით, მეტი სილბოს გამო, თავის დასაბანად ზედგამოჭრილად მიაჩნდათ. ერთ მზიან დილასაც სწორედ იქ წავაწყდი მისის გრეისს, რომელიც როუზს თავის დაბანაში ეხმარებოდა.

მახსოვრობას მოძრაობა არ უყვარს. ამჯობინებს, გაქვავებული სურათები შემოინახოს და უამრავი დამახსოვრებულიდან ესეც ნახატივით ჩამრჩა გონებაში: როუზი წელში მოხრილა, ხელებით მუხლებს დაყრდნობია, საპნის ქაფშერჩენილი გრძელი, შავი, მბზინავი თმა სახეზე ჩამოშლია. ფეხშიშველია, მაღალ ბალახში მის ფეხის თითებს ვხედავ. თხელი, მოკლესახელოებიანი ტილოს პერანგი აცვია – ზუსტად ისეთი, იმხანად რომ იყო მოდაში, მხრებში ზედმეტად განიერი და წელში ვიწრო, მკერდზე ლურჯ-წითელი რაღაც უცნაური ნაქარგით. ღილები დაუხსნია და ორ მომცრო, ჩიკორივით ნაწვეტებულ ძუძუს ვავლებ თვალს. მისის გრეისს ლურჯი სატინის ხალათი აცვია და ლურჯივე თხელი ფლოსტები წამოუცვამს ფეხებზე. ბუდუარული განწყობა გამოუტანია ეზოში. თმა კუს ბაკნის ფორმის ორი სარჭით აქვს დამაგრებული ყურებთან. რაღაცას ეძახდნენ ასეთ სარჭებს – ახლა არ მახსენდება. ეტყობა, ლოგინიდან ახალი წამომდგარია და დილის შუქზე უფრო მკვეთრად მოუჩანს სახის უხეში, მსხვილი ნაკვთები. ზუსტად ისე დგას, როგორც ვერმეერის გოგო რძის დოქით ხელში. თავი მარცხნივ გადაუხრია, ერთი პეშვი როუზის მძიმედ ჩამოყრილი თმისთვის შეუშვერია, მეორით კი მკვრივ, ვერცხლისფერ ჭავლს ასხამს ტუჩმოტეხილი, მომინანქრებული დოქიდან. ის ადგილი კეფაზე, სადაც წყალი ეცემა, თეთრად მოუჩანს როუზს, თითქოს მთვარის ლაქაა პიეროს სახელოზეო. „უფ, უფ, უფ!" – ვიშვიშებს როუზი ყინულივით ცივი წყლის გამო.

საბრალო როუზი. ისე არც მახსენდება მისი სახელი, თუ-კი რაღაც საწყალობელი ზედსართავიც არ მოვაყოლე. რამდენი წლის იქნებოდა მაშინ? ალბათ ცხრამეტის, ბევრი-ბევრი – ოცის. მაღალ-მაღალი, თვალშისაცემად თხელი, წელწვრილი და გრძელფეხება. მოკლედ, თხემით ტერფამდე ჩამოქნილი. ვინმე, მაგალითად, ქლოისავით ენამწარე, იმასაც იტყოდა, სახის ნაკვთები არ უვარგაო – ფარაონისებური ნესტოები ჰქონდა და მოგრძო ცხვირზე კეხი ედგა, თან მცირედ გამრუდებოდა კიდეც, ოდნავ მარცხნისაკენ, და როცა პირდაპირ უყურებდი, თვალი გატყუებდა: თითქოს ერთდროულად პროფილშიც ხედავდი, პიკასოს რომელიმე უცნაური პორტრეტივით. თუმცა ეს ნაკლად კი არა, ხიბლის მომმატებელ ღირსებად უფრო უჩანდა – თითქოს რაღაც იდუმალებას მატებდა მის სახეს. როცა ჩაფიქრდებოდა და არ იცოდა, თუ უთვალთვალებდა ვინმე – ვთქვათ, ჩემნაირი ცნობისმოყვარე ლაწირაკი – ბოლომდე ჩაქინდრავდა თავს, თვალებს დამალავდა, მოწყენით ჩამოიდებდა ლოყას მხარზე და დუჩოს მადონას ემსგავსებოდა – სევდიანს, ფიქრიანს, იმ ბუნდოვან ოცნებებში წასულს, რომელთაც ახდენა არასოდეს ეწერათ.

ამ ზღვის მარილით გაჯერებული ზაფხულის ტრიპტიქის მთავარი ფიგურა, უცნაურია, მაგრამ სწორედ იგია – ყველაზე მკაფიოდ შემორჩენილი ჩემი მახსოვრობის კედელს... მიზეზი ალბათ ისაა, რომ პირველი ორი, ქლოი და დედამისი, თავიდან ბოლომდე ჩემი ქმნილებაა, მაშინ, როცა როუზი ვიღაც სხვისი, უცნობის ხელითაა ნაკვეთი. იმ ორ გრეისს მუდმივად ვუბრუნდები ხოლმე: ხან დედას, ხანაც ქალიშვილს. აქ ფერს ვამატებ, იქ რაღაც დეტალს ვცვლი და მთელი ამ სწორება-გადასწორების შედეგი ისაა, რომ მათი სახება უფრო და უფრო ბუნდოვანდება, არ კი იკვეთება – გინდაც შორიდან დავუწ-

ყო ცქერა საკუთარ ნახელავს. ხოლო როუზი დასრულებული პორტრეტია, ერთხელ და სამუდამოდ მომთავრებული. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს უფრო ცოცხალი ან უფრო მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, ვიდრე ქლოი ან დედამისი; რა თქმა უნდა, არა. მაგრამ მისი თვალნათლივ წარმოდგენა მაინც უფრო იოლად და დაუბრკოლებლად შემიძლია; არა იმიტომ, ჯერ კიდევ აქ რომაა, რადგან მისი ის ვერსია, რომელიც აქაა, იმდენად შეცვლილა, ცნობაც კი გაგიჭირდება კაცს. იმას – მახსოვრობას შემორჩენილს – კვლავაც უქუსლო ფეხსაცმელები, შემოტკეცილი შავი შარვალი და იისფერდაკრული პერანგი აცვია. მართალია, სხვა ტანისამოსიც ეცვა ხოლმე, მაგრამ მე მაინც მუდმივად ასე გამოწყობილი წარმომიდგება თვალწინ. როგორც წესი, არეულ-დარეულ სტუდიაში, რეკვიზიტის ათასნაირი ნაყარ-ნუყარის ფონზე იხატება მისი პორტრეტი; გარშემო კი მომჩვარული ფარდები, დამტვერილი, ნაჭრისყვავილებიანი ჩალის ქუდი, ვინძლო სულაც მუყაოს კედლის კუთხე და იდუმალი შუქ-ჩრდილების მოოქროსფრო-მოთეთრო რიალია. მისი არსებობა ჩემთვის იმდენად მძაფრი არ ყოფილა, როგორიც ქლოისა თუ მისის გრეისის; ან როგორ იქნებოდა... მაგრამ რაღაც მაინც გამოარჩევდა – კუნაპეტი თმა და თეთრი სახე, რასაც ვერც თაკარა მზე და ვერც ზღვაური ვერ უცვლიდა ფერს.

მე მგონი, სწორედ ის საქმე ებარა, რასაც ძველ დროს – მართლა შორეულ წარსულს ვგულისხმობ და არა იმ დღეებს, ახლა რომ ვიგონებ – გადიობას ეხადნენ. თუმცა გავლენის მოკრძალებული სფერო, ალბათ, გადიასაც ექნებოდა, საბრალო როუზი კი სრულიად უმწეო გახლდათ ტყუპებისა და მათი დაუდევარი მშობლების გადამკიდე. ქლოი და მაილზი აშკარად კრიჭაში ედგნენ; ის იყო მათი ყველაზე ბოროტი ხუმრობების,

დაცინვისა თუ უსასრულო გამასხრებების საგანი. ურთიერთობაში ორგვარი გეზი ჰქონდათ არჩეული: ხან ისეთი სრული უგულებელყოფა, თითქოს უჩინმაჩინად მიაჩნიათო, ხან კი, პირიქით, ყოველ მის ნათქვამს თუ ნამოქმედარს, სრულიად ჩვეულებრივსა და ბუნებრივს, ბოლომდე უკირკიტებდნენ და ათასნაირად შეუტრიალ-შემოუტრიალებდნენ ხოლმე. როცა სახლში მიდი-მოდიოდა, ისინიც სულ კუდში დაჰყვებოდნენ, ლამის ქუსლებზე აბიჯებდნენ ფეხს და მუდმივად უთვალთვალებდნენ – სუფრას აწყობდა, წიგნს იღებდა, თუ სარკეს არიდებდა მზერას... თითქოს ეს ყველაფერი უკიდურესად უცნაური, წარმოუდგენელი ყოფილიყო და მანამდე მსგავსი არც არაფერი ენახათ. სანამ შეეძლო, ცდილობდა, ყურადღება არ მიექცია, თუმცა ბოლოს მაინც მოუტრიალდებოდა ხოლმე აჭარხლებულ-აცახცახებული და ევედრებოდა, გთხოვთ, გეხვეწებით, თავი დამანებეთო. თან ცდილობდა, ხმისთვის არ აეწია, რათა მშობლებს არაფერი გაეგოთ. ცხადია, ტყუპებსაც სწორედ ეს უნდოდათ, უფრო ეძალებოდნენ, დაუინებით აშტერდებოდნენ ვითომ გაკვირვებულები და ქლოიც კითხვას კითხვაზე აყრიდა: *იმ თეფშზე რა იდო? ეგ წიგნი მოგწონს? სარკეში რატომ ვერ იყურები?* იქამდე არ მოეშვებოდა, სანამ თვალზე ცრემლს არ მოადენდა და სახეს არ აულეწავდა დარდისა თუ უძლური ბრაზისაგან. მერე შეტრიალდებოდნენ და კმაყოფილები გაეცლებოდნენ, პატარა დემონებივით ახარხარებულები.

როუზის საიდუმლო ერთ შაბათ საღამოს შევიტყვე, როცა ქლოის შევუარე „კედრებში". რომ მივედი, მამამისის მანქანაში ჯდებოდა. ეტყობა, ქალაქში აპირებდნენ წასვლას. ჭიშკართან გავჩერდი: წინა დღით შევთანხმდით, რომ ჩოგბურთი უნდა გვეთამაშა. ვითომ დაავიწყდა? რა თქმა უნდა, დაავიწყდა.

მეწყინა. როგორი იყო შაბათ საღამოს ასე მარტო, უსაქმოდ და უაზროდ დარჩენა?! ჩემი მუავე სახე მაილზმაც შეამჩნია, ჭიშკარს რომ ულებდა მამამისს და როგორც იცოდა ხოლმე ამ მართლა პატარა ეშმამ, ბოროტად ჩაიქირქილა. მისტერ გრეისმა სარკეში მკიდა თვალი, თავი ქლოისკენ გადახარა, რაღაც უთხრა და თანაც თავისებურად ჩაიცინა. ახლა უკვე თავად გარემოც დამცინოდა, ღვარძლიანად. მისტერ გრეისმა მადიანად ააღმუვლა ძრავა, ადგილიდან მოწყვიტა მანქანა და კიდევ კარგი, დროზე გავხტი განზე – კარლო გრეისს, მამაჩემის არ იყოს, იუმორი მეტად თავისებურად ესმოდა. სწორედ ამ დროს ქლოიმაც დამტვერილი შუშის იქიდან მკიდა თვალი – გაკვირვებით, თითქოს არც კი იცოდა, იქ რომ ვიყავი, ან იქნებ მართლა ახლაღა დამინახა. რაც შემეძლო, დაუდევრად დავუქნიე ხელი. იმან გამილიმა, ვითომ შეწუხებულმა მოპრუწა ტუჩები და მობოდიშების ნიშნად მხრები აიჩეჩა, ლამის ყურებამდე აზიდა. მანქანამ სვლა შეანელა, ახლა მაილზიც ჩაჯდა შიგ. ქლოიმ შუშას მიადო ცხვირი და უხმოდ მითხრა რაღაც, მერე კი ისე ასწია ხელი, დალოცვისას რომ იციან ხოლმე. მეც რაღა დამრჩენოდა – გავუღიმე, მხრებიც ავიჩეჩე და თავიც დავუქნიე. მანქანამ მტვრის ბუქი დააყენა. უკანა შუშაში მაილზის ავად მომღიმარი სახე გაკრთა.

სახლი მიტოვებულს ჰგავდა. კარს ჩავუარე და ირიბად ჩარიგებულ ხეებს ჩავუყევი ბაღის ბოლოსკენ. უფრო იქით რკინიგზა გადიოდა და იქაურობას მუდამ ფისისა და ზეთის სუნი უდიოდა. მეტისმეტად ახლო-ახლო დარგულ ხეებს ავადმყოფური, უბადრუკი იერი ედოთ. ზარმაცად არხევდნენ ტოტებს, ვედრებით აღმართულ მკლავებს რომ მიუგავდათ. ნეტავ რა ჯიშის ხეები იყო? მუხები არა, ალბათ უფრო ვერხვები. სანამ გავიაზრებდი, უკვე რომელილაც ხეზე მივცოცავდი.

საკვირველი კი იყო ჩემგან: არც დიდი გამბედაობით გამოვირჩეოდი და არც თავგადასავლების სიყვარულით. სიმაღლისაც ყოველთვის მეშინოდა და დღემდე ასეა. სულ ზევით და ზევით მივიწევდი: ჯერ ერთ ტოტს ჩავავლებდი ხელს, ფეხს მოვინაცვლებდი, მერე – მეორეს და ასე ავდიოდი ტოტიდან ტოტზე. რთული არ იყო, თუმცა ფოთლები ავი სისინით მეწინააღმდეგებოდნენ და ხის რტოებიც სახეში გამეტებით მცემდნენ. მალე ლამის კენწეროში მოვექეცი და იქლა შევჩერდი. შიში არაფრისა მქონდა, ანძაზე აცოცებულ მეზღვაურად წარმომედგინა თავი. ქვემოთ უსასრულო სივრცე გადაშლილიყო, ზემოთ კი მოციმციმე ცამდე თითქოს ხელის გაწვდენაღა დამრჩენოდა. ამ სიმაღლეზე ნიავი ზღვის ნაპირის, კვამლისა და პირუტყვის სუნით გაჯერებულ, მკვრივ ნაკადად ქცეულიყო. ცისკიდურზე ქალაქის სახურავები მოჩანდა, უფრო შორს და მაღლა კი მირაჟივით გაქვავებულიყო პანია, ვერცხლისფერი, უძრავი გემი ზღვის ფერმკრთალ სილურჯეში. ტოტზე ჩიტი ჩამოჯდა, გაოცებულმა შემომხედა ცალი თვალით და მერე შეურაცხყოფილი ხმიანობით გამეცალა. უკვე აღარც კი მახსოვდა ქლოის გულმავიწყობა, იმდენად ავეტანე სიხარულსა და სიამაყეს – ყველასა და ყველაფრისაგან ასე მაღლა, ასე შორს ყოფნის გამო. ამიტომაც ვერ შევნიშნე როუზი, ვიდრე მისი ტირილის ხმა არ მომესმა.

ხის ქვეშ იდგა მხრებაწურული, გვერდებზე იდაყვებმიბჯენილი, თითქოს თავადვე აკავებდა თავს, რომ არ ნაქცეულიყო. აცახცახებული, თითებით ჭმუჭნიდა ცხვირსახოცს, მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად წააგავდა რომელიმე ბულვარული რომანის სცენას, თავიდან ისიც ვიფიქრე, ცხვირსახოცი კი არა, სასიყვარულო წერილი ჩაუბლუჯავს-მეთქი. ზემოდან დავცქეროდი – შავი თმის შუაზე გამყოფი ხაზი დამბალი

ცხვირსახოცივით თეთრად კრთოდა, ხოლო როცა ნაჩქარევად შეტრიალდა მოულოდნელად გაგონილი ნაბიჯების ხმაზე, ბილიკზე მომავალი მისის გრეისიც დავლანდე – თავი ჩაექინდრა, გულ-ხელი დაეკრიფა და თითები მხრებზე შემოეჭდო. ფეხშიშველი იყო, მოკლე შარვალი და ქმრის თეთრი პერანგი ეცვა, მისთვის მეტისმეტად ფართო. როუზის შორიახლო შეჩერდა, მცირე ხანს უხმოდ იდგა, ერთი-ორჯერ თითქოს მიბრუნდ-მობრუნდა, ძველებურად გულხელდაკრეფილი. თითქოს როუზივით, ისიც თავად აკავებდა საკუთარ თავს, ანდა ბავშვივით ანანავებდა.

– როუზ, – თქვა რაღაც ნაძალადევი სიმხიარულით, ლიქნის ელფერიც რომ დაკრავდა. – რა იყო როუზ, რა გეწყინა?

როუზმა ჯერ სახე აარიდა, ბრაზიანად ჩაიფრუტუნა, მერე კი ლამის იყვირა:

– *რა იყო? როგორ თუ რა იყო?!*

ეტყობა, ვერ მოზომა, ხმა გაებზარა, ბრაზიანადვე მოიხოცა ცხვირი და ისე ამოიოხრა, თითქოს გული ამოაყოლაო. იმ სიმაღლიდანაც კი ვხედავდი, მისის გრეისი იღიმებოდა და თან ტუჩს იკვნეტდა. სადღაც შორიდან ახლა სტვენა მოისმა. საღამოს მატარებელი – შავ-შავი ორთქლმავალი და ათიოდე მწვანედ შეღებილი ხის ვაგონი ქალაქიდან მოუყვებოდა ველ-მინდვრებს და ბოლქვა-ბოლქვად ისროდა თეთრ ბოლს. მისის გრეისი უსიტყვოდ მიუახლოვდა როუზს, იდაყვზე შეეხო, მაგრამ იმან ხელი აუკრა – თითქოს ამ შეხებამ ცხელი შანთივით დაწვაო. თავხედმა ქარმა დაუბერა, მისის გრეისს პერანგი აუფრიალა და შიშველი მკერდის ქვედა ნაწილი გამოუჩინა. „კარგი ახლა, როუზი, გეყოფა!" – აღულუნდა ისევ და ამჯერად მოახერხა, მისთვის ხელკავი გამოედო და თუმცა ის უძალიანდებოდა, მოქაჩა კიდეც, თავისკენ შემოაბრუ-

ნა. მერე ერთად მოჰყვნენ ხეებქვეშ წინ და უკან სიარულს. როუზს ფეხები ებორკებოდა, თუმცა გაუჩერებლად ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა... თავჩაქინდრულ მისის გრეისს, მგონი, ხმაც არ გაუღია; დაძაბულ მხრებსა და აცაბაცა სიარულზე ვატყობდი, სიცილს ძლივს იკავებდა. ასლუკუნებული, ხმაათრთოლებული როუზის სიტყვებიდან სულ რამდენიმე გავარჩიე: *სიყვარული... სისულელე... მისტერ გრეისი...* პასუხად კი მისის გრეისის ერთადერთი შეძახილი: *კარლო?!* – რასაც გაოცებისა თუ ეჭვის გამომხატველი ხმამაღალი სტვენაც მოჰყვა. უცებ მატარებელიც მოგვადგა და ჩემს მუხლებს შორის მომწყვდეული ხის ტოტიც ერთიანად აძაგძაგდა. ორთქლმავალი რომ გამისწორდა, მემანქანის ჯიხურში შევიხედე და გამჭვარტლულ სახეზე თეთრად მოელვარე, ჩემკენ მომართული თვალები შემომეფეთა. როცა ისევ ქალებს დავხედე, შეჩერებულიყვნენ და ახლა პირისპირ იდგნენ მაღალ ბალახში. მისის გრეისს როუზისთვის მხარზე ჩამოედო ხელი და უღიმოდა. როუზს კი ნესტოები შესწითლებოდა, ნამტირალევ თვალებს მჯიღებით იმშრალებდა. უცებ ორთქლმავლის ბოლი მეცა თვალებში, დამაბრმავა, და როცა ისევ გამოვიხედე, უკვე სახლისკენ მიაბიჯებდნენ ბილიკზე.

ასე იყო. როუზს იმ ბავშვების მამა ჩავარდნოდა გულში, ვისი გადიობაც ევალებოდა. თავისთავად, ძველთაძველი ამბავია, თუმცა საკვირველი კია, მე რატომ არ მომეჩვენა მაშინ უჩვეულოდ. რას ვფიქრობდი, რას ვგრძნობდი? ყველაზე ნათლად როუზის თითებში მოჭმუჭნული ცხვირსახოცი და ლურჯი, დაბერილი ვენები მახსოვს მისის გრეისის ლონიერ, შიშველ წვივებზე და ცხადია, ორთქლმავლის გამონაბოლქვი, როცა ჟღრიალ-ჭრიალით გაჩერდა სადგურზე, მერე აქოშინებულ-ათუხთუხებულმა, ერთი კიდევ ამოიქშინა და გზის

გასაგრძელებლად გაემზადა. აბა, რა მოსატანია ცოცხალი არსება მისსავე ხელით შექმნილი საგნების ამგვარ ურყევ ძალასთან?

როცა როუზი და მისის გრეისი თვალს მიეფარნენ, მეც ჩამოვცოცდი ხიდან; თუმცა ეს აცოცებაზე ბევრად რთული გამოდგა. უხმაუროდ ჩავუარე გაყუჩებულ, უკვე ბინდში ჩანთქმულ სახლს და სადგურისკენ გავუყევი გზას იმ უკაცრიელ საღამოს. მატარებელი უკვე გასულიყო ბაქნიდან და ახლა სადღაც სხვაგან იქნებოდა, სრულიად სხვაგან.

ბუნებრივია, დრო არ დამიკარგავს – ჩემი აღმოჩენა უმალვე ქლოის გავუზიარე. მისი რეაქცია მთლად ისეთი არ გამოდგა, როგორსაც ველოდი. მართალია, თავიდან თითქოს გაოგნდა, მაგრამ მალევე დაიბრუნა არხეინი იერი და მგონი, გამიბრაზდა კიდეც – მე რას მეუბნებოდი, ენაზე ვინ გექაჩებოდაო. გუნება მომეშხამა. ასე მეგონა, ჩემს მონათხრობზე ჩვეულებისამებრ ჩაიფხუკუნებს და მეც მთელ ამ ამბავს ხუმრობაში გავატარებ-მეთქი. არადა, ახლა იძულებულს მხდიდა, ყველაფერი სხვანაირად დამენახა. მაგრამ, აბა, რანაირად? ან იმთავითვე ხუმრობად რატომ უნდა ჩაგვეთვალა? მხოლოდ იმ მიზეზით, სიცილი ბავშვისთვის თავშესაფარი და შიშების მეხამრიდი როა? მართალია, როუზი ჩვენზე თითქმის ორჯერ უფროსი იყო, მაგრამ მაინც ჩვენს ნაპირზე იდგა – იმ წყალგამყოფის ნაპირზე, უფროსების სამყაროსაგან რომ გვმიჯნავდა. ისედაც გასივებული მქონდა თავი იმაზე ფიქრით, ეს უფროსები რეებს სჩადიან, ჩუმ-ჩუმად რას ეშმაკობენ-მეთქი, და ახლა იმის წარმოდგენა, კარლო გრეისის ასაკის კაცი რომ როუზთან დაიჭერს საქმეს – თანაც ვინ: ეს ღიპიანი, ბან-

ჯგვლიანი, ჭაღარაგამორეული, შორტებში მოტანტალე – ერთობ დამთრგუნველი იყო ჩემი სათუთი, ჯერაც მყიფე გრძნობებისათვის. ნეტავ თუ გაუმხილა სიყვარული ვაჟბატონს? და იმანაც თუ თანაუგრძნო? თვალწინ გამირბენდა ხოლმე, როგორ ეხუტებოდა ფერმკრთალი როუზი ამ სატირს ბანჯგვლიან მკერდზე და ეს ხილვა თან მიზიდავდა და თან შიშის ზარსაც მცემდა. და მისის გრეისი? რა მშვიდად მოისმინა როუზის ის აბნეულ-დაბნეული აღსარება! როგორ უდარდელად, სიცილითაც კი. რატომ თვალები არ ამოსჩიჩქნა თავისი ნითლად მბზინავი, წამახული ფრჩხილებით?

ცალკე ის ვერ ამეხსნა, მაინც რა უტიფრად და მშვიდად ნიღბავდნენ ისინი თავიანთ ურთიერთობას! კარლო გრეისის უდარდელობა ახლა უკვე სრულ სიყალბედ მეჩვენებოდა – მართლაცდა, უსულგულო მაცდურის მეტი სხვა ვინ იცინებდა ასე უგვანად, თავხედურად?! გამოაგდებდა წინ ნიკაპს და მოჰყვებოდა მკერდზე ბანჯგვლის ფხანას, ისე, რომ მისი ფრჩხილების ფხაჭუნი კილომეტრზე ისმოდა! ის ამბავი, ხალხი როუზს შემთხვევით გამვლელზე მეტ ყურადღებას რომ არ აქცევდა, მხოლოდ მის ეშმაკობასა და ვერაგობაზე მიუთითებდა! როუზი გაზეთს რომ მიაწოდებდა და ისიც უხმოდ რომ გამოართმევდა ხოლმე, აგდებულად, ჩემი აღგზნებული წარმოსახვა ამაშიც რაღაც ფარულ აზრსა და მნიშვნელობას ხედავდა. კარლოს წინაშე მისი ეს მორცხვი და თავშეკავებული ქცევა მხოლოდ ავხორცი მონაზვნის ფარისევლობას მაგონებდა. რაკი ახლა მისი ფარული სირცხვილის ამბავიც შევიტყვე, უფრო შორსაც წავედი – წარმოვიდგენდი ხოლმე, როგორ ეხუტებოდნენ ერთმანეთს ლოგინში, მესმოდა მათი გახშირებული სუნთქვა, მათი შეკავებული ოხვრა-კვნესაც მესმოდა...

და მაინც, რამ უბიძგა ეგეთი გულახდილობისაკენ? და თან ვისთან – მისივე სატრფოს ცოლთან! ან რა იფიქრა საბრალო როუზმა, როცა პირველად მოჰკრა თვალი ჭიშკარზე მაილზის ცარცით ნაწერს: რ.ვ. + კ.ბ. და იქვე მიხატულ ქალის ტორსს – წერტილებიან ორ რგოლს, ორ მრუდე ხაზს თეძოების მოსანიშნად, უფრო ქვემოთ კი – ორ ფრჩხილს შორის მოქცეულ პანია შვეულ ხაზს? ალბათ სისხლმა აასხა ტვინში, სირცხვილისაგან ალმური მოედო სახეზე. იფიქრებდა, ქლოიმ გამოჩხრიკა ყველაფერიო, ჩემზე ეჭვს ვერ მიიტანდა. თუმცა უცნაური კია და, ქლოიმ ამით ვერაფერი მოიგო, მგონი, პირიქითაც კი მოხდა. ახლა, როცა გოგოს შეხედავდა ხოლმე, გადიის მზერაში რაღაც ახალი, ფოლადივით მტკიცე გამომეტყველება ჩნდებოდა, რაც, ჩემდა გასაკვირად, ქლოისაც ისე აბნევდა, ადრე რომ არასოდეს შემემჩნია. როცა მახსენდება ერთის სუსხიანი და მეორის დარცხვენილი თვალები, უნებურად იმ დასკვნამდე მივდივარ, საბედისწერო მოქცევის დღეს მომხდარი ის ამბავი უთუოდ როუზის ფარული ლტოლვის საიდუმლოს გამჟღავნებამ გამოიწვია-მეთქი. ბოლოსდაბოლოს მე რატომ გამოვაკლდე მელოდრამებით გატაცებულ იმ კალმოსანთა რიცხვს, საბოლოო წერტილის ეფექტურად დასმაზე რომ ეკეტებათ ტვინი?!

მოქცევამ მთელი ნაპირი დატბორა, ქვიშის ბორცვებამდე, თითქოს ზღვა კანში ვეღარ ეტევაო. უხმოდ ვისხედით შემაღლებულზე ჩვენ სამნი – ქლოი, მაილზი და მე – და წყლის ჯიუტ მატებას შევცქეროდით. მიტოვებული საყარაულოს რუხ, საღებავგადაცლილ ფიცრის კედელს ზურგით მივყრდნობოდით, გოლფის მოედნის პირველ მიჯნასთან. ცოტა ვიცურავეთ, მაგრამ მალევე მოგებეზრდა ზღვის ეს უტალღებო, ჯიუტი მოძალება – ერთდროულად მშვიდი და ავისმომასნავებელი. ცა ერთიანად გადათეთრებულიყო და ზუსტად მის

შუაგულში უძრავად ეკიდა მზის ბრტყელი, მკრთალი ოქროსფერი დისკო. თოლიები ჩხავილ-ჩხავილით ეხლებოდნენ აქეთ-იქით, ჰაერი არ იძროდა. თუმცა, არა, კარგად მახსოვს, ქვიშიდან კანტი-კუნტად ამოწვერილი ბალახის თითოეული ღერო ირხეოდა, ესე იგი, ქარი თუ არა, ნიავი მაინც უბერავდა. ან იქნებ სხვა დღე მახსოვს, როცა პირველად შევამჩნიე ქვიშიდან ამოწვერილი ბალახის ღეროები? ქლოის საცურაო სამოსი ეცვა და მხრებზე თეთრი მაისური მოეგდო. თავზე გადაგლესილი სველი თმა მუქად უჩანდა. მქრქალ, მოთეთრო შუქზე მისი სახე ლამის უნაკვთებო გეგონებოდათ და პროფილში ისე ჰგავდა გვერდით მჯდომ მაილზს, თითქოს ორი ერთნაირი მონეტა მოუჭრიათო. ქვემოთ, ქვიშის ბორცვებს შორის, როუზი იწვა, გულაღმა, პირსახოცზე. ხელები თავქვეშ ამოედო და მძინარეს წააგავდა. ზღვის ქაფიანი ენა ცოტაც და ქუსლებს აულოკავდა. ქლოი მალი-მალ აპარებდა მისკენ თვალს, მერე ჩაიცინა და თქვა: „ეგებ, შეითრიოს კიდეც...“

საყარაულოს კარი მაილზმა გააღო. იქამდე არ მოეშვა ბოქლომს, სანამ სარჭი არ მოარყია და ბუდიდან არ ამოაგდო. შიგ ერთადერთი მომცრო ოთახი იყო, ფსიტის სუნით აქოთებული. კედელთან ხის გრძელი მერხი იდგა, იმის ზემოთ ფანჯარა იყო, რიგიანი ჩარჩოთი, თუმცა შუშაამოგდებული. ქლოი მუხლებით შედგა მერხზე, იდაყვები რაფას ჩამოაყრდნო და ფანჯრიდან გაიხედა. ერთი მხრიდან მე ჩამოვუჯექი, მეორიდან კი – მაილზი. ნეტავ რატომ მაგონებს რაღაც ეგვიპტურს ის ჩვენი ასე ჩამოჯდომა? ჩამუხლული ქლოი გარეთ იყურება, მე და მაილზი მერხზე ვსხედვართ და პატარა ოთახს ვათვალიერებთ... ვითომ იმიტომ, მეც ჩემს „მკვდართა წიგნს“ რომ ვწერ? ქლოი სფინქსი იყო, ჩვენ კი – მისი მსხდომარე ქურუმები. თოლიების ჭყივილის გარდა, სხვა ხმა არ ისმოდა ირგვლივ.

– ნეტა მართლა დაიხრჩოს, – თქვა ფანჯარაში თავგაყოფილმა ქლოიმ და თავისებურად, ეშმაკურად ჩაიხითხითა. – იმედი მაქ, ეგრეც იქნება, ჰი-ჰი! ვერ ვიტან, მეზიზღება...

უკანასკნელი სიტყვები. სისხამი დილა იყო, რიჟრაჟი, როცა ანა გონს მოვიდა. დანამდვილებით ვერ ვიტყვი, მეღვიძა თუ მესიზმრა, რომ არ მეძინა. იმ ღამეებს საწოლთან მიდგმულ სავარძელში ვათენებდი და უცნაურად პროზაული ჰალუცინაციები მსტუმრობდა: ძილ-ბურანში ვხედავდი, როგორ ვუმზადებდი საჭმელს, ან მასზე ველაპარაკებოდი იმ ადამიანებს, ვინც მანამდე თვალით არასოდეს მენახა. ზოგჯერ, უბრალოდ, მასთან ერთად დავაბიჯებდი უჟმურ, უსახურ ქუჩებში, ანუ მე დავაბიჯებდი, ის კი გათიშული იწვა ჩემ გვერდით და მაინც ახერხებდა, ემოძრავა, როგორღაც ფეხი აეწყო ჩემთვის, გამკვრივებულ ჰაერში გადაადგილებულიყო ლერწმის მინდვრისკენ მიმავალ გზაზე. გონზე მოსულმა, დაცვარულ ბალიშზე თავი მოაბრუნა, თვალებგაფართოებულმა, ღამის სანათის დაბინდულ შუქზე შემომხედა – შეშინებულმა და დაბნეულმა. მგონი, ვერც მიცნო. უცებ გამომეცალა ძალა, დავიზაფრე და სისხლი გამეყინა ძარღვებში – სწორედ ისე, ულრან ტყეში მოულოდნელად უცხო მხეცს რომ გადააწყდები. ვგრძნობდი, როგორ ნელა, გაპარულად მიცემდა გული, თითქოს ერთნაირი, უსასრულო წინაღობების გადალახვა უწევსო. ანამ ისეთი ხმით დაახველა, თითქოს ძვლებიანი აბგა შეარხიესო. ვიცოდი, ეს უკვე დასასრული იყო, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, მე რა უნდა მექნა, ვისთვის დამეძახა – *არიქა, ცოლი მიკვდება, მიშველეთ-მეთქი, დროზე!* აზრი არ მიტრიალებდა თავში, თითქოს შიგ ბეტონი ჩაესხათ. ანა თვალს არ მაშორებდა, ისევ გაოცებული, ისევ ეჭვიანი მზერით მომჩერებოდა. დერეფანში ვიღაცას რაღაც დაუვარდა ჟღრიალით. ეს ხმა

გაიგონა და მგონი, ცოტათი დამშვიდდა. ეგებ იფიქრა, რომ მე ვუთხარი რაღაც და თვითონაც გამიგო, რადგან მოუთმენლად გააქნია თავი რამდენჯერმე, თითქოს მეუბნებოდა: *არა, რას ამბობ, რა სისულელეა!* მერე ხელი გამოიწვდინა და კლანჭივით მომადო მაჯაზე. მაიმუნებმა იციან ასე ხელის ჩავლება. დღემდე ვგრძნობ, აქამდე არ მიშვებს... დაფეთებული წამოვვარდი სკამიდან, საწოლთან მუხლებზე დავემხე, როგორც სასწაულით შეძრული ვინმე მორწმუნე. ანა ჯერაც მაჯაში ჩამფრენოდა. მეორე ხელი შუბლზე დავადე, მეგონა, მისი აღგზნებული ფიქრების შეგრძნობას მოვახერხებდი, გავიგებდი, სულ ბოლოს რა გაუელვებდა თავში. ნეტავ მანამდე თუ შემიხედავს მისთვის ასეთი დაჟინებით? თითქოს მხოლოდ მზერით დავაკავებდი, თითქოს იქამდე არ დამტოვებდა, სანამ მოვახერხებდი და თვალს არ დავახამხამებდი. მძიმე-მძიმედ სუნთქავდა, სულის მოსათქმელად შეჩერებული მორბენალივით, ორი იმდენი გზა რომ ელოდება წინ. რაღაცნაირი მშრალი სუნი მოდიოდა მისგან, ჩამომჭკნარ ყვავილებს რომ ასდით, ისეთი. სახელით მივმართე, იმან კი უცებ ისევ დახუჭა თვალები უკმაყოფილო სახით, აქაოდა, როგორ არ გესმის, უკვე ანა აღარა ვარ, საერთოდ აღარავინ ვარო. მერე ისევ გაახილა და ერთხელაც მომაჩერდა, უფრო ჯიუტად, ვიდრე ოდესმე. ოღონდ უკვე არა გაოცებით, არამედ მკაცრად, მომთხოვნად. ეტყობა, სურდა, უთუოდ გამეგო და მივმხვდარიყავი, რის თქმასაც აპირებდა. მაჯაზე ხელი მიშვა, თითები ზეწარზე მოაფათურა რაღაცის მოსაძიებლად. ხელი მოვკიდე – ვგრძნობდი, როგორ უფეთქავდა ძარღვი ცერა თითის ძირში. რაღაც ჩავილულლულე, სრული უაზრობა. *არ დამტოვო* თუ რაღაც მაგდაგვარი. იმან კი ისევ ისე, მოუთმენლად გადააქნია თავი და თავისკენ მიმიზიდა. „სხვები თუ საათებს აჩერე-

ბენ, – წამიჩურჩულა შეთქმულივით, – მე დრო გავაჩერე", – თქვა და საზეიმო იერით გამილიმა. ღმერთმანი, გამილიმა.

ჩემ გვერდით მუხლებზე მდგომ ქლოის ასე მოწყვეტით, უცებ რომ არ გადაეგდო მხრებზე მოხურული მაისური, ალბათ ვერც გავბედავდი, მისთვის თეძოზე დამედო ხელი. გრილი, დახორკლილი კანი ჰქონდა, მაგრამ ვგრძნობდი, მის ქვეშ როგორ უფეთქავდა სისხლი. გარეგნულად არაფერი შეუმჩნევია, ისევ ისე გასცქეროდა რაღაცას, ალბათ წყლის უწყვეტ მატებას, და მაშინ მეც ფრთხილად ავაცურე ხელი ზემოთ, ვიდრე თითებით ახლა ნაჭერი არ შევიგრძნე. მისი მაისური, თავიდან მუხლებზე რომ დამეცა, ქვემოთ ჩაცურდა და იატაკზე ჩასრიალდა. რატომღაც, გადაგდებულ თაიგულსა თუ დაჭრილ ჩიტს მივამგვანე. მეტი არც მომინდებოდა არაფერი – ვიჯდებოდი ასე, მის ტაკოზე ხელმიდებული, გულაბაგუნებული და მოპირდაპირე ფიცრულ კედელს თვალგაშტერებული. მაგრამ უცებ, მსუბუქი მოძრაობით, ერთი მუხლი მერხზე გადმოანაცვლა და ჩემს გაოგნებულ თითებს თავისი წიაღის გზა გაუხსნა. მერე ზღვის წყლით გაჟღენთილი საცვლის ქვეშ შეცურებულ თითისწვერებს ფეხები მოუჭირა, მოიმწყვდია. უცებვე, თითქოს დენმა დაუარა მთელ ტანშიო, ხელებიდან გამომეცალა და მეგონა, ყველაფერი მორჩა-მეთქი. ვცდებოდი: შემოტრიალდა, გვერდზე მომიჯდა, სახე მომიშვირა საკოცნელად. სველი თასმები უკან ეკვრებოდა, კისერზე, ამიტომაც თავსუკან გადაიწია ხელები, ნასკვი გაიხსნა და სველი სამოსი წელამდე ჩაიწია. თან ვკოცნიდი, თან გვერდზე თავგადაწეული, ცალი თვალით შევცქეროდი მის კისრის მალებს, მთელ ხერხემალს, ვიწრო ნაპრალს მის ბოლოში... მოუთმენელი მოძრაობით მიმატანინა ხელი ოდნავ ამობურცულ ძუძუსთავთან, მკვრივსა და ცივთან. მის გვერდით მაილზი იჯ-

და, ფეხები გადმოეკიდა მერხზე, თავი კედლისთვის მიედო და თვალები დაეხუჭა. ქლოიმ ალალბედზე მოიძია მისი ხელი, ჩაბლუჯა, ტუჩები დაჭიმა და უფრო ვიგრძენი, ვიდრე გავიგონე, როგორ ამოუშვა ხორხისმიერი კვნესა.

ვერც გავიგე, როგორ გაიღო კარი, უბრალოდ, ოთახში სინათლემ იმატა. ქლოის სხეული გაუხევდა, მერე სწრაფად მიაბრუნა თავი და რაღაც ჩემთვის სრულიად გაუგებარი ჩაილაპარაკა. კარში როუზი იდგა, ისიც საცურაო სამოსში გამოწყობილი და ალბათ ამიტომაც ის გრძელი, თეთრი, წვრილი ფეხები ახლა კიდევ უფრო თეთრად, გრძლად და წვრილად მოუჩანდა. კარში გახირული თითქოს ორ ქარს შუა იყო მოქცეული – ერთი მის გარეთ გადევნას ლამობდა, მეორე კი გარედან უბიძგებდა აქეთ. ქლოიმ ნაჩქარევად შეიკრა თასმები, კიდევ ერთხელ გამოსცრა ბრაზიანად იგივე სიტყვა, ამ ჯერზეც რომ ვერ გავარჩიე – არ ვიცი, როუზის მეტსახელი იყო თუ უბრალო ლანძღვა; მელიასავით ჩახტა მერხიდან, როუზს იღლიის ქვეშ გაუძვრა და გაუჩინარდა. „ახლავე დაბრუნდით, მის! – გაბზარული ხმით უყვირა როუზმა. – ახლავე-მეთქი, ვის ვეუბნები!" მერე მე გამომხედა – უფრო სინანულით, ვიდრე ბრაზით, თავი გადააქნია, შეტრიალდა და სირაქლემასავით გააბიჯა მაღალ, მზედაუკრავ ფეხებზე შემდგარმა. ჯერაც ჩემ გვერდით, მერხზე მოკალათებულმა მაილზმა დაგუდულად ჩაიხითხითა. მივაჩერდი: ასე მეგონა, დაილაპარაკა, რაღაცა თქვა-მეთქი.

რაც მერე მოხდა, თითქოს მინიატურასავით, ერთგვარ კამეასავით შემომრჩა ხსოვნაში, ან ისეთი მომრგვალებული პეიზაჟივით, ზემოდან რომ დასცქერი და მხოლოდ ნაპირებში ხედავ დრამის იმ უმცირეს დეტალებს, ძველ ოსტატებს ვითომ სასხვათაშორისოდ რომ უყვარდათ გამოხატვა, და

თვალისთვისაც ძნელი შესამჩნევია ოქროსა და ზურმუხტის, ზღვისა და ცის ბრჭყვიალებაში. ცოტა ხანს სულს ვითქვამდი ნაპირზე, მაილზი კი თვალს არ მაშორებდა – აბა, ერთი, რას იზამსო. საყარაულოდან რომ გამოვედი, ქლოი და როუზი პატარა, მოტიტვლებულ ადგილას იდგნენ ქვიშის ბორცვებს შორის, წყლის პირას, და გააფთრებულები რაღაცას უყვიროდნენ ერთმანეთს. სიტყვები არ მესმოდა. მერე ქლოი გაეცალა, რამდენჯერმე დაბზრიალდა ადგილზე და ქვიშა აყარა ფეხით, როუზის პირსახოცსაც გაჰკრა და გვერდზე მიაგდო. ვიცი, ეს მხოლოდ ჩემი წარმოსახვაა, მაგრამ თვალნათლივ კი ვხედავ, როგორ ხარბად ულოკავენ პატარა ტალღები ქუსლებს. ბოლოს ერთიც შეჰყვირა რაღაც, უცნაურად, მოწყვეტით აიქნია მკლავი, შებრუნდა და იქვე, სილაში ჩაჯდა, ზედ წყლის პირას. მოხრილ მუხლებს მკერდით ეყრდნობოდა, ხელები შემოეჭდო და გაშტერებული მზერა ცისკიდურისთვის მიეპყრო. დოინჯშემოყრილი როუზი მის ზურგს თვალს არ აშორებდა, ოღონდ როცა მიხვდა, პასუხს მაინც ვერ ველირსებიო, გაბრაზებული შეუდგა საკუთარი ნივთების მოგროვებას – პირსახოცის, წიგნის, საცურაო ქუდის... ზურგს უკან მაილზის ხმა გავიგონე, წამში ჩამიქროლა გვერდით. ისიც ქლოის მიუჯდა, მხარზე ხელი მოხვია და თავი თავზე მიადო. როუზი შეყოვნდა, იჭვნეული მზერით გახედა ასე ჩახუტებულებს, მთელი სამყაროსთვის ზურგშექცეულებს. ისინი კი მშვიდად წამოდგნენ, ლივლივა წყალში შეაბიჯეს, ზედ გაწვნენ და გაცურეს – გვერდიგვერდ, ნელა, უფრო და უფრო შორს.

ჩვენ თვალს არ ვაშორებდით, როუზი და მე. იმას მოგროვილი ნივთები მკერდზე მიეხუტებინა, მე ისე, უაზროდ ვიდექი. არც ვიცი, რაზე ვფიქრობდი, არც მახსოვს, საერთოდ თუ ვფიქრობდი რამეს. არის ხოლმე ასეთი წუთები – მართალია,

არცთუ ხშირად – როცა გონება, უბრალოდ, გიცარიელდება. უკვე მართლა შორს იყვნენ ის ორნი. ფერგამკრთალ წერტილებადღა მოჩანდნენ ფერგამკრთალ ცასა და კიდევ უფრო ფერგამკრთალ ზღვას შორის. მერე ერთი წერტილი გაუჩინარდა. ამის შემდეგ ძალიან სწრაფად მოთავდა ყველაფერი, ანუ ის, რაც ჩვენ დავინახეთ: წყლის ზედაპირი კიდევ ერთხელ, ოდნავ შეირხა ერთადერთი წერტილის ირგვლივ და... მორჩა. ზღვის გულგრილმა ზედაპირმა ხელახლა შეიკრა პირი.

ვილაც ყვიროდა.

როუზმა და მეც იქით გავიხედეთ და ჭაღარა, სახეალეწილი კაცი დავინახეთ – ქვიშის ბორცვზე ჩამორბოდა თავპირისმტვრევით. ყვითელი პერანგი, ხაკისფერი შარვალი და ორფერი ფეხსაცმელი ეცვა, თან გოლფის ჯოხს იქნევდა თავს ზემოთ. თუმცა ფეხსაცმელები, შეიძლება, ჩემი გამონაგონია. აი, ხელთათმანი კი ნამდვილად ეკეთა მარჯვენა ხელზე, რომლითაც ჯოხი ეჭირა. ღია ყავისფერი, სათითურებწაჭრილი, ზურგზე დაჩვრეტილი. არ ვიცი, ასე ძალიან რატომ მიიზიდა ჩემი ყურადღება. კაცი ყვიროდა, მაშველებს დაუძახეთო. მთლად გადარეული ჩანდა, ისე იქნევდა იმ თავის ჯოხს, როგორც ზულუსი მეომარი – კომბალს. დაიცა, *ზულუსი – კომბალს?* არა, ალბათ უფრო შუბს. ამასობაში მისი ყვანჭების დამტარებელი ბიჭი, ერთ ვილაც უასაკო, ჩატვიდულ-ჩაკოსტუმებული ჯეელი, თავისი აღჭურვილობიანად, ბექობიდან დამცინავი სახით გადმოსცქეროდა ამ ყველაფერს და ცალ ფეხს დაუდევრად გაკრავდა ხოლმე ყვანჭებიან ტომარას. მერე დაკუნთული, ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა, შემოტკეცილი შორტები ეცვა. არ ვიცი, საიდან გამოგვეცხადა ასე დაბარებულივით. უყოყმანოდ შევარდა წყალში და სწრაფი, გამოზომილი მოძრაობებით გაცურა. ამ დროს როუზი უკ-

ვე გიჟივით აწყდებოდა ნაპირზე აქეთ-იქით, სამ ნაბიჯს გადადგამდა ერთ მხარეს, გაჩერდებოდა, შემოტრიალდებოდა, მეორე მხარეს დააღირებდა თავს და ასე, უსასრულოდ. ზუსტად საბრალო, ჭკუიდან გადამცდარი არიადნესავით, კუნძულ ნაქსოსის ნაპირზე... თავისი პირსახოცი, წიგნი და საცურაო ქუდი ჯერაც მაგრად ჰქონდა ჩახუტებული. მერე ხელმოცარული მაშველიც მობრუნდა, სარკესავით დამდგარი წყლიდან ნელმოწყვეტილი გამოვიდა, თავი გადააქნია და ხელი ჩაიქნია. *აზრი აღარა აქვსო,* – ბურტყუნებდა თავისთვის. როუზმა ნამოიკივლა, ცრემლი წასკდა, შეშლილივით თავის ქნევას მოჰყვა და გოლფის მოთამაშეც უსიტყვოდ მიაშტერდა. მერე ყველანი კვალში ჩამდგარი მომყვებოდნენ უკან, უფრო და უფრო პატარავდებოდნენ, რადგან მე თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი „კედრებისაკენ". არ ვიცი, გზა რატომ არ მოვჭერი და სასტუმროს ეზოთი არ შევიმოკლე მანძილი. ბევრად იოლი იქნებოდა, მაგრამ არაფრის გაიოლება არ მინდოდა. არც იქამდე მიღწევა მინდოდა, სადაც მივრბოდი. სიზმარში ხშირად ვუბრუნდები ხოლმე იმ დღეს – ქვიშაში მივრბივარ, რომელიც უფრო და უფრო დიდ წინააღმდეგობას მიწევს, და მეჩვენება, რომ ფეხები უკან მრჩება. რას განვიცდიდი? ყველაზე მეტად, ალბათ, ძრწოლას. ვერ ამეხსნა, რანაირად შეიძლებოდა ორი ცოცხალი არსება ასე უცებ, უაზროდ, სამუდამოდ გამქრალიყო. თუმცა მჯეროდა კია მათი სიკვდილი? ჩემს წარმოდგენაში რაღაც ვეება, კაშკაშა სივრცეში გარინდებულიყვნენ, ხელიხელჩაკიდებულნი, ფართოდ თვალგახელილნი, მდუმარედ მიჩერებულნი შუქის უსაზღვრო სიღრმეებს.

როგორც იქნა, რკინის მწვანე ჭიშკარიც გამოჩნდა. მანქანა ეზოში იდგა, მთავარი კარიც – როგორც არაერთხელ – ბოლომდე იყო გამოღებული. სახლში სიჩუმესა და სიმშვი-

დეს დაესადგურებინა. ოთახებში ისე მივბორიალებდი, ვითომ მეც არიელივით სულად ვქცეულიყავი, გათავისუფლებულ და თავგზააბნეულ აჩრდილად. კონი გრეისი სასტუმრო ოთახში დამხვდა. შემომხედა, პირზე ხელი აიფარა, შუადღის ბლანტი, რძისფერი შუქი ეღვრებოდა ზურგზე. სიჩუმე იდგა, მარტო ფანჯრის იქით ზუზუნებდა მთვლემარედ ზაფხულის ხვატი. მერე კარლო გრეისიც შემოვიდა, თქვა, *მგონი, ისევ მოიშალა ეს ოხერიო,* და სიტყვა გაუწყდა. მერე ასე ვიდექით სამივე, სრულ მდუმარებაში. ბოლომდე.

როგორია?

ღამეა. ისეთი მდუმარება გამეფებულა, თითქოს ირგვლივ აღარავინ დარჩენილა, მეც კი აღარ ვარ თითქოს. ზღვის ხმაც კი არ მესმის, არადა, სხვა დროს არ ჩუმდება ხოლმე – ღმუის, ღრიალებს, ხან უფრო ახლოს და ხანაც უფრო შორს. არ მინდა მარტო ყოფნა. ასე მარტოდმარტო. აჩრდილად მაინც დამბრუნებოდი. რა, ბევრს ვითხოვ? ან სიჩუმე რაღას ნიშნავს – ყოველდღიური, ყოველღამეული, უსასრულო, გაუთავებელი... შენი დუმილი ნისლს ჰგავს – ჯერ ცისკიდურზე გაინვართა, ნამში კი უკვე ირგვლივ შემოგვეჯარა, ჩვენც ხელის ცეცებით მოვიძიეთ ერთმანეთი, ჩავებღაუჭეთ. ყველაფერი იმ დღეს დაიწყო, ექიმი ტოდის მონახულების მერე, როცა კლინიკიდან უკაცრიელ ავტოსადგომზე გამოვედით. მანქანები სველი, მბზინავი დელფინებივით მიწყობოდნენ ერთმანეთს. გაყუჩებულები. აღარც ის ახალგაზრდა ქალი ჩანდა სადმე, მაღალ, პაკიპუკა ქუსლებზე შემდგარი. მერე ზაფრამ ჩვენი სახლიც დაამუნჯა. მოგვიანებით დუმილი უკვე საავადმყოფოს დერეფნებს, პალატებსა და მოსაცდელსაც მოედო. სულ ბოლოს

კი უკვე იმ უკანასკნელ სამყოფელშიც დაისადგურა. გამომიგზავნე შენი აჩრდილი, რა იქნება. თუნდაც შესაშინებლად. ჯაჭვები ააჩხარუნე, იატაკზე ათრიე სუდარა, ტყის ალქაჯივით იღმუვლე... რაც გინდა, ის ქენი, სულ ერთია. მაგისთვისაც მადლობელი ვიქნები.

სადაა ჩემი ბოთლი? ლოთი ბერიკაცის სანოვარა. ეგაა ახლა ჩემი იმედი და სასოება.

მის ვავასური თანაგრძნობით მიცქერის, მე კი თვალს ვარიდებ. იცის, რა შეკითხვებიც მინდა დავუსვა, რა შეკითხვებიც მტანჯავს ჩამოსვლის დღიდანვე, ოღონდ სითამამე არ მყოფნის, ხმამაღლა გამოვთქვა. ამ დილასაც, როცა შემატყო, როგორ ვცდილობდი სათქმელის ჩამოყალიბებას, ისევ გადააქნია თავი, ოღონდ მტრულად არა: „ვერაფრით დაგეხმარებით, – მითხრა ღიმილით. – ეგ უნდა იცოდეთ". რას ნიშნავს ეს *უნდა?* მე, საერთოდ, ძალიან ცოტა რამ ვიცი. სასტუმრო ოთახის მინაშენში ვსხედვართ, ფანჯარასთან, როგორც მანამდე არაერთხელ. გარეთ ნათელი, სუსხიანი დღე დგას, ნამდვილი ზამთრის პირველი დღე. ეს ყველაფერი აწმყოში ხდება, მის ვავასური წინდას კემსავს – ეჭვი მაქვს, პოლკოვნიკისათვის. საგანგებო ხის მოწყობილობა აქვს, მოზრდილი სოკოს მსგავსი, რომელზეც ქუსლს გადაჭიმავს ხოლმე. მამშვიდებს მისი ჩვეული საქმიანობის ცქერა. სიმშვიდე კი მართლა მჭირდება. თავი თითქოს სველი მატყლით მაქვს გამოტენილი და პირშიც ნარწყევის მომწარო გემოს ვგრძნობ. ვერც მის ვავასურის რძიანი ჩაი მიშველის ახლა და ვერც ძველი ჯარისკაცის თხელი, გახუხული ჭვავის პურის ნაჭერი. საფეთქელზეც გვარიანი სისხლჩაქცევა მეტყობა და მიფეთ-

ქავს კიდეც. მის ვავასურის პირდაპირ ვზივარ დარცხვენილი და განადგურებული. უხიაგი მოზარდივით ვგრძნობ თავს – უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე.

არადა, მართლა რა დღე იყო გუშინ... მერე ღამეც და ღმერთო, შენ მაპატიე, დილაც როგორი გამითენდა! კარგად კი იწყებოდა ყველაფერი. ბედის ირონია იყო, აბა, რა – როგორც მერე გამოჩნდა. პოლკოვნიკის ქალიშვილმა შეგვატყობინა, ქმართან და ბავშვებთან ერთად ვაპირებ ჩამოსვლასო. პოლკოვნიკი ვითომ განსაკუთრებულს არაფერს იმჩნევდა, სასხვათაშორისოდ ჩაგვიგდო სიტყვა, მაგათი შემოსევაღა გვაკლდაო, მაგრამ საუზმობისას მღელვარებისაგან ისე უცახცახებდა ხელები, მაგიდაზე ფინჯნებს სულ რაკარუკი გაუდიოდათ. მის ვავასურმა დაიჟინა, სტუმრები სადილზეც უნდა დარჩნენ, ქათამს შევწვავო. ისიც იკითხა, ბავშვებს რისი ნაყინი უყვართო. *არ ღირს ასე შეწუხებაო,* – აბუტბუტდა პოლკოვნიკი, არადა, ზედ ეტყობოდა, მეტად ნაამები დარჩა, წამით თვალებიც კი აუწყლიანდა. არც მე ვიტყოდი უარს, თვალი შემევლო მისი ქალიშვილისა და იმ ნაქები სიძისთვის. თუმცა ბავშვების სტუმრობა ცოტა მაფრთხობდა: ზოგადად, ვერ ვეგუები პატარებს. მთლად ჟილ დე რე კი არ უნდა ვიყო, მაგრამ მაინც...

სტუმრებს შუადღისათვის ველოდით, მაგრამ თორმეტზე ეკლესიის ზარმაც ჩამოკრა, სადილობაც გადავიდა, და ჭიშკართან არც მანქანა გაჩერებულა და არც ბავშვების მხიარული ჭყლოპინი გაგვიგია. პოლკოვნიკი ბოლთას სცემდა, მალი-მალ დაიხედავდა ხოლმე მაჯაზე, უკმაყოფილო სახით, ან ფანჯარასთან გაირინდებოდა, სივრცეს მიშტერებული. მე და მის ვავასური ეკლებზე ვიჯექით, კრინტის დაძვრაც ვერ გაგვებედა. მთელ სახლში დატრიალებული შემწვარი ქათმის სურნელი ყოვლად უსინდისო ცდუნებად გვექცა. უკვე

მოსაღამოვებულიყო, ტელეფონმა რომ დარეკა. შევკრთით. პოლკოვნიკს ისეთი სახით მიედო ყურმილი ყურზე, თითქოს მღვდელია და აღსარებას ისმენსო. მოკლე საუბარი გამოვიდა. ჩვენ არაფერს ვიმჩნევდით. სამზარეულოში შემობრუნდა და ჩაახველა. „მანქანა გაფუჭებიათ", – თქვა, თან თვალს გვარიდებდა. ცხადია, ტყუილი უთხრეს. ან იქნებ თავად გვატყუებდა? უხერხულად გაუღიმა მის ვავასურს. „ქათმისთვის ბოდიშს გიხდით..." – უთხრა.

წავიდეთ, თითო გადავკრათ-მეთქი, შევთავაზე, მაგრამ იუარა. ცოტა დავიღალე და უცებ, რატომღაც, თავიც ამტკივდაო, მოიმიზეზა. მერე თავის ოთახში ავიდა. მძიმე-მძიმედ მიაბიჯებდა კიბეზე და საძინებლის კარი უხმაუროდ მოიხურა ზურგს უკან. „ღმერთო ჩემო", – ჩაილაპარაკა მის ვავასურმა.

მე კიდევ ბარში წავედი და გავილეწე. არ ვაპირებდი, მაგრამ ასე კი მოხდა. შემოდგომის ისეთი უჟმური საღამო იყო, ჩამავალი მზის დუნე შუქი მხოლოდ იმას რომ გახსენებს, როგორი ნათელი დღეები იდგა სულ რამდენიმე თვის წინ. გადავლილ წვიმას გზაზე გუბეები დაეტოვებინა, საღამოს ცაზე უფრო ფერმკრთალი, თითქოს დღის მონარჩენი მათში პოულობდა აღსასრულს. ქარი ქროდა და ისე მიფრიალებდა პალტოს კალთებს, თითქოს ჩემივე პატარა შვილები ამტორღიალებოდნენ და მეხვეწებოდნენ, მამა, ბარში ნუ შეხვალო. მაინც შევედი. ეს ბარიც ერთი ულიმღამო, უხალისო რამაა და იქაურობის ლამის ნახევარი უშველებელ ტელევიზორს უკავია – ზუსტად იმის ცალს, მის ვავასურს რომ უდგას სახლში. პანორამული ეკრანი აქვს და სულ ჩართულია, ოღონდ ხმა კი ბოლომდე აქვს ჩაწეული. მეპატრონე ერთი სქელი, დონდლო, ზანტი ვინმეა, სიტყვაძუნწი. რაღაც უცნაური გვარი აქვს, ახლა არ მახსენდება. ბრენდი დავუკვეთე, სულ ორმაგები. იმ საღამოს ამბები

ბუნდოვნად მახსოვს, ქუჩის ფარნის გამონათებებივით. ვიღაც ბერიკაცს გადავეკიდე, ან პირიქით, ის შემომიჩნდა, მერე ვიღაც ბევრად ახალგაზრდა ცდილობდა ჩვენს დაზავებას – არ ვიცი, შვილი იყო მისი თუ სულაც შვილიშვილი. ხელი ვკარი, ის კიდევ, პოლიციას გამოვიძახებო, დამემუქრა. როცა მეპატრონეც ჩაერია – ბარაგრი, ასეთი გვარი ჰქონდა, ნამდვილად – იმასაც ნავეჯიკავე, ხელიც კი მოვუქნიე და რაღაცას გავყვიროდი ხმაჩახლეჩილი. ღმერთმანი, თავს არ ვგავდი! ასეთები ნაღდად არ მჩვევია. არ ვიცი, რა მეტაკა. ანუ იმის გარდა, რაც ჩვეულებრივ ეტაკება ხოლმე კაცს. ბოლოს, როგორც იქნა, დამაშოშმინეს და მეც კუთხეში, მდუმარე ტელევიზორთან მივუჯექი მაგიდას. ვიჯექი და რაღაცას ვბურტყუნებდი ჩემთვის. თან გულიანად ამოვიოხრებდი ხოლმე. არადა, როგორ ჰგავს მთვრალის ეს ოხვრა-ხვნეშა მოთქმა-გოდებას... ბარის ფანჯრიდან დანახულ საღამოს მიმქრალ შუქს ბრაზიანი, მოწითალო-მოყავისფრო ელფერი გადაკრავდა, ერთდროულად მიმზიდველიც და შიშის მომგვრელიც, ნამდვილი ზამთრის ფერი. არა, ზამთრის საწინააღმდეგო არც არაფერი მაქვს – პირიქით, შემოდგომას თუ არ ჩავთვლით, წელიწადის უსაყვარლესი დროა ჩემთვის, მაგრამ ახლა ნოემბრის მიმწუხრის შუქი რაღაც იმგვარის მაუწყებელს ჰგავდა, რაც მხოლოდ ზამთარს აღნიშნავდა, რამაც ერთიანად მომშხამა და დამადარდიანა. მოწოლილ დარდთან გასამკლავებლად, ბრენდიზე უკეთესს რას ვინატრებდი, მაგრამ ბარაგრიმ ახალ შეკვეთაზე ცივი უარი მტკიცა. ახლა ვხვდები, სწორადაც მოიქცა, თუმცა მაშინ ისევ ავუხირდი, ჩემი აღშფოთება ხმამაღლაც გამოვხატე და როცა მაინც ვერაფერს გავხდი, „კედრებისკენ" წამოვჩანჩალდი ისევ – ჩემი საკუთარი, წინასწარ მომარაგებული ბოთლისკენ, სიყვარულით „ჩემს პატარა საწოვარას" რომ ვეძახი. კიბეზე პოლ-

კოვნიკ ბლანდენს გადავეყარე და მცირე ხანს რაღაცაზე კი ვილაპარაკეთ, ოლონდ წარმოდგენა არა მაქვს, რაზე.

უკვე მთლად დაღამებულიყო, მაგრამ ოთახში ვერ გავჩერდი. ბოთლი იღლიაში ამოვიჩარე და ისევ გარეთ გამოვედი, ქუჩაში. მერე რაც მოხდა, მხოლოდ ნაგლეჯ-ნაგლეჯ დამამახსოვრდა: მახსოვს, ქარით აქანავებული ლამპიონის ქვეშ ვიდექი და რაღაც უმთავრეს, უდიადეს გამოცხადებას ველოდი, თუმცა მალევე მომბეზრდა ეს ლოდინი და ხელიც ჩავიქნიე. მერე სრულ სიბნელეში ვიჯექი ზღვის ნაპირას, ქვიშაში, ფეხებგაწვართული; კალთაში უკვე ჩაცლილი ბოთლი მედო. შორს, ზღვაში, რაღაც შუქები კრთოდა და ციმციმებდა, თუმცა შეიძლება მეჩვენებოდა კიდეც, რადგან იმ წყლებში არავინ თევზაობდა ხოლმე. სქელი პალტო მეცვა, მაგრამ მაინც შემცივდა, ერთიანად გამიჯდა ტანში ქვიშის სინოტივე. არადა, სიცივემ და სინოტივემ კი არ წამომაგდო ფეხზე, არამედ – უეცარმა განზრახვამ, იმ შუქებს მივახლოებოდი, გამერკვია ერთი, რა ანათებდა იმ სიშორეში. ეგებ ზღვაში შესვლისა და გაცურვის სურვილიც კი გამჩენოდა, მაგრამ რაღაცას წამოვედე, წავიბორძიკე და ზედ წყლის პირას მოვადინე ზღართანი. საფეთქელიც მაგრად დავკარი საიდანღაც ამოწვერილ ქვას. არ ვიცი, რამდენ ხანს ვეგდე ასე – ხან მთლად გათიშული, ხან კი თითქოს გონსმოსული. მახსოვს, განძრევა არ შემეძლო, ან იქნებ არც მინდოდა. კიდევ კარგი, ზღვის მიქცევა დაემთხვა. ისე, დიდად არც მტკიოდა რამე და არც მანაღვლებდა. სინამდვილეში სრულიად ბუნებრივადაც მიმაჩნდა, იქ რომ ვეგდე, სრულ სიბნელეში, ჩაშავებული ცის ქვეშ. ტალღების სუსტ ციმციმს მივშტერებოდი, ცნობისმოყვარე და თან მფრთხალი თაგუნიების გუნდივით რომ დაცუხცუხებდნენ აქეთ-იქით. ჩემსავით მთვრალი, ერთგული ბოთლიც წინ და უკან, რაკა-

რუკით დაგორავდა კენჭებზე. სადღაც ზევით კი ქარი დაქროდა ჰაერის უჩინარ სიცარიელეში.

მერე, ეტყობა, დამეძინა, ან მართლა გავითიშე, რადგან არც მახსოვს, როგორ მიპოვა პოლკოვნიკმა, თუმცა თავად ამტკიცებს, დალაგებული ლაპარაკობდით და არც გამძალიანებიხართ, როცა სახლში წამოგიყვანეთო. ეტყობა, ასეც იყო, ანუ მართლა არ ვიყავი მთლად გათიშული, თორემ მარტო ვერც წამომაყენებდა და ვერც ჩემს ოთახამდე მომათრევდა ზურგით. ისე, რა იცოდა, სად უნდა ვეძებნე? კიბეზე გასაუბრებისას – თუმცა ამას საუბარს ძნელად დაარქმევს კაცი, რადგან ასე მითხრა, ძირითადად, თქვენ ლაპარაკობდით მოქოქილივითო – დაბეჯითებით მითქვამს, ყველაზე იოლი სიკვდილი ზღვაში დახრჩობაა-მეთქი. როცა შუაღამეს გადასცილებია, მე კი ჯერაც არ ვიყავი მისული სახლში, შეშინებია – უფიქრია, მართლა არ აუტეხოს თავს რამეო და ნაპირ-ნაპირ წამოსულა ჩემს მოსაძებნად. კარგა ხანს მოუწია წინ და უკან სიარული და ის იყო, ხელის ჩაქნევასაც აპირებდა, როცა უცებ მთვარისა თუ რომელიღაცა კაშკაშა ვარსკვლავის შუქზე ქვებზე გართხმული დავუნახივარ. გზად არაერთხელ შევჩერებულვართ, გვიკამათია – მე თურმე სულ რაღაც ღრმა აზრებს ვაფრქვევდი. ბოლო-ბოლო, „კედრებამდეც“ მოვაღწიეთ. პოლკოვნიკმა კიბეზე ამიყვანა და ოთახში დამაბინავა. ისე, ეს ყველაფერი მხოლოდ მისივე მონაყოლია – მე თვითონ ამ ჩვენი უკან მობრუნებისა არაფერი მახსოვს. მოგვიანებით, როცა გაუგონია, როგორ ვარწყევდი – სხვათა შორის, ხალიჩაზე არა – ფანჯრიდან, უკანა ეზოში, და ჩემი ბრაგვანის ხმაც შემოსმია, შემოსულა და იმ ღამით მეორეჯერ ვუნახივარ ძირს უგონოდ გართხმული, ამჯერად – საწოლის ფეხთან. მერეღა მიმხვდარა, საჩქაროდ ექიმს უნდა ვუხმოთო.

დილით ადრე გამეღვიძა, ჯერ ისევ ბნელოდა. თავიდან რაც დავინახე, ჰალუცინაცია მეგონა. პოლკოვნიკი იქ იყო, როგორც ყოველთვის, თავის უზადო ტვიდის სამოსში გამონ-ყობილი; იმ ღამეს თურმე საერთოდ არ დაწოლილა და ახ-ლა წინ და უკან მიდი-მოდიოდა მოღუშული. და რაც უფრო გასაკვირია, ჩემს ოთახში დამხვდა მის ვავასურიც. როგორც გავარკვიე, მასაც გაუგონია, უფრო სწორად, ტანით უგრძნია, როგორ მოვადინე ზღართანი იატაკზე, ფანჯრიდან რწყევის მერე. ის თავისი იაპონური კიმონო ეცვა, თავზე კი ისეთი ბადე გადაეკრა, ბავშვობის მერე არა ქალზე რომ არ მენახა. ჩემგან ცოტა მოშორებით იჯდა, კედელთან მიდგმულ სკამზე, გვერ-დულად. ხელები კალთაში დაეკრიფა, თავი ჩაეღუნა და თვა-ლის ბუდეები ორ ცარიელ, შავ ღრმულად მოუჩანდა. სანათი, თავიდან, რატომღაც, სანთელი რომ მეგონა, მაგიდაზე ენთო; ირგვლივ სინათლის წრე შემოეხაზა – ზუსტად ისე, როგორც ჟერიკოსა თუ დე ლა ტურის ნახატებზე. გაოცებულს – ეს რა ხდება ჩემს თავს და ამ ორს აქ რა უნდა-მეთქი – ისევ ჩამეძი-ნა. ან იქნებ გონებაც დავკარგე.

როცა ისევ გამომეღვიძა, უკვე დღეც დამდგარიყო და ფან-ჯრებზეც ფარდები გადაეწიათ. ოთახი რაღაცნაირად დარცხვე-ნილად გამოიყურებოდა – ფერმკრთალი, სახედაქმუქნული, როგორც ახლად გაღვიძებული, ჯერაც სახემოუწესრიგებელი ქალი. გარეთ ერთიანად გადათეთრებული ცა ისე დაბლა ეკიდა, გეგონებოდა, სახურავიდან კაცი ხელს მიაწვდენსო. დაბანგულ გონებაში ბუნდოვნად ამომიტივტივდა წუხანდელი სამარცხვი-ნო ამბები. ქვეშაგები ერთიანად მოჩაჩულ-არეულიყო, გვარიან ბრძოლაგადატანილივით, და ოთახშიც ნარწყევის მძაღე სუ-ნი იდგა. ხელი ავწიე. იმავე წამს თავში საშინელმა ტკივილმა დამიარა, როცა თითი საფეთქელზე მომიხვდა – იმ ადგილზე,

სადაც თავი ქვას დავკარი. ისე შევხტი, საწოლი გემბანივით ატორტმანდა და სწორედ მაშინ დავლანდე ჩემს სკამზე ჩამომ-ჯდარი ახალგაზრდა კაცი: წინ წამოხრილიყო, იდაყვები საწერ მაგიდაზე დაებჯინა და წიგნს კითხულობდა. ლითონისჩარჩოია-ნი სათვალე ეკეთა, მაღალი, შემელოტებული შუბლი ჰქონდა და შეთხელებული, გაურკვეველი ფერის თმა. ტანსაცმელიც რაღაც უსახური ეცვა, გაცვეთილი ველვეტის ნაჭრისა. საწოლის ჭრია-ლი რომ გაიგონა, აუჩქარებლად მოაშორა მზერა ფურცელს, თავი მოაბრუნა და შემომხედა. მგონი, გაიღიმა კიდეც, თუმცა უხალისოდ. მერე მკითხა, თავს როგორ გრძნობთო. გავშტერდი, სხვანაირად ვერ იტყვი. შევეცადე საწოლში წამოვმჯდარიყავი, არადა, ისე გამიჭირდა, თითქოს ლეიბი რაღაც ბლანტი, წებო-ვანი სითხით ყოფილიყო გაჟღენთილი. უცნობს ერთდროულად მკაცრი და ახსნა-განმარტების მომლოდინე სახით მივაჩერდი, ის კი, ვითომც აქ არაფერიო, მშვიდად მათვალიერებდა. მერე მითხრა, ექიმმა (ეს სიტყვა ისე წარმოთქვა, ვითომ ამ ქვეყნად მხოლოდ ის ერთადერთი ექიმი არსებულიყო) ადრევე მოგინა-ხულათო – ზუსტად ასე თქვა, *ადრევეო* – და შეშფოთებულმა ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი, ჩემდა უნებურად მეორედაც ხომ არ წავეხეტე სადმე-მეთქი. მერე ისიც დაამატა, ტვინის შერ-ყევაზე აქვს ეჭვი და ალკოჰოლურ ინტოქსიკაციაზეო... ეჭვი? ერთი ეს მითხარით, რა იყო აქ საეჭვო?!

– კლერს ამოვყევი, – თქვა. – ახლა სძინავს.

ჯერომი! ის ნიკაპნაკვეთილი მიჯნური! როგორც იქნა, ვიცანი. ნეტავ ხელახლა რით და როგორ მოიგო ჩემი ქალიშ-ვილის გული? ან იქნებ ერთადერთი ესაა, ვისთან დარეკვაც კლერს მოუვიდა აზრად შუაღამისას, როცა პოლკოვნიკმა, მის ვავასურმა თუ რა ვიცი, ვინ დაურეკა და შეატყობინა, კიდევ რა ახალ შარში გახვეულიყო მამამისი. თუ მართლა ასეა, ესეც

ჩემი ბრალი ყოფილა და ეგაა... თავ-ბედს ვინყევლიდი, ვინ-ძლო მართლა იტალიელი დოჟების ნაქონ ამ სარეცელზე გარ-თხმული, გაშტერებული, გონებადაბინდული და იმის ძალაც არ მქონდა, წამოვმდგარიყავი, ამ არამზადისთვის ქეჩოში ჩა-მევლო ხელი და ერთხელ და სამუდამოდ ამეკრა გუდა-ნაბა-დი. არადა, თურმე უარესი წინ მელოდა: ოთახიდან გავიდა – ვნახავ ერთი, კლერმა თუ გაიღვიძაო – მერე კი უკვე ერთად დაბრუნდნენ უკან. ჩემს ქალიშვილს, აჩეჩილს, თვალებჩაწით-ლებულს, პირდაპირ საცვლებზე საწვიმარშემოცმულს, ისეთი სახე ჰქონდა, თვალი ვერ გავუსწორე. იმან კი პირდაპირ მა-ჯახა – თითქოსდა დაუფიქრებლად გადაეშვა წყალში – ეს-ესაა, დავინიშნეთო. უცებ ისე დავიბენი, ვერც მივხვდი, რაზე ლაპარაკობდა და ეს წამი საკმარისი გამოდგა ერთხელ და სამუდამოდ ჩემს გასანადგურებლად. ძალაც ვერ მოვნახე, ამ თემას კიდევ მივბრუნებოდი და, აი, რაც დრო გადის, მისი გამარჯვებაც ჩემზე სულ უფრო და უფრო მტკიცდება. ასე, თვალის ერთ დახამხამებაში იგებენ და აგებენ ბრძოლებს... ჩემი თუ არ გჯერათ, დე მესტრის წიგნი მაინც გადაშალეთ.

მაგრამ ამასაც არ დასჯერდა: პირველი წარმატებით გათა-მამებული, ჩემი დროებითი უმწეობით ფრთაშესხმული, მომდგა და დოინჯშემოყრილმა, ზედიზედ დამაყარა კაპიტულაციის პი-რობები: დაუყოვნებლივ უნდა ჩამელაგებინა ბარგი, „კედრებს" გამოვმშვიდობებოდი და საშუალება მიმეცა, შინ წავეყვანე. *შინო* – სწორედ ასე თქვა. იქ უკვე თავად იზრუნებდა ჩემ-ზე, ზრუნვაში კი – როგორც ნათლად ამიხსნა – უპირველეს ყოვლისა, სასმელსა და ყველანაირ სტიმულატორებსა თუ სა-ძილე საშუალებებზე უარის თქმა იგულისხმებოდა, ვიდრე ექი-მი (ეტყობა, ისევ ის *ერთადერთი* ექიმი) კვლავ შესაფერისად არ ჩამთვლიდა – არ ვიცი, რისთვის, ალბათ ცხოვრებისთვის.

რა უნდა მექნა, როგორ გავძალიანებულიყავი? ისიც მითხრა, დროა, საქმეს დაუბრუნდეო. „უკვე ამთავრებს, – მოახსენა თავის რჩეულს ერთგვარი დაუფარავი სიამაყით, – მონოგრაფიას ბონარზე". ვაჟკაცობა არ მეყო, მელიარებინა, ეს ჩემი შრომა ჯერ პირველი თავის ნახევარს და უბის წიგნაკში ჩანიშნულ რამდენიმე ნედლ მოსაზრებას არ გასცილებია-მეთქი. თუმცა, აბა, ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს. შემიძლია სხვა გზასაც ვეწიო, მაგალითად, პარიზში დავსახლდე და ხატვას მოვკიდო ხელი, ანდა მონასტერში ბერად აღვიკვეცო, დღეები უსასრულობის მშვიდ ჭვრეტაში გავატარო... ანდა სულაც დიდი ტრაქტატი დავწერო მკვდრების თაობაზე. ვხედავ კიდეც საკუთარ თავს სენაკში გამოკეტილს, მაგიდასთან მიმჯდარს, ნვერმოშვებულს; ხელში ბატის ფრთა მიჭირავს, ფერხთით მოთვინიერებული ლომი მიზის და ფანჯრიდან გავცქერი გლეხების პანია ფიგურებს, ზვინებს რომ დგამენ შორს, ფერდობზე. თავს ზემოთ მტრედი დამტრიალებს ღულუნ-ღულუნით. აბა რა, ცხოვრება ათასგვარი უცნაურობითაა დაფეხმძიმებული...

ახლა, ალბათ, სახლსაც აღარ გამაყიდინებენ.

მის ვავასური ამბობს, კი მომენატრებით, მაგრამ, მგონი, სწორად იქცევითო. აქედან წასვლა ჩემი არჩევანი არ გახლავთ, იძულებითი ნაბიჯია-მეთქი, – ვუთხარი. გაელიმა. „მაქს, თქვენ ის კაცი არა ხართ, ვინმემ რამე გაიძულოთ!" – მითხრა. ამაზე ველარაფერი ვუპასუხე – არა იმიტომ, ნებისყოფა რომ შემიქო, უბრალოდ, შევცბი, სახელით რომ მომმართა. პირველად ცხოვრებაში. ოღონდ არა მგონია, ამით უფლება მომცა, მეც *როუზი* დავუძახო. ერთგვარი ფორმალური მანძილი აუცილებელია ჩვენ შორის ჩამოყალიბებული თბილი ურთიერთობების შესანარჩუნებლად. ისე, მართლა ახლა ჩამოყალიბებულის თუ ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე *აღდგენილის?* თუმცა, ამ

წამიერი სიახლოვის გავლენით, მაინც ხელახლა წამომიტივ-ტივდა ძველი, ჯერაც დაუსმელი შეკითხვები. ძალიან მინდო-და მეკითხა, იდანაშაულებდა თუ არა თავს ქლოის სიკვდილში – მჯერა, თუმცა ვერასოდეს ვერ დავამტკიცებ, რომ პირველი ქლოი წავიდა ფსკერისკენ, მაილზი მერეღა მიჰყვა, როცა მის გადარჩენას ცდილობდა; თუ ფიქრობდა, რომ მათი ასე ერ-თად დახრჩობა თავიდან ბოლომდე შემთხვევითობა იყო? რომ მეკითხა, ალბათ მიპასუხებდა კიდეც, არაა გულჩათხრობილი ქალი. ისედაც ბევრი მელაპარაკა გრეისებზე – კარლოსა და კონიზე – როგორ დაენგრათ ცხოვრება და ტყუპების ამბის მერე მალევე როგორ გარდაიცვალა ორივე: ჯერ კარლო – ანევრიზმით, მერე კი კონიც – ავტოავარიაში. ავარიის ამბავი რომ ვკითხე, უცნაურად შემომხედა და ტუჩებაცახცახებულმა მითხრა, *კონი ის ქალი არ იყო, თავი მოეკლაო...*

თურმე ბოლომდე კარგი ურთიერთობა ჰქონია მათთან, არასოდეს გადაკვრითაც არაფერში დაუდანაშაულებიათ და არც საყვედური უთქვამთ ოდესმე. „კედრებშიც" იმათ მიშო-ვეს სამსახური, ფისოს ნათესავებს იცნობდნენ და სიტყვაც შემანიესო, – ასე მითხრა. *მას მერე აქა ვარ, უკვე ამდენი წელიაო,* – დაამატა.

ზემოთ პოლკოვნიკის ფეხის ხმა ისმის. თითქოს ფრთხი-ლობს, მაგრამ მაინც გვარიანად ბრაგუნობს. ვიცი, უხარია ჩე-მი წასვლა. წუხანდელი დახმარებისათვის მადლობა გადავუ-ხადე – მგონი, სიკვდილს გადამარჩინეთ-მეთქი, ვუთხარი და მაშინ მივხვდი სწორედ, სიმართლეს ვეუბნებოდი. შეჩქვიფდა, აფორიაქდა, ეამა კიდეც. *ეს ხომ ნებისმიერის ვალიაო,* მითხრა ხმაგაბზარულმა და უხერხულად მომითათუნა მხარზე ხელი. გამომშვიდობებისას საჩუქარიც კი მისახსოვრა – „სუონის" ფირმის ავტოკალამი. მგონი, მისივე ხნის უნდა იყოს, ბუდე-

ში იდო და თან მოყვითალო, თხელ ქაღალდშიც გაეხვიათ. სხვათა შორის, ამ ყველაფერს სწორედ იმ კალმით ვწერ, ვაგვირისტებ, შეიძლება ითქვას, ისე სწრაფად და თავისუფლად დასრიალებს კალამი ფურცელზე. შიგადაშიგ დათხაპნილი ლაქა რა მოსატანია. მაინც სად გამოჩხრიკა? არც კი ვიცოდი, რა მეთქვა. არაფრის თქმა არაა საჭირო, მე მაინც ვერაფერში გამოვიყენე და თქვენ კი ვინძლო იმ თქვენი წიგნის წერაში გამოგადგეთო, – ასე მითხრა. მერე შეტრიალდა და ბებრული, უფერული, ხმელ-ხმელი ხელების ფშვნეტით გავიდა ოთახიდან. შუა კვირა იყო, მაგრამ მაინც ჩაეცვა ის თავისი ყვითელი ჟილეტი. უკვე ვეღარასოდეს გავიგებ, მართლა გადამდგარი სამხედროა თუ იბრალებს. ესეც კიდევ ერთი შეკითხვა, მის ვავასურისათვის რომ დამრჩა საკითხავი.

– ყველაზე მეტად ის მენატრება, – მეუბნება, – კონი... ქალბატონი გრეისი.

ეტყობა, ისე მივაშტერდი, ამჯერადაც თავისი თანამგრძნობი მზერა მომაგება.

– აბა, ის კაცი ჩემთვის რა იყო, – მითხრა, – არც არაფერი.

გამახსენდა, როგორ იდგა ხის ქვეშ აქვითინებული, მხრებში აწურული, თავჩაქინდრული, როგორ ჭმუჭნიდა დამბალ ცხვირსახოცს ხელში.

– სულ არაფერი, – თქვა ისევ.

და ახლა ისიც დამიდგა თვალწინ, მაშინ, ბალახზე, ჩემ უკან ჩამომჯდარი, სწორედ იქით რომ იყურებოდა, საითაც მეც ხარბად გამირბოდა თვალი...

ანა გამთენიისას გარდაიცვალა. მართალი გითხრათ, იმ დროს მის გვერდით არ ვყოფილვარ. გარეთ გამოვედი, საა-

ვადმყოფოს კიბეზე ვიდექი. მინდოდა, ღრმად ჩამესუნთქა დილის ბნელი, მოციმციმე ჰაერი და სიმშვიდისა და ზაფრის სწორედ იმ წამს მეორე, დიდი ხნის წინანდელი წამი მომაგონდა: ბელილესში ვიყავი და არ ვიცი, რატომ, იმ დღეს მარტო წავედი საცურაოდ – ქლოი და მაილზი სად იყვნენ, არ მახსოვს, მშობლებთან ერთად თუ გაემგზავრნენ სადმე და ეს, სავარაუდოდ, მათი ერთ-ერთი ბოლო, ან სულაც უკანასკნელი ერთობლივი მგზავრობა უნდა ყოფილიყო. ცა დაბურულიყო, ნიავიც არ ქროდა და ზღვაც არ ირხეოდა, მხოლოდ ნაპირს ელამუნებოდა პაწაწინა, აქოჩრილი ტალღები – ჯერი-ჯერზე, მოულალავად, თითქოს თვლემამორეული მკერავი უსასრულოდ ამოკლებს კაბის არშიასო. თითო-ოროლა დამსვენებელი გამოსულიყო სანაპიროზე, ჩემგან შორს, და უძრავი, მკვრივი ჰაერი მათ ხმებს თითქოს კიდევ უფრო შორეულად აქცევდა. წელამდე ვიდექი სრულიად გამჭვირვალე წყალში, მშვენივრად ვხედავდი ფსკერზე დატალღულ ქვიშას, პაწია ნიჟარებს, კიბორჩხალას მოტეხილ საცეცსა და საკუთარ ტერფებს, შუშის ჭურჭელში მოთავსებული უცნაური არსებებივით თეთრსა და უცხოს. ასე ვიდექი და უცებ – უცებ კი არა, რალაცნაირი შენელებული მოძრაობით – ზღვა აზავთდა, კი არ აღელდა, არა, ნელ-ნელა შედგა ყალყზე – ქვემოდან, ფსკერიდან, თითქოს ვეება არსებამ ტანი აიქნიაო. წამით მეც ამიტაცა, ნაპირისკენ წამიყვანა და მერე ძირს დამიშვა, სილაზე, ვითომც არაფერი მომხდარაო, და მართლაც არ მომხდარა არაფერი, არაფერი განსაკუთრებული – უბრალოდ, უსასრულო სამყარომ კიდევ ერთხელ გულგრილად აიჩეჩა მხრები.

ჩემს დასაძახებლად ექთანი გამოვიდა. მის ხმაზე შევტრიალდი, უკან მივყევი, და მაშინაც ზღვაში შევაბიჯე თითქოს.

სერია
„დიოგენეს ბიბლიოთეკა“

უკვე გამოიცა:

ჯონ ბენვილი
ზღვა

გ. კ. ჩესტერტონი
მოთხრობები მამა ბრაუნზე

რომენ გარი
თეთრი ძაღლი

ჯულიან ბარნსი
ფლობერის თუთიყუში

პიტერ კერი
ძარცვა

ჯონ ფაულზი
კოლექციონერი

პოლ ოსტერი, ჯონ მაქსველ კუტზეე
აქ და ახლა

ჰენრი მილერი
კირჩხიბის ტროპიკი

მილან კუნდერა
ყოფის აუტანელი სიმსუბუქე

ჯეკ კერუაკი
გზაზე

ჯონ მაქსველ კუტზეე
სირცხვილი

ჩაკ პალანიკი
მებრძოლთა კლუბი

უილიამ ფოლკნერი
დროშები მტვერში

პ. გ. ვუდჰაუსი
დაიკიდე, ჯივზ!

პოლ ოსტერი
მისნის ღამე

ედით უორტონი
უმანკოების ხანა

უმბერტო ეკო, კარდინალი მარტინი
რა სწამს მას, ვისაც არ სწამს

ორჰან ფამუქი
სტამბოლი

დიოგენე.ge

თანამედროვე ირლანდიურ ლიტერატურაში ჯონ ბენვილის (1945) სახელი გამორჩეულია. მის დახვეწილ, სტილისტურად უნაკლო პროზას ხშირად ვლადიმირ ნაბოკოვისას ადარებენ. ბენვილი არაერთი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელია, მათ შორის ბუკერის პრემიის, რომელიც მწერალს 2005 წელს მიენიჭა რომანისთვის „ზღვა“.

„ზღვა“ ხანში შესული მაქს მორდენის მონათხრობია, რომელიც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ზღვისპირა სოფელში ჩადის. იგი იხსენებს ბავშვობაში ამ ადგილას გატარებულ ზაფხულს, როცა გრეისების ოჯახი გაიცნო — ადამიანები, რომლებმაც მის მეხსიერებაში წარუშლელი კვალი დატოვეს.